


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

4 მაისი 2012 №9(165)

რას უნდა აშუქებდეს ქართული ტელევიზია
კოტე გოგოლაშვილი დორის ლესინგზე
შორენა ტყემელაშვილის მინიატურები
ინტერვიუ ეკატერინე ტოგონიძესთან
ინახება საქართველო რომანებშიც
გიორგი ჩუთლაშვილის დებიუტი
ბიოლის ლოენგრინის სიკვდილი
ვაჟა ოთარაშვილის ლექსები
ბესიკ კეკელიძის მოთხრობა
დავით წერედიანი გოეთეზე
ადამიანი-მთვარეული



შინაარსი

ჩვენი ყოფა, წითისოფალი	2	ლევან ვასაძე რას უნდა აშუქებდეს ქართული ტელევიზია (პატრიარქის წმინდა მინაზე მოგზაურობასთან დაკავშირებით)
მსურს-ჩინებო	6	ეკატერინე ტოგონიძე „ვიყო მე“ (მომზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	7	ბესიკ კეკელიძე ღვთის მადლი
	12	შორენა ტყეშელაშვილი ჩავლილი ყვითელი ავტობუსი
პოეზია	16	ვაჟა ოთარაშვილი ქართლურ მოტივზე და სხვა ლექსები
	19	ელიზბარ ელიზბარაშვილი მიბადურთა მთვარა და სხვა ლექსები
უსწოთის ცხოვრებიდან	21	კოტე გოგოლაშვილი პრიტიკული კომპარატივისტიკის ხანმოკლე ექსპერიმენტი (დორის ლესინგი)
ღიალოგი	30	მალაღი კლასიკა (მარინე რევიშვილს ესაუბრება დავით წერეთლიანი)
წოთავი და წლავი	32	ნოდარ გურაბანიძე სამყარო თეატრალის თვალთ
ელვარა და ლომვარი	36	როსტომ ჩხეიძე „მონასტარში, ოფალია, მონასტარში!..“ (გალაკტიონი და რაისა ჩიხლაძე)
მხეისტიკა	39	ზურაბ ხასაია ადამიანი — მთვარეული
თეთრი ლაქავი	41	გვანცა შუბითიძე ეროვნული მოძრაობის ისტორიის ორტომეული („საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები: 1988-90“)
რეპორაჟი	42	ნუცა მარგველანი ინახება საქართველო რომანეზში (წარდგინება ბიოგრაფიული რომანისა „მზის რაინდი“)
კრიტიკა	44	მარიამ ნიკლაური მშენებარების უღაბუბარში ანუ ლექსადმანაღობის ლიტურგია (... და რამდენიმე კითხვა დედა მარიამს)
	47	სოფო ნულაია რატომ არ მინებინებოდა გიორგი კეკელიძე
დაუნიწარი სხელები	48	იკა ქადაგიძე სიკვდილის ხევესური ეპიტაფია (გოგია არაბული)
ღიბარაბურული ცხოვრება	53	ნინო დეკანოიძე ჩანანებარები სახეფათო ანგელოზ (იოსებ ჭუმბურიძის „არ ეწყინება ყოვლადღიერსო...“)
მხეისტიკა	54	ქეთევან ქემოკლიძე ღიალოგის ქრისტომატიული ნიშეში (ნინო ჩხიკვიშვილისა და თემურ ჩხეიძის დიალოგის გამოძახილი)
ახალგაზრდებო, აწ კი მთვე	55	გიორგი ჩუთლაშვილი ღღას ისევე აქ ვარ
მხეისტიკა მთავარეფილვა	58	იოსებ ჭუმბურიძე არ ვიცი სიცილი
უსწოური ნოველა	59	ჰანრიხ ბიოლი ლონგბრინის სიკვდილი
მონაიკა	63	ცრემლები ომში

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ—კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **მზის ჩასვლისას**

ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა



ლევან ვასაძე

რას უნდა აშუქებდეს ქართული ტელევიზია

□

პატრიარქის წმინდა მინაზე მოგზაურობასთან დაკავშირებით

იერუსალიმი. ზამთარსა და დღესასწაულთშორისობას ოდნავ დაუცლია წმინდა ქალაქი, რომელსაც უდიდესი პატრიარქი სტუმრობს. ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტეს აღდგომის ტაძარში, ან ღვთისმშობლის საფლავზე, ან ბეთლემში, ან დავითის საფლავზე ნემსს ჩააგდებ. უბრალოდ ვია დოლოროსაზე გაივლი თითქმის მშვიდად, განსაკუთრებით თუ წვიმს და დილის 8 საათია, გარდამოხსნის ქვის მირონს იყნოსავ ამბორისას, ომარის მეჩეთის მინარეთი იღუმებს, სომხების და ბერძნების მუშტიკრივს არ ნახავ, კინგ დევიდში ჩვეულებრივზე ნაკლებ პატრიოტ ებრაელს იხილავ მთელი მსოფლიოდან ბავშვებით საკუთარ სამშობლოში ჩამოსულს და შაბათის მომლოდინეს.

კულტურულ-რელიგიური კალიდოსკოპი წმინდა ქალაქისა მდიდრდება თუ ბრწყინდება, მისი უწმინდესობის მეოთხე სტუმრობისას მისი პატრიარქობის განმავლობაში. მისი ამაღლა, სამი მიტროპოლიტისა, მამათა და დედათა, ბასიანის მგალობელთა, მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტის, სხვა მეცნიერთა, ხელოვანთა, მუსიკოსთა, საქმოსანთა და ხუთასამდე მომლოცველთაგან შემდგარი ისე ავსებს ქალაქს, თითქოს ათი ათასიანი იყოს.

იერუსალიმის საპატრიარქოში (ეკლესიათა დედად ნოდებულში) თქმული ამალღებული მისალმება პატრიარქ თეოფილესი, ბერძენი მღვდელმთავრობა და სამღვდლოება, მისაღები დარბაზი აქა-იქ მორთული ქართული ხატებით, სამადლობელი სიტყვა უწმინდესისა, როგორც თავლი მომდინარე საუკუნოვანი სიღრმეებიდან, გახარებული სახეები იქ მსხდომთა, ფიქრი დაკარგულ ქართულ სინმინდეებზე, ნატვრა აღორძინებისა, ფიქრი მართლმადიდებელი ბერძნების მრავალსაუკუნოვან მცველურ ხვედრზე ბიზანტიადამბობილ სინამდვილეში, ფიქრი იმაზე, თუ რა უფლება გაქვს მათი, ან ვინმეს განკითხვისა, პალესტინელი ქრისტიანების ხელით შექმნილი სადაფის საპატრიარქო კვერთხი - თეოფილეს საჩუქარი უწმინდესს, მისივე საჩუქრები ქართულ დელეგაციას, და დალოცვა, რომლის მიღებისასაც უნებლიეთ ფიქრობ იქვე გამომწყვედულ თეოფილეს მოძღვარ-ყოფილ ირინეოსზე, გადაყენებულ პატრიარქზე იერუსალიმისა, რომლის საქმეებში ჩარევასაც მხოლოდ ქართული ეკლესია არ დაეთანხმა კონსტანტინეპოლში მსოფლიო პატრიარქ ბართლომესაგან მოწვეულ კრებაზე. საჩუქარი პატრიარქისა თეოფილეს და გა-

ლობა, გალობა ქართული, გამაოგნებელი, განმსჭვალავი, დამალბობელი, მამამყებელი. გარეთ კვლავ მომლოცველები და უწმინდესის ფეხით მსველლობა მაცხოვართან, მისი ბავშვით ტირილი გარდამოხსნის ქვასთან, ჩვენი ბავშვებით ტირილი მისი ცრემლების გამო, მაცხოვრის საფლავზე ლოცვა, გოლგოთა და გალობა, გალობა ქართული, უზარმაზარი ტაძრის მრავალათასიანი მომლოცველების დამადუმებელი, აღმტაცებელი, მაიძულებელი — იკითხონ, თუ ვინ არის ეს ხალხი.

სალამოს პატრიარქი მოისვენებს, მაგრამ რა არის მისი მოსვენება? ნაკადი ხალხის ყველა ჯურისა, სხდომა მის გარშემო, რალაციით მიხაი ზიჩის ვეფხისტყაოსნის ნადიმობათა ილუსტრაციების მაგვარი, თქვენ რას ფიქრობთ — პატრიარქის რბილი ხმა და შემკრთალი მოპასუხის გაბრწყინებული თვალეები. სანთელი მოიტანეთ — ნიშანი ძილის დროის მოახლოებისა, შუალამის ლოცვა და ყველანი ჩურჩულთ ერთმანეთს ვასწრებთ მამის საძინებლიდან, ვწუხვართ, რომ არ ძალგვიძს აღქმა მომხდარისა.

ორი პატრიარქის ღამისთევით წირვა მაცხოვრის საფლავზე, გადაჭედილი ტაძარი მთელი მსოფლიოს წარმომადგენლებით, გალობა ბერძნული, ერთხმისანი, ვარამითა და ოსმალურ-სარკინოზული ჰანგებით გაჟღენთილი, უფლისადმი ნატვრითა და ვაჟკაცობით მიმართული, როგორც დაქცეული და დაკარგული ბიზანტიის საკუთარ თავზე გოდება, ვიცი რატომაც, უფალო, გადაკარგული საუკუნეებში და სახეცვლილი, მოდრეკილი აქამომდე მაჰმადიანთა ძალადობრივი უღელით. გალობა ქართული, მრავალხმისანი, ჩვენი მთის წყლებით ანკარად მომდინარე საუკუნეებში, აპოთეოზი ხელოვნებისა, უზადო, უცდომელი. ბერძენები ჩვენებს აჩქარებენ, ქერუბიმთა შეამოკლეთ, საბაოთს ჩვენ ვიტყვი, აშკარაა მათი უცნაური მიუღებლობა თუ ინფანტილური ეჭვიანობა უპირატეს მუსიკალურ კულტურასთან. გაოცებული რუსების ალტაცებული მზერა ტაძარში, ევროპელების გაუთავებელი ფოტოაპარატები. პროსკომიდიის მერე ერთი რუსი მამაო ვერ მოითმენს და ჩვენს ლოტბარს სთხოვს: სანკტ პეტერბურგიდან ბავშვების გუნდი გვყავს, იქნებ ჩვენც გვაგალობოთო. ბერძნებისაა აქ ნებართვის უფლება. ჩვენები რუსებს უშუამდგომლებენ და კათაკმეველთა ლიტურგიისათვის საკითხიც გვარდება, მართალთა ლიტურგიაზე სულის გარდამოსვლისას საოცარი სიმშუბუქე ავგიტანს, ბოლოს რუსი ბავშვებიც იტყვიან **Отче Наш**-ს. რომაც ურწმუნო იყოს კაცი, თუ კომუნისტური, თუ კაპიტალისტური ათეიზმის მსხვერპლი, როგორ შეიძლება თუნდაც კულტუროლოგიური თვალსაზრისით არ გაინტერესებდეს რა ხდება ოქროპირის ლიტურგიისას, როგორ დაიკვლის კრავის ძღვენი კაცობრიობისათვის, როგორ იქცევა სიმბოლო რეალობად, როგორ ხვდება ერთმანეთს უმალესი მუსიკაც, ფსალმუნთა პოეზიაც, სახარების ღვთაებრივი ფილოსოფიაც, უნატიფესი მხატვრობაც, უმალესი ხუროთმოძღვრებაც და ულამაზესი ადამიანური თვითგარინდებაც, როგორ მადლობს ადამიანი ღმერთს მსხვერპლისათვის, ანუ წირვისათვის, როგორ განახლდება ის ქრისტეს სისხლსა და ხორცში, როგორ მონაწილეობს ამაში ჩვენი უძველესი ერი და კულტურა, მეოცე საუკუნის ფილოსოფიის მამის, მერაბ მამარდაშვილის თქმის არ იყოს, უძველესი ქართველი ერის მარადიული ახალგაზრდობის საი-

დუმლო იქნებ მის მუდმივ ქრისტიანულ განახლებაში არისო, კაცმა ასეთი რამე კომუნისტების დროს განსჭვრიტა და ილიას დროინდელ ქართველობის ნაწილს რაღა სიბრძავე გვეტაკა?

შემდგომში ორი პატრიარქის დილის ტრაპეზი, მოქანცული, ბერულად ასკეტური, მაგრამ ბარძიმის მადლით გაბრწყინებული, ისევ თეოფილეს სიტყვა და ილიას პასუხი, სიმშვიდისა და ადამიანობის ზეიმი.

მომდევნო დღეებში კიდევ უფრო მეტი. ჯვრის მონასტერი, რომლის ფლობაც იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ უფაქიზესი თემაა, ძალიან, ვიტყვოდი, ნერვიული, ბერძენთა მხრიდან და რომელსაც მრავალი ათწლეულია ქართველი პატრიარქები უკიდურესი სიფრთხილით უდგებიან, ისევე როგორც ივერონისას ათონზე და პეტრიწონისას ბულგარებთან. და რაოდენ სახიფათოა ამ თემის ჩვენი მხრიდან გახმაურება თეოფილესთან წინასწარი რაიმე შეთანხმების გარეშე.

ღვთისმშობლის საფლავი იერუსალიმში, მისი წილხვედრი პატრიარქის მასთან სტუმრობა. დაღმავალ უზარმაზარ ქვის კიბეზე მისი მშობლების, ოიაკიმ და ანას საფლავი, იქაურობა მოფენილი აუარება ქართველებით, სანთლების ზღვა და შენ ხარვენახი, მოლივილივე და უფაქიზესი, მხოლოდ ვაზის სამშობლოში შესაძლებელი, რომ ვერ აღწერ, ისეთი.

ვიზიტი ისრაელის პარლამენტში, კნესეტში. ისრაელის სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე და კნესეტის წევრთა ელიტა, მათ შორის ერთი ქართველი ებრაელი პარლამენტარიც. უდიდესი კულტურისა და დიპლომატიის ხალხი. საოცარი რამ — შეხვედრის უმეტესი დრო ეთმობა ლოცვის კულტურაზე საუბარს, ებრაელ კანონმდებლებს და სახელმწიფოს მამებს აინტერესებთ პატრიარქის აზრი ლოცვის საკითხებზე, იმაზე, თუ, როგორ და რამდენჯერ უნდა ილოცოს ადამიანი დღეში, უყვებინან საკუთარ ლოცვის წესებს და საუბარში ავლენენ უდიდეს რელიგიურობას და ცოდნას საკუთარი რჯულისა და ისტორიისა. მათს აზროვნებაში სჭვივის ალალი სიყვარული მთელს მსოფლიოში მოფანტულ ებრაელებზე და არანაირი ეჭვიანობა და შიში მათ მიმართ. გაოცებული უსმენ და სწავლობ ამ ხალხისგან, რომელთაც ასევე მტრულ გარემოცვაში შექმნეს-აღადგინეს საკუთარი სახელმწიფო და რომლებმაც შეძლეს ექნათ ისე, რომ მთელს მსოფლიოში გაფანტულ ებრაელებს საკუთარი სახელმწიფოსი კი არ ეშინოდათ ყველაზე უფრო, არამედ ყველაზე უფრო სწორედ მისი იმედით იყვნენ, მას უჭერდნენ მხარს, როგორც დიუმას მუშკეტერების ფორმულა: ერთი ყველა-

სათვის და ყველა ერთისათვის. საოცარი ფაქტი: კნესეტის შენობა ქართველთა ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე დგას და მას უხდის ქირას.

შეხვედრა ისრაელის მთავარ რაბინთან და რაბინებთან, სადაც ისინი პატრიარქს ეტყვიან, რამდენი საჩუქარი ჩამოუტანიათ დავითისათვის, მაგრამ თქვენნაირი — არავისო, იგულისხმება დავითის საფლავისათვის ჩატანილი ხელნაკეთი უმდიდრესი სუღარა. უტყუარი განცდა იმისა, რომ რაბინები ხედავენ ილიაში უდიდეს ბრძენს და ხარობენ მასთან ურთიერთობით.

ვიზიტი ლუდში წმ. გიორგის საფლავზე, ქართველთა შემწე მფარველისადმი მხურვალე ლოცვა.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იერუსალიმში

შეხვედრა ლეგენდარულ პიროვნებასთან, ისრაელის პრეზიდენტთან, ბატონ შიმონ პერესთან, ოთხმოცდაათწელს მიტანებული წნელივით გამხდარი და ძლიერი კაცი, გამჭოლი მზერითა და ღრმა საუბრით, უზარმაზარი ერთ-ერთი და ტაქტით, ბოხი ხმით, პატრიარქს ეტყვის, რომ ბავშვობიდან უყვარდა ვეფხისტყაოსანი და თავიდან ბოლომდე კითხულობდა (ბევრი ქართველი მოღვაწე იტყვის მაგას?), გამოავლენს დიდ ცოდნას საქართველოს შესახებ და ეკითხება პატრიარქს ახლო აღ-

მოსავლური კონფლიქტის სტრატეგიის შესახებ. როდესაც ხელს ჩამოგართმევს და თვალბეჭეტი ჩაგხედავს მდუმარე აზრს გრძნობ.

რამალლაჰ. პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტი, ბატონი მაჰმუდ აბბასი, იასერ არაფატის მემკვიდრე, უთბილესი მიღება არაბების მხრიდან, მათი სიმართლე, მათი ტრაგედია, მათი ხედვა, მათი უნადინობა ომისა და შეუძლებლობა მინის დათმობისა, მათი შეკითხვები პატრიარქს — რა ქნან, როგორ მოიქცენ, პატრიარქის სიტყვა-პასუხი, დამამშვიდებელი, მოზომილი, დამამედებელი, ვრცელი საუბარი დასავლეთზე, არაბულ სამყაროზე, რუსეთზე. ერთ-ერთი ყველაზე თბილი, საინტერესო და მახარობელი შეხვედრა მთელი ვიზიტისას.

ბეთლემი, მაცხოვრის შობის ტაძარი, სავსე ყველა კონფესიის ხალხით, რიგები, შობის ბაგაში ჩასასვლელი საკურთხევლის უკან, პარაკლისი, ქართული გალობა, რომელიც მთელ ტაძარს ადუმებს და აოგნებს, გვაჩქარებენ, სომხების ლოცვის დროა, ბაგა უნდა დავცალოთ.

ქართველი დედეების სახლი ბეთლემთან, ერთი ბენო ფეხის მოსაკიდებელი ადგილი პალესტინაში, არაფერი, ჩვენი დაკარგულ 40 მონასტერთან შედარებით და ყველაფერი იმ არაფერთან შედარებით, რაც მის უწმინდესობამდე ჰქონდა საქართველოს. ღმერთმა გაანათლოს დალუ-

პული მამუკა ჯინჭარაძის სული, რომელმაც ეს მიწა და სახლი უყიდა ჩვენს ეკლესიას.

პალესტინის უდაბნო, საბა დამწმინდველის ლავრა, მე-6 საუკუნის პირველი მონასტერი, ბერობის დამაარსებელი უდიდესი მამა, როგორ ჰგავს იქაურობა გარეჯს. საოცრება ისაა, რომ ჩვენ საბას დროინდელი მონასტრები გვაქვს დღემდე საქართველოში. როგორც ერთმა რუსმა დეკანოზმა მითხრა საქართველოში სტუმრობისას, ასეთი კულტურა ბერძნებსაც კი არ შემორჩათ, ბიზანტიის განახლებული უძველესი სინამდვილის უმრავლესობა მე-10, მე-11 საუკუნეებს განეკუთვნება. ლავრაში მისი დამაარსებლის, წმინდა საბას უხრწნელი სხეული, რომელიც XX საუკუნეშივე ჯვაროსანთა მიერ გატაცებული რომის პაპთან ინახებოდა და რომელიც 60-ან წლებში სიზმარში ეჩვენა პაპს და სთხოვა, შინ დამაბრუნეო. ბერების ძვალთსალაგი, უამრავი თავის ქალები მათზე სასწაულებრივად გამოსახული ბუნებრივი ჯვრებით. ერთი ასეთი უხრწნელი სხეული და ძვალთსალაგი საკმარისია მეცნიერების ღმერთთან შესაერთებლად, თუ მეცნიერს გული და სინდისი არ დაუკარგავს.

კაპუსტინის მეცენატობის დროინდელი XIX საუკუნის უდიდესი რუსული მონასტერი იერუსალიმში და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო მისია, გაბრწყინებული რუსული საკათედრო ტაძარი, მეფური მიღება პატრიარქის, მატუშკების ქართულად „კრისტე ავსდაგას“ გალობა კარბელაშვილების კილოზე და ბასიანის პასუხი — სვანური ქრისტე აღსდგა, დამადუმებელი, ცრემლის მომგვრელი, დამაზანზარებელი, დამბურძღლავი. პარაკლისი, სიტყვა ტაძარში და შენდობის კვირადღის ტრაპეზი, არბერძნულად ხელგამლილი და თითქმის ქართულივით ლაღი სუფრა, სადღეგრძელოები მისი მთავარი არქიმანდრიტისაგან, რუსული ვოდკით და კატლებით და „მიშკა“ კანფეტებით, პატრიარქის სიტყვა სუფრაზე რუსებს, განცდა მის მიერ მათი სულიერი მამობისა და არა უმცროსობისა, და მათზე უდიდესი გავლენისა, განცდა რუსების დანაშაულისა და, მიუხედავად ამისა, მათთან კულტურული სიახლოვისა, განცდა დიდი სინანულისა მომხდარის გამო, ნეტა მართლა ყველა რუსი მასე ფიქრობდეს.

ვიზიტი დავით მეფის საფლავზე, თავისთავად უპრეცედენტო აქტი რაბინთა და ებრაელთაგან პატრიარქის მიმართ პატივისცემისა, გამოხატული სუდარის შეწირვის ნებართვაში. წინასწარი მოთხოვნა, რომ სუდარაზე მხოლოდ ჰობრუზე მოიქარგოს მისი ფსალმუნი, რათა „დავითის სული არ შეწუხდეს“. ენით აუნერული სილამაზის სუდარა ხელით მოქარგული თბილისში წლინახევრის მანძილზე ფერიცვლების ილუმენია დედა მარიაშისა და მის მონაზონთა მიერ, ჰობრუზე ფსალმუნი და საოცრება — ქართულად ორი ასო „დ“ და „მ“, ჩასმული სამოთხის ჩიტების ორნამენტებში, სუდარის ცენტრში. საფლავზე სუდარის შეწირვა და პატრიარქის ლოცვა, გარეთ ასობით მომლოდინე ტურისტები, თუ იუდეველი ხასიდი და რაბინი.

ნაკლებად საგულისხმო შეხვედრა ქართველი ებრაელების დიასპორასთან.

უდაბნოში მანქანებით გამგზავრება ჩვენი ვიზიტის მეორე ქვეყანაში. სოდომის და გომორის ღვთისაგან ამოწვის ადგილას დარჩენილი მკვდარი ზღვა, ასევე საკმარისი სინდისიერი მეცნიერებისათვის მოსაქცევად.

იორდანია. წმინდა მიწის გაგრძელება (თუ დასაწყისი). ამაყი არაბული სამეფო, ერთადერთი უნავთობო, პირველი

არაბულთაგან, ვინც ისრაელის სახელმწიფო სცნო, ერთ-ერთი იშვიათი, ვინც ჯერჯერობით არ ამოუყირავებიათ ვითომ სპონტანური არაბული რევოლუციით. მშრალი, ქვალორლიანი ნიადაგი, ჩვენზე ბევრად განვითარებული სოფლის მეურნეობა არტეზიული ჭაბურღილების ხარჯზე, ქვეყანა ქვეყანას ვერ ემგვანება, თუ საკუთარ თავს არ კვებავს და საკუთარ მიწას არ ამუშავებს, რად უნდა ამას ჩვენი პაჭაპუჭა ვაიპროგრესისტების ტლიკინი, ეს ასეა ყველგან, სადაც კი ღმერთმა ადამიანს ამის საშუალება მისცა. თეთრი ქვით ნაშენი 2.5 მილიონიანი დედაქალაქი ამანი, სუფთა და მშვიდი, ჩვენი რუსულად მოლაპარაკე ქართველი აისორი გიდი ქალის საინტერესო თხრობა ქალაქის ეთნო-რელიგიურ პალიტრაზე, ჯერ მარტო და როგორც ყოველთვის 100 ათასზე მეტი სომეხი, მშრომელი ხელოსნების საზოგადოება. მეფე აბდალლას შეხვედრა მის უწმინდესობასთან, მისი აღფრთოვანება ჩვენი პატრიარქით და თქმა, აირჩიეთ ადგილი იორდანეზე ქართული მონასტრისათვის და გჩუქნით. დიდებული გულუხვობა, სამწუხაროდ, ალბათ შეუძლებელი განსახორციელებლად, რადგან იორდანია-პალესტინაც ეპარქიულად იერუსალიმის პატრიარქს ეკუთვნის და განა თეოფილე მოგვცემს ამის უფლებას? იგივეა ჩვენთან (მაგალითად აფხაზეთში), რომ ბერძნებმა ან რუსებმა მთავრობისაგან მიწა აიღონ და პატრიარქის კურთხევის გარეშე მონასტრები აგვიშენონ. რუსებმა რომ წმინდა მიწაზე თვითნებურად დაიწყეს მშენებლობა კანონიკური სუბორდინაციის დარღვევით, იმიტომ არიან „კარგ“ დღეში. რა საფრთხილოა ეს თემები და როგორ არ შეიძლება მანდ თვითნებურად და რაიმეს კეთება ეკლესიის საქმეთა ცოდნის გარეშე. იქნებ წარმომადგენლობა მაინც გვექნა ქართველ მომლოცველთათვის, ეს ხომ სახელმწიფოებრივი საკითხია წმინდა მიწაზე ჩვენი წარმოჩენა-აღორძინებისა?

მოლოცვა არაბული მონასტრისა ამანში, შეხვედრა არაბ ელვდელმთავართან იორდანისა, რომელიც იერუსალიმის ეკლესიის სინოდის წევრია, იქაური არაბული გალობა და ფრესკები, კანონიკურად ბერძნული, ესთეტიკურად ოდნავ არაბული, არაბული წარწერებით, ეს რა ვნახე, ბერძნული იერუსალიმის წიაღი იორდანიაში, უცქერ, უსმენ და გახსენდება ბერძნული გალობის ჯიუტად მიმდევარი ქართული სამღვდლოების მცირე ნაწილი, რომლებსაც შარშან ერთმა ათონელმა ილუმენმა თბილისში სტუმრობისას უთხრა, ჩვენ ჩვენი აუთენტიკური ბიზანტიური გალობა დავკარგეთ და თავიდან ხელოვნურად დავწერეთ XVIII საუკუნეში და ნუ ეურჩებით თქვენს პატრიარქს, მას დაუჯერეთო, და ამ ჩვენი მღვდლებისა შუივალობა იმ კაცთანაც კი, რომელსაც თითქოსდა საკუთარ ავტორიტეტად მიიჩნევენ. როგორ მუშაობს უხსენებელი ადამიანზე, ირჩევს კარგს და აკეთებინებს ცუდს, რათა ბევრი აყვეს, თუმცა ჩვენ ვისზე რა გვეთქმის.

დელეგაციის ნაწილი მოასწრებს და ეწვევა ზღაპრულ და მისტიკურ პეტრას, როდესაც მათს მონაყოლს მოისმენ, იძულებული ხარ აღიარო, რომ ამანში უნდა დაბრუნდე ამისათვის ოჯახით. არავინ იცის, საიდან მოვიდნენ და საით მავიდნენ ათობით ვარძიისხელა პეტრას მაშენებლები და მაცხოვრებლები ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით ადრე, რა კულტურისა, ეროვნების ან სარწმუნოებისანი იყვნენ, ან რატომ შექმნეს უდაბნოში ეს სიურრეალისტური ზღაპარი, ან რატომ ცხოვრობდნენ იქ, ან როგორ დაილუპნენ. ჩვენები გა-

ოგნებით ყვებიან, როგორ წამოეწიათ ღატაკი ბედუინი ბიჭი მათივე დაკარგული საფულეთი და დაუბრუნა მათ, თან უთქვამს: სხვისი ფულისათვის ადამიანს ღმერთი დასჯისო.

პატრიარქის კურთხევით მართლმადიდებელ არაბ ბიზნესმენებთან ჩვენი შეხვედრა, მართლმადიდებელი არაბები იორდანიაში მოსახლეობის 4% არიან და იორდანის ეკონომიკის 30% აკონტროლებენ, ნესიერი, მეოჯახე ხალხი, სუფთა, მშვიდი სახეებით, მათი პატიჟი საქართველოში, საუბარში მათი წუხილი თეოფილესთან, როგორც მათ ბერძენ პატრიარქთან არსებული გაუგებრობებისა და დაძაბულობის გამო. პარალელები ჩვენს აფხაზურ რეალიებთან, უამრავი საფულისხმო და საფიქრალი.

მადაბა. მსოფლიოში უძველესი მადაბას ქრისტიანული მოზაიკა VI საუკუნისა, დაკარგული სარკინოზების მიერ დაპყრობის შედეგად და XX საუკუნეში შემთხვევით აღმოჩენილი ტაძრის იატაკზე დასხმული კირხსნარის ქვეშ. ბერძენი არქიმანდრიტი ინოკენტი, ჩვენი მასპინძელი და თეოფილეს კურსელი ათენიდან, იერუსალიმის საპატრიარქოს საგანმანათლებლო მისიის ხელმძღვანელი იორდანიაში, 22 სკოლისა და 13 ათასი სტუდენტისა და მოსწავლის პატრონი, მუსლიმან არაბთა რიგები მის სკოლებში მათი შვილების მოხვედრაზე, ცეცხლივით კაცი, მომლიძარი და ალაღად კეთილი, ცოცხალი და მაღალი ზნეობითა და ინტელექტით. დიდხანს ვსაუბრობთ ბავშვების აღზრდა-განათლების პრობლემატიკაზე.

ქრისტეს ნათლობის ადგილი იორდანეში. მზიანი, გრილი ზამთრის დღე, ცივი მღვრიე წყალი, პატრიარქის მხლებელი აკადემიკოსის, ქალბატონ გულიკო ჩაფიძისა და მისი ექიმის აზრი, რომ პატრიარქი არ უნდა ჩავიდეს წყალში. „მაგათ რა იციან, კაცო!“ პატრიარქის გაღიმებული პასუხი, მისი ცოცხალი ალყა მდინარის პირას და განმოსვა, მხლებელთა კრძალვა (თუმცა ერთი-ორმა ზედმეტად ახლო ფოტოების გადაღება მაინც იკადრა წყლის მერე), და ყინულოვით წყალი, სრიალა თიხის ძირი, სუნთქვის შეკვრა სიცივეში და დარდი პატრიარქზე, სამ-სამჯერ ჩაყვინთვა და შვება, მაღლი, სიმშვიდე, აღარც გცივა, სველი დგახარ კვართში ცივ ნიაგზე ალყის წევრად და შემოსვაში ეხმარები უწმინდესს. საოცარი, დაუფიქარი სურათი: თმაგაშლილი და თმაგამშრალებული, მოსვენებით მჯდომი თვალმინაბული პატრიარქისა მზეზე, მისი ჩუმი ლოცვა.

უსასრულო პალიტრა ფიქრების, მოვლენების, ჩატეული რამდენიმე დღეში და ორ ქვეყანაში, საკმარისი ვრცელი ანალიზისა და მსჯელობისათვის განათლებული და მოაზროვნე ჟურნალისტისათვის. უმნიშვნელოვანესი ვიზიტი არა მხოლოდ და არა იმდენად ქართული ეკლესიი-

სათვის, რამდენადაც ქართული სახელმწიფოსათვის და ქართული კულტურისათვის. და რა გაშუქება ერგება ამას ყველაფერს ქართულ ტელევიზორებში იმ დღეებში? „პატრიარქი წავიდა იერუსალიმში და სთქვა...“ „პატრიარქი ჩამოვიდა იერუსალიმიდან და სთქვა...“ ნუთუ ესეც პოლიტიკოსების ნებაა? ან იქნებ უფრო დასაჯერებელი იყოს, რომ ეს მათი გულის მოგებისათვის გაქაფული მედია იდეოლოგიების შეცდომაა, რომლებიც იმ დღეებში ბევრად უფრო „მნიშვნელოვანი“ სიუჟეტებითა და ტელეპროდუქციით აბრუებენ ხალხს, ლათინოამერიკული სერიალებით, ადგილობრივი წარმოების მდარე ანტიოჯახური უზნეობით და მოლაპარაკე თავებით. და როგორ დაეჯეროთ, რომ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში ერთი პიროვნებაც არ მოინახებოდა, რომელიც ზემოთაღწერილ მოვლენათა კალედოსკოპის სიღრმისეულ მნიშვნელობას გაიაზრებდა, დაიტევდა და აღწერდა ჩვენი განვალეული ხალხის გასახარებლად და მათი კულტურული დონის გაუთავებელი ვარდნის ოდნავ შესაჩერებლად? თუ საბაზრო და დემოკრატიული კანონები არ იმუშავებდა აქ? რა უფრო დააინტერესებდა მოსახლეობას, რა უფრო რეიტინგული, ანუ სარფიანი, იქნებოდა ტელევიზიისათვის ქართველ მაყურებელთან იმ დღეებში, ტელევიზიუტების სერია პატრიარქის ახლოადმოსვლურ მოგზაურობაზე, თუ უბადრუკი ხორხოცი და ნამხედურული უზნეობა, რომლითაც ასე დანაგვიანებულია ჩვენი ტელე-, ანუ კულტურულ-საინფორმაციო სივრცე? შეცდომაა ეს თუ მიზანმიმართული დივერსია? უვიცობა თუ ცინიკური ფსევდო-ცოდნის მიერ ჩვენი ოკუპაცია? შემთხვევითობა თუ შორს მიმავალი გეგმებით გათვლილი პროპაგანდისტული სტრატეგია?

მსოფლიოს სულიერ დედაქალაქში ერისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პიროვნების ვიზიტის ასახვა არ ეკუთვნის არც პოლიტიკოსს, არც ჟურნალისტს, არც უმნიშვნელ მედია ნეო-იდეოლოგს. ის ეკუთვნის ისტორიას ჩვენი ერისა, ჩვენი კუტურისა, ჩვენი სახელმწიფოსი. არა მხოლოდ არქივისათვის, არამედ აწმყოზე გავლენისათვის,

ერის ზნეობრივი და კულტურული წინსვლისათვის, რომლის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი შედეგია მისივე ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წინსვლა. ამრიგად, ამგვარი ვიზიტის იგნორირებით („ერთსულოვნების“ ერთი ოპერატორი აქ არაფერს ცვლის) ზიანი ადგება ქვეყნის ყველანაირ წინსვლას და, ვიდრე ამას არ გავიგებთ, ასე ვიქნებით ერთი ბატონის ქვეშიდან გამოვარდნაზე და მეორე ბატონის ქვეშ შევარდნაზე დახარბებული პროვინცია მსოფლიოს კულტურული და სულიერი და ამის შედეგად სხვა ყველანაირი ცხოვრებისა.

„ჩვენი მწერლობის“ სალონში
გამართული საღამოების პროგრამაში
გარკვეულ მიზეზთა გამო
მოხდა ცვლილება.

10 აპრილს, ნაცვლად
გამოცხადებული შეხვედრისა, ჩატარდა
ნანა დემეტრაშვილის
ხსოვნის საღამო.

გიორგი ქავთარაქისთან
შეხვედრა კი გაიმართება
8 მაისს.

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ეკატერინე ტოგონიძე

„ვიყო მე“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- თავის და რწმენის დაკარგვა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- სადაც იქნება ჩემი ოჯახი.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— საკუთარ თავთან ჰარმონია, სიხარული, რომელიც სიყვარულთანაა გამონეწული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

- დონ კიხოტი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

- ჟანა დარკი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- მოდილიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი.
— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— გონიერება, სიკეთე და ნებისყოფა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გონიერება, სიკეთე და ნებისყოფა.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

- თანაგრძნობა განსაცდელშიც და ბედნიერების ჟამსაც.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- მოგზაურობა, სურათების გადაღება.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

- არ მახსენდება ასეთი...
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- გულწრფელობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- დროის არასწორად განაწილება, ზოგჯერ ფლანგვა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სიცოცხლით ტკობა.

- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- თქმის მეშინია, რომ არ ახდეს.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- უფრო ძლიერი.
- თქვენი საყვარელი ფერი?

- ყველა ფერი, რომელიც წყალს შეუძლია მიიღოს.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?



- კატუხის ფერადი ყვავილები.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- არ ვიცი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- სერვანტესი, ფრიში, ვაჟა-ფშაველა, ჯავახიშვილი, დორის ლესინგი, უელბეკი...

- თქვენი საყვარელი პოეტები?
- რემბო, ბროდსკი, ახმატოვა, ცვეტაევა, გალაკტიონი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ანა კარენინა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
— გმირობა, როგორც სიკეთისთვის თავგანწირვა, რეალურ ცხოვრებაშიც არსებობს. ასეთია მაგალითად მორჩილი ქეთევანი — უანგაროდ უვლის ონკოლოგიურავადმყოფებს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

- მარო მაყაშვილი.
- საყვარელი სახელები?
- რატი, ალექსანდრე, ეკატერინე, თამარი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

- ტყუილს და სიყალბეს, უგუნურობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ზიზლს არ განვიცდი, მაგრამ ამ კითხვაზე პირველი მახსენდება ჰიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— ვერ აღმაფრთოვანებს ვერცერთი მოქმედება, რომელიც სიცოცხლის განადგურებას ემსახურება. ისტორიიდან განსაკუთრებით მაკედონელის ლაშქრობები დამამახსოვრდა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

- ქალთა უფლებების აღიარება — არჩევნებში მონაწილეობა და სხვა.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- თავის მართვა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
— ღრმად მოხუცებული, ჯანმრთელი და გარშემომყოფებისთვის ძალიან გულდასაწყვეტი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

- ძიების.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- შეცდომის აღიარება, სინანული.

— თქვენი დევიზი?
— არა ძალადობას.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ღმერთისგან, რა თქმა უნდა, ველი მიტევებას.

ბესიკ კეკელიძეს წარდგენა არ სჭირდება. მკითხველი უკვე კარგად იცნობს მის შემოქმედებას და შესაძლოა სტილსაც, რომელიც გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული მორალიზმითა და ეთიკური პრობლემების წინ წამოწევიტ.

წარდგენა სჭირდება მის ახალ მოთხრობას, რომელშიც მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით ზოგიერთი რამ შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ რაც შეეხება ავტორის პოზიციას, მის მრწამსს, მის იდეას, აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი ცხადია, გასაგებია, ნათელია.

პროზა, საერთოდ მწერლობა წარმოუდგენელია ღვთაებრივობის იდეის გარეშე. იქ, სადაც ღვთის რწმენა არ იგულისხმება, გამოირიცხება რაიმე ღირებულის შექმნა. დღეს ეს, ცოტა არ იყოს, ძველმოდურად გვეჩვენება, მაგრამ ლიტერატურის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ არცერთი ჭეშმარიტი ნაწარმოები უზენაესის „მონაწილეობის“ გარეშე არ შექმნილა.

ბესიკ კეკელიძის მორალისტური პოზიცია, ერთი შეხედვით, რეტროს ნააგავს, მაგრამ მოდი საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ. ხომ ფაქტია, რომ ასეთი თემების დიდი დეფიციტია თანამედროვე, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლიტერატურაში. ამიტომაც ამ მოთხრობას სხვა მიზანი აქვს — არა ძველთან დაბრუნება, ან მისი გამეორება, არამედ განახლება, გაცოცხლება, ახლიდან დანახვა ძველი, უკვდავი იდეისა.

დაბოლოს, სიუჟეტი! არის მასში რაღაც ისეთი, რაც თავს დიდხანს დაგამახსოვრებს.

ბესიკ კეკელიძე

ღვთის მადლი

ჩემო მკითხველო, არ მახსოვს, ეს ამბავი მოხდა, ხდება თუ მოხდება (ამ შემთხვევაში დროს უმნიშვნელო დატვირთვა აქვს), მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ძილში ვილაც მომიყვავა. დიდი ჭოჭმანის შემდეგ, ცთუნება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გადავწყვიტე, თქვენთვის მომეთხრო:

საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების დერეფანში ბევრი ხალხი ირეოდა. პალატებში მწოლიარეთა ბედის გულშემამტკივრები ჩურჩულით საუბრობდნენ. სკამების სიმციკირის გამო ერთმანეთს ადგილს უთმობდნენ. გაისმოდა თავზიანი ჩურჩული: „დაბრძანდით“, „ნუ წუხდებით“... „არა, გამაღობთ...“ „როგორ გეკადრებათ“, „დაისვენეთ!“ — შემთავაზებელთა ნაწყენი ტონი, ადგილიდან ნამოხტომა და სკამზე ძალით დასმის პროცესი არღვევდა კედელზე წითლად ანთებული მანიშნებლის — „დაიცავით სიჩუმე!“ — მნიშვნელობას. ქალები და კაცები ჯგუფ-ჯგუფად კიბის უჯრედში სიგარეტის მოსანეყად დროდადრო გადიოდნენ. ზოგი საავადმყოფოს ბუფეტში გამომცხვარ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს თავისიანებს ურიგებდა, ზოგიც ვაშლს ახრამუნებდა და, რასაკვირველია, საკუთარ ავადმყოფებზე ერთმანეთს შეწუხებულად სახით ეჩურჩულებოდა. იმით აღარ შეგანყენთ თავს, თუ რა ხმაზე, და თანაც რა ძალიან ხშირად იღვებოდა და იხურებოდა ლიფტის კარები, ზოგიერთი ქალბატონი სკოლიდან ბავშვთან ერთად რომ მოდიოდა და მშვიდი, მაგრამ შეგნებული პატარა მშობელს ჩუმად როგორ ემუდარებოდა: დედიკო, სახლში წავიდეთ, მშიაო; ერთმა გოგონამ, იქნებოდა პირველი ან მეორე კლასელი, სკოლის დავალებამი მიცემული ინგლისური ლექსი იქვე ისწავლა და თავისიანების დაჟინებული თხოვნით, რასაკვირველია, ჩურჩულით, გამოთქმით ჩაარაკრაკა, რითაც ირგვლივ მყოფთა უხმო აპლოდისმენტები და ხმადაბალი ოვაციები დაიმსახურა. თეთრხალათიანი, პირბადე აკრული პერსონალის გამოჩენისას, ყველას ყურადღება მათკენ გადადიოდა და გულისფანცქალით ელოდნენ, თუ რომელ პალატას ესტუმრებოდნენ. ექიმების შესვლა და იმ ავადმყოფის ახლობელთა მიფაჩიუნება კარებთან, ყურის მიდება და დაძაბული იმის მოსმენა, თუ შიგნით რა ხდება, ერთი იყო.

ასეთი სიჩუმე იდგა რეანიმაციული განყოფილების დერეფანში, სადაც თხუთმეტი პალატა იყო განთავსებული

და ამდენივე მძიმე ავადმყოფი სიკვდილს ებრძოდა. ჩვენ სუყველაში არ შევიხედავთ, შორს რომ არ ნავიყვანოს, ამიტომ გადავწყვიტე, მეშვიდეზე შევჩერდეთ.

ეს პალატა სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა, უბრალოდ კარდიოლოგიური რეანიმაციის აპარატურით იყო აღჭურვილი. ავადმყოფს, რომელიც იქ მოეთავსებინათ, ვაჟა ერქვა. იგი ორმოცდაათი წლის, თბილისელი, კოლორიტული მამაკაცი და, რაც მთავარია, დიდი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი გახლდათ.

„გული არ ბერდება“-ს პრინციპს აყოლილი ვაჟა, სამსახურიდან თავისუფალ დროს, ქეიფსა და დროსტარებას ახმარდა, რის გამოც უზომოდ გასუქდა და ჩამრგვალდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ფაქტია, რომ იგი გულის მწვავე შემტვევით რეანიმაციაში მოხვდა.

სწორი უკან, კედელთან ვადასხმის სისტემები ჩამოეკიდებინათ და ორივე ხელის ეკანში სხვადასხვა დანიშნულების სითხეს უსხამდნენ. რეზინის პატარა მილით, რომელიც ნესტოსთან პლასტიკით დაეკრათ, ჟანგბადს აწვდიდნენ.

თავთან მეუღლე ეჯდა. მზია ორმოცს გადაცილებული, მოვლილი, კარგი ცხოვრებისგან განებვირებული, საკმაოდ სიმპათიური ქალბატონი იყო. ვაჟასთვის მეორე მეუღლეს წარმოადგენდა და ქორწინებიდან ორ შვილს, თხუთმეტი წლის ერეკლესა და ცხრა წლის ეკას ზრდიდა. თანამეცხედრეს სახეზე დაღლილობა და საავადმყოფოს სიტუაციური დისკომფორტი დაღვივთ აჩნდა. სამი დღის განმავლობაში, უარყოფითი ემოციადაგროვილი ძირითადად უტყვად იჯდა და შიგადაშიგ ისე ამოიოხრებდა, გული მოგიკვდებოდათ.

დროის გარკვეულ მონაკვეთებში ექთანი შემოდიოდა, ვადასხმის სისტემებს თვალს შეავლებდა, ავადმყოფს წნევას გაუზომავდა, გულის მუშაობის რიტმს ხელსაწყობებზე შეამოწმებდა და იქაურობას ჩუმად ტოვებდა.



ახლა დერეფანში გადავინაცვლებ და პალატის წინ შეკრებილ ვაჟას გულშემატიკივრებს გაგაცნობთ.

კარების მოპირდაპირედ ვაჟას დედა, ლიდა იჯდა. საკმაოდ ასაკოვან ქალბატონს, შვილის მდგომარეობიდან გამომდინარე, სახეზე მიტკლის ფერი ედო. გაცამტვერებელი ადგილზე გახევებულიყო და სანუგეშებლად საყვარელი შვილიშვილი, ეკა კალთაში ჩაესვა. პატარა გოგონა გულზე მიეხუტებინა და ლოყაზე უაზროდ კოცნიდა. მარცხნივ ერეკლე ამოსდგომოდა, ბებიასთვის დიდი კაცივით კისერზე ხელი მოეხვია და ფეხზე დგომისგან გადაღლილი, კედელს მიყრდნობოდა. ერეკლეს მხარს ორი მეგობარი, თენგი და გელა უმშვენებდნენ. მათთან შორიასლოს რამდენიმე მეზობელი და ნათესავი იდგა. ლიდას მარჯვნივ ვაჟას სიდედრი, საკმაოდ გამონკეპილი და კეკლუცი ქალბატონი, დარეჯანი იჯდა, რომელსაც თავისი მეუღლისთვის, ბატონი ვალერისთვის, ხელკავი გაეყარა და თავი მხარზე დაედო.

დერეფნის ერთი ბოლოდან მეორისკენ გაუთავებელ ბოლთას სცემდა ვაჟას მდივანი, ოცდათხუთმეტს გადაცილებული ქალი, რომელსაც ლია ერქვა. კარებთან ავადმყოფის პირველი მოადგილე, ვახტანგი, მთავარი ბუღალტერი ნელი და მძლოლი ჯემალი რაღაცას ჩურჩულით ბჭობდნენ.

უკაცრავად, მკითხველო, რომ თხრობაში ასე უცბად ამდენი პერსონაჟი შემოვიყვანე (გზადაგზა მათ გახსენებაში შეგეშველები), მაგრამ რა მექნა, ეს ხალხი ვაჟას სტაციონარულ თანამგრძობებს წარმოადგენდნენ, ფაქტიურად სულ იქ იმყოფებოდნენ და მათ ჩამონათვალს ხომ არ შევამცირებდი, ან ხომ არ მოგატყუებდით? იძულებული ვარ, კიდევ რამდენიმე ადამიანი გაგაცნოთ, რომლებიც, საბატიო თუ არასაბატიო მიზეზთა გამო, მიმსვლელ-მომსვლელ გულშემატიკივრებს განეკუთვნებოდნენ.

პირველი ეს გახლავთ ბატონი ბეგლარი. იგი ვაჟას უწყებას სამინისტროდან კურიერება და ამავდროულად ავადმყოფის ჯგუფელს წარმოადგენდა. იგი განვლილი მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, საღამოხანს შემოირბენდა, ვაჟას სიდედრ-სიმამრს, დედას და შვილებს წინ ისე ჩაუვლიდა, როგორც პანაშვიდებზე იციან ხოლმე და საქმიანად ვახტანგთან (პირველი მოადგილე) მივიდოდა:

— როგორ არის?

— ეჰ, ისევ ისეა, — ჩურჩულით პასუხობდა ქვეშევრდომი და გულის სიღრმეში კმაყოფილი იყო, რადგან ბატონმა ბეგლარმა უკვე მესამეჯერ შეფის თანადგომისას დააფიქსირა, — ქალბატონ მზიას ხომ არ დაეუძახო? — თვალეში შესცივინებდა უფროსის უფროსს.

— თუ შეუძლია, მოვიდეს! — ბეგლარი ბრძანებით გადაუჩურჩულებდა ნელის (მთავარ ბუღალტერს).

იგი თითისწვერებზე შემდგარი კარებთან მიცუნცულდებოდა, ფრთხილად გამოალებდა, თავს შეჰყოფდა და ავადმყოფის მეუღლეს მოგუდულად ჰკითხავდა:

— ქალბატონო მზია, ბატონი ბეგლარია მოსული და რამე ხომ არ გჭირდება?

— ახლავე გამოვალ, — უპასუხებდა მზია, მეუღლეს ერთს გადახედავდა და ფეხაკრეფით პალატიდან ვაჟას ხელმძღვანელის შესახვედრად გავიდოდა, — გამარჯობათ, ბატონო ბეგლარ.

— როგორ არის?

— ჯერ ისევ მძიმეა.

— დღეს კიდევ ერთ ცნობილ კარდიოლოგს შევეუთანხმდი. ხვალ, თორმეტი საათისთვის მძლოლი დილმის გულის კლინიკაში უნდა იყოს, პროფესორი სანადირაძე მოიყვანოს, ვაჟას გასინჯავს და ვნახოთ, რას იტყვის.

— აუცილებლად, ბატონო ბეგლარ, — ვახტანგმა განკარგულება ბლოკნოტში ჩაინერა.

— დიდი მადლობა, ბატონო ბეგლარ, — მზიამ დამშვიდებულმა ჩაილაპარაკა.

— ნელი!

— დიახ, — ბუღალტერი სმენად იქცა.

— საავადმყოფოს ხარჯს ხომ ფარავთ?

ვახტანგმა ნელის სიტყვა არ ამოაღებინა:

— ყველაფერი გადარიცხულია, ბატონო ბეგლარ.

— კარგი, ნავედი და რამე თუ დაგჭირდათ, დამიკავშირდით, — ყოვლისშემძლესავით ჩაილაპარაკა ბეგლარმა და ლიფტისკენ გააბიჯა.

ასევე არ შემიძლია, არ გამოვყო ვაჟას მეორე მოადგილე ლევანი და ტექნიკური განყოფილების უფროსი კახა, რომელთაც, ამ მძიმე დროს, სამსახურის მთელი საქმეები მხრებზე დაანვათ და ვახტანგთან მობილურით მუდმივი კავშირი ჰქონდათ, შეძლებისდაგვარად საავადმყოფოშიც შემოირბენდნენ ხოლმე.

ვაჟას მეგობრები — მერაბი, რომელიც ძალიან მსუქანი იყო და სანდრო, ისიც საკმაოდ ჩაკუპატებული, საღამოხანს მოდიოდნენ და დილაზე პალატის წინ ისხდნენ.

მათი მოსვლის შემდეგ, დერეფანში ძალდატანების სცენები იმართებოდა. მამაკაცები იქ მყოფთ სახლებში წასვლასა და დასვენებას სთხოვდნენ, ნახევარსაათიანი ვედრებისა და ცივი უარების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ოღონდ ჩურჩულით, მეგობრები სანადელს აღწევდნენ, იქვე გადაწყვეტდნენ, ვინ ვის წაიყვანდა, ლიფტამდე მიაცილებდნენ და პალატის წინ, სკამებზე ხენეშა-ხენეშით განთავსდებოდნენ.

ყველაზე გვიან საავადმყოფოს მზია ტოვებდა. ვაჟას ძმაკაცებთან ცოტას შეეყოვნებოდა, რამდენიმე სიტყვას ჩურჩულით გაცვლიდა და თავისი მანქანით სახლის გზას გაუყვებოდა.

ლამით პალატაში მორიგე ექთანი რჩებოდა.

მერაბი და სანდრო (ვაჟას მეგობრები), დროის მოსაკლავად, ორ-სამ ბოთლ არაყს ჩაცვლიდნენ, რასაკვირველია, ყველა სადღეგრძელო ავადმყოფის ირგვლივ ითქმოდა და დილით, პირველივე გულშემატიკივრის მოსვლისთანავე, იქაურობას ტოვებდნენ.

ეს სურათი, რაც ახლა მოგიყვებით, თითქმის არ იცვლებოდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნათესავს, რომლებმაც ვაჟას ავადმყოფობის შესახებ შემთხვევით შეიტყვეს და საყვედურები, დაბალი ლობის პრინციპით, ერეკლეს (ვაჟას ვაჟს) დააყარეს, ასევე რამდენიმე მეზობელს და კიდევ ვიღაც-ვიღაცებს, რომლებსაც ამ ამბავთან ნაკლები შეხება აქვთ.

პროფესორ სანადირაძის დიაგნოზი გაჭრილი ვაშლივით დაემთხვა ადგილობრივი ექიმების დიაგნოზს, მაგრამ ვაჟას რა, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ბოლოს საცოდავს საუბარიც კი უჭირდა.

ერთ დღეს, როდესაც საღამოს ხუთი საათი სრულდებოდა, ვაჟას გადაღლილი თანამგრძობელები გულის სიღრმეში მერაბისა და სანდროს (ავადმყოფის მეგობრე-

ბის) მოსვლას ელოდნენ, ლიფტის კარის ყოველ გაღებას გულისფანცქალით შეჰყურებდნენ, რათა სახლებში წასულიყვნენ და დაესვენათ, ხოლო მზია მეუღლეს, რომელიც გაურკვეველ სიტყვებს ისროდა, ამღვრეულ თვალებში შეჰყურებდა და ცოტათი დამფრთხალი მზად იყო ექიმის გამოსაძახებელი ლილაკისთვის თითი მიეჭირა.

— ვაჟა, ვაჟიკო! — ავადმყოფს ოდნავ ხმამაღლა, ალბათ იმიტომ, რომ აზრზე მოეყვანა, პერიოდულად შესძახებდა ხოლმე.

მეუღლე ვერაფერს პასუხობდა, სამაგიეროდ, სიყვარულით მისჩერებოდა და უღიმოდა.

— ვაჟა, საბანკო ანგარიში კიდევ სადმე ხომ არ გაქვს გახსნილი?! — ბაგე ყურთან ახლოს მიუტანა და ჩასძახა, შემდეგ გასწორდა და პასუხის მოლოდინში, დაძაბული, ქმარს შეაქცერდა.

— მე... — ქალმა პირველი ორი ბგერა გაიგო, მაგრამ ავადმყოფმა დანარჩენი ისე ჩუმად და გაუგებრად წარმოთქვა, რომ მეუღლის სმენის ორგანომდე ვერ მიაღწია. მან გონი დაკარგა და თავი გვერდით გადაუფარდა.

მზიას კივილიმა შეძრა იქაურობა. პალატაში ექიმებზე ადრე გულშემატკივრები შემოცვივდნენ, ატყდა ერთი ვაი-ვიში. როგორც იქნა თეთრხალათიანებიც გამოჩნდნენ, ყველას შეახსენეს, რომ რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდნენ და სხვა ავადმყოფების პატივისცემისკენ მოუწოდეს, შემდეგ დერეფნისკენ მიუთითეს და როცა მარტონი დარჩნენ, ვაჟას სხეულს შეესივნენ.

პირველი, რაც ვაჟამ იგრძნო, გულის არეში საშინელი ტკივილი იყო, რომელიც თანდათანობით შეებასა და სასიამოვნო გრძნობაში გადაეზარდა. რალაც ძალამ ხელთათმანით ამოატრიალა და ხორცს, რომელშიც მრავალი წელი დაჰყო, ამოეცალა. არნახულ ჰაეროვან-აზრობრივ ღრუბლად ქცეული, სასწაულ გრძნობად სამყაროში მოხვედრილიყო. სივრცე ისეთი გასაოცრად ლურჯი იყო, რომ მსგავსი ფერის არსებობა არასოდეს წარმოედგინა. მიუხედავად საოცარი სიმსუბუქისა და გაუგონარი შვებისა, უცხო მდგომარეობისაგან ცნობიერებაში შიშს ჩაებულებინა. ერთადერთი, რაც ანუგეშებდა, ორღანზე შესრულებული, რომელიღაც კომპოზიტორის დიადი მელოდია იყო, რომლითაც მთელი სამყარო გაჯერებულიყო. თითოეული ბგერა მზის სხივივით ეფოფინებოდა, ათბობდა და ელამუნებოდა.

— „რა მომივიდა?“ — გაიფიქრა შემცბარმა და სანოლზე მისვენებული საკუთარი სხეული ახლალა შენიშნა. გა-

ოგნებული ზემოდან დააცქერდა. შუბლზე ოფლის წვეთები ჭიოტა მარგალიტებივით დაჰყროდა, ტუჩებზე არაფრისმთქმელი ღიმილი შეჰყინვოდა, — „გარდავიცვალე, ეს არის სიკვდილი?“ — აზრმა ელვასავით გაჰკრა. რამდენიმე წამი თეთრხალათიანთა ფაციფუცს დაჰყურებდა, შემდეგ გვამთან დაეშვა და ისეთი სინანულით მიაშტერდა, როგორც წასახლარს. უსასრულო სივრცეში მარტო დარჩენილ შიშმა ლონივრად ჩასჭიდა ხელი, — „რა ვქნა?“ — გაიფიქრა და მშველელის დასაძახებლად მთელი ხმით დაღრიალება მოუნდა.

„დამშვიდდი!“ — ქვეყნიერება ხმამ მოიცვა და მასში დამკვიდრდა.

„რა მომივიდა?“

„დღეს შენი სულის დაბადების დღეა, გილოცავ!“ — სამყაროს, ორღანთან ერთად, სიტყვა ახმოვანებდა. იგი უჩინარი წყაროდან გამოედინებოდა და მასში აკუმულირდებოდა.

„სულის?“ — სევდანარევმა გაიაზრა, — „მე თავი სიზმარში მგონია. თქვენ რა, გარდაცვალებას მილოცავთ?“

„გილოცავ იმას, რომ ჯოჯოხეთში ყოფნა და კარჩაკეტილობა ხორცში, რომელიც ქიმიური ელემენტების ნაკრების მეტი სხვა არა არის რა, დაასრულე. მინიერი ტანჯვის პროცესი შენთვის დამთავრდა, გილოცავ!“

„ახლა სად ვარ?“

„შენს სამშენიველში იმყოფები. ფიზიკურ სამყაროსთან ის გაკავშირებდა, ყველაფერს მისი საშუალებით აღიქვამდი.

მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

ცხრა დღე მასთან ერთად იქნები, ისევ აქ, მინაზე იტრიალებ. შემდეგ სამშენიველი სულეთამდე მივაცილებს, თავად კი სივრცეში განზავდება და არსებობას დაასრულებს. მეორმოცე დღეს იქაურობასაც დატოვებ, ბოლოს იქნება სიტყვა!“ — ხმა შეწყდა და სივრცის სილურჯე ისევ აორღანებული დარჩა.

ვაჟასთვის აღარ არსებობდა აღარც კედელი, აღარც ჭერი და აღარც იატაკი. თავისდაუნებურად დერეფანში აღმოჩნდა. ქალების უმრავლესობა ტიროდა. დედამისს შვილიშვილები ჩაეხუტებინა და სლუკუნებდა. მზია სკამს შეზრდოდა, თავი უკან გადაეგდო და ჩუმად ქვითინებდა. მამაკაცების უმრავლესობა კიბის უჯრედში გასულიყო და სიგარეტს ხარბად ეწეოდა.

„მე თქვენთან ვარ!“ — ვაჟამ დაყვირება სცადა, მაგრამ კრინტიც ვერ დაძრა. სხეულის გარეშე მხოლოდ აზრად იფანტებოდა. მას ვერავინ ამჩნევდა, სამაგიეროდ, თვითონ ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა, მეტსაც გეტყვით, გაოცებული დარჩა, როდესაც სხვების აზრი მისთვის დაფარული აღარ იყო.



ი. ჩიქოვანი

მზიას გონებაში მეუღლის ნათქვამი ბოლო ორი ასო ამოუტივტივდა:

„მე“-ზე რომელი ბანკის სახელი იწყება, იქნებ მეგა ბანკი, ნეტა არსებობს?“ — აზრი მობილურის ზარმა დაუფანტა. ეკრანზე ნომერს დააცქერდა, წამოდგა და თავისიანებისგან მოშორებით დადგა, — ბეგლარ, გისმენ.

— ვახტანგმა (პირველი მოადგილე) დამირეკა, გარდაიცვალა?

— მე მგონი, — ჩასჩურჩულა ქალმა.

— მდაა, ან სულ ჩემი იქნები, ხელს აღარავინ შეგვიშლის, — ბეგლარი გახარებული ესაუბრებოდა.

— გაჩუმდი, რა დროს ეგეთებია! — მზიამ მამაკაცი ჩურჩულით დატუქსა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ვინმე ხომ არ გვისმენსო, — ერთი მითხარი, „მე“-ზე რომელი ბანკის სახელი იწყება?

— რად გინდა?

— ვაჟა ცუდად როცა იყო, შევეკითხე — საბანკო ანგარიში კიდევ სადმე ხომ არ გაქვს გახსნილი-მეთქი...

— მერე? — გაანწყვტინა საყვარელმა.

— მერე ის, რომ მარტო „მე“-ს თქმა მოასწრო, დანარჩენი ვერ გავიგე და გონება დაკარგა.

— ჰოო, — ჩაფიქრდა ბეგლარი, — დაგიზუსტებ, ჩემო სიცოცხლე, არ მოიწყინო, ძალიან მომენატრე, — მამაკაცმა აპარატი გათოშა.

„ერთი ამათ დამიხედე!“ — აღშფოთდა ვაჟა, — „ეს ჩათლახი დედაკაცი და ის არაკაცი რაებს კადრულობენ, თფუ მაგათი, — მზიას განერიდა და კიბის უჯრედში მდგომ ლიასთან (მისი მდივანი) აღმოჩნდა, რომელიც სიგარეტს ეწეოდა და ფიქრში ჩაძირულიყო.

„პატრონის გარეშე დაერჩი. რა მეშველება, ან ჩემს შვილებს ვინლა მიხედავს? ვაჟას ადგილზე ნეტა ვის დანიშნავენ, ვითომ ვახტანგს?“ — ქალმა საფეხურზე ჩამომჯდარ მამაკაცს შეხედა, — „ვახტანგის ჩემდამი ლტოლვას სულ ვგრძნობდი, ეტყობა მოვწონვარ და ეს მომენტი ხელისაღან არ უნდა გავუშვა“, — თვალები ეშმაკურად გაუბრწყინდა.

ის იყო ლია დერეფანში უნდა შებრუნებულიყო, რომ ვახტანგმა დაუძახა:

— ლია!

— დიახ, — ქალი პერსპექტიული უფროსისა და საყვარლისკენ შებრუნდა.

— ნელის (მთავარი ბუღალტერი) და ჯემალს (მძღოლი) დაუძახე, სამსახურში წავიდეთ, თათბირი უნდა ჩავატარო, უამრავი საორგანიზაციო საკითხია გადასანწყვეტი.

— ახლავე, — სირინოზის ხმაზე მიუგო მდივანმა და ნაზად გაუღიმა.

ვაჟას ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა...

როდესაც ჯემალმა მანქანა სამმართველოს წინ გააჩერა, ვახტანგი დინჯი, საქმიანი ნაბიჯით კიბეს აუყვა:

— ნელი, ვაჟას კაბინეტში შევიკრიბოთ, — ბუღალტერს გადაულაპარაკა და ლიასთან ერთად მეორეზე ავიდა. მდივანმა კაბინეტის კარი გაუღო და პირველი მოადგილე შიგნით შეუშვა. ვახტანგმა კარი მიხურა, სანერ მაგიდას მიუახლოვდა. ერთი წამით გაინაბა, ლოყებზე სინითლემ გადაჰკრა, ღმილილ აუთამამდა და ხელისგულები ერთმანეთს გაუსჯ-გამოლუსვა. მუხის ძველებურ სკამს, რომელზეც ვაჟა იჯდა, მიუცუცქდა და პიჯაკის სახელო საზურგეს რამდენჯერმე სათუთად წაუსვა. კარისკენ გაიხედა, დარწმუნდა,

რომ მარტო იყო, დაიხარა და ტუჩებით ისე დაენაფა, თითქოს ლამაზ ქალს კოცნიდა. სკამი მაგიდიდან გამოწია, ნაზად ჩამოჯდა, მუხლები მაგიდაში შეყო და გაინაბა, — მთელი ცხოვრება ამას ველოდი და ბოლოს მეღირსა, დავჯდები ამ სკამზე, აუცილებლად დავჯდები, — მაგიდის ზედაპირს ხელებს უცაცუნებდა და ბედნიერი ბუტბუტებდა. ტელეფონს გადასწვდა, ნომერი აკრიფა, — ბატონო ედიშერ, გამარჯობათ, ვახტანგი ვარ, როგორ ბრძანდებით? ახლახან მმართველი გარდამეცვალა და... მქონდეს თქვენი იმედი? უღრმესი მადლობა, პატივისცემა ჩემზე იყოს. მეუღლეს მოკითხვა, კარგად ბრძანდებოდეთ, — დაკიდა ყურმილი და ლიაკის დაჭყერით მდივანი გამოძახა.

ქალმა კაბინეტში შემოიხედა:

— დიახ, — ოდნავ გაოცებული შეაცქერდა ვახტანგს, რომელიც ყოფილი უფროსისა და საყვარლის სავარძელში მოკალათებულიყო.

— დაურეკე მეორე მოადგილეს, ტექნიკური განყოფილების უფროსს და ბუღალტერს, დროზე ამოვიდნენ! — პირველი ბრძანება გასცა ვახტანგმა.

ლიას არაფერი უპასუხია, კარი მიხურა, სამუშაო მაგიდას მიუჯდა და დავალების შესრულებას შეუდგა. როდესაც ყველასთან დარეკა, სიგარეტს მოუკიდა:

„ისეა ვაჟას სავარძელში გაჯგომული, რომ მმართველად ნაღდად მაგას დანიშნავენ. საქმეს უნდა მივხედო“, — გაიფიქრა, სიგარეტი საფერფლეს დაასრისა, სარკეში ჩაიხედა, თმა შეისწორა, წამოდგა და მმართველის კაბინეტისკენ გაემართა, — ბატონო ვახტანგ, — უჩვეულოდ თავაზიანად მიმართა.

— დიახ, — ოცნებებში წასული მამაკაცი მდივანს მიაჩერდა.

— რამდენიმე წუთში ყველანი აქ იქნებიან, — ქალმა პაუზა ჩამოაგდო, შემდეგ ჩაახველა, — ყავას ხომ არ მიირთმევთ?

— სიამოვნებით, — ვახტანგმა კმაყოფილმა გაუღიმა და მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა.

კაბინეტში შემოსულ სამმართველოს ხელმძღვანელობას ბუღალტერი შემოჰყვა. სახეზე ყველას მწუხარება აღბეჭდვოდა, ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ვახტანგმა თანამშრომლებს გადახედა, ერთი ამოიხრა:

— ალბათ ყველამ გაიგეთ, — უსაზღვროდ ნალვლიანმა წარმოთქვა.

— დიახ, — აქეთ-იქიდან დაუდასტურეს.

— ცხონებული ყველა თანამშრომელს პატრონობდა, ეხმარებოდა, ახლა ჩვენ ვითავოთ და ღირსეულად დავკრძალოთ. ნელი, ანგარიშზე თავისუფალი თანხა რამდენი გვაქვს? — ვახტანგმა სიგარეტს მოუკიდა.

— ბატონო ვახტანგ, რამდენი იქნება საჭირო?

— ალბათ სამი-ოთხი ათასი გვეყოფა.

— ასეთი თანხა ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა და კაბინეტში შემოსულ ლიას შეხედა, რომელსაც ხელში ყავით სავსე ფინჯანი ეკავა, — გმადლობ, — გაუღიმა მდივანს, — „ეშხიანი ქალია“, — ძალაუნებურად გაიფიქრა და ტექნიკური განყოფილების უფროსს მიუბრუნდა, — კახა! — ყავა მოსვა.

— დიახ, — მამაკაცმა სმენა მიაპყრო.

— ხვალ მიხვალ რედაქციებში და გაზუთებში სამგლოვიარო განცხადებებს დააბეჭდინებ.

— მარტო სამმართველოს სახელით?

— მოიცა, მოიცა, ერთი სამინისტროში დავრეკო, — ტელეფონის ყურმილი დაიხელა და ნომერი აკრიფა, — ბატონო ბეგლარ, ვახტანგი ვარ...

— გისმენ, ვახტანგ.

— სამგლოვიარო განცხადება სამინისტროს სახელის-
თაც გამოვაქვეყნო?

— აუცილებლად.

— ბატონო ბეგლარ, სამმართველოს ანგარიშზე თავის-
სუფალი თანხა აქვს და დაკრძალვის ხარჯი სულ ჩვენ რომ
გავილოთ, რამე უხერხულობას ხომ არ შეექმნით? — ვახ-
ტანგი დამწუხრებული საუბრობდა.

— არა, ცხონებული ნამდვილად ღირსი იყო, — დაე-
თანხმა ბეგლარი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ყურმილი დაკიდა ვახ-
ტანგმა, — კახა, ნორმალური ტექსტი შეადგინე და გან-
ცხადებები სამინისტროს სახელისთაც მიეცი.

— დაკრძალვა და პანაშვიდები როდის არის, რომ არ
ვიცი.

— ჰოო, — ვახტანგმა ფინჯანი გამოცალა და წამოდგა,
— მე და ლევანი (მეორე მოადგილე) საავადმყოფოში მი-
ვალთ, სანამ ცხონებულს სახლში გადაასვენებენ, ყველა-
ფერს დავაზუსტებთ და იქიდანვე შეგატყობინებ. ნელი,
კახას განყოფილებაში ბიჭებს დილით ასი ლარი მიეცი, ერ-
თი კარგი გვირგვინი შეუკვეთონ და პანაშვილის დროს
ავიტანოთ.

— დიახ, — ქალმა ცრემლი მოინმინდა.

— ლევან, წავედით!

— ბატონო ვახტანგ, შემკვეთთან მაქვს დასარეკი და
გზაშივე დაგენვით.

— მიდი, დროზე.

— ახლავე, — მამაკაცი კაბინეტიდან სირბილით გავიდა,
თავის სამუშაო ოთახში ნაჩქარევად შევიდა, მობილური ამო-
იღო და ნომერი აკრიფა, — მამიკო, დედას დაუძახე... ნუნუ,
ყურადღებით მომისმინე, მმართველი გარდაიცვალა... რო-
დის და დღეს, მომისმინე! — ლევანმა ტონი გაამკაცრა, —
ბიძაშენი მარტო სუფრაზე რომ იძლევა დაპირებებს, საქმე
ჩააწყოს და მმართველად დამნიშნონ... ახლა მეჩქარება, საქ-
მეს მიხედვ, დანარჩენს სახლში გეტყვი, — ლევანი კაბინეტი-
დან გამოვიდა და კიბეს სირბილით ჩაუყვია.

ვაჟას ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა...

სხეული რომ ჰქონოდა, ყველას ერთს უთავაზებდა და
ფურთხსაც არ დაიშურებდა, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო
სათუთმა გრძნობამ, მათდამი სიბრაღულმა მოიცვა. ეს არ იყო
ისეთი უბრალო შეცოდება, როგორცაა, მაგალითად, ქუჩაში
მათხოვარ ან მანანალა ბავშვს შეიბრა-
ლებ, ან გული რომ მოგიკვდება, როდესაც ნაგვის ურნაში
მოფუსფუსე მოხუცებულს შენიშნავ, ან დილით როცა გა-
იღვიძებ, სიგარეტის ფული არა გაქვს და საკუთარ თავს
უზომოდ შეიცოდებ. არა, ეს არ იყო ასეთი უბრალო სიბრა-
ღული. იმ მომენტში მასში დაბადებულ სიბრაღულს გან-
ზომილება არ გააჩნდა და ვაჟამ, ერთი გააზრებით, სახე-
ლიც კი მოუგონა — „არასოდეს მომნატრებოდით!“

სულდარდიანი საავადმყოფოს დერეფანში დაბრუნდა.
მისი მეგობრები, მერაბი და სანდრო ფანჯარასთან ატუ-
ზულიყვნენ.

„მამაჩემი ვაჟამ დამიკრძალა, ორასკაციანი ქელებიც
გააკეთა, მაგრამ მე მაგის მეათედსაც ვერ გავქაჩავ“, —

ფიქრობდა სანდრო, თან ოროსანი მონაფესავით თავი ჩაე-
ქინდრა, — „ბიძია, ეგ ცხონებული მთელი ცხოვრება სა-
ხელმწიფოს ღლეტდა, მუქთა მაყუთს შოულობდა და გიკ-
ვირს, ორასკაციანი ქელები რომ გამიკეთა?! მე ლექტორი
კაცი ვარ და ვილაც ჩინოვნიკს მატერიალურად როგორ გა-
ვუტოლდები?! არა, არა, ამაზე ფიქრი სისულელეა“, — თავი
ისე გააქნია, როგორც კამეჩმა, ბუზების მოშორებას
რომ ლამობს, ოღონდ მას აზრების განდევნა სწადდა.

— რა იყო? — შეეკითხა მერაბი...

— არაფერი, ვაჟა მეცოდება, — მოიტყუა სანდრომ და
თავი ისევ ჩაჰკიდა.

„თამადად ნალდად მე დამნიშნავენ“, — ფიქრს მიეცა
მერაბი, — „ქელებში ხუთასი-ექვსასი კაცი იქნება. მოად-
გილებად ვინ დავნიშნო? ერთი მზიას საყვარელი, ბეგლა-
რი უნდა იყოს. მეორე?“ — სანდროს გადახედა, — „არა,
ამან ორსაათიანი სადღეგრძელოები იცის, ჩემზე მეტს
ილაპარაკებს, თან მაგისი ლაი-ლაის თავი არავის ექნება.
პრობლემა არ არის, იქ გადავწყვეტ“, — მამაკაცი ფანჯა-
რას მოშორდა, — სანდრიკ, წამოდი, მოვნიოთ, — ორივენი
კიბის უჯრედისკენ გაემართნენ.

ვაჟა დარეჯანთან და ვალერიისთან (სიდედრი და სიმამ-
რი) შეყოვნდა. ქალის მიხატულ-მოხატული სახე ცრემლს
დაესველებინა, დანამულ ღანვებს ცხვირსახოცი თი იშპრა-
ლებდა და მეუღლეს მღელვარედ, ოღონდ ჩურჩულით,
ესაუბრებოდა:

— წყნეთის აგარაკი ერეკლეზე გააფორმა თუ პირველი
ცოლიდან გველისნინილს უტოვებს?!

— არ ვიცი, — ვალერიმ მხრები აიჩეჩა.

„მთელი ცხოვრება ასეთი გამოთაყვანებული იყავი,
არასოდეს არაფერი იცოდი, ეს გოგოც შენ დაგემსავასა,
ამ იდიოტს ცოლად რომ გაჰყვია!“ — დარეჯანი ისეთი წა-
მოჭარხლებული შეჰყურებდა მეუღლეს, იფიქრებდით, მა-
ღალი წნევა აქვსო.

— რას მიყურებ, ადამიანო, არ ვიცი და მოგატყუო, ვი-
ცი-მეთქი! — განინმატდა ვალერი.

— არ იცი და ჯანდაბას ჩვენი სიძის თავი! — ტუჩებზე
ცხვირსახოცაფარებული საუბრობდა დარეჯანი, — „შენც
იმის გზას გადგომიხარ!“ — მეუღლის მისამართით გაი-
ფიქრა.

ვაჟას ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა...

„ჩემი მამიკო, საბრალო მამიკო, როგორ მომენატრე-
ბა“, — დარდში ჩაძირულიყო ეკა.

„რამდენ რამეს მპირდებოდა მამაჩემი, ახლა ვინლა შე-
მისრულებს?“ — ცრემლი მოაწვა ერეკლეს (ვაჟას ვაჟს),
— „ჩემი მამიკო ძალიან მეცოდება, ძალიან დამაკლდება“.

— ვაი, შვილო, ვაი, შვილო, ეს რას მოვესწარი, დედა
მოგიკვდეს, — გულზე მჯიღს მონოტონურად ირტყამდა
ლიდა.

ვაჟა დედამისს მიუცუცქდა, საოცრად სიამოვნებდა
მშობელთან სიახლოვე. მოულოდნელად სამყაროში გაბნე-
ული, აორღანებული მელოდია შეწყდა და ქვეყნიერება
ისევ სიტყვამ მოიცვა:

„ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო,
ნეტა ან ცივი იყო ან ცხელი!“

მაგრამ რაკი ნელთბილი ხარ, არც ცივი და არც ცხელი,
ამიტომ ამოგანთხვე ჩემი პირიდან.

ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და

არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ლატაკი, ბრმა და შიშველი.

მე გირჩევ, იყიდო ჩემგან ცეცხლით განწმენდილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი სამოსელი, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშველის აუგი, და თვალის მალამო, რათა ნაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე.

ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. აბა, ეშურე და მოინანიე*.

ვაჟამ არნახული სიმძიმე იგრძნო, საკუთარ სხეულში ჩაეხეთქა და თვალებიც წყვიტა.

— ვუშველეთ! — შესძახა ოფლში გათქვირულმა კარდიოლოგმა, — ძმაო, გილოცავ! — უღიმოდა ავადმყოფს.

— რას? — ძლივს ამოღერდა ვაჟამ.

— იმქვეყნიდან მოგაბრუნეთ, — აუხსნა ექიმმა და პალატიდან გულშემატკივრების გასახარებლად გაიჭრა.

ზუსტად ამ დროს მერაბი და სანდრო (ვაჟას მეგობრები) დერეფანში დაბრუნდნენ, ლიფტიდან ვახტანგი და ლევანი (ვაჟას მოადგილეები) გამოვიდნენ, მათ ექიმის შეძახილი „გადარჩა, ვუშველეთ!“ — შეეგება.

პალატიდან ექთანმა გამოიხედა:

— ქალბატონო მზია, მეუღლე გეძახით.

— მოვიდვიარ, — წამოიძახა ქალმა და ვაჟასთან შევარდა, — როგორ ხარ, ვაჟიკო, როგორ შეგვაშინე? — სანოლის გვერდით ჩამოუჯდა, შუბლზე ხელი გადაუსვა.

— დიდი ხანი ვიყავი გათიშული?

— საათზე მეტი, თავს როგორ გრძნობ?

— კარგად, — გაიღიმა მამაკაცმა.

— ვაჟიკო, სანამ გონებას დაკარგავდი, ბოლოს რა მითხარი, თუ გახსოვს? — ცნობისმოყვარე მზერით შეაქცქერდა ცოლი ქმარს.

— მე თქვენ მიყვარხართ, — ახლა უკვე გასაგებად ამოიჩურჩულა ვაჟამ.

— ააა, — თავი გააქნია მზიამ.

ვაჟამ ისევ გაიღიმა, იგი ბედნიერი იყო, მაგრამ ამ ცხოვრებაში ბედნიერება არსებობს?

— არა! — იტყვიოთ თქვენ.

მე კი გიპასუხებთ:

— ჩემო მკითხველო, ღვთის მადლი, ანუ ბედნიერება ისაა, რომ ვაჟას, ბოლო წინადადების მეტი: — მე თქვენ მიყვარხართ, აღარაფერი ახსოვდა.

ამ ამბავს, პირობას გაძლევეთ, არავის მოუყვებო, ნურც თქვენ გაირჯებით, ჩვენ შორის დარჩეს.

* იოანე მოციქულის გამოცხადება, თავი მესამე — ვდგავარ კართან და ვრეკ.



შორენა ტყემელაშვილი

ჩავლილი ყვითელი ავტობუსი

ლალიე, აბალიე, ტუქსილა და კოლექტიური არჩევანი

სოფლის „მარშუტკაში“ ვზივარ. ძველი, ხრიგინა, ყვითელი ავტობუსი ამ ლურჯი „მარშუტკით“ შეუცვლიათ. იმ ძველი, ხრიგინა ავტობუსის მძღოლს კბილები საერთოდ აღარ შერჩენია. აღარც ძველი მგზავრები, სოფლის მაცხოვრებლები დადიან ამ ტრანსპორტით, სულ უცხოები არიან. მგზავრობა რაც გააძვირეს, ხალხი სახლში ჩაჯდა. ისე აღარ არის, როგორც ადრე, ანუ ბებიანემის სიცოცხლის ბოლო წლებში რაც იყო.

სამგზავრო „მარშუტკა“ ქუთაისის სადგურის ისევ იმ, მე-9 ბაქანზე დგას, სადაც ადრე ყვითელი, ხრიგინა ავტობუსი დგებოდა, რომელსაც ჰყავდა მძღოლები: ვაჟა და თემური. ამ ორი მძღოლიდან ერთ-ერთმა ერთ ქმარ-შვილიან ქალს სახელი გაუფუჭა. ისე, არ ჩანდა, რომ ის ქალი დიდად დარდობდა თავის რეპუტაციას. თუმცა, ვინ იცის, მოგეხსენებათ, სოფელში რეპუტაცია მთავარი ამბავია.

თავიდანვე შევეცაადე, იქნებ ქალაქისგან განსხვავებული გარემო შევიგრძნო-მეთქი, ნესტოები დავბერე აყვავებული ტყემლის და ატმის ყვავილების სურნელის შესაგრძნობად, ყურთსასმენებიც მოვიხსენი, გავირინდე, ყური მივუგდე ჩემი ნაბიჯების ხმას, მაგრამ არაფერი. საბოლოოდ დავასკვნე: ბებიანემის სიკვდილის შემდეგ ჩემში ეს სოფელი საბოლოოდ მოკვდა. ველარც იმ ყვითელი ნარცისების სილამაზე ვიგრძენი, ეზოში რომ დამხვდა. ღამით კი ზემოთ სახლის ოთახი, ოდესღაც ბებიანემს რომ ეძინა და „ბებიის ოთახს“ ვეძახდით, ისეთი ობოლი და მიტოვებული მეჩვენა, მართლა დავინყე ოცნება: შემძლებოდა ზურგზე მომეკიდებინა ის ოთახი და ასე მევლო, ყველასგან შეუმჩნეველად, სიცოცხლის დასასრულამდე.

ჩემი მოგვარე მეზობლები: ლევანიე, კახაიე, გიგაიე, თამაზიე, ზალოიე, კობაიე, ნიკაიე, ზაზაიე, ზურაბიე, სოსოიე და ელდარიე იმიტომ მუშაობენ, რომ შემდეგ დალიონ. დალევა სოფლური რელაქსაციის აუცილებელი პირობაა. აბა, ისე რანაირად? სხვანაირად არც გამოდის. მოხუცები ისედაც უფრო დაბერებულიები დამხვდნენ, მაგრამ ახალგაზრდებიც დაბერებული მომეჩვენენ. დაბერებული და გალოთებული. ადრე თურქეთში დადიოდნენ, იქიდან კი მიზერული ჯამაგირი და იაფფასიანი თურქული შოკოლადები ჩამოჰქონდათ, მაგრამ ალბათ ხეირიანი ვერაფერი იყო ის „თურქული სამუშაო“, ამა-საც მიაწვდეს თავი და მერე ყველამ ერთბაშად დაიწყო გალოთება.

ამ კაცებს ცოლებიც ჰყავთ, დედებიც და კიდევ გათხოვილი დები (როგორც იქნა გაათხოვეს ეს დები). ცოლები არიან — მზიაიე, ნარგიზიე, ციალიე, ან ციალე, მედიკიე, ნუნუიე და ა.შ. კაცებივით მათაც წითელი პირის სახე, დამჭკნარი, დახორკლილი ხელები და უკბილო პირები აქვთ. ყველა თავის საქმეს მიერეკება და ყველას ოქროები აქვს დაგირავებული ბანკში. კიდევ ყველა აქვს ცოტ-ცოტა ვალი მეზობლის პატარა ჯიხურებში, რომელთა პატრონებმაც იოლად აუღეს ალლო სოფლურ ცხოვრებას და რადგან მიწა წლიურ სარჩოს არ იძლეოდა, პატარა სავაჭრო ჯიხურები გახსნეს.

რაც შეეხება უფრო დიდებს, ისინი ყველანი წავიდნენ ამ ქვეყნიდან. აღარც ბაბუციანა ცოცხალი, აღარც იულია, აღარც ნელიკია, აღარც ნუცია და აღარც ჩემი ბებიანა. კაცები უფრო ადრე წავიდნენ და მათი სახელები მე აღარ მახსოვს.

სოფლის დაუნერვლი კანონია: სოფელს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი გიჟი და ერთი მოძღვარი ამიტომ არც ჩემი სოფელი განსხვავდება სხვა სოფლებისგან. ადრე იყო აბელიე, ყველა აბელიას ეძახდა. აბელიე დიდი მუხასავით კაცი იყო, მაგრამ მაგრად კი უქროდა იმ მუხაში. ჩვენგან მოშორებით ცხოვრობდა. ბებიანჩემი რომ იტყოდა, აბელიე მოდისო, მაშინვე დავფრთხებოდით ბავშვები. ჰოდა, აბელიაც ჩამოივლიდა ჩვენს დაღმართ-აღმართში ბუტბუტით, სიცილით და შეძახილებით. კაი რამე იყო ბავშვობა.

სოფლის თავმყერის ადგილზე, სადაც ქუთაისიდან მოსული ავტობუსი ჩერდებოდა და მთელი სოფელი ამ ერთ, ყვითელ, ხრიგინა ავტობუსს ელოდებოდა, იქ ვნახულობდი ლაღიას. ლაღია გაუთხოვარი ქალი იყო, შუახნის, ჯოხით დადიოდა, იცინოდა ისიც და ბიჭებს ეძმაკაცებოდა. კიდევ იყო ეთერიე. ეთერიე კარგად არ მახსოვს. მახსოვს ის, რომ პატარა ქონხანში ცხოვრობდა, ხოლო როცა მოკვდა, ის ქონხანში ვილაცამ პატარა კოხტა სახლად გადააკეთა, აი მე, რომ ვოცნებობ, მუქვარდებიანზე, იატაკზე დასაგდებ ბალიშებიან, ჩუმ და თბილ სახლზე, ინტერნეტით. ჰოდა, იმ სახლის ეზოში, იმ ვილაცამ ყვითელი ნარცისები დარგო და კარგად მოუარა.

კიდევ არის ტუქსიელი, ისე ბესიკი ჰქვია, მაგრამ სოფელში ხომ ყველამ ცუდი სახელების დარქმევა იცის, სახელებს ამახინჯებენ და ამით ერთობიან. ამ დილით მიხინარეს დამადგა თავზე და ხახვი მომიტანა, ძილბურანიდან რომ გამოვერკვიე, ვუთხარი, მანდ დადე-მეთქი. კარგად არ მესმოდა მისი ბუტბუტი. გულმინაც შემაშინა სასაფლაოზე. ბებიანჩემის და ბიძანჩემის საფლავის ნახვის შემდეგ ერთ რკინის მაგიდაზე წამოვწეკი და გატრუნული ვინეკი, რაღაც ხმაური შემომესმა. თავზე ტუქსიელა მადგა, ილანძლებოდა, ვილაცას ავინებდა. ალბათ კობაიას, თავის ძმას. მოკლედ ძან გავბრაზდი, რომ მყუდროება დამირღვია, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, მაინც შემეშინდა. ტუქსიელა სიგარეტებს იპარავს, თუ სადმე კარი ღია დაიგულა, შეიპარება და ისე აიღებს, სულაც არ დაფიქრდება. ამიტომ თითქმის ყველას ჭიშკარზე ბოქლომი უდევს.

მეორე დღეს, შუადღეზე, ისევ ლურჯი „მარშუტკით“ გამოვქანდი ქუთაისში. „მარშუტკის“ მოსვლას ბავშვები ელოდებოდნენ, დანითლებული ლოყებით და ტალახიანი შარვლებით. პატარა ჯიხურის გამყიდველ კაცს ლიმონათს ეხვეწებოდნენ: მოგვეცი ნისიადო და მეათასედ დავასკვენი, რომ სოფლის ბავშვები გიჟდებიან ამ ფერად შხამებზე. ეს არის მათთვის ჰეფი მილი, კარტოფილის ფრი და ბიგმაკი...

გაზაფხული მალე უფრო კარგად დადგება. მეზობლის კაცები ისევ ნადმი ჩადგებიან და ერთმანეთს მიეხმარებიან სამუშაოებზე. არჩევნების დროც მოდის და ისინი, რომელთათვისაც არცერთი არჩევნები წესით მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, იქნება ის ადგილობრივი, საპარლამენტო, თუ საპრეზიდენტო, მაინც გამოეწყობიან, საგარეო ტანსაცმელს ჩაიცვამენ, ერთმანეთს დაელოდებიან, დაირაზმებიან და ასე კოლექტიურად აირჩევენ იმათ, ვის ასარჩევადაც დიდი ფიქრი არ უწევთ. თუმცა წინასწარ იციან, რომ ამ არჩევანით მათთვის სასიკეთოდ მაინც არაფერი შეიცვლება.

ის მოხუცები კი, რომლებმაც იოლად იციან ახალგაზრდა პოლიტიკური ლიდერის, შემდეგ კი სახელმწიფოს მეთაურის შეყვარება და გაფანატება, თითქმის ყველა გამოეცალა ამ ქვეყანას. მათ შორის ბებიანჩემიც. მოკლედ, გაზაფხულია.

მე, ბაბიანჩემი და როინია

ბებიანჩემს რძის და ბალახის სუნი ჰქონდა ხელებზე, კიდევ კვამლის, ბუხარში აცხობდა ჭადებს. არადა ისეთი საშინელი ბუხარი იყო, სულ კვამლი გამოდიოდა და ჩემთანაც აღწევდა, ზემოთა თთახი კვამლით იბურებოდა, წიგნს რომ ვკითხულობდი. ბებიანჩემი კი მაინც აცხობდა ჭადებს. გიჟდებოდა ჩემზე და მეც ვგიჟდებოდი მასზე. ერთად ვსვამდით მის დაყენებულ შავ ღვინოს, ზვიგენის სისხლით ამბობდა. ჩვენს ოჯახში სამი ღვინო იყო, ბებიანჩემის, მამანჩემის და ბიძანჩემის. მოკლედ ყურძნის ფოთლის გემოც ჰქონდა ხელზე. ისეთი დიდი ხელები ჰქონდა, ყველაფრის სუნს იტევდა. სულ ვისხენებამას, ბოსტანში იყო და ყავა ჩავუტანე, ჩემი ჭკუით ვასიამოვინე, არადა ისე აუჩქარდა გული. მახსოვს, გული რომ უჩქარდებოდა. ნეტა ახლაც აუჩქარდეს და ისევ ისეთი სირბილით გაეიქცევი მეორე სოფელში ექიმთან და წნევის დასაგდებ ნამლებს გამოვართმევ. ისევ გამოვიქცევი და აღმართებს შემოვასკდები, ნეტა ცოცხალი დამხვდეს-მეთქი. კიდევ კარგი, მაშინ ცოცხალი დამხვდა. ისევ იმ მწვანე, ყვავილებიანი პერანგით იწვა. პერანგებს ყიდულობდა და ინახავდა — რა იცი, როდის გავხდები ცუდად, ექიმი რომ მოვა ძველი ხომ არ მეცემევაო. უუუუფ, დამეგლიჯა მუცელში ნაწლავები. ბებიანჩემის დილაა, რახან სხვაზე ვერ ვწერ, ბებიანჩემზე დავწერ, მეტი უკეთესი ვინ მყავდა.

ფოსტალიონს ერქვა როინი, ყველა, მათ შორის ბებიანჩემიც როინიას ეძახდა. „აი როინია რომ მოვა, ბაბარში წავალ... აი, როინია მოვიდეს და ფულს მოგცემ... როინია მომიტანს და გადმოგიტან შუქის ფულს...“. მოკლედ როინიას ელოდებოდა ბებიანჩემი, ინკასატორი, მე, ჩემი ბიძანჩემები და კიდევ უამრავი ხალხი. არადა, როინია სულ რაღაც 17 ლარი მოჰქონდა. ახლა აღარ ვიცი, რამდენი აქეთ პენსია მოხუცებს ჩემს სოფელში და ვის მოაქვს ეს პენსია. არც ის ვიცი, როინია რას აკეთებს, ისევ ფოსტალიონად მუშაობს და პენსიებს არიგებს, თუ რაიმე საქმე გამოძებნა. იქ ისეთი ხალხია, უსაქმოდ ვერ ჩერდებიან, უეჭველი საქმეს გამოძებნიდა. შეიძლება ახლა ამ წუთას თავის მსუქან ცოლთან ერთად სძინავს. არა, არა, ძან გვიანია. სოფლისთვის უჩვეულოა ასეთ დროს აუდგომლობა, ბებიანჩემი მზეს ასწრებდა.

გამახსენდა, ბებიანჩემის აშენებული სახლის ეზოს წინ, სკამზე რომ ჩამოვსხდებოდით მე, ბებიანჩემი, როინია და ბებიანჩემი რომ იკითხავდა — ვითომ მოგვიმატებენ პენსიას, როინია? აბა, რა იცოდა როინიამ პენსიის ამბავი?!

არ გადაუხვიო!

ცოცხი მალა არ ააყუდო, ჩხუბი იცის! მაგიდაზე არ დაჯდე, ავადმყოფობა იცის! კარი არ გაიჯახუნო, თუ გაიჯახუნებ, მობრუნდი და ბოდიში მოუხადე! კარაპინაზე (ზღურბლზე) არ დაჯდე, სიღარიბე იცის! მარცხენა ხელის

გული მოგეფხანა? ფული იცის! მარჯვენა მოგეფხანა? ფულს გასცემ! ცხვირი მოგეფხანა? მოსასწრაფია! ჩიტი ჭიკჭიკებს ფანჯარასთან? ახალ ამბავს მოიტანს!

შენს პირს შაქარი, ჩიტო, შენს პირს შაქარი...

ჩიტები დაბლა დაფრინავენ? გაავდრდება!

მარჯვენა თვალი გითამაშებს? არ თქვა, უბედურება იცის!

ნარბი გეფხანება? — დასტურია.

ლამით ძაღლები ყმუიან? სიკვდილს გაიგებ...

ორშაბათს თავი არ დაიბანო! ორშაბათს თმები არ გაიშალო! ორშაბათს ფრჩხილები არ დაიჭრა!

ცულდი სიზმარი გესიზმრა? უბრად გადი ეზოში, თავზე შემოივლე ეს სიზმარი და წყალს გაატანე!

შეგეშინდა? წყლიანი ჭიქიდან სამჯერ მოსვი.

დაბანვის დროს ფეხები ერთმანეთს არ გაუსვა, დედა მოგიკვდება.

საპონი დადე, ხელში არ მომანოდო, შეგძულდება!

მარილი ხელში არ მიანოდო, ჩხუბი გექნება,

პილპილი ხელში არ მიანოდო, სანყენი შეგხვდება,

მიცვალეულს სახეზე არ შეხედო, დაგესიზმრება!

მურაბის ხარშვის დროს ის თუ გაქვს, ქვაბში არ ჩაიხედო, ქილები ავარდება!

ნახევარმთვარეზე არ დახუფო, მოხუფულ ქილებს „აგიგდება“.

ნითურთმიანს, რომ დაინახავ, უცებ ხელი იქ მოიკიდე.

ნანულიას, რომ დაინახავ, უცებ ხელი იქ მოიკიდე.

უზმოზე არასდროს გავხიდე, თვალი არ გექცეს!

სადილს, როცა აკეთებ, თავსაფარი წაიკარი!

სახლში ქოლგა არ გაშალო, შენი ქორწილის დღეს წვიმა იქნება!

ქათმის კუჭი არ შეჭამო, ქორწილის დღეს სახე გაგიშავდება!

კიბის მესამე საფეხურიდან არ გადახტე, დედათა წესი შეგიწყდება.

გაჭყლეტილი ბაყაყი ნახო? განვიმდება.

ქათმები ნაადრევად დაიბუდნენ? ამინდი შეიცვლება.

შეგეშინდა? სამჯერ გადააფურთხე და სამჯერ თქვი:

ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!

გაცხელებულზე უცებ არ გაიხადო- დაგგრილავს!

გახურებულზე ცივი წყალი უცებ არ დალიო... ცოტა შეისვენე.

კატამ გადაგიგრიბინა? სხვა გზით წადი!

ახლა რომელი გზით წავიდე, ბებო?

ფანელის პერანგი

სავარაუდოდ, ღმერთი ყოველ ღამე მოდიოდა ბებიას ოთახში, რადგან ყოველ ღამით მიწვედა თეთრი, გრძელი, ფლანელის პერანგის ჩაცმა, რომელსაც ბებო ფანელის პერანგს ეძახდა.

„რა იცი, როდის ჩამეივლის იესო ქრისტე, შიშველი არ დახვდე, ჩაიცვი ეს პერანგი“, — მეტყოდა.

მაშინ ბებო მორწმუნე არ მეგონა, რადგან არ ლოცულობდა. ლოცულობდა, მაგრამ მხოლოდ საღამოს, მწვანე ყვავილებიანი პერანგით, საიდანაც მისი დიდი ძუძუები ილანდებოდა. იდგა დალილი, წვრილი ფეხებით, ორივე ხელს ჰაერში აპყრობდა და ამბობდა: ღმერთო, შენ გაგვი-

თენი მშვიდობიანი დღე, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს არაფერი გაუჭირვო, შენ დაიფარე ესენი, შენს სახელს და შენს გამჩენს ვენაცვალეო. მერე კი დაიძინება.

მეც ვიძინებდი, მისი ქმრის, ანუ ბაბუაჩემის სანოლზე, რომელიც მოშორებით იდგა, მგონი ასე ცალ-ცალკე იდგა ეს სანოლები მთელი ცხოვრება და ეს სულ მიკვირდა... „ფანელის პერანგში“ გამოხვეული, დილით ფეხებს ძლივს ვაძვრენდი, ისე მქონდა შემოხვეული ტანზე. ასე რაფერ მოანრიახეო? — მკითხავდა ბებიჩემი, ზუსტად ამის გამო არ მიყვარდა ის პერანგი.

„ფანელის პერანგში“ გამოხვეული, მე ვიყავი ბებიას ძილის დარაჯი. მის სუნთქვას ვდარაჯობდი, მის სანოლს შეეყურებდი, როგორ სუნთქავდა მისი დიდი მუცელი... არც მიკვირს, ასეთი ფხიზელი ძილი რომ გამომყვა ბავშვობიდან.

ვდარაჯობდი მის სუნთქვას, მესმოდა, როგორ დანკაპუნობდნენ გარეთ ძაღლები, მეორე სართულზე, ბიძაჩემს, ბიცოლაჩემს და ჩემს ბიძაშვილებს წყნარად ეძინათ, მესმოდა, ხარაბაძეების უბანში როგორ იხრჩობოდა ასთმური ხველებით ვიღაც, ალბათ ჩვენი ნათესავი, მგონი მამაჩემის ნათლია უნდა ყოფილიყო.

ჩვენი სახლი განსაკუთრებული მეგონა.

ბებიას ეძინა, ნახევრად მეც წავთვლემდი ხოლმე, დილისკენ ერთს გავხედავდი, როცა გარეთ შარდისთვის გადიოდა, ამის შემდეგ უკვე იმედმომცემული ვიძინებდი, რადგან ვიცოდი, გათენება და მზის სხივები მისი სიცოცხლის გაგრძელებას ადასტურებდა. ბებიას არაფერი სჭირდა, უბრალოდ მეშინოდა, არაფერი დამართნოდა.

ასე ვიყავით, როცა ერთ ოთახში გვეძინა, ან მასთან, ან ჩემს სახლში, რომელიც მან აგვიშენა, ყველას ჩვენ-ჩვენი ყურე რომ გვექონოდა...

ამიტომაც მეძინა შუადღემდე, ბებია ამას ქალაქელობას აბრალებდა და სულ მაქეზებდა, ისე ადრე უნდა ადგე, მზეს დაასწრო გაღვიძებაო...

ახლა აღარც „ფანელის პერანგი“ მაქვს, ბებიაც აღარ არის ცოცხალი. ამ ამბების შემდეგ, პერანგი აღარც ჩამიცვამს, ამის გამო მიჭირს ღამით ლოცვა, არადა, მრცხვენია, უცებ არ დამადგეს ღმერთი თავზე და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდე საკუთარი სიშვილით.

ბაბუაშვილები

იმ ადგილზე, რომელზეც ვწერ, ამ გვარისა, წესით არავინ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ასეთს არავის ვიცნობ. წესიერად რომ აგისხნათ, ბაბუაშვილები, იცით სადაა? ერთი სახლიდან ვინმე დედაკაცმა რომ გადასძახოს: თაზიკოო, უუუუუუუუ და მერე იქიდან, რომ უპასუხონ, რა არის ნარგინა, რაო? რა ამბავიაო? ხო, მშვიდობააო? მოკლედ, არც ისე შორსაა. შორს კი არა, ძან ახლოსაა, მაგრამ მაინც განაყოფად ითვლებიან და ძირითადად ჩემი მეგვარეები ცხოვრობენ. ბაბუაშვილებში რომ გადახვიდე, ორი გზა უნდა აირჩიო, ერთი ჩემი ეზოს თავზეა, ხშირად ტალახიანი, მხოლოდ გვალვაში თუ ხმება მზისგან, ან კიდევ ლევანის ეზოზე უნდა გადახვიდე, ეს კი გზას აგრძელებს. ბაბუაშვილებში ცხოვრობდნენ რაუკო და ნელიკო, ჩვენზე მეტი თხილი ერგოთ და ქალები ხშირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს თხილის კრეფაში და დარჩევაში.



მხატვარი მარიკა იამანიძე

ბაბუაშვილებში ფუჩქი და მისი ქმარიც ცხოვრობს. ფუჩქის დიდხანს არ ჰყავდა შვილი, გადიოდა წლები... მერე უცებ, ერთი, ორი, სამი, ოთხი... გაჩნდნენ და დაინყეს აღდგომას წითელი კვერცხების მოგროვება. ასე იქცევიან ბავშვები სოფელში აღდგომა დღეს და იმედია არასოდეს გადაეჩვევიან.

ბაბუაშვილებიდან სულ ისმოდა ახალგაზრდების სიცილი, ხმაური, მუსიკის ხმა, მთელი ღამე ერთობოდნენ, ბებიჩემი იტყოდა მთელი ღამე ტკარცალებნო. მოკლედ, თუ სოფლის მყუდროებას რაიმე გვირღვევდა, ეს ყველაფერი თამამად შეგვეძლო ბაბუაშვილებისთვის დაგვებრალებინა.

ბაბუაშვილები მუდმივად ხმაურობდნენ.

მათთან გადასასვლელად ჩვენ, მე და ჩემი ბიძაშვილები, მაინც მოკლე გზას ვირჩევდით და რევაზისა და ნისქვილიში გადავდიოდით სიმინდის დასაფქვავად. რევაზის ნისქვილიც ჰქონდა, ყანებსაც ხნავდა და ტრაქტორსაც ჰარლი დევიდსონით მართავდა. შუქის მოსაკრებელსაც აგროვებდა, აფეთქებულ ტრანსფორმატორსაც შველოდა და დათოია, ავთოია და პიპინია ჰყავდა კიდევ.

სიმინდის დაფქვის მოლოდინში ნაზიკო ბებო გვართობდა თავისი უხამსი და კოლორიტული ხუმრობებით, მერე პიპინიაზე იტყოდა, რომ გაიზრდება პრეზიდენტი უნდა გამოვიდესო. ჩვენ ყველას გვჯეროდა, რომ პიპინია პრეზიდენტი გახდებოდა. ბებია ჰკითხავდა ხოლმე ნაზიკოს, სად გყავს პრეზიდენტი შვილიშვილიო.

ისე, არაა გამორიცხული, ერთ დღეს პიპინია, მართლაც გახდეს პრეზიდენტი. გაიხარებს ნაზიკო.

ქიშო

არ ვიცი, ვინ როგორ და საიდან მოიტანა, მაგრამ ერთხელ რომ დაარქვეს, იმის შემდეგ სულ ქიშოს ეძახდნენ. გელა ერქვა ბიძაჩემს, ბებიჩემი ხან გელასის ეძახდა, ხან გელუნას. ქუთაისელი თანამშრომლები და უცხოები თამაზის ეძახდნენ, ხან ვანსკის. ცხოვრებაც ასეთი მრავალფეროვანი ჰქონდა თავისი სახელივით, ყვითელი ავტობუსიდან, სოფლის აღმართამდე, ნადირობამდე, ხვნამდე და

თესვამდე, გუთნამდე, კავამდე, ნადამდე, ქალაქამდე, თავის სამსახურამდე ...ქალაქში, ბჟოლებთან, საპარიკმახეროში სოფლის იუმორი ჩაჰქონდა, თმის გასაკრეჭად დამჯდარ კლიენტს ფეხსაცმელს უცვლიდა და მერე ის საწყალი დიდხანს წვალობდა, რომ როგორმე ცალი ფეხსაცმელი ჩაეტია, გვიან ხვდებოდნენ პარიკმახერის ხუმრობებს. ბჟოლებში, კი არა, მთელ ქალაქში ყველამ იცოდა? ანსკი.

„პოლბოქს“ და „ნანეტს“ ჭრიდა, გოგოებსაც მიგვაყოლებდა ხოლმე. „გამონანეტებული დავლიოდით მე და ჩემი ბიძაშვილები, ბიჭებს ვგავდით, ბებიჩემის გარდა, წესით არავის უნდა მოვწონებოდით. ბებიჩემს მოსწონდა მოკლედ შეკრეჭილი თმები, მეუბნებოდა — სახე გიჩანს ასე, აბა გრძელ თმებში და დედაბერივით შეკუმტუმებულში ავადმყოფივით ჩანხარო... „შეკუმტუმებულს“ ისეთ ვარცხნილობას ეძახდა, თმას მსუბუქად რომ გავიკრავდი უკან და წინ თმები მქონდა ჩამოყრილი. ვერ იტანდა ამას, ყავისვამდა სათითაოდ წინ და ნანწავებს გვიკეთებდა, დაგვიჩაფსკენაზე ტურებით უწრუპუნებდა, რომ თვალი არ გვცემოდა, მერე ნემსით და ძაფით კარგად დავგიკრავდა ამ ნანწავებს და უკვე ისეთი შესახედი ვიყავით, მხოლოდ მოხუცებს რომ მოვენწონებოდით. ხო, ისიც არ გამომჩრქეს, ჩვენი ნანწავების დანახვისას ასოციაციები აეშლებოდა: „სათოხარში მივდივართ ერთხელ მე და ჩემი დაი — თინიკონე, ნანწავები გვცემს წვივებზე, კაცმა გამეიარა ერთმა, ახალგაზრდამ და — რაფერი ღამაში გოგუები ხართო, ევილეთ ეს თოხები და ვჭორგეთ თავში. აშკარად ამეტებდა ბებია, თუმცა, რატომ, მისთვის რომ ეთქვათ, რა სექსუალურად გამოიყურებითო, თავს გაუროფავდა ამის მთქმელს.

ჩემი ბავშვობა ბებიას ხელით დაკერილი ნანწავებით, ან ბიძაჩემის მიერ მოკლედ შეკრეჭილი თმით გავატარე. მათი დამსახურება იყო, რომ ვერაფრით ვხდებოდი პრინცესა. სად გაგონილა დაკერილნანწავებიანი, ან ბიჭურად შეკრეჭილთმებიანი პრინცესა?

მარტო ბიძაჩემი თუ მოიფიქრებდა კბილის ამოღების უნიკალურ წესს. კბილზე ძაფს გამოგვაბამდა და ოთახში შედიოდა. მერე, იქიდან უცებ წკაპ და ასე ვიშორებდით, პატარა კბილებს, რომლებიც უკვე არაფერში აღარ იყო საჭირო.

„პერსიელები“

დღესასწაულებისთვის მზადებისას ისეთივე მნიშვნელოვანი იყო გარე საქმეც, როგორც სახლის. ეზოს დალაგების და გალამაზების საქმეში უნდა ვაღიარო, ბიძაშვილები მჯობნიდნენ, მაგრამ მაინც თავს ვიმართლებდი და არასდროს ვამბობდი, იმათ უფრო კარგი ეზო აქვთ-მეთქი. ის ეზო ბებიჩემის იყო... უფრო ფართო იყო, უფრო ვაკე და უკეთესი მდებარეობაც ჰქონდა ჩემს ეზოსთან შედარებით. ჩვენი სახლი საბოლოოდ დამთავრებული არ იყო და სახლის წინ ხშირად ეყარა ხან სილა, ხან ცემენტი... ბებიაც ამბობდა: კაპიკს კაპიკზე ვადებდი და ახლა ცემენტი გავაბარეო, ახლა ქვიშაო, ახლა სილაო... ასე აგვიშენა ჩვენი ყურე...

აღდგომისთვის ეზოს დალაგებას ისე ვცდილობდით, რომ ბებიას არ ეთქვა: რას ჰგაფხართ, რა „პერსიელებივით“ დაგიყრიათ ყველაფერიო. პერსიელები არ ვიცი, ვინ იყვნენ, არც მათი ვინაობით დავინტერესებულვარ. უბრალოდ, ვგრძნობდი, როგორი ტიპები იყვნენ. აი, მაგალითად, ეზოში ყავას თუ დალევდნენ, ფინჯანს იქვე მიატოვებდნენ, იქვე დატოვებდნენ გობს, ვედროს, ფეხსაცმელებს, ჩუსტებს, სანვიმარ ბოტებს და ა.შ. ასეთი ტიპები, თუ სადმე შეგხვდათ, იცოდეთ, რომ ისინი „პერსიელები“ არიან.

ჩვენც მუდმივად გვახსოვდა ბებიას მკაცრი სიტყვა, რომ არ უნდა დაემგვანებოდით „პერსიელებს“ და ეზო ისე უნდა დაგველაგებინა, როგორც გასათხოვარ გოგოებს ეკადრებოდა. იატაკი ისე უნდა მოგვეწმინდა, რომ შინ შემობრუნებულს თითი ენაზე დაესველებინა, იატაკზე დაედო და იქიდან მტვერი არ აჰყოლოდა. მაშინ ვფიქრობდი, რომ რთული დავალება იყო, ახლა კი ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც მასწავლიდა.

სოფელში დედა ვაშლის უგემრიელეს ნამცხვარს გვატანდა, იცოდა, ბებიას უყვარდა, გვატანდა კაბებს ბებიასთვის და სხვა საჭირო ნივთებს. ბებია თავს იწონებდა რძლის გამოგზავნილი ნივთებით: აი, ეს კაბა ცირამ გამომიგზავნაო, — ეუბნებოდა მეზობელ ქალებს.

სანამ ცოტათი დიდები არ გავხდით, სააღდგომოდ წითელ ტანსაცმელს ყიდულობდნენ ჩვენთვის, თვითონაც, რალაც წითელი გამოგვეძებნა და აღდგომის დილას საჭმელებით, ღვინით და ყვითელი ნარცისებით დატვირთულნი მივეშურებოდით იმ ადგილისკენ, რომელიც მთელი სოფლისთვის წმინდა ადგილიც იყო სასაფლაოს სახით და თავშესაქცევიც, რადგან იქვე სტადიონიც იყო. ბიძაჩემი თავის ცოლს ეხუმრებოდა, აქ შენ როგორ დაგმარხავ, სტადიონი გაფუჭდებაო... არ ემეტებოდათ სტადიონი ახალი სასაფლაოებისთვის. ან რა იქნება, არ ვიცი.

15 მარტი

მოისვენა სანყალმაო, — იტყოდა ბებია გარდაცვლილზე.

მაგან მოკლა მამაჩემიო, — იტყოდა მამაჩემი ბებიჩემზე.

გულმა ველარ გაუძლოო, — ვამბობთ ჩვენ ბებიჩემზე.

ვერაფრით ვისწავლე გარდაცვალების თარიღების დამახსოვრება. იუბილეები უფრო კარგად მახსენდება. ამიტომ როცა ვინმე მკითხავს, როდის მოკვდა ბებიაშენიო, ვუპასუხებ, გუშამ-მეთქი და ამით სიზუსტეს არაფერი დააკლდება.



აჰა, დამთავრდა, შენ კი ელოდი, რომ სამარემდე მივაცილებდა... გადათელილი შენი მდელიდან გადინაცვლა სხვა ყმაწვილებთან აჰა, დასრულდა, შენ კი გეგონა, რომ მარადისი იყო ყოველი... ნულარ დაეძებ ერთგულ მეგობარს, ნურც ერთგულებას ნულარ მოელი ესეც მწუხარე ბედნიერება — ტკილ ოცნებების სიზმრებს ნაჩვევი... მადლობა ღმერთო, თუ სიმღერებად, მიჯნურთა გულში მაინც დავრჩები...

ვაჟა ოთარაშვილი

დედა იოსოსი

არ მიგატოვებს არასდროს დედა, არც ჯვარცმულსა და მარტოდარჩენილს... მონაფეები სამალავს სხედან და ჟამი უდგათ შიშთა განრჩევის... მაგდალენელი, (სხვანიც), მარიამ, ზებედეს ძეთა დედა — სალომე, გოლგოთას მთაზე ჩემთან არიან და უმადურთა კევრქვეშ წვალობენ... მადლობა ღმერთო, შენ დამაბედე, რომ ქრისტეს გულში ჩემი სისხლია... შეგვაძლებინე შვილსა და დედას — წმინდა წერილით რაც ავიხსნია... ჩემი თვალები გამოგყავა, შვილო, ტკივილდამთმენი უფლის მადლითა... შურმა და ღვარძლმა, ო, ღმერთო ჩემო, მაცხოვრის დედის გულიც დაფლითა... მშობელს დასცქერდა ქრისტე — ნაგვემი, კურცხალი მოსწყდა კვლავ ჯვარსა ზედა... გაფითრებულნი თრთოდნენ ბაგენი: „შენ გენაცვალოს, იესოვ, დედა!“ მხოლოდ ქალები იდგნენ გულადად და იოანე მახლობლად იქვე...

..... აღდგომის დილას ცრემლი ბურავდა ერთი ცოფილი პოეტის ფიქრებს...

უსახელო უფლისციხელის გოდება

აღარც მტერი მყავს, აღარც მოკეთე, არც დარდი მკლავს და აღარც ოცნება... მე ავსულებმა ენა მომკვეთეს, მაგრამ მაცხოვრის მიხსნეს ლოცვებმა... დამუნჯებული ვუმზერ გალავანს, ნარსული დარჩა ცრემლის ოდენა... თითქოს ვიყავ და თითქოს არა ვარ, გაუსაძლისი გახდა ლოდინიც... ო, ივერიავ, ლადოს ფილტვებით და მიკარგულში მირზას საფლაოვით, მარიამობას ისევ ირთვები — დაჩოქილი და დაუდაფნავი...

აკიბაზია

მამაო ჩვენო
სიმართლის მჩენო,
წმინდაო სულო,
სანწყისო სრულო,
ზესთა ზეცაო,
მინავე და წყალო,
ვსცოდე მეცაო
და შემინყალე...

ქართლურ მოტივზე

ვინმეს უნდა ნეტა კია,
ჩემი ლექსი, ანდა წიგნი...
ვარსკვლავების ვხედავ კიაფს —
მოღრუბული ზეცის შიგნით...
ღმერთო, იქით ამიყვანე,
ამაცილე ნისლის კიდეს...
დედაჩემის თმების ყანას
თავთავივით ჩამომკიდე...

ტოკიო ტოკავს

ტოკიო ტოკავს
ცუნამით და მიწის ბიძგებით...
ტკივილი ლოკავს
წარღვნისაგან აღვიღ ნაპირებს...
რადიაცია მომატებას ისევ აპირებს...
მიწისძვრისაგან დაბზარულან ცათამბრჯენები...
სად მზე ამოდის იქ დაიწყო აპოკალიფსი...
გადაჭრილია დედამიწის მწვანე ვენები
და ჩაინავლა აქ სიცოცხლის უკვე ხალისი...
ხიროსიმას და ნაგასაკის ბებერ ჭრილობებს,
დღეს დაემატა ფუჟუსიმას გულის გასკდომა...
არავითარი დანდობა არ იცის ატომმა...
.....
აქ საქართველოს მშვიდად სძინავს მონად აღკვეცილს...
ცუნამზე მძიმე ყელში უჭერს რუსის საცეცი...
ტოკავს ტოკიო...
ბოიკოტი ყველა მთავრობას,
მხოლოდ როყიო
განცხადებით იჩენს ჯავრობას...

„გрузия без грузин“

შოვინისტური რუსული რეპლიკა

საქართველო ყველასია
ქართველების გარდა...
ესეც შენი ევრაზია —
ახდილია ფარდა...
ახდილია ნამუსი და
ახდილია თავი...
და ჰა! მოსჩანს ნამუსრევი,

კავკასიის თვალი...
ყველამ უნდა იჯირითოს,
ჩვენი სისხლით გაძღეს...
დაგვახლოს ტყვია მიჯრით
და შეექცეს ამ ძღვენს...
ვაი, ჩემო იმერეთო,
ვაი, ჩემო ქართლო!
მოგვეშველე ისევ ღმერთო,
მეტი რომ არ დავთმოთ!
შემოჯარულ ქაჯთა სია
უჯიშო ჯოგს გავდა...
საქართველო ყველასია —
ქართველების გარდა...

წერილი მებოგარს წვიმის წინ

შენს გარდა თითქმის არავინ შემრჩა
და ველარავის ველარ ვენდობი...
მოიღრუბლება და წვიმის ლეჩაქს
ჩამოიკეცავს სხვილოს ფერდობი...
ვიცი, ჩემსავით შენც ველარ იტან —
ხალხის ხორხოცს და ნიღბების გროვას...
ო, წუთით ერთად რომ ვიყოთ ნეტა,
კვლავ განშორების გავუძლებთ გლოვას?..

ქართლს

როგორ ჩუმად კვნესი ქართლო,
როგორ ჩუმად ქვითინებ...
მოკვერილო თმენითა,
მარხულობამ განგვანათლა,
სული ზეცას შენივთდა...
თხოთის მთაზე წმინდა ნინო
კვლავ დგას ხელაპყრობილი,
ვაზის ჯვარის ელვითა...
მამულივით ჭალის ღვინო
გულზე შემომეფლითა...
ბეთლემს უკვე იყვნენ მოგვნი
ახლა მცხეთას მიდიან...
სიდონიავ, ქრისტეს კვართი
სამყაროზე დიდია...
გოლგოთისკენ გზა, აღმართი
ზოგს ფეხებზე ჰკიდა...
თბილისისკენ გამოიქეც
გორი — ახალგორიდან...
ქართლო ჩემო, წეროვანთან
ჩახუტება მომიწია...

* * *

მართალი ხარ როცა მეუბნები,
შენ ვერ იგებ სიმარტოვეს ჩემსას...
მალე დარდით გათეთრდება თმები,
ერთად ყოფნის სადღეგრძელო შევესვათ...
შენთან ყოფნის მონატრება მომკლავს,

გახსოვს, ზღვაზე რომ უფრთხოდი ტალღებს...
 ვნების ცეცხლი სხეულს ღამე ლოკავს
 და ბნელეთის ციხე-კოშკებს არღვევს...
 მონატრების მოძალემა მწველი —
 სიყვარულზე თითქოს უფრო მძაფრი...
 ძველებურად ისევ გამახელებს —
 მთაზე ავალ...
 ხელებს გავშლი...
 და ფრიიი...

დედის საფლავზე

დედა ამდენი რატომ მასწავლე,
 ყველა იუდა ჩემი მტერია...
 ვიცი კანონი დიდი პასკალის,
 მაგრამ გროშიც კი არ დამრჩენია...
 დედა, ლაჟვარდებს ისევ მიველტვი,
 მხიბლავს რიჟრაჟი განაბაცები...
 თეორემა კი ვიცი ვიეტის,
 მაგრამ მჩაგრავენ არაკაცები...
 ყველანაირი ვნახე ლალატიც,
 ფერი ვუსინჯე გოგენს, პიკასოს...
 შლეგი პოეტის შემრჩა ხალათი
 და სიტყვა ღვთისა უფრო მიყვარსო...
 ვიყავ მიჯნურიც, ვეველე მთა-გორებს,
 ქალის სიყვარულს თუმც რა აზრი აქვს...
 ველარა მშველის ვერც პითაგორა,
 ვერც ამერიკა ან ევრაზია...
 და აინშტაინს გვირგვინს მივუტან,
 რომ ფარდობითად ცოდვებს ვნანობდი...
 კვლავ შეეჩვივარ ისაკ ნიუტონს,
 აღარა მშველის მისი კანონი...
 ქარს წაულია სუყველა, მახლას —
 პარლამენტარიც, გრაფიც შეიხიც!
 ო, როგორ მინდა, დედიკო, ახლა —
 გულზედაკრეფილ ხელებს შევეხო...

* * *

ღამეა ჰყეფენ ძაღლები ზანტად
 და შენზე ფიქრებს ჩხვლეტენ ეკლებად...
 ფანჯრიდან ჩუმად გადმოდის კატა
 და მანვნის ქილას კუდით ეკვრება...
 შენამდე მანძილს ნატვრები ქელენ...
 ვიცი, არ გძინავს და ჩემზე ფიქრობ...
 ვემუდარები გზად ქართლის ველებს —
 რომ დამესიზმრონ, ვიქნები იქ რო...

ცოდვაჰ!..

ცოდვაჰ, როგორი ტკბილი ხარ
 როგორ მაცდურად ტკბილი...
 ვეფხვს ვკლავ ვზივარ და ვტირივარ,
 წყლისპირს ვზივარ და ვტირი...

ველარც არაბეთს დავდექი,
 ვერც ხატაეთს და ჰინდოს...
 არ მწამს ბუდა თუ პასექი
 და ვეფერები დიდგორს...
 არ დამკლებია არშიყი,
 ლვინის სმა, თრევა თრობით...
 და მალრიბიდან მაშრიყი
 ჰგავდა გაფრენას ორბის
 ივერთა სევდის შვილი ვარ —
 ქართულს ვატარებ ტკივილს...
 ცოდვაჰ, როგორი ტკბილი ხარ,
 რა უცნაურად ტკბილი...

რატომ მოგიღუსრი ტელეფონით

გირეკავ... ყურმილს აიღებ... თიშავ...
 ვერ ვასწრებ გითხრა: „მიყვარხარ, გოგოვ...“
 ფიქრში გპასუხობ: „მე არა მიშავს...“
 შენ როგორა ხარ, ძვირფასო, როგორ?“
 გუუცხოება ჩემი ხმა ზოგჯერ,
 რადგან სავსეა დარდით, ვაებით...
 კარგი, გულისთქმას „მესიჯად“ მოგწერ,
 მაგრამ ქართული ლექსის ტაეპით...

მეორე ლოყის მიშვერა

ეჰ, დედა, შენი ჭკვიანი ბიჭი,
 სულ გადარია ყოფამ — ცბიერმა...
 არავის უნდა ხალასი ნიჭი,
 ანდა ვაჟკაცი — სულით ძლიერი...
 ცვედანების და ქოსების დროა,
 ანადგურებენ ცხადლივ რაინდებს...
 ჩემი მოჭრილი მარჯვენა მოაქვს,
 დედა, იმ მტარვალს — მე რომ დავინდე...

**დალოცვა პატარა შვილიშვილ
 კონსტანტინეს**

მახვილმა მხოლოდ ხორცი განკვეთა,
 ხოლო ენამ კი სულიც და ხორციც...
 შვილო, სიკეთე უნდა აკეთო —
 მუდამ თავმდაბლად, მარხვით და ლოცვით...
 ზეცის საზრდელი გქონდეს საზრდელად
 და სასოებით მიენდე ქრისტეს...
 თუმცა არ იცის ზოგჯერ მარჯვენამ
 მისი მარცხენა რომელ გზას მისდევს...
 ამპარტავენება — წარმწყმედი სულის
 არს სიმდაბლითა სიმაღლის მტერი...
 მუდამ გახსოვდეს, რომ ღირსეული
 იყო... იქნება ივერთა ერი...
 შენ ხომ წმინდანის სახელი გქვია,
 იბერ-კოლხური გიჩქეფავს სისხლი...
 პაპის გულს სულ სხვა ქარები ქრიან
 და რძისფერ ლოცვებს შენს ფერხთან იხსნის...



ელიზბარ ელიზბარაშვილის ლექსებში, ერთი შეხედვით, არაფერია ისეთი, რაც უცნობი და მოულოდნელი იქნებოდა ჩვენი მკითხველისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ამ მეტაფორისტულ ცდებში რაღაც თავისებური, საყურადღებო, ანგარიშგასანევი. ეს არის ემოცია, სავსე, სრული, ინტენსიური განცდა.

ვინ თქვა, რომ ემოცია ზედმეტი ელემენტია ლექსის კომპოზიციაში. პირიქით, თანამედროვე ლექსი ხშირად სწორედ წრფელი ემოციის ნაკლებობას განიცდის და ამის გამო სასურველ მთლიანობას კარგავს ხოლმე.

აქ ვხედავთ, როგორ გარდაიქმნება ემოცია კუმულაციურ ენერგიად. ფაქტობრივად ემოციის ძალა ქმნის ლექსის სტრუქტურას, კომპოზიციას, ტროპულ ქსოვილს. საბოლოოდ ეს ემოცია წარმოგვიდგება ერთ ვრცელ, გაბმულ მეტაფორად. ამიტომ სჯობს ლექსებიც ასე წავიკითხოთ — თვითონ ლექსი ვალიაოთ მეტაფორად, ლექსს მივანიჭოთ ფარული, მისტიკური, გადატანითი აზრის ფუნქცია. ვფიქრობთ, ამგვარად უფრო გასაგები იქნება ელიზბარ ელიზბარაშვილის ლექსების ასოციაციური ქარაგმები, რომლებიც სულაც არ არის გაუხსნელი, მთავარია, მივუახლოვდეთ, მოვისმინოთ, ყური დავუგდოთ „სიჩუმის ხმას“...

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ატმის რტო

მდინარემ ჩაიარა სწრაფი, უშურველი სრბოლით და შენ დარჩი.

აყვავებული ატმის რტო იყავი ზაფხულის სიმშვიდეში.

შენი თვალები არაფერს არ მეტყველებდნენ — არც ენა

ვერც ხელებმა ვერ მოიმოქმედეს ვერაფერი. შენ დარჩი.

საქორწინო მოგზაურობისთვის ემზადებოდნენ შენი ფიქრები იმ დაუვინყარ სამყაროში სადაც ერთხელ უკვე იტირე.

აი ამ სხეულში, ჩემი ხელები რომ შემოჭდობია ახლა გამეტებით, სამყაროს გულში მოგიზგიზე სფერო არის გახვეული. აი ამ სხეულში.

გავა დრო და შუბის წვერზე დაინერება ჩვენი მეგობრობის ისტორია

ზღვები აღელდებიან, მდინარეები გაარღვევენ ჯებირს, ყვავილები დაკოცნიან ერთმანეთის ლეროებს და გაიხსენებენ შენი თვალების მდუმარებას. შენს მდუმარებას. ჩემს მდუმარებას.

— არსად არ გაგიშვებ!..

შენ — შეყვარებული გაგიჟებაზე

შენ ამბობ და ივინყებ სიტყვებს შენ ამბობ, რომ „ბედნიერება ისაა, რაც ჩვენ არ გვახსოვს“. — გაიხსენოს იმან, ვისი ფიქრებიც ამ სიტყვების ტკივილს ასდევნებია.

განთიადია. ტყე ტყეა და იგი იცვამს გრძელ კაბას

მისი კალთები სავსე სურვილების უძღებ მელოდიებს აყურადებს და შენს ფერხთით ყვავილთა გუნდებს ჩამოყრის.

ცრემლებს ჩამოყრის მოითხოვს, რისი გახსენების უნარი კვლავაც არ მოგვცემია, სადაც მოგწუხხავს ჰაერის ტკბილი სინაზე, სადაც ჩემი ყბა შენს ცხელ სხეულზე ღამის სიმშვიდეს ასდევნებია.

და აღარავითარი სურვილი იმისი შეგრძნების არავითარი სევდა, რომ აქ არა ვართ. აღარავითარი სურვილი, რომ გაგვეძლო — არაფერი გვეთქვა.

ძვირფასო მეგობარო, სიტყვა სიტყვა მოგზაურობს იგი შენი სხეულის სარკეში და იცის, ეს ის ნიაგია პირველად რომ გიმღერია ალბათ შეყვარებულს გაგიჟებაზე. იცის, რომ დაუფარავად აღემატები შენ შენს სიყვარულს. განთიადია და ნადირობიდან იწყება მისი გულისტკივილი რომელს ვერასოდეს გაიხსენებს და დაიტევს მწარე გულის ფეთქვა შენს ღანვებზე ამომავალ ღამეს რომ შეებრძოლა.

ვარდი ვარდია იგი შენი მკლავებიდან იწყება და არ აქრობს სევდა.

ოქროს გეგი

ჩემი გულის თავწყაროში ჩაძირულ ოცნების გემს ამყნობ შენს სიყვარულს.

გაზაფხულია, როცა ჩვენს ხელებზე თოვლი დევს და შენს ნაწნავებთან ვანთებთ ალისფერ აისს.

ყინვით გათოშილნი ვუერთდებით უსასრულოსა და უწყვეტს და დაუსაბამოს შენს ხმაში და შენს ხმაში ოქრო ხმიანობს.

გაზაფხულია,

როცა ზამთარი ხმამაღლა განჭოლავს ჩვენს სხეულებს
და როგორც თოვს,
ისე მიემართება ჩვენი სიტყვები თეთრი გულისაკენ.
როცა ცივა გარშემო როგორც არასდროს
და ჩემი გულის თავწყაროში დარჩენილ ოქროს გემს
შენი სუნთქვა მიიტაცებს.

გაზაფხულია, გაზაფხულია,
თოვს და ზამთარია.

სიჩუმის ხმა

ბნელი ღამის მკერდზე ჩამოშლილ ვარდს
ჰკოცნის ყინული შენი სიჩუმისა.

აამეტყველებ კარდაკარ ყველა იმ გზას
სადაც მე გელი
დაორთქლილ მინებზე თითების წარწერით — „მელაპარაკე“.

და არ არსებობს სურვილი, ფიქრი ან ხმა
რომელიც განელტვის შენი ოცნების სარკეში ჩამდგარ
უძირო ტკივილს.

- წარსულის არგამცოცხლებელს.
- სიტყვების არდამბრუნებელს.
- შენი მაჯების გარშემო შეუმჩნეველად გარინდულს.

და როგორც ზვიგენი შევცურავ ვარსკვლავებით
მოჭედილ ზღვაში
შენი ქორწინების საპირისპიროდ.

მებაღურთა მთვარე

საიდუმლო მოძრაობით მებაღურთა მზეს აჩენ ჩვენი
სიზმრებისაკენ.
ენაზე სიტყვების დამფარავს გიფარავს სიყვარული.

საიდუმლო მოძრაობით ხსნი გზას შენი თვალებისაკენ
საიდანაც ალარაფერი ბრუნდება
ეს შენი ხელია, რომელზეც მიცურავს თევზი
ენის დამკარგავი
სურვილების გამქრობი
სიმღერის ვერშემძლე

ეს შენი ხელია, რომელსაც გადასცდა ცრემლი
შენი ყელის სიღრმეებიდან წამოსულ სევდას რომ
გაენასკვა.

იგი აანთებს ქარს შენს ნაწნავებთან,
ოქროსფერ კაბის ბალთებს გხსნის
და მებაღურთა ჭაობით მოსულ მთვარეზე მე მანვენს შენთან.

ეს შენი ხელია
საიდუმლო მოძრაობით რომ ჭრის გზას ჩვენი
ბავშვობისაკენ
და აკვანში დაბრუნებულ ზღვარს აყოლებს სურვილს.

* * *

ჩემი გზის ბოლოს შენი ხელები იკვებებიან
— რა იქნებოდა რომ მყვარებოდი.
აკეთებ ყველაფერს რაც შენს გულთანაა
და დგები მარტო,
როგორც ფერმკრთალი ლერწამი
ქარიან ამინდში.
შენი სიტყვებიდან შავი ფიქრი მოედინება.

ახლა მე სამაჯურს გხსნი ჩვენი ნაცნობობისა
და აისის დამლოცველ პეპლებს გავანდობ
შენს ღიმილს.
გიხსნი სიყვარულს
რომელსაც ღრმა ჭრილობა გულის უბეში დაუმალავს
და უეცრად ჩემი სურვილის ხანძარი მოსურვებია,
რომელსაც ფიქრები გაუფანტავს მოგონილ სამოთხეში.
— რა იქნებოდა რომ გყვარებოდი.

და როდესაც დაღამდება
და ხეები ვარსკვლავებზე ამღერდებიან
როდესაც გამოჩნდება გულში ფარული სიტყვა
და მინას ნალველი დაედინება
მე გავუსწრებ მდინარეებს ზღვებისაკენ.

* * *

დავენაფები კვლავ და კვლავ ანკარას და უშრეტს —
შენი ბაგეების ქვეშ გაშლილ მწვანე სიმღერას.

ავივსებ მაჯებს ღვინისფერი წამლით სამარადჟამოდ
და წარმოვთქვამ სიტყვებს, რაც არ უნახავთ
დღის სინათლეზე არსად არასდროს.

ჩვენი ფოსტა

ბატონო რედაქტორო, მოგესალმებით, სტუდენტებისთვის
განული ამავისათვის თქვენს ჟურნალს პატივისცემას,
მადლიერებასა და სიყვარულს ვუდასტურებ — ქუთაისშიც
რომ მოუთმენლად ველით ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

„ჩვენი მწერლობის“ მერვე ნომერში **ზურაბ ავალიშვილის**
წერილი „კავკასიის ხალხები და ირიედენტიზმი“ დაი-
ბეჭდა. XX საუკუნის 40-იან წლებში რუსულ ენაზეა დაწერი-
ლი ეს სტატია და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანო-
ბის აგრესიული ფორმების გამობას, უარყოფას შესანიშნავად
ახერხებს. მახსოვს მისი ავტორობით თქვენს ჟურნალში ად-
რე ამოკითხული სხვა სტატიებიც, რომლებიც, როგორც ნე-
სი, **დავით აბაშიძის** მიერაა გადმოთარგმნილი. საინტერე-
სოა, **ზურაბ ავალიშვილი** ყოველთვის რუსულად წერდა თუ
ქართული ნაშრომებიც ჰქონდა? ან მისი შრომების თავმოყ-
რასა და ტომებად გამოცემას ხომ არავინ ფიქრობს? ხელს
რომ ძალიანაც შეუწყობდა და გააადვილებდა ერთ-ერთი სა-
უკეთესო მოაზროვნის სრულყოფილად წარმოჩენას.

ბატონო **როსტომ**, თქვენს ბიოგრაფიულ რომანში, **არჩილ**
ჯორჯაძეს რომ ეძღვნება: „**წერილები იტრიის წისქვილი-**
დან“, **ზურაბ ავალიშვილი** ერთ-ერთი პერსონაჟია. მასზეც
ხომ არ გიფიქრიათ ბიოგრაფიული რომანის შექმნა — ზოგადი
შთაბეჭდილებით ისე ჩანდა, გულგრილი რომ არ დარჩებოდი.

თამთა შარვაშიძე

ორი-სამი წლის წინათ თბილისში გამოიცა ჟურნალ „ხედის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდვით თარგმანი დორის ლესინგის მოთხრობისა „მზე ამოსული ტრამალზე“. ამ მწერლისადმი ინტერესი გაიზარდა 2007 წლიდან, მას შემდეგ რაც მას მიენიჭა ნობელის პრემია, ხოლო მოთხრობის არჩევანი კი განაპირობა ორმა მომენტმა: მასში იგრძნობოდა როგორც სამხრეთაფრიკული ეგზოტიკა, ასევე ეგზოტიკა შინაარსობრივი.

ვინაიდან მოთხრობის სიუჟეტი მკითხველში აღვიძებს ბევრ საფიქრალს, ერთგვარი გამოძახილის სურვილი გამიჩნდა, რაც თავისთავად სტატიის გადართმობდა, სადაც ინტერპრეტირებულია არა ერთადერთი მოქმედი პირის საქციელი, არამედ თვით ავტორის პოზიცია. სტატიაზე მუშაობისას ერთ გამოცემაში შემთხვევით ნავაწყდი ერთ საინტერესო ფაქტს, რომელიც დაუუკავშირე ლესინგის ამ მოთხრობას, მაგრამ, ამასთან, დავრწმუნდი რომ სტატიის ნაკითხვას სარგებლობა მოაქვს უფრო მოთხრობასთან ერთად, და არა ცალკე, ლესინგის ტექსტისაგან მოწყვეტით. ასე რომ, ამ შრომის გაცნობის საუკეთესო გზა ორ ეტაპად წარმომიდგინა: ჯერ ლესინგის ტექსტი, შემდეგ კი უკვე ესეისტური ფორმით წარმოდგენილი სტატია.

კოტე გოგოლაშვილი

კრიტიკული კომპარატივისტიკის სანმოკლე ექსპერიმენტი

ამოუცხოვი საბარათალი მისაგებლისა
და ავ-კარგის უხედეგო წონასწორობა

აღიარების
„თანმიმდევრული პოლიტიკა“

(დორის ლესინგის „მზე ამოსული ტრამალზე“)

ეს მოთხრობა ერთი პატარა ნაწილია იმ ლიტერატურული მემკვიდრეობის, რომელშიც წარბადაა ე.წ. მცირე პროზაული ფორმის ნაწარმოებები, ანუ მოთხრობები და ნოველები. საერთოდ, მისი შემოქმედება წარმოგვიდგება სამი თემატურ-ჟანრობრივი პროდუქციის კონგლომერატად: აფრიკული თემა, პუბლიცისტურ-ესეისტური პროზა და სამეცნიერო ფანტასტიკა. ვერ ვიტყვით, ამ სფეროთაგან «პროცენტულად» რომელმა უფრო მეტად იმოქმედა ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის არჩევანსა და გადაწყვეტილებაზე; ყოველ შემთხვევაში, სამეცნიერო ფანტასტიკა რომ ყოფილიყო გადაწყვეტი მათ არჩევანში — როგორც ჟანრი, მაშინ ალბათ გაცილებით უფრო სამართლიანი იქნებოდა სხვათა ღვაწლის, და უფრო დამსახურებულ ფიგურათა დაჯილდოება: რეი ბრედტერის ან კლიფორდ საიმაკის და კოლინ უილსონის.

ამ ავტორთა პროზაში განსაკუთრებით იგრძნობა რეალობის არაჩვეულებრივი გააზრება, სინამდვილისა და დღევანდელი საზოგადოების განვითარებისა და მუტაციების დრამატული შეგრძნება. რაც შეეხება ლესინგის სამეცნიერო ფანტასტიკას, ჩვენ ვაპირებთ მათ განხილვას თანამედროვეობის სხვა ფანტასტ მწერლებთან ერთად, და ამიტომ ამ სტატიაში მიზნად არ ვისახავთ მისი მხატვრული პროზის საერთო, ასე ვთქვათ, „სრულ“ შეფასებას.

დორის ლესინგის ესეისტკასთან დაკავშირებით, წინა პლანზე უმაღლესად წარმოგვიდგება ამ ჟანრის სამხრეთამერიკელ და ევროპულ ავტორთა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და ორიგინალური პროდუქცია; აქედან გამომდინარე, ლესინგის დაჯილდოების საგან-მიზეზად რჩება აფრიკული თემატიკის მხატვრული რეალობა. თუ გავითვალისწინებთ ნობელის კომიტეტის რეგულარული მოქმედების პრინციპს, ამიტომ არ უნდა გავივიკრიდეს შეფასების და მიდგომის ამპლიტუდები. ცხადია, ფუჭია იმედი, რომ ყოველი თაობა შემოგვთავაზებს დ.პ. ლორენსის, ივლინ ვოს ან აირის მერდოკის რანგის მწერალს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ ამ მწერლებისგან დანატოვები მხატვრული ოსტატობის ერთგვარი ნორმა არ უნდა იყოს ზედმეტად გაუბრალოებული და გამარტივებული.

ამრიგად, საქმე ეხება ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის საზოგადოებრივ-კულტურულ, და ზოგადად, სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციას, ანუ იმას, რასაც ეს კომიტეტი უკვე კარგა ხანია თანმიმდევრულად ასრულებს, და რაც ამ კომიტეტის საქებარ ნიშნად მოიხსენიება — მაგრამ, ამასთან, აღარ ახსენებენ ნაკლებად საქებარ მომენტს — რომ ამ კომიტეტის რევერანსებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის აქტუალური ასპექტების მიმართ, რის გამოც უპირატესობა ენიჭებოდათ იმ ავტორებს, რომლებიც ლიტერატურის ისტორიის სტატისტიკაში ჩარჩნენ, და რომელთა წინ წამოწევას ემსხვერპლა გამორჩეული ლიტერატურული მოვლენა და სახელები — ჯოზეფ კონრადის, ჯოსისის, მარსელ პრუსტის, ვირჯინია ვულფის, კაფკას, რობერტ თუზილის ხსენება საკმარისია, კიდევ სხვა ავტორებთან ერთად.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც აგრეთვე მეტყველებს ნობელის პრემიის მინიჭების „პრინციპთა სამზარეულოზე“: ეს არის ავტორის სქესისა და რასის საკითხი, რაც ლიტერატურულ მოდადაც კი გადაიქცა. ხშირად, რამდენიმე კანდიდატურის წამოყენებისას, უპირატესობა ენიჭება ქალ ავტორს, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება ფერადკანიან მწერალს — და აღარ უწევს იმას ანგარიშს, რომ არჩევანი გაკეთდა ნაწარმოებზე, რომელიც ვერ სცდება მორიგი „ლიტერატურული სეზონის“ სენსაციის ჩარჩოს: თუმც, რასაკვირველია, ჩვენი შენიშვნა არ გულისხმობს ისეთ იშვიათ გამონაკლისს, როგორც იყო სელმა ლაგერლეფი, თავისი ხედვის უნივერსალური გამოძახილით.

შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ კომიტეტმა აღიაროს იდეური და მხატვრული ხარისხის უზენაესობის პრინციპი, და რომელიმე წლის ლიტერატურული პროდუქცია საერთოდ არ ჩათვალოს ჯილდოს ღირსად, ეს კომიტეტი „დაბლა სწევს“ ხარისხობრივ მოთხოვნათა „თამასას“, რის შედეგადაც აჯილდოებენ ისეთ მწერლებსა და ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ლამის მომდევნო წელსვე უკვე აღარავის ახსოვს.

მეორე მხრივ, ნაწილობრივ მაინც უნდა ვაღიაროთ რომ ნობელის პრემიის მინიჭების პრინციპი მართებულია ქმე-

დების რეგულარობის დანახვაში, რადგან თანმიმდევრულობის პრინციპით ფუნქციონირებას თავისთავად აქვს ძალზე კეთილმოყვადი გავლენა კულტურისა და პროგრესული აზროვნების აუცილებლობის, ავტორიტეტისა და აღიარების განმტკიცებაზე საზოგადოებრივ შეგნებაში. ასე რომ, განსხვავებული იდეური სიღრმისა და ესთეტიკური დონის მწერალთა ასეთი “რეგალიით გაერთიანება” მაინც ასრულებს დამატებით სასარგებლო ფუნქციას: დაანახოს საზოგადოებას, რამდენად **რთული და უთანაბრო ფენომენია ნიჭიერება**, და რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიოს კულტურული ცხოვრებისათვის ერთგვარი „თარგობრივი მონიტორინგი“ **საზოგადოებრივ აზრსა და ესთეტიკურ გემოვნებაზე**. ამის გათვალისწინებით, საინტერესოა გავერკვეთ დორის ლესინგის ნომინაციის საფუძველში: რა როლი ითამაშა მისი პროზის ლიტერატურულმა მხარემ, და რამდენად გასათვალისწინებელია ლესინგის “თემატიკური ლოკალის” მნიშვნელობა პრემიის მიწვევაში.

დორის ლესინგის სამწარლო კარიერა

1982 წელს, თხუთმეტი წლით ადრე, ვიდრე ამ პრემიას მიანიჭებდნენ (ანუ — 2007 წლის 11 ოქტომბერს), “ნიუ იორკ ტაიმს“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში დორის ლესინგი გამოცხადებდა იმ აყოტაჟს, რაც ფემინისტებმა ატეხეს მის სახელსა და პოპულარობასთან დაკავშირებით, რომელიც მან დაიმსახურა როგორც წარმატებულმა და აღიარებულმა მწერალმა ქალმა: “ნუთუ მათ მართლა ურჩევნიათ, რომ რაღაც გადაჭარბებული და გამარტივებული რამ განვაცხადო კაცთა და ქალთა შესახებ? ჩანს, მართლაც საამისოდ არიან განწყობილნი. ძალიან მწყინს რომ ამას ვასკენი, მაგრამ ასეა.”

თითქოსდა განონანსწორებული შეფასებაა მწერლისა, რომელსაც ლიტერატურა მიაჩნია გაცილებით უფრო სერიოზულ და მნიშვნელოვან საქმედ, ვიდრე ეს წარმოდგენია ან მიეწერება ნებისმიერი უდღეური საზოგადოებრივი მოძრაობის ტალღასა თუ მიმდინარეობას, თუნდაც ეს იყოს ფემინისტთა ძალზე აჟიტირებული პოპულისტური პოზიცია, გათვლილი სქესთა სოციალურ უთანასწორობაზე.

ამრიგად, **საქმე ეხება მწერლისა და მის თანამედროვეთა ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთაღქმას**. ამ პროცესის პერიპეტეებს ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც თვით მწერლობას.

რამდენად გამართლებულია, რომ ამ პრინციპით და ამ კუთხით განვიხილოთ დორის ლესინგის ვრცელი სამწერლო კარიერა?

საერთოდ, ნაჩქარევი აღიარება უმეტესწილად მცდარია და გარკვეული პერიოდის შემდეგ მწერალიც და ნაწარმოებებიც უკან იხევს ლიტერატურის საერთო მკალაში; შეიძლება ითქვას, რომ ნაჩქარევი აღიარება უფრო ხშირად უკუპროპორციულია პროდუქციის ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულების ან მისი ნოვატორობის. ამ თვალსაზრისით, დორის ლესინგის აღიარება არ ყოფილა ნაჩქარევი, და იგი თანდათან მზადდებოდა მისი შემოქმედების მოცულობასა და მხატვრული პროზის ზრდასთან ერთად; ამიტომ მწერლის წვლილსა და მის ოფიციალურ აღიარებას შორის პირ-

დაპირი კავშირია, და შეიძლება ითქვას, რომ “დისპროპორცია” არ შეიმჩნევა.

სტატისტიკური მონაცემები: თავისი სამწერლო კარიერის მანძილზე მან თექვსმეტი სერიოზული პრიზი და ჯილდო დაიმსახურა, ხოლო მეჩვიდმეტე – უკვე ნობელის პრემია იყო. პირველი ჯილდო ერგო 1954 წელს, ეს იყო მემის სახელობის პრიზი; მაგრამ მეორე ჯილდომდე და განმეორებით აღიარებამდე 20 წელზე მეტი გავიდა. 1980-ანი წლებიდან დაწყებული, მისი სახელი ლამის ყოველ წელს იხსენიებოდა სხვადასხვა ლიტერატურული საზოგადოებების დამაჯამებელ კონკურსებში – იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, კატალონიაში, შეერთებულ შტატებში — და მერე უკვე, ინგლისში. ინგლისს ხომ საერთოდ სჩვევია, ჯერ სხვას მიანდოს მწერლის მხატვრული ღირებულების დადგენა, ანუ უცხო დაკვირვებულ თვალს და სხვათა “ესთეტიკურ პარამეტრებს”: აქ ვგულისხმობთ არაბრიტანული კულტურის ხედვასა და ტრადიციას, და კიდევ, ცხადია, **დროს**. ამგვარი ეტაპის შემდეგ, უკვე თავისი საწყისი, და სხვათა თვალსაზრისის შეჯერებით, ინგლისი აყალიბებს თავის ანონდანონიდ და სოლიდურ პოზიციას; რომ არა ეს თვისება, გაზეთი “The Times” ხომ არც გაჩნდებოდა.

დორის ლესინგის წერის მანერის და სტილის შესაფასებლად წარმოდგენილი თარგმანი გამოდგება, ვინაიდან ის იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა კუთხით, “ნახნაგობრივად” განვიხილოთ ლესინგის ლიტერატურული ფენომენი, და განვსაზღვროთ მისი ხედვისა და სინამდვილისადმი მიდგომის მანერაც.

„ალიონის“ წუთიერი ოპტიმიზმი და ტრამალის მარადიული სკეფსისი

რას იძლევა “ფოკუსირება” ამ მოთხრობის პროზაზე? მაინც და მაინც ბევრის მომცველ დასკვნას – ისეთს, რომ ასახავდეს მწერლის ნაკლებცნობილი მხატვრული პროდუქციის საერთო თემატიკას? – არა, ამას ვერ ვიტყვით. აქვე დავძენთ, რომ თუნდაც დაგვწამონ მოდაგასული ლიტერატურული კლიშეს მორგება, მითუმეტეს ისეთის, რომლის ხსენებას ყბადაღებული “განდერული” მიდგომის ხანაში აღარავინ მიესალმება, მაინც ვიტყვით, რომ **“მზე ამოსული ტრამალზე”** არის “ქალური ხედვის და წვდომის ჩარჩოში ჩატეული პროზა”, არც მეტი და არც ნაკლები. თუმც “ნაკლები” რომ ყოფილიყო, ალბათ არც იქნებოდა ნომინირებული ნობელის პრემიაზე, ხოლო “მეტი” რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ჩვენი სტატიის ტონს თავიდანვე დაეტყობოდა სათანადო რიდი მსოფლიო ლიტერატორთა კოპორტაში შეყვანილი ახალი სახელის წინაშე.

ამავე დროს, “ქალური პროზის” ეს პატარა მაგალითი წარმოადგენს სიმბოლურ-ალეგორიულ ნაწარმოებს, სადაც ეს სიმბოლიკაც და ალეგორიაც ოდნავ შენიღბულია, ოღონდ ისე, რომ ავტორის ამბიცია მაინც ჩანდეს მხატვრული ნატურალიზმის სინტაქსურ შრეებში, სადაც **ყოველდღიურობის რუტინა და ფონი წარმოჩენილია, როგორც ერთგვარი ეგზისტენციური სივრცე, გაჟღენთილი ფატალისტური სტატიკით**.

მაგრამ ვინაიდან მსგავსი თემა და პრობლემატიკა უკვე საკმარისად დაფასდა სარტრთან, კამიუსთან და აგრეთვე

იუკო მისიმას მაგალითზე. მაშასადამე, საქმე გვაქვს არა რაიმე ნოვაციასთან, არამედ აპრობირებული ხედვა-მანერის პრინციპულ გაზიარებასთან, რაც საკმაოდ გავრცელებული ფენომენია პროფესიონალ მწერლებს შორის, და ვერ გამოდგება საკმარის არგუმენტად რომელიმე ავტორის "კანონიზაციისათვის". აქედან გამომდინარე, კვლავ იმას ვასკვნით, რომ დორის ლესინგის დაჯილდოება ისევე და ისევე პოლიტიკურ-გეოგრაფიული "ლოკალის", და ქალი-ავტორის მხარდასაჭერი სტატუსის ერთობლიობამ განაპირობა.

პრაქტიკული სცენა და პარკულ სათავეს მოწყობილი კაბარისი

რა პრეტენზიას ვუყენებთ ავტორს ამ მოთხრობასთან დაკავშირებით?

ეს პრეტენზია მწერლის გაორებულ პოზიციას ეხება მოთხრობის ნამყვან სცენაში:

1) ფეხმოტეხილი ირმის ნამებას რომ ხედავს, ბიჭს უმალ უჩნდება ინსტინქტური სურვილი, ბოლო მოუდოს ცხოველის ტანჯვას. რასაკვირველია, ბიჭის პირველი რეაქცია ბუნებრივია და ადამიანური, და ამიტომ მკითხველიც უმალ იგივე განცდით ივსება. მაგრამ ავტორი ამ სცენის დრამატიზმს კიდევ უფრო ზრდის დამატებითი ემოციური მომენტი: ირმის სილამაზით და გრაციით – ანუ, იმ ორი ელემენტით, რომლებიც ორგანულადაა ჩანსული ევროპული ესთეტიკის და მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების ტრადიციაში.

2) ბიჭის მყისიერ იმპულსურ თანაგრძობას უცებ ენაცვლება მეორე განცდა – რომ ამ ტიპის დრამა არის ცხოველთა ყოფის განუყოფელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, ბიჭის მომდევნო დასკვნა, არ ჩაერიოს რეალობაში, აღიქმება როგორც მისი ასაკისათვის ნაადრევი ფატალისტურ-ფილოსოფიური განსჯა, რასაც უცებ მოსდევს მისივე გადანწყვეტილება, რომ არ ესროლოს. ჰუმანურობის თვალსაზრისით ასეთი რამ სრულიად მიუღებელია, მით უმეტეს, პატარა ბიჭისაგან. ის არ კლავს ირემს და არსებითად შეგნებულად განიარავს ცხოველს. ეს "განირვა" უფრო დაკვირვებულ ანალიზს საჭიროებს: მკითხველი ხედავს, რომ ბიჭი ხელმძღვანელობს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი პრინციპით, რაკი გადაწყვეტს, რომ "არ ჩაერიოს". კი მაგრამ, რატომ? — ნუთუ იმიტომ, რომ ირემმა მთლიანად ინვნიოს მის "წერად" გამოყოფილი სატანჯველის "სრული დოზა"?! ამ გადანწყვეტილებით ბიჭი ფაქტობრივად "აძალებს" ცხოველს, რომ განამებული არსებობის დარჩენილ წამებში აღიაროს საკუთარი არსების უმნიშვნელობა – უმნიშვნელობა არსების, რომლის იერი გულისხმობს და განასახიერებს უწყინარობასა და სილამაზეს.

თუკი ეს ყველაფერი უმნიშვნელოა, მაშინ როგორ შევაფასოთ ეს განგებით გააზრებული წესი – და თვით განგებაც, რომელიც ნებას რთავს, რომ ამ თვისებათა ნაერთი უნდა ემსხვერპლოს აბსოლუტურად შეუგნებელ და დაუნდობელ ძალას?

ისლა დარჩა დასამატებლად, რომ თხრობის ტონალობის, და მოთხრობის უკანასკნელი ფრაზის გათვალისწინე-

ბით ("ჰო, მალე, ხვალვე დილით, გაეცლება ყველას, გავა სადმე მარტოდმარტო ტრამალში და ამაზე იფიქრებს"), ავტორი არა ჩანს მაინც და მაინც დარწმუნებული, რომ ბავშვი მივა ამავე დასკვნამდე; ლესინგის აზრით, "იქნებ, არც მკითხველი?" უნდა ვალიაროთ, რომ, ამ ტექსტიდან გამომდინარე, მკითხველსაც უჩნდება მსგავსი ეჭვი – ოღონდ თვით ავტორის მიმართ, და თვით მოვლენისა, როგორც არის ის წარმოჩენილი – **თუ გაიაზრა მისმა აღმწერმა მოვლენის ხედვის პარამეტრები?**

დავუბრუნდეთ კვლავ საბრალო ცხოველის აღსასრულის სცენას, რომელსაც მოვიყვანე ოდნავი შემოკლებით, თან ვაფრთხილებ მკითხველს, რომ აფრიკასა და ამერიკაში გავრცელებულ, და "ჭიანჭველებად" მოხსენიებულ ჯიშს არაფერი აქვს საერთო ჩვენთვის ჩვეულ, უწყინარ არსებასთან, რომლის შრომისმოყვარეობის თვისებამ ის ფოლკლორის გმირად გადააქცია.

ხეების რიგს მიახლოებული, შეჩერდა, თოფი მოიმარჯვა და დააკვირდა ადგილს... წინ, ორ ხეს შორის, კუმტად-მომზირალ შავი კლდის ფონზე, თვალს მოხვდა რაღაც სიზმარეული მოზარბაცე ფიგურა, უცნაური რქიანი მხეცი, მოხრილ ფეხებზე შემდგარი... რალაცნაირად დაძონძილი ჩანდა, მომცრო ირემს მიჰვავდა, რომელსაც ტანზე შავი ბლანი აქა-იქ ფოჩებად ეკიდა, ქვეშ კი ლაქებად ხორცი უჩანდა.. თუმც ეს ლაქებიც განატყავები თვალწინ ქრებოდნენ რაღაც მოძრავი მთრთოლვარე სიშავის ქვეშ, მაგრამ უმალ სხვაგან იხსნებოდნენ; და სულ ერთთავად კიოდა, მოკლე ქოშინა წამოკივლებით, და ბრმასავით, ტორტმანით, ხან საით ისკუებდა და ხან საით.

ეხლავა მიხვდა ბიჭი, რომ მართლაც ირემი იყო მის თვალწინ... და კვლავ გაშეშდა... ძირს დაიხედა.. მინა სულერთიანად გაშავებულიყო ჭიანჭველებით. დიდრონი და უღალავი ჭიანჭველებით, რომელნიც... ფაციფუციით მიიჩქაროდნენ იმ განწირული ფორმისაკენ... და როდესაც სიბრაღულით და შიშით ატაცებულ ბიჭს სუნთქვა გაუჟავდა, ცხოველი დაეცა და კივილიც შეწყდა.

ოღონდ ვიდრე ამ სცენის დამაჯერებლობასა და ეპიზოდის მორალზე ვიმსჯელებთ, ანდა მის შინაგან ლოგიკაზე, გვინდა წარმოვაჩინოთ ერთი საინტერესო მომენტი: ჩვენია ყურადღება მიიქცია მოულოდნელმა პარალელმა სრულიად სხვა ნაწარმოებთან, და გვინდა რომ შემდგომ მსჯელობას ჯერ წარვუმძღვაროთ ერთი საინტერესო ლიტერატურული პრეცედენტი.

დავაკვირდეთ აქ ციტირებულ აბზაცს:

შემდეგ, როცა უკვე ცხენიანად ჩაუარა იმ მონაკვეთს, რომლის დაძლევაც გუშინ გაუჭირდათ ჭიანჭველებს, ის უცებ მოწმე გახდა ხანმოკლე, თუმც კი შთამბეჭდავი სცენისა. შორს, გორაკის ფერდობიდან მისკენ მოემართებოდა რაღაც უცნაური არსება; მის მოძრაობაზე სირბილიც არ ითქმოდა, უფრო თითქოს იგრინებოდა ეს რაღაც შავი არსება, გამოქანდაკებული ცხოველის მსგავსი, რომლის თავს ფორმა აღარც შერჩენოდა. ოთხივე მთრთოლვარე ფეხი ყოველ ნაბიჯზე ეკეცებოდა. როდესაც მან თხრილის შორეულ ნაპირს მიაღწია და გაუსწორდა ლაინინგენს, ჩაიჩოქა ძალადაცლილმა და მაშინდა ამოიცნო მასში მხედარმა პამპას მკვიდრი ირემი, რომელსაც ჭიანჭველები დახვეოდნენ და სულერთიანად დაეფარათ მისი სხეული.

ეტყობა, ხეტილში ნადირი მათი ლაშქრით დაფარულ სივრცეში შეჭრილიყო და ჭიანჭველები, როგორც სჩვევიათ, ჯერ მის თვალებს დასუთლიყვნენ. დაბრმავებული, და აუტანელი ტკივილით გაგაჟებულ ირემი პირდაპირ მისი მღვერების რიგებში შევარდნილიყო და აგონიაში აქეთ-იქით დაჰქანაობდა.

ლაინინგენმა ესროლა და გამოსტაცა ცხოველი თავს-დამტყდარ უბედურებას.

ამ სცენაში თითქოსდა დუბლირებულია **“მზის ამოსვლის”** კულმინაციური ეპიზოდი, ან თითქოს მოგვყავს ამ მოთხრობის რალაც შავი ვარიანტი, სადაც გმირი საკუთარი სახელით არის მოხსენიებული, და ა.შ. მაგრამ საქმე გვაქვს მეტად საინტერესო ლიტერატურულ კაზუსთან, რაც მოხდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე, და რაც გამოიწვია გერმანელი ავტორის, **კარლ სტეფენსონის** ერთადერთმა სამწერლო ცდამ, რომელიც მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზეა აგებული, იმ ეპიზოდზე, რაც მას გადახდა სამხრეთ ამერიკაში, და რომლის ნაწყვეტს წარმოადგენს ზემოთ წარმოდგენილი ციტატა.

ამრიგად, კარლ სტეფენსონის (1886-1954) 1938 წელს გამოქვეყნებულმა მოთხრობამ, **“ლაინინგენი ჭიანჭველების წინააღმდეგ”**, უმაღლესი საერთო ყურადღება მასალის “ეგზოტიკური ორიგინალობის” გამო, და კიდევ იმიტომ, რომ **ფსევდონიტელექტუალთა ფართო ფენა** (რომელიც ტიპიურ კოლექტიურ სახედ აქციეს “ჯაზის ხანის” მწერლებმა სკოტ ფიცჯერალდის თამადობით) **პრაქტიკულად უმეცარი იყო იმ სფეროს საკითხებში, რასაც ჰქვია საცხოვრებელი არეალი და ბიო-სოციალური პრობლემები.** სწორედ ამიტომ დაინტერესდა ეს საზოგადოება მანამდე დაფარული და შეუცნობელი რეალობის ერთ-ერთი ნახნავეთი.

ადამიანისა და ცოცხალი სამყაროს ბიოლოგიური თანარსებობის პრობლემა დაემატა 1950-ანი წლების წამყვან ფობიას: ატომური ომის საშიშროებას და ცივი ომით გამოწვეულ ატმოსფეროს. **ორად გაყოფილი სამყაროს სინამდვილემ წამოაყენა ორი პრობლემა: ტექნოლოგიური პროგრესის ზნეობრივი ასპექტი, და ადამიანის ინტელექტისა და მორალის შეუთავსებლობის საკითხი.**

შესაბამისად, საჭირო გახდა კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების საკითხი განხილულიყო ჰომო სპიენსის სტერეოტიპის კონტექსტში – იმ კონტექსტში, რომელიც ჯერ კიდევ რენესანსულ ხანაში ჩამოყალიბდა. პრობლემას ართულებდა არა მხოლოდ ჩიხს მიტანებული პოლიტიკური კონფრონტაცია, არამედ თანამედროვეობის უფრო ფილოსოფიური, ეგზისტენციური ასპექტები, რომელთა შორის უკვე სერიოზულად გამოიკვეთა **საჭიროება, რომ ადამიანს ობიექტურად შეეფასებინა საკუთარი პასუხისმგებლობა არა მარტო მომავალი თაობების მიმართ, არამედ ზოგადად გაეაზრებინა თავისი როლი დედამიწის საცხოვრებელ არეალში, პრაქტიკულად ნოსფეროში, და საერთოდ, გაეაზრებინა თავისი როლი ცოცხალ არსებათა მიმართ. შესაბამისად, ამას მოჰყვა სოციოლოგიაში ბიოლოგიური თემების წინ წამოწევა და სხვა მონათესავე საკითხთა აქტუალიზაცია.**

სწორედ ამ კონტექსტში, ოღონდ კულტურისა და საზოგადოებრივი შეგნების განსხვავებულ დონეზე, გაჩნდა მხატვრული, და არა მხოლოდ მხატვრული, შემოქმედები-

თი პროდუქცია, რომლის ავტორები შესაბამისი ტემპერამენტით ხატავდნენ, თუმცა კი ხშირად, ბუნდოვნად – დღევანდელი სამყაროს განვითარების სავარაუდო სურათებს. მეტიც: ხშირად ამ პრობლემას ზერელედ უდგებოდნენ და პირდაპირ პარალელს ატარებდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ძველ მუქარასთან აზიური აღმოსავლეთის წინაშე. დასავლური ცნობიერებისთვის ამ უძველესი ხიფათის “ტიპოლოგიურ კონტექსტში” აშკარად იგრძნობოდა ორი პლანი: პირველი, კონკრეტულ-პოლიტიკური – ნახევარი საუკუნის წინათ ჩამოყალიბებული შიში ჩინეთის ძალზე სწრაფად მზარდი მოსახლეობის წინაშე, და კომუნისტურ დიქტატურასთან გაიგივებული პოლიტიკური სიხისტე, საზოგადოებრივ-პარტიული დისციპლინა, იდეოლოგიური შეურიგებლობა და უკიდურესი დოგმატიზმი. ხოლო მეორე პლანი გულისხმობდა უფრო არსებით მიზეზს, რომელიც დროში უსასრულოდ განვიდა “მომენტად” იქცა: ეს იყო, და ალბათ კვლავაც რჩება მოსახლეობის დიდი ნაწილის გამოუთქმელ საფიქრალად – ის, რასაც შეიძლება ვუნოდოთ **ლამის ატავისტური რასობრივი სხვაობით გამოწვეული – შიში თუ არა, სიფრთხილე მაინც.**

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვინაიდან არსებულ ეტაპზე მოწინავე მწერლობამ თემატურად გაითავისა ამჟამინდელი მეცნიერების აღმოჩენები და საერთო პრობლემატიკა, და ვითვალისწინებთ რა თანამედროვე ლიტერატურის ფართო ჟანრობრივ დიაპაზონს, მიგვაჩნია, რომ **არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა დღევანდლობის სამწერლო ეტაპი განვიხილოთ და განვსაზღვროთ როგორც განმანათლებლობის ხანის მორიგი ევოლუციური სპირალის პერიოდი, როდესაც სხვადასხვა მიმდინარეობათა ავტორები – ანტიუტოპიიდან დაწყებული, სამეცნიერო ფანტასტიკით დასრულებული, დღევანდელი საბუნებისმეტყველო და ზოგადსამეცნიერო ცოდნის საფუძველზე ცდილობენ შეინარჩუნონ ან დაიბრუნონ ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე.**

მით უფრო დამაფიქრებელია, რომ გლობალიზაციისა და განმანათლებლობის ახალი ხვეულ-ტალღის ეტაპზე კვლავაც ქმედითა რასობრივი უნდობლობის მომენტი, სიფრთხილე ბიოლოგიური სხვაობის წინაშე, რომელსაც კიდევ უფრო ართულებს სიმრავლის, რაოდენობრიობის თვისობრივად განსხვავებული კატეგორია.

ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებული შიშის ეს გრძნობა მოსდევდა – და მოსდევს დასავლეთს უხსოვარი დროიდან, აკი აისახა კიდევ ენაში განსხვავებული გარეგნობის მასის სიმრავლის შეფასება: **“ჭიანჭველებით მოედვენენ...”** ეს გამოთქმა მეორდება რუსულშიც, თან ამ არგუმენტს კიდევ ის ამაგრებს, რომ **სიმრავლე არ არის გადამწყვეტი: როდესაც ტოლსტოი აღწერს ნაპოლეონის ჯარის სიმრავლეს რომანში „ომი და მშვიდობა“, ვეროპელთა ჭრელ ლაშქარს იგი არსად არ ადარებს ჭიანჭველებს. საერთოდ, ევროპული ომების აღწერაში მტრის ჯარის სიმრავლეს არსად არ ამსგავსებენ ჭიანჭველებს; იქნებოდა ეს ნაპოლეონის მრავალეროვანი ლაშქარი თუ ჰიტლერელთა დივიზიების წყება – თავდაცვითი მხარე მხატვრულ შედარებაში “ლრუბელს” ან “ტალღას” ახსენებდა, და ეს ორივე ბუნებრივი სახე სემანტიკურადაც გარკვეული პატივისცემით არის განმსჭვალული. ასე რომ, ამ უნდობლობაში გადამწყვეტია თანდაყოლილი სიფრთხილე უცხო ჯიშისა და რასის მიმართ.**

მაშასადამე, "ჩვენი მხარე", მხარე მკითხველის, იმავე ბიჭის, ლაინინგენისაც, კარლ სტეფენსონისაც – ჩვენ ყველანი ვართ ირმის მხარეზე იმიტომ, რომ ჩვენია, თბილისის-ხლიანი, ძუძუმწოვარია და ბუნების წიაღში ცხოვრობს, და სხვა რომ არაფერი, ლამაზია! – მერე რა, რომ მასზე ვნადირობთ, იმის მწვადსაც ვჭამთ, მაინც "ჩვენია"! ამას ხომ არ ვიტყვით მიწისქვეშეთის ჩვენებური ურიცხვი და უწყინარი მშრომელთა მასის, "მირმიდონელ" ჭიანჭველათა მიმართ – და მითუმეტეს, მათი ეგ ზოტიკური საშიში ნათესავების შესახებ.

ამიტომ ბიჭის საქციელი ლალატია მკითხველის მიმართ, მკითხველის იმედის მიმართ – თუმცა ეს იგივეა: მკითხველი და იმედი ხომ განუყოფელია, შეცნობისა და აღსრულების ერთ ფესვზეა ასხმული ორივე – ცნებაც და არსებაც. ზღვარგადასული სიმრავლის დაკავშირება სულიერ-ესთეტიკურ ღირებულებათა შეუფასებლობასა და სრულ ნეგაციასთან იმდენად ენინალმდეგებოდა დასავლური ჰუმანიზმისა და ესთეტიკის ტრადიციებს, რომ 1954 წელს ჰოლივუდში ფილმიც კი გადაიღეს კარლ სტეფენსონის ამ ნაწარმოების მიხედვით. ამ შემთხვევაში ფილმი ვახსენეთ როგორც მასის შეგნებამდე დასული პრობლემის მაჩვენებელი არგუმენტი, როგორც საკითხის "სახალხო ტირაჟირება".



დორის ლესინგი

ამომართება მწერალი ქალის ბიოგრაფიიდან: პროტესტანტულ ოჯახში და ქალთა სამონასტრო სკოლაში გაზრდილ გოგონას შვიდ წლამდე ესმოდა კლასიკური პურიტანული ტრადიციით გააზრებული, სამყაროს და სიცოცხლის კანონ-ნესები (ანუ, მახვილით "ძველ ალტქმაზე"), ხოლო ცამეტი წლიდან შეგნებაში ენერგებოდა ქალთა დომინიკანური მონასტრის წესი და სტილი. შემდგომ, უფრო გვიან, დორის ლესინგმა კომუნისტური იდეებით გატაცებაც "მოიღია", რაც ჩამოუყალიბდა პირველი ქმრის გავლენით (მან განაგრძო დიპლომატიური კარიერა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში და 1979 წელს დაიღუპა უგანდაში, პოლიტიკური კონფლიქტის შედეგად, იდი ამინის სამხედრო გადატრიალების დროს). ქმართან გამოშვების შემდეგ, ლესინგი გადაერთო შეივების აღზრდაზე, და ამავე ხანებში დიდ დროს უთმობდა კარლ იუნგის მოძღვრების შესწავლას ფსიქოლოგიაში, ხოლო შემდეგ ამ ინტერესს შეანაცვლა სუფიზმით გატაცება – და მის ამ ორივე გატაცებას ჩვეული გესლით და სარკაზმით გამოეხმაურა გორ ვიდალი ესეიში, „ლესინგის სამეცნიერო პროზა“: იგი გაჟღერებულია სუფიური სულით, და თუ რამ მაღიზიანებს იუნგიაზობაზე მეტად, ეს სუფიზმია. "She is filled with the spirit of the Sufis, and if there is one thing that makes me more nervous than a Jungian it is a Sufi".

„მე“, გარემო, და როლის არჩევანი

კვლავ ვუბრუნდებით ირმის დაღუპვის საბედისწერო სცენას, სადაც რამდენიმე მომენტი იხსნება, ხოლო მთავარია უმანკოებისა და სილამაზის განწირულობა მკაცრი რეალობის ვითარებაში. მოთხრობის ლოგიკა გვკარნახობს იმ აზრს, რომ სინამდვილის ამოუცნობი კანონები არაფრად აგდებენ ჰუმანურობის, ადამიანური ზნეობისა და კულტურის იმ ნორმებს, რაც ამოსავალ პრინციპად და კატეგორიებად აღიქმება ცივილიზაციისა და კულტურის ტრადიციაში.

გამოიღის, რომ მოთხრობის გმირს ამოფარებული დორის ლესინგი აღიარებს ამ ქაოტური და ირაციონალური თავზარის ლოგიკას, რომლის დანიშნულებაა "შეანჯღრიოს" ადამიანის შეგნება და შეახსენოს ხალხს, რომ ბუნების გარეგნული სილამაზისა და სიკეთის მომასწავლებელი სახის მიღმა, სიმკაცრე იმალება, და ეს სიმკაცრე, სავარაუდოდ, ღმერთის სიმკაცრეს და მრისხანებას მოასწავებს.

"ღმერთთან" დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს იმ სირთულის პრინციპული მომენტები, რაც სანიშნე სვეტებად

რას ვგულისხმობთ ფრაზაში, რომ "მოთხრობის გმირს ამოფარებული ლესინგი აღიარებს ამ "ქაოტური და ირაციონალური თავზარის ლოგიკას": ეს არის შეგნებული მხატვრული ხერხი, რათა შეანჯღრიოს ადამიანის ბუნება, თუ მწერლის გულწრფელი რწმენა ეგზისტენციის ამგვარ სისტემაში?

ამკარაა, რომ თხრობის თანმიმდევრული და ანალიტიკური მანერა თავისთავად გვკარნახობს, რომ განვაგრძოთ მიზეზ-შედეგობრივი დაკვირვება და ამოვიცნოთ ავტორის პოზიციის კონკრეტული მიზეზი – თითქოსდა ბუნებრივია, მექანიკურად ვახსენოთ ენაზე მომდგარი "მიზეზი", მაგრამ საქმეც ეს არის, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხში, ისევე როგორც სილამაზის ან უმანკოების სურათში, და საერთოდ, ცოცხალ სინამდვილის თემაში არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ არც ენობრივ-რიტორიკული ინერციით და არც მექანიკური ლოგიკის კავშირით! საქმე ამ შემთხვევაში ეხება ჯერ სიუჟეტური ეპიზოდის შინაარსობრივ პლანს, და მხოლოდ მისი გააზრების შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ სცენის მიღმა არსებულ მიზეზზე.

ტექნიკური მხარე: აქ უნდა ვახსენოთ დოკუმენტურ-რეალისტური ელემენტი, რომელიც თავისი არადამაჯერებლობით აბსურდის ელემენტს მატებს შიშობილით ნაკარნახევ

ნადირობის მიზან-საფუძველს: ადგილობრივი ტომის მონადირეები მისდევენ, დაჭრიან, და რატომღაც – მათთვის ჩვეული, მხოლოდ იმპულსურ ემოციაზე აგებული, არათანმიმდევრული საქციელის გამო მიატოვებენ ფენოტიპილ მსხვერპლს, რომელიც თავს ვერ დაიხსნიდა მდევერებისაგან; ეს მომენტი არ შეესაბამება არც ნადირობის სცენარს, და არც მშვიერ აფრიკელთა სანადირო იმპულსის ლოგიკას.

არც დილით გაშლილი დრამის პერიპეტეები ჩანს დამაჯერებელი: ბიჭი განიცდის, რომ სულ რაღაც “ერთი საათის წინათ ეს პატარა არსება ამაყად და თავისუფლად დააბიჯებდა ბუჩქნარში”, სიჩუმეში კი არ ისმის არც მდევერთა ტრადიციული შეძახილები და ქაოტური ყაყანი, რაც არ შეესატყვისება მსგავსი სცენების თანმდევ მომენტებს. გამოინაკლისია მხოლოდ საბედისწერო ფინალი: ამ სცენის რეალური და ამაზრზენი დეტალები დანტეს შეეძლო გამოეყენებინა თავის შექმნილი ჯოჯოხეთის სპირალში, გარკვეული რომ ყოფილიყო სამხრეთ აფრიკის, ან თუნდაც ბრაზილიის ენტომოლოგიის ნიუანსებში.

სიზრდავე ნამეზისისა და სამართალისა, და ადამიანის „აქსკლუზიური უფლება“ დრამაზე

მაშ რას მიიჩნევს ბიჭი – ავტორთან ერთად, ამ დრამის მიზეზად – უმანკო და უცოდველი ლამაზი არსების განწირულობის მიზეზად?

ფაქტია, რომ დრამის მიზეზად ვერ ვაღიარებთ ირმის სავალალო ბედს, რამეთუ **დრამაზე ლაპარაკი დაუშვებელია, როდესაც სცენაში არ არის ჩადებული ვითარების წინასწარგანჭვრეტა, შედეგის წინდანინ დაშვება – ვინაიდან დრამა გულისხმობს დამლუპველი ფინალის საფრთხეს, და რაც მთავარია, შეგნებულ ბრძოლას, გარისკვას, რამეთუ დრამასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც პიროვნება უპირისპირდება გარემოს, ობიექტურ ვითარებას, და ეს კონფლიქტი გამონვეულია პერსონაჟის პრინციპის შეუთავსებლობით და გააზრებული შეურთებლობით რეალობასთან.**

ამიტომ, **დრამის მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ირმის შეუცნობელ უმანკოებაში, არამედ შეგნების მქონე ადამიანში**, ე.ი. ბიჭის შეგნებაში: მოსახდენი მისთვის წარმოადგენს არა მოულოდნელ შემთხვევითობას, არამედ მისი ნებისა და სურვილის – ერთი გასროლით დაასრულოს ცოცხალი არსების გაბმული ტანჯვა – ამ სურვილის უკუგდებას, გაბათილებას, ანუ ამ სურვილის შეგნებულ დაძლევას და დამარცხებას, რასაც გმირი არ გაუბრძვის, რაკი თვითონვე არჩევს საკუთარი ნების უგულვებელყოფას.

დანაშაულთა ანატომია და ჩამონათვალი:

1. რატომ მიიჩნევს ბიჭი აზრს მოკლებულად თავის იმპულსს, ესროლოს და წამიერი სიკვდილით იხსნას არსება ხანგრძლივი და აუტანელი წამებისაგან?

- იმიტომ რომ მისი გადაწყვეტილება, დაეთრგუნა ეს თავისი ბუნებრივი და ადამიანური სურვილი დახმარებისა, დაეთრგუნა ლმობიერების და მოწყალების ინსტინქტი (ამ თვისებას მკითხველი საყოველთაოდ მიიჩნევს, ზოგი – არა), ანდა იმპულსი – ნაკარნახევია მისი აღზრდის სქოლასტიკური ელემენტით და პოზიციით. სქოლასტიკურს იმიტომ ვუნოდებთ, რომ ამ საქციელში ის ხელმძღვანე-

ლობს არა ადამიანური გრძნობით, არამედ სიცოცხლის პრინციპის უგულვებელმყოფი განზოგადებით, რომელსაც იგი აფუძნებს სტატისტიკით გამოხატულ ბუნების კანონსა და რეალობაზე: ვინაიდან მას საერთოდ არ ძალუძს, რომ წინ აღუდგეს მსგავს შემთხვევათა წესსა და სიმრავლეს დედამიწაზე, და გაატაროს ლმობიერების პრინციპი, ამიტომ მიაჩნია, რომ ბუნების, ანუ ზენაარსისგან დანესებული კანონის აღიარება ართმევს უფლებას “რაღაც სიბრაღის” გულისთვის დაუპირისპირდეს”ზეცითგან დანესებულს“. შესაბამისად, **ადამიანურობის დათრგუნვა** – იმიდიის განსამტკიცებლად და განსადიდებლად, რაც ადამიანმავე გამოიტანა და დაადგინა სინამდვილის ემპირიული დაკვირვებიდან – **ის სიმახინჯეა, რაც მოსდევს ანტიპუმანურობის სქოლასტიკურ თეორეტიზირებას.**

და ბოლოს, კიდევ ერთი საყვედური ლესინგის აფრიკელ პერსონაჟთა მიმართ: ბიჭს არ აღმოაჩნდა “ურჩი ანგელოზის” ბუნება, რომ თუნდაც თავის ხარჯზე, და მოსალოდნელი სასჯელის ფასად დაერღვია დანესებული სისასტიკე და ერთი სულიერისთვის მანაც მოეტანა შვება.

II. **“დრამა”, როგორც ტერმინი კიდევ შეიცავს ირმის კულტურულ-ესთეტიკური სიმბოლური სახის მარცხს.** ეს სახე ემსხვერპლა ადამიანისათვის **სიავის განმასახიერებელ სტიქიას, რომლის არსი ირაციონალური ბოროტებაა**, ხოლო ეს სტიქია წარმოდგენილია ჩვენთვის სრულიად უცხო და მიუღებელი სამყაროს სახით: მინისქვეშ მოზინადრეთა ჭიანჭველების ჯარით და ნაკადით.

მაშ რა არის ის მხატვრული ელემენტი, რაც ანიჭებს ამ სახეს ლიტერატურულ ნიშან-თვისებას – და რითაც იქმნება მისი აშკარად ანტი-ადამიანური პოზიცია და მოტივი? ეს არის ინდივიდის, ანუ გონის და ინტელექტის დაპირისპირება რიცხვსა და ზოგადად, სიმრავლესთან, რაც აღიქმება როგორც ერთეულის და ინდივიდის სრული ანნიჰილაცია.

მაშასადამე, მკითხველის აღქმაში გამოიკვეთება უმანკოება-უნყინარობა-სილამაზის (ირმის) მომსპობი ძალის (ჭიანჭველებით გამოხატული), **ორი, ცნებად აღსაქმელი ელემენტი:**

1. ზღვარგადასული სიმრავლე, აბსტრაგირებამდე მისული სიმრავლე ჭიანჭველათა; და
2. კოლექტიური მოქმედი პირის უსახურობა, ჭიანჭველათა ჯარის დეინდივიდუალიზებული ხატება.

ამ ორივე ელემენტს თანსდევს მართლაც უჩვეულო, და ლიტერატურის თვალსაზრისით, „ექსტრაორდინარული“ ნიშან-თვისება, რომლის სპეციფიკა განაპირობებს მოთხრობის მხატვრულობის დამახასიათებელ ნიშანს – დისჰარმონიას, რომლის მოტივებად (დისჰარმონიაც ხომ გულისხმობს რაღაც მოტივს!) მიგვაჩნია ის, რომ:

1) ზღვარგადასული სიმრავლე ვერანაირად ვერ უკავშირდება ჯერ კიდევ რენესანსული ხანიდან ჩამოყალიბებულ დასავლური აზროვნების და კულტურის ტრადიციული სტატისტიკის თუ გათვლების სავარაუდო პარამეტრებს, რომლებიც ცალკეული მოვლენის და ფაქტის განზოგადებასა და ობიექტივიზაციაში ისევ და ისევ ინდივიდის აპოლოგიას იყენებდნენ, როგორც სულიერი, თუ სხეულის ხორციელი მშვენიერების გადმოსაცემ ენასა და ნიშანს;

2) ჭიანჭველების ასოცირება “მირმექსთან” ანდა “მირმეთა” მითოლოგიურ სახესთან. აქ არ ვგულისხმობთ შორსმიმავალ ალუზიას მითოსთან: ამ შემთხვევაში, მოთხრო-

ბის რეალური ელემენტი დაემთხვა მის მითოსურ ფუნქციას, თუმცა მაინც იგულისხმება პოტენციური ურთიერთზემოქმედება და უშუალო პარალელი ადამიანისა და ამ არსებათა სამყაროს შორის.

მაშასადამე, ინდივიდის, ანუ გონის დაპირისპირება სტანდარტიზებულ ერთეულთან სიმრავლესთან არის ის მომენტი, რომელიც ინვესტს დისპარმონიას მკითხველის აღქმაში, მის გონებაში, თვალსა და ყურში: ჩამონათვალის თანმიმდევრობა ისევე სადავოა და საორჭოფო, როგორც კვერცხისა და ქათმის პირველადობის საკითხი, მაგრამ ამ ორივე ელემენტის განუყოფლობა ასევეა აღიარებული, თუნდ როგორც მათი ერთად დასახელების და დაწყვილების საფუძველი.

ზომორფული სამყაროს კავშირი ირაციონალურთან

ამ მოთხრობის მირმეთა-ჭიანჭველათა თემა მითოსურია და ლიტერატურული სწორედ იმ მხრივ, რომ იგი ანტილიტერატურულია და ანტიმითოსური. ორჯერ ვიხმარეთ “ანტი-“: ამ დამაპირისპირებელი პრეფიქსის მეშვეობით იქმნება უარყოფითი კავშირი ამ სახის კანონიერებასთან (ისევე, როგორც ეს ხდება, როდესაც ვმსჯელობთ ანტიუტოპიასა და ანტიგმირზე). მეორე მხრივ, უარყოფითი კავშირი მაინც კავშირია და ამიტომ უფრო მართებული იქნება, რომ “ანტი“-ს მაგიერ, “მიღმა“ ვიხმაროთ და მოთხრობის თემა გამოვაცხადოთ ლიტერატურის და მითოსის მიღმა აღმოცენებულ მოტივად; “აღმოცენებული“ შეგნებულად დავწერეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ საქმე გვაქვს ავტორის მიერ არგატვილილ მოტივთან – ტექსტის შინაარსობრივი და აზრობრივი პალიტრის სავარაუდო მოტივთან.

მითოსი ხშირად სისხლთან არის დაკავშირებული, ხოლო სისხლი კი ის იდეური და კომპოზიციური ელემენტია, რომელიც შემკვრელ ფუნქციას ასრულებს ნებისმიერ შიშისმომგვრელი არსების თუ სიტუაციის შეფასებაში:

— გმირები ბანაობენ გველეშაბათა თუ დრაკონთა სისხლის ტბაში;

— შავია მისი სისხლი თუ ბინძურია, მედუზა გორგონას მაინც სისხლი სდის, მას შემდეგ რაც პერსევსი თავს მოჰკვეთს, და ყველა ამ მტერს ადამიანისას მუდამ აქვს თავისი საკუთარი, ინდივიდუალური ღირსება – და არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანის სამყაროსათვის დადებითი თუ მინუს ნიშნით წარმოდგება.

მაგრამ სისხლი ამ სცენებში არ არის ნახსენები, და ერთადერთი მგრძნობელობითი ნიშანი, რომლის აღქმა შეუძლია ბიჭს ამ მირმეთა ნაკადსა თუ მოქცევაში, მათი გამოწყობი და თანმდევი სუნია, მძაფრი მუავის სუნია. ამ დეტალის წყალობით, ჩვენ მითოსური ზომორფული სამყაროდან გადავიდვართ უკვე პრეისტორიულ და მითოსის წინმსწრებ სამყაროში, სადაც სუფევს ქიმიურ ნივთიერებათა განსაკუთრებული, არავერბალური წყობა-ქაოსი და მათი სამყაროს ამოუცნობი ენის ანბანი; ეს ის ხანაა, რომელსაც – გეოლოგიურ ისტორიასთან ერთად — არჩეული ლიტერატურული რაკურსის ენაზე შეგვიძლია შევარქვათ კიდევ სათავე და შეუცნობელი წყარო იბანენ-

ტური ბოროტებისა, რომლის არსებობა შექსპირმა “მაკბეტში” გახსნა, ხოლო ჯადოქრები, მისი ემანაცია, მან “მინის წიაღიდან ამოსულ ბუშტულებად” შეარცხა.

ხოლო თუ გავიხსენებთ დორის ლესინგის სუფიზმით გატაცებას და ინტერესს აღმოსავლური რელიგიების მიმართ, მაშინ დამატებით უნდა ვიგულისხმოთ ჩამოუყალიბებელი პარალელი (ყოველ შემთხვევაში, ავტორის შეგნებაში) ჯერ კიდევ ზოროასტრიზმის ნაქადაგევ სამყაროს ორპოლუსიან სანყისთან.

მსგავსი სიგნალები ამოუცნობი და შესაძლებელი დრამატული განვითარების, რაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის გაუაზრებელ არსებობას და კონფლიქტს გარემოსთან, “ბიოლოგიურ მუქარად” იყო აღქმული XXსაუკუნის დასაწყისში, და “პოპულარული და გასაგები” ფორმით აირეკლა ო’ნილის ექსპრესიონისტული ხანის პიესაში “ბანჯგელიანი მაიმუნი”, რომლის დამაგვირგვინებელი რემარკა გვამცნობს ტექნიკური ცივილიზაციისაგან თავდახსნილი ველური “ზოოლოგიური ძალის” პირველ ნაბიჯებს ადამიანთა სამყაროში, ღამით დანახულ ჩვენს “საცხოვრისში”, სადაც ეს მხეცი: მუქარისებრ მიაბოტებს ბნელში... — და ეს “ბნელი” ამ რემარკისა ისევე სავსეა უსიტყვო და რეალური მუქარით, როგორც “ტრამალის” თემა, და იდეა, რომლის გააზრება დორის ლესინგმა ბიჭს არ აღირსა.

მაიას ბადის ქვეშ გაშლილი სინამდვილე: 4X4 "ყველგანმავალი" ტრადიცია და გროტესკი

1960-იან წლებში გამოცემულ, ამერიკული ლიტერატურული ტრადიციისადმი მიძღვნილ სოლიდურ ქრესტომათიაში საკმაოდ ვრცლად იყო აღბეჭდილი იმ კონტინენტის პირველმოსახლეთა დღიურები და ქრონიკები, რომელთა შორის, სხვა საინტერესო მოტივებსა და დეტალებთან ერთად, ჩემი ყურადღება იმთავითვე მიიქცია ერთმა ეპიზოდმა ჯონ ვულმენის, კვაკერთა სექტის სახელოვანი მქადაგებლის ჩანანერებში, სადაც იგი იხსენებს ბავშვობისდროინდელ ამბავს, რომელიც მას გადახდა და რომელიც მან შემდგომ საფუძვლად დაუდო სამამოდ პრეტენზიულ სილოგისტურ კონსტრუქციას. ამ პროცესში ის, ცხადია, ხელმძღვანელობდა საკუთარი რელიგიით თუ აღმსარებლობით (თვითონ რა სიტყვას ირჩევდა საამისოდ კვაკერი ვულმანი, ამას ვერ ვიტყვი) ნაკარნახევი რალაც პრინციპით, რომელიც მას კონკრეტულად არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ ამას არც აქვს რაიმე მნიშვნელობა, რადგან ვაპირებთ თვით ამ მასალის ციტირებას. ამიტომ მოგვყავს ამ ეპიზოდის შინაარსი, რომელიც თითქოს ეპასუხება – ან უფრო სწორად, ლესინგის გვიანდელი პროზა ეპასუხება ამ ტექსტს, დაწერილს 1756-1774 წლებში.

ჩემს ბაღლობაში ერთი საგულისხმო რამ გადამხდა: ერთხელ მეზობელთან ვიყავი მისასვლელი, როდესაც გზაზე გულწინათ მოვკარი თვალი, ბუდეში იჯდა და, რომ მივუახლოვდი, ამოფრინდა, მაგრამ რაკი ბუდეში ბარტყები ეგულებოდა, ბუდეს თავზე დასტრიალებდა და შეწუხებული იკლებდა იქაურობას გაუთავებელი სტვენით. გავჩერდი და დავუნყე ქვების სროლა, ბოლოს კიდევ მოვარტყი და ჩამოვაგდე. ჯერ თითქოს გამეხარდა კიდევ ჩემი ვაჟაცობა,

მაგრამ ცოტა ხანში თავზარი დამეცა ჩემს საქციელზე, რომ გართობა-გართობაში უწყინარი არსება შემომაკვდა, მაშინ როდესაც ის თავისი შვილების მოვლით იყო დაკავებული. უცებ გავიაზრე მომხდარი და წარმომიდგა ის საბრალო, მკვდარი რომ ეგდო მიწაზე, მისი ბარტყები კი, რომლებზეც ასე ზრუნავდა – ეხლა მათაც სიკვდილი ელოდა, რაკი დედის ვეღარ აჭმევდათ. ერთხანს ვფიქრობდი და განვიცდიდი ამ საშინელებას, მერე ავძვერი ხეზე, ბუდიდან ამოვსხი ყველა ბარტყი, ძირს ჩამოვედი და სუყველა დავხოცე, რადგან ჩავთვალე რომ ასეთი ბოლო სჯობდა, ვიდრე დარჩენილიყვნენ უწყვეტმოხი და სული საცოდავად ამოხდომოდათ დედის ნატვრაში. თან მჯეროდა, რომ ამ შემთხვევაში აღვასრულე წმინდა წერილში ნახსენები „იგავნი სოლომონისა“, XII, 10. „მართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტული გული კი სასტიკია“.

ამ ამბავს კიდევ ერთი ამბავი ეპასუხება, მაგრამ მანამდე ჯერ ვცადოთ და გავერკვეთ, რა უტრიალებდა თავში ამ ფორმალურად ღვთისმოსავ ყმაწვილს. მაშასადამე, პატარა ვულმენს უფრო სამართლიანად მიაჩნდა, რომ სიკვდილის წინ, ვიდრე კისერს მოუგრეხდა, წამით მაინც “განენათლებინა” ობოლი ბარტყები და “შეეგნებინებინა” მათთვის, რომ სიცოცხლე მკაცრია და დაუნდობელი? ფაქტია, რომ რაღაც ამ მსჯელობის მსგავსი ტრიალებდა მის თავში – ზუსტად ისე, როგორც და რაც უტრიალებდა თავში ლესინგის გმირს. გამოდის, რომ თუკი აღიარებდა არსებობის დაუნდობლობას, მამ ისიც მიაჩნდა, რომ გარკვეულ კატეგორიას, რომელიც ბედმა მსხვერპლად აქცია, კიდევ მართებს თვითონვე აღიაროს ამგვარი წესის სამართალი, რაკილა ის ზენაარსისგანაა დანესებული? – იძულებული ვართ, ასე ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გავერკვეთ მისი დანაშაულის მამოძრავებელ იმპულსებში, რათა მართებულ დასკვნამდე მივიდეთ.

თუკი ასეა, მაშინ შეიძლება ასეთი სამართალი გავაიგივოთ იმ სამართალთან, ფლობერს რომ აქვს აღწერილი “სალამბოში”, სადაც ბაალის თუ მოლოქის მკლავგაშლილი სპილენძის ვეება ქანდაკების ხელისგულზე თოთო ბავშვებს აწვევინებდნენ, როგორც ამას ითხოვდა მკაცრი სემიტური რელიგიის მსხვერპლმწიფის წესი.

საქმე ისაა, რომ პროტესტანტთა ხედვაში, ღმერთის ბრმა სიმკაცრე და ამოუცნობი დაუნდობლობა უპირისპირდება ბერს იმ მომენტს, რაც წარმოადგენს რენესანსული ეთიკისა და ესთეტიკის არსსა და კანონებს. ამიტომაც განწირული შვლის განიწვავა აუტანელ წამებაზე აყალიბებს ლესინგის გმირის ნაკლულ ფილოსოფიას, სწორედ იმ ფილოსოფიას, რაც ახლო იყო თვით ლესინგის შეგნებასთან ბავშვობიდანვე, და რაც ასე უცნაურად გადაეხლართა უკვე აღნიშნულ ვაგლენებს, რომლებიც მან შემდგომ განიცადა ცხოვრებაში – გინდ მისი ინტერესი გავიხსენოთ აღმოსავლურ რელიგიათა მიმართ, და გინდაც მისი მუულის პოლიტიკურ შეხედულებათა ვააზრების მცდელობა.

ფაქტია, რომ “ძველი აღთქმის” დაუნდობელი და დამსჯელი ღმერთის სწამდა ჯონათან ედვარდსს, ორი საუკუნით რომ დათრგუნა ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს პურიტანთა კონგრეგაცია, თავის ქადაგებათა კრებულში – “Sinners in the Hand of an Angry God” (1741), სადაც ის ჩემობდა განმგებლის სათქმელს და ლამის ვაგნერიანული სიმფონიის პათეტიკით და გოროზი სიდიადით აშინებდა და

ემუქრებოდა მრევლს: “**მეორე რჯულის**”, XXXII. 35 ციტატით – “მე მივაგებ შურს, მე მივუზღავ, როცა წაიფორხილებენ” – და ამ ტიპის ტექსტით: მრისხანება ღვთისა წყალთა სიუხვეს მიჰგავს, ჯერ დაგუბებულს; და იმ წყლის რაოდენობა მარად იზრდება, ადის სულ მაღლა და მაღლა, სანამ არ მიეცემა მათ დასაცლელი, და რაოდენ დიდხანს იყოს ნაკადი შეჩერებული, მით უფრო სწრაფად და შემმუსკრელად გადმოიღვრება, როცა კი დადგება ჯერი მისი თავისუფლების. დიახაც, ჯერ არ დამდგარა დრო, რათა აღსრულდეს სამართალი თქვენსა ავსა საქმეთა მიმართ, და ყოვლისწამლევკ შურისძიებას ღმერთისას აღვირი აქვს ამოღებული, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ბრალი თქვენი მარად იზრდება დასაბამიდან, თქვენ კი, უგვანო, დღითიდღე კვლავ ზრდით იმ საგანძურსა მის მრისხანების... (რასაკვირველია, ედვარდსს არ უხსენებია არც “დასაბამი”, არც “იმ” და “აღვირი”, და არც “უგვანო”, და ეს სიტყვები მე დავამატე მის ამ მონოლოგს, რათა ქართულში უკეთ გადმომეცა მუსიკა და ტონი ამ ქადაგების ინგლისური ორიგინალისა; არცერთი ჩართული სიტყვა არ არღვევს ამ ციტატის აზრსა და განწყობას, პირიქით, გვეზმარება, რადგან ვულმენი პატარობიდანვე მათ სამყაროში, მათი ვაგლენით ყალიბდებოდა, და მსგავს ფრაზათა ძალა მით უფრო გასათვალისწინებელია, თუ გვინდა გავერკვეთ ამ საქციელის ჩამდენი ბიჭის აზრებში).

— ყოველ შემთხვევაში, ამ ტიპის ქადაგებას ბოლო არ უჩანდა, ხოლო ჯონ ვულმენი გულით ცდილობდა მის დამჯერად რომ გაზრდილიყო (“გული” ამ შემთხვევაში ქართული გამოთქმის კუთვნილებაა, თორემ ისიც ვიცით, რას დაუჯერა მისმა გონებამ თუ უგუნურობამ, როცა ბარტყებსა ხოცავდა). ასეთი სემიტური “წარმომავლობის” ღმერთის ხედვა და იდეა ნებისმიერ ინტერპრეტაციაში, კლავინისტურიდან დაწყებული, პურიტანული ეკლესიის რაიმე განხრის ჩათვლით – ის პოლუსია, რომელიც უპირისპირდება ყველაფერ იმას, რასაც ვაკავშირებთ რენესანსსა და ევროპულ კულტურასთან.

ამიტომ ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ ეს პარალელი ასაბუთებს დორის ლესინგის შეგნებულ თუ შეუგნებელ, მაგრამ მაინც არსებით კავშირს ინგლისურენოვანი კულტურის წარსულსა და ლიტერატურულ ტრადიციასთან. “შეუგნებელი” იმიტომ დაგნერე, რომ, არა მგონია, მას ყურადღება მიექციოს 1960-იან წლებში გამოცემული ქრესტომათიის ერთი პატარა ნარკვევისათვის; იმხანად იგი ძირითადად ნოველებს წერდა ყოფით ან ფსიქოლოგიურ თემებზე სამხრეთ აფრიკის რეალობიდან.

ახლა განვმარტავ, რატომ შევრაცხე 4X4 “ყველგანმავლად” ტრადიცია და გროტესკი: იმიტომ, რომ ასეა და კულტურულ კავშირთა არათუ მინიმუმის, არამედ არარსებობის შემთხვევაშიც თავს იჩინებს როგორც ჟანრის იმანენტური თვისობრიობის ნიშანი (რასაც დიდი ადგილი ეთმობა ჩემს წიგნში: “დრამა: ჟანრის ესთეტიკა და ტიპოლოგია”, 2008, სადაც განხილულია ჟანრის ევოლუცია და პარალელები ანტიკურ და აღმოსავლური თეატრის განვითარებაში), ასევე ამ თვისების ბიოლოგიური საფუძვლები (რაც აისახა ჩემს ესეიში, “Даймон”, 2001, რომლის იდეა ფორმათა ფრაქტალობაზე განაპირობა მარინა შადურის ნაშრომმა: “Незримое, неделимое, очевидное – Центр биоголографии, М. 2005”).

განხილული თემის მართლაც და მამაგვირგვინებელ არ-გუმენტად მეგულება კარგა ოცდაათი წლის წინათ გაგონილი ამბავი, რომელიც ერთმა კინორეჟისორმა თუ ოპერატორმა მოყვა მაშინდელი “გრუზია ფილმის” ერთ-ერთ განათებულსა თუ დამხმარე მუშაზე. გადამღები ჯგუფი აპირებდა კახეთისკენ გამგზავრებას და ის მუშა ნამუსზე შეაგდეს, “კახელი კაცი ხარ და შენინანებთან არ უნდა გვაქეიფოო?” – “მე კახელი კი არა, ქიზიყელი ვარო” – შეუსწორებია. ის აღარ უთხრეს, “ვინც გინდა იყავი, ოღონდ გვაპურმარილო”, მაგრამ ზრდილობისათვის უკითხავთ, “თქვენში ხომ მეტსახელის შერქმევა იციან და რას გეძახიანო?” – ის ბიჭი ჯერ შემშუმუნულა, მერე მაინც უთქვამს, “მამაკვლიანთასო”. ხალხს, ცხადია, გაჰკვირვებია ასეთი სახელი და მიზეზიც უკითხავთ, და კიდევ მოისმინეს იმ ოჯახში შემონახული ამბავი. აღმოჩნდა, რომ იმ ბიჭის პაპის პაპის პაპას – იქნებოდა ალბათ XIX საუკუნის დასაწყისი – კამეჩი ჰყოლია, მაკე, და შვილს რომ გაუყვანია ნყალზე, მამამისი დამუქრებია, “რამე რომ დაემართოს, ხომ იციო!” ის კაცი კიდევ ისეთი სასტიკი, მრისხანე და თავისნათქვამა ყოფილა, რომ შვილს კი არა, მთელ სოფელს ემინოდა იმისი.

ბიჭს ის კამეჩი ალაზანზე ჩაუყვანია, თოფიც თანა ჰქონია, ხიფათიანი დრო იყო. თურმე ძალიან ცხელია და ამ ბიჭს ჩასთვლიდა. გაეღვიძა და რას ხედავს: კამეჩს უკვე ზაქი მოუგია, მაგრამ ტლანქსა და ზორბას, ქვეშ მოჰყოლია და საბრალო ზაქი გაგუდულა. ბიჭს ელდა ეცა, მამამ ხომ სწორედ ეგ დააბარა, რომ მიეხედა მშობიარე ცხოველისათვის. იჯდა თურმე და ვერც ბედავდა შინ მისვლას, “რა ვუთხრა, ხომ იქვე გამათავებსო!” და რომ დაუგვიანია, მამა ნამოსულა, “სად არის აქამდე, რა მოხდაო”, და ახლოს მისულს რომ დაუხანავს ის სურათი, ისეთი უღრიალია, რომ ბიჭმა – იმის შიშით, რომ არ მომკლასო – თავზარდაცემულმა თვითონ დაახალა ტყვია და სულიც გააფრთხობინა.

რისთვის მოყევი ეს და რა კავშირშია ამასთან მაია? – რასაკვირველია, არა იმისთვის, რომ რაიმე პარალელი გამოემქებნა მაშინ ჯერ არ დაბადებულ ალექსანდრე ყაზბეგთან. ეს ამბავი გაცილებით უფრო ადრე გავიგე, ვიდრე ზემოხსენებული ორივე ავტორის ნამოღვაწარი, ლესინგისაც და ვულმანისაც, მაგრამ განწყობა-აზრობრივი სამკუთხედი მაინც შეიკრა, როგორც უცნაური სეგმენტი იმ გამჭვირვალე ქსელის თუ ზადისა, რომელსაც მაია, ზმანდისა და ილუზიის ქალღმერთი ინდურ მითოლოგიაში, უხსოვარი დროიდან აფრიალებს, ზოგჯერ ხილულს, და ხშირად უხილავს, ცხოვრების ფერადოვანი რეალობის რელიეფური მაკეტის თავზე, როგორც მინიშნებას იმანენტური კავშირის შესაძლებლობაზე, მასამ რომ მხოლოდ მისი ტექნოლოგიური იპოსტასი, ინტერნეტის წნწ-თა ტრიადა იჯერა.

რას უნდა დავაბრალოთ ამ დაუკავშირებელ ელემენტთა მსგავსება, რომელიც ექითი და გამოძახილით არ არის გამოწვეული და უფრო მოვლენის ფრაქტალურ ტიპოლოგიაზე მეტყველებს, ანდა ამ მოვლენის განვითარების იმანენტურ გეზზე; იმ ფრაქტალობის, რომელიც ზემოთ ვახსენე და რომლის მამტიკიცებელი საბუთი ძალზე მარტივად ამოიცნობა სხვადასხვა ფაქტში?

— სიბრიყვის გენეტიკურობას თუ იერარქიულ სუბორდინაციას და იმ მომაკვდინებელ შხამს, რითაც გაყდენთილია სუბორდინაციის აბსოლუტიზაციის პრინციპი, და რომლის საჭიროება ყოველდღიურობაში ლამობენ ყველა-

ნი — სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურებიდან დაწყებული, რელიგიური ინსტიტუტებით დამთავრებული?

— ალბათ უფრო სიბრიყვის გენეტიკურობა პირველადი, ის მონანილობს და აყალიბებს ეგზისტენციალურ სისტემათა სტრუქტურას, და ალბათ ამიტომ გაცილებით მეტია საერთო, გეოგრაფიის უცოდინარ მამაკვლიანთა გვარის “დამაარსებელსა” – და ჯონ ვულმენად ჯერ არჩამოყალიბებულ, პურიტანთა მომავალ “ხევისბერს” შორის; ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტია მსგავსება, ვიდრე იმავე ვულმენსა – და მისსავე ენაზე მოლაპარაკე პირველ პოეტ-ქალს, ენ ბრედსტრიტს შორის, რომელსაც იმავე ეპოქაში, ინდიელთა ისრებისა და ტომაპაკეების გარემოში, რვეული გავესო სრულიად არააქტუალური და უცხო სამყაროდან მოზიდული სახეებით და ფეხისისა და ანაკრონტის ანაქრონიზებით.

აქამდე ჩატარებული ანალიზიდან და მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ განხილულ ფაქტებს აერთიანებს დრამის მონმისა და მაცქერალის თვითგადარჩენის მოტივი, მაგრამ ხომ არის კიდევ სხვა, ასეთივე მნიშვნელოვანი მიზეზი?

ხილულისა და უხილავის, გასაგებისა და ბევრისათვის ამოუცნობის თანაარსებობა მოსდევს მუდმივ იდეად – დაწერილსაც და მონაყოლს. ამიტომაც არ ილევა ცდა და ვერსია ტექსტის ახსნისა და ინტერპრეტაციების – გინდ დაწერილის, გინდა ნათქვამის ანდა ნამღერის.

როცა შორდები მოვლენას, მგონი, აღარც კი იცი, რა სჯობს – ეცადო გაიგო მისი აზრი, მისი გამომწვევი მიზეზი გაიგო, თუ იკმარო სურათის მშვენიერება, თვითონვე რომ აჩენს ახალ შინაარსს; მითუმეტეს, რომ მისი კომპოზიციის კლაკნილი თუ სიმეტრია, ფორმას რომ ქმნის და აყალიბებს – იქნებ მეტსაც იძლევა, ვიდრე სურათის თავდაპირველი მიზეზი, რამაც განაპირობა ელემენტთა ასე დალაგება.

ასე უნდა იყოს, მით უფრო, რომ ასე შორსა ვართ ყველასა და ყველაფრისაგან: იმათგან, ვინც ითავა თქმა და დახატვა, და იმათგან, ვინც იქნებ ახლაც გვერდით გიდგას. და მაშინ გიჩნდება ის უტაქტო, ლამის მკრეხელური აზრი, რომელიც ლესინგის მიმართ გამოთქმული, ზემონახსენები შენიშვნის პერიფრაზად ჟღერს

თუ გაიაზრა მისმა შემქმნელმა მოვლენის ხედვის პარამეტრები – სადღეისოდ და სამეოროდ?

მსგავსი ფაქტებიც ხომ ხშირია? მახსოვს, ქაიროს ისტორიულ მუზეუმში, ტუტანჩამონის სარკოფაგის ირგვლივ ხელჩაკიდებულ მხევალთა ფიგურების ჰაეროვნებით დაამუნჯებულს, ჩამესმა ერთ-ერთი მნახველის სიტყვები, კრიტიკულად ნასროლი: "А золото-то будет 56-ой пробы, не больше".

რამდენად დამაჯერებლად აღიქვამს მკითხველი შემდეგ ფრაზას, არ ვიცი, მაგრამ რატომღაც ანდერსენის ის ზღაპარი გამახსენდა, ერთმა ბიჭუნამ რომ წამოიყვირა შიშველი მეფის დანახვაზე, ქუჩაში ამაყად რომ მოაბიჯებდა: “შეხედეთ, არც არაფერი აცვიაო!”

“ტრამალის” მსგავსი მოთხრობები, და კიდევ უკეთესიც, უამრავია, თუნდაც ინგლისურად დაწერილ პროზაში; ამიტომ, რამ განაპირობა ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ საპატიო მანტია მოესხათ ამ ავტორისთვის, ამაზე ალბათ მოგვიანებით ვიმსჯელებთ, მითუმეტეს, რომ მისი დიდების მომტანი ახსნაც და მიზეზიც, ლესინგის გვიანდელი ხანის შემოქმედებაში გვეგულება, “სამეცნიერო ფანტასტიკის” კატეგორიად რომ მოიხსენიება. ვნახოთ.

მალალი კლასიკა

□

მარინა რევიშვილს ესაუბრება დავით ნარედიანი

— ბატონო დავით, მინდა მოგილოცოთ ამ დიდი საქმის გასრულება — გოეთეს „ფაუსტის“ თარგმანა (რამდენადაც ვიცი, მეორე ნაწილიც მალე გამოვა). გავიგე, ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა ახალ გამოცემასაც ამზადებს, ამჯერად უკვე „სამეფო ყდაში“ ჩასმულსა და ილუსტრაციებით შემკულს. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო ლამაზად იქნება გამოცემული, როგორც იმსახურებს ეს ნაწარმოები და როგორც ბაკურ სულაკაურის გამოცემლობისაგან მივეჩვიეთ.

და კიდევ (გთხოვთ ირონიულად ნუ გაიღიმებთ) — ქართული ლიტერატურისა და კულტურის ეს უძვირფასესი შენაძენი მინდა იმ ქართველებსაც მივულოცო, ჯერ რომ არ დაბადებულან და მრავალი ათეული წლის შემდეგაც ექნებათ ბედნიერება ქართული „ფაუსტის“ წაკითხვისა.

— ძალიან დიდი მადლობა. მაგრამ, მოდით, არ გვინდა ამდენი კომპლიმენტი. რაიმე კონკრეტული შეკითხვით დავინწყით. ზოგადი საკითხებზე არ გვინდა, საერთოდ თარგმანზე რას ვფიქრობ და ასე შემდეგ. ზოგ რამეს საუბარი თვითონვე მოიტანს.

— რამდენადაც ვიცი, დიდხანს მუშაობდით. როგორ და რა ტემპით წარიმართა მუშაობა?

— კი, დიდი ხანი ვამომივიდა. თუმცა პაუზებზეც დიდი დიდი მქონდა, ძალიან ინტენსიურადაც არ მიმუშავია. იყო წლები, ოციოდე სტრიქონს თუ მივუმატებდი, ზოგჯერ იმასაც არა. თუ გახსოვთ, ნაწყვეტები „ჩვენს მწერლობაშიც“ ქვეყნდებოდა. როცა ლევან ბრეგვაძე ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი გახდა, შემომთავაზა, გაგრძელებებით დაგვებეჭდა. დაახლოებით შუამდე ვიყავი მისული. ჭკუაში დამიჯდა, რაღაც ვალდებულებას ვიგრძნობდი. ჟურნალი ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, ერთი ან ორი სტრიქონს თარგმანს თამამად ვასწრებდი. თქვენს ჟურნალში ეს არ მოხერხდებოდა, რაკი გაცილებით ჩქარჩქარა გამოდის. მოკლედ, ასე დაბოლოვდა ეს საქმე.

— ყველაზე რთული რომელი ეტაპი იყო?

— ცხადია, დასაწყისი. მერე და მერე შრომა ან შედარებით ადვილი ხდება, ან ყოველად შეუძლებელი. პირველი ლექსის თარგმანა, „მიძღვნა“ რომ ჰქვია, მეტად რთული გამოდგა, რამდენჯერმე მივუბრუნდი. ძალიან ძლიერი ლექსია (დედანზე ვამბობ), არადა, განსაკუთრებით ორიგინალური შიგ არაფერი წერია, რასაც შეიძლება მთარგმ-

ნელი მოეჭიდოს. ღონიერი სტრიქონებით უნდა გადმოიცეს განცდის გრადაცია და მისი აბსოლუტური ემოციური სიმართლე. კეკლუცობას არ დავინწყებ, ბოლო ვარიანტში, ვფიქრობ, ეს შეეძელი.

შემდეგმა სტროფმაც, ანუ მთავარი ტექსტის პირველმა სტროფმაც ძალიან გამაწვალა. მერე და მერე საქმე უფრო იოლად წავიდა. ბოლოსკენ უკვე გაცილებით სწრაფი ტემპითაც შემეძლო მუშაობა, ეტყობა, პაუზებსაც ახლდა რაღაც დადებითი, ტექსტს საკმაოდ შევეჩვიე. მაგრამ ნათქვამი, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჯაფა არ გადამხდომოდეს. დიდი ენერჯია წაიღო.

— განსაკუთრებით რომელი ადგილები მოგწონთ?

— თავისებურად ყველა მომწონს. ფაუსტისა და მეფისტოფელის პირველი ორი დიალოგი კონცეპტუალურად ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია.

— მეორე ნაწილი როდის გამოვა?

— როგორ გითხრათ... არ ვიცი, საერთოდ მიღირს თუ არა...

მთელი მუშაობის განმავლობაში გერმანისტთა ერთი წრის განუწყვეტელი რეფერენები მესმოდა: „როგორ ბედავს „ფაუსტზე“ ხელის მოკიდებას, ჩვენი ლექციები არ მოუსმენია“! „ავლაბრულ ენაზე თარგმნის“! „ძნელ ადგილებს მიადგა და იძულებული გახდა, მიეტოვებინა“! „მილიონს ითხოვს“! „წარმოგიდგენიათ? სრულ მილიონს ითხოვს“! „მიატოვა“! „ახლა კი ნამდვილად მიატოვა“!

„ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ, ორი წიგნი ვათხოვეთ! უბრალო საქმე ხომ არ გგონიათ ორი წიგნის თხოვება“! — ეს უკვე პრესაში დაინერა, წიგნივადის გაზეთში.


მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთი კეთილისმსურველი სიტყვა „საშვილოშვილოთი“ მამხნევებდა, რისაც, დიდი ხანია, დანამდვილებით აღარ მჯერა.

— როგორც ვიცი, მეორე ნაწილზეც თითქმის თარგმნილი გაქვთ.

— ჯერ დასამთავრებელია. მაგრამ ჩემი დამოკიდებულება ამჯერად სხვაგვარია. პირველი ნაწილი უფრო იმიტომ დავასრულე, უკვე გაკეთებულის გადაყრა მენანებოდა, ეს კი, სიმართლე გითხრათ, ძალიანაც აღარ მენანება. მხოლოდ სხვათათვის კეთდება, ბევრს უკვე აღარაფერს მაძლევს. პირველმა მართლა ბევრი რამ შემძინა. თუმცა, მოდით, მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

— რა გაეწყობა. მაგრამ ბოლომდე თუ არ მიიყვანთ, არ იქნებით მართალი. თუნდაც მომავლის წინაშე. მე ასე მგონია. მაშინ ასეთ შეკითხვას დავისვამთ: საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „ფაუსტი“ სათარგმნელად ურთულესი ნაწარმოებია, მაინც განსაკუთრებით რთული და ძნელი რომელი ადგილები გამოდგა?

— რთული და ძნელი ამ შემთხვევაში რამდენადმე განსხვავებული ცნებებია. რთული სათარგმნია, მაგალითად, მეფისტოფელი რომ რაღაცას „ჩაახვევს“, მოულოდნელსა და ქვეტექსტებიანს, თან ხმაში ხითხითი რომ ისმის. ძნელი სათარგმნი კი, რითმთან ლექსში, ვთქვათ, ასეთი დიალოგია: „გამარჯობა. — გაგმარჯოს. როგორ გიკითხო?



— კარგად. შენ? — მეც არა მიშავს“. თუ თავი გაართვი, პირველ შემთხვევას ერთგვარი სიამოვნებაც ახლავს. მეორეს — არავითარი, მარტივად, ქვის კოდვავა. საბედნიეროდ, „ფაუსტში“ მსგავსი რამ არც ისე ბევრია. „ჩვენი სალამი, ბატონებო! — სტუმრებს ვახლავართ!“ ამგვარი ბუნებრივი შესიტყვება ზოგჯერ გაცილებით ძნელი ასანყოფილები ხდება, ვიდრე რომელიმე ღრმააზროვანი სენტენცია. მკითხველი, საერთოდ, ძნელად თუ მიხვდება, რა იყო რთული და რა მარტივი. მაგალითად, იმ პასაჟებზე, სადაც მეფისტოფელი ფაუსტს პირველად ხვდება, უმეტესნი ალბათ დარწმუნებით იტყვიან, რომ დიდი შრომის ფასად ითარგმნა, ავილოთ თუნდაც ეს ადგილი:

სული ვახლავართ მუდამ ყოვლის უარმყოფელი და სწორიცა ვარ, რაც შექმნილა, გაქრეს, ჯობია, დიახ, პირწმინდად, უკვალ-უკლებ მოსასპობია და, რომ არასდროს შექმნილიყო, ის აჯობებდა, ანუ, მოკლედ და უქარაგმოდ, რასაც ცოდვებად, წაწყმედად ნათლავთ, ბოროტება რაზეც გიქვიათ, ვახლავთ, ასე ვთქვათ, ძირეული ჩემი სტიქია.

არადა, სიტყვები თითქმის პირდაპირ დასხდა, გაუნვალებლად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ირონიაც და თვითირონიაც საკმაოდ შეფარულია, საქმე მთლად ხითხითამდე არ მიდის. ხითხითი უფრო აქედან ისმის:

ღმერთს რომ ექვსი დღე ჰქონდა ჯახირი და ზედაც მალ-მალ ბრავოს ძახილი, ჩანს, აზრიანიც რა-რამ გარია...

მეფისტოფელი ბიბლიურ შესაქმეზე ქილიკობს, სადაც რამდენჯერმე მეორდება: „შექმნა ღმერთმა... და ნახა, რომ კარგია“... ახლა აღარ მახსოვს, რამდენად გამანვალეს ამ სტრიქონებმა. ისე, ყოველ მათგანს სრული კონცენტრაცია სჭირდება. მაინც გოეთეა, „ფაუსტი“, მაღალი კლასიკა...

— **უნინდელ თარგმანებზე რა აზრისა ხართ?**

— ყველას პატივისცემით ვუყურებ, ვინც ამ საქმეს შეეჭიდა. თარგმანები, ჩემი აზრით, ერთმანეთს ბოლომდე არ აუქმებენ, თითქმის ყველა მათგანში შეიძლება რაღაც საინტერესოს დანახვა. ისე, ძალიან რომ მომწონდეს, ცხადია, ხელსაც არ მოვკიდებდი. ობიექტურად, საშუალოზე ნაკლები დონეა.

— **რუსულად პასტერნაკისა და ხოლოდკოვსკის თარგმანები მიაჩნიათ გამორჩეულად. თქვენი აზრით, რომელია უკეთესი?**

— ეგ მხოლოდ რუსულენოვანთა შესაფასებელია. მე პირადად უფრო ხოლოდკოვსკისკენ ვიხრები.

— **რატომ? პასტერნაკი ხომ უდიდესი ოსტატია.**

— რა თქმა უნდა. ოსტატობით ხოლოდკოვსკი ბევრად ჩამორჩება. მაგრამ, ჩემი აზრით, დედნის სული და სტილისტიკა მასთან უკეთ არის ნაგრძნობი და გადმოცემული. ამკარად ეტყობა, რომ ეს ნაწარმოები, პასტერნაკისაგან განსხვავებით, მართლა გულით უყვარდა.

— **ფრანგული თარგმანები თუ გინახავთ?**

— სულ ვაპირებდი და რატომღაც მიმავინცდა. როგორღაც ხელში არ მომხვედრია. ფრანგებს პროზად ექნებათ ნათარგმნი, ტრადიციულად ლექსსაც პროზად თარგმნიან.

— **პროზად თარგმნა რამდენად გამართლებული გეჩვენებათ?**

— ორივეს აქვს თავისი უპირატესობა. პროზაული თარგმანიდან უფრო ზუსტად გაიგებ, დედანში რა წერია, მაგრამ ვერ გაიგებ, როგორ წერია. პოეზიაში კი ალბათ მაინც უმთავრესია, — როგორ. ამდენად, პოეტური თარგმანი უფრო სრულფასოვანია, თუ რა თქმა უნდა, დედანს ძალიან არ დასცილდი.

ალბათ მკითხავთ, ჩემი თარგმანი რამდენად ზუსტია. ვცდილობდი მაქსიმალურად ზუსტი ვყოფილიყავი. მაგრამ პოეზიაში სიზუსტის კატეგორია სხვადასხვაგვარია. ავილოთ, მაგალითად, მეფისტოფელის მიერ თავის თავზე ნათქვამი:

ვარ იმ ძალის ნაწილი ერთი, დღემუდამ ბოროტს რომ იზრახავს და სჩადის კეთილს.

აქ სიტყვა სიტყვაში უნდა იჯდეს, სათვალავითაც კი. არავითარი საძრაობა. ხოლო გრძნეულის სამზარეულოში წარმოთქმული ასეთი რეპლიკა, —

რა დულს ამ ქოთნით? ავყროლ-ავქოთდით! —

სიტყვასიტყვით იქნება თუ არა თარგმნილი, მეათეხარისხოვანია. საკმარისია, სტილისტიკური და ტონალური შესაბამისობა იყოს დაცული.

ლირიკაში კი („ფაუსტში“ ლირიკული ადგილები ძალიან ბევრია, მხოლოდ ჩართულ სიმღერებში არა, ძირითად ტექსტშიც) სიზუსტეების მთელი კასკადი არსებობს, გადამწყვეტი სიტყვა გემოვნებასა და ინტუიციას ეკუთვნის. სულ სხვა მაგალითს მოვიყვან, „ფაუსტთან“ რომ არავითარი კავშირი არა აქვს. გალაკტიონის არქივში არის ერთი ცალად დარჩენილი სტრიქონი, რომელიც პოეტს, როგორც ჩანს, არ მოეწონა და აღარც მიბრუნებია: „მე შევისწავლე განშორების მეცნიერება“. მანდელშტამის სტრიქონია — „Я изучил науку расставания“. მეტი სიზუსტე შეუძლებელია. არადა, რუსული სტრიქონი ბრწყინვალეა, ქართული — სრულიად უფასური. თავს არ შეგანყენთ განმარტების მცდელობით, თუ რა მიზეზით ხდება ასე. ფაქტია, რომ ეს არ არის სრულფასოვანი თარგმანი. სრულფასოვანმა თარგმანმა შეიძლება სიტყვები ზუსტად არ გაიმეოროს, მაგრამ აუცილებლად უნდა გაიმეოროს დედნისეული ეფექტი. მოდგება მერე ვინმე კალმოსანი და მთარგმნელს არასიზუსტეში „გამოიჭერს“. ამტიციე, რამდენიც გინდა, რომ შენა ხარ მართალი. პოეზიის თარგმნა ხშირად ძალიან უმადური საქმეა, არაერთხელ თქმულა.

მაგრამ, მოდით, ამით დავამთავროთ. თუ კიდევ დაგრჩათ შეკითხვები — სხვა დროს.

— **იმედია, ეგ სხვა დროც მალე დადგება. ისევ და ისევ გილოცავთ.**

— **გმადლობთ.**

ნოდარ გურაბანიძე

სამყარო თეატრალის თვალთ

სალვადორა დალის „კვირცხები“ ფიგურასში
და ფალოსის კულტის გამოფენა პარიზში

თანამედროვე „ჰეგენინგის“ პიონერად თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სალვადორ დალი. მისი გრანდიოზული და თვალისმომჭრელი ფოიერვერკები ჯერ კიდევ XX ს. 30-იან წლებში შეიცავდნენ ინსტალაციებისა და ჰეგენინგის ძლიერ იმპულსებს. თავის მშობლიურ ქალაქ ფიგურასში (კატალონია) საკუთარი ძალისხმევით შექმნილი მუზეუმისათვის შემთხვევით არ უნოდებია „სალვადორ დალის თეატრი-მუზეუმი“. ამ შენობაში, ერთ დროს მართლაც იყო თეატრი, სადაც თოთხმეტი წლის დალიმ თავისი ნამუშევრები პირველად გამოფინა. ეს მიტოვებული და იავარქმნილი თეატრი მან 1960 წელს შეიძინა და აქედან მოყოლებული სიკვდილამდე (1989წ.) ამდიდრებდა მუზეუმის კოლექციას, ძირფესვიანად ცვლიდა მის არქიტექტურას, დიზაინსა თუ ინტერიერებს. საბოლოოდ ეს შენობა (გაიხსნა 1974წ.) მთლიანად გარდაქმნა თეატრალურ ინსტალაციად: — „არქიტექტორმა“ დალიმ მას თავზე დაადგა გრანდიოზული, ე.წ. „გეოდეზიური გუმბათი“, რომელიც გვირგვინდება გიგანტური „კვერცხი-კოშკებით“.

სხვათაშორის, ეს გიგანტური „კვერცხები“ ადრე მან გამოიყენა ჰოლივუდისათვის განკუთვნილ დეკორაციებსა და ლას-ვეგასის კაზინოს დიზაინშიც. ახლა მე თქვენ გეკითხებით, რას ვერჩით ბათუმს და პრესტიჟული „კვერცხების“ — იდეის ავტორს, ანუ ჩვენი დროის „ახალ არქიტექტორს?!“...

სიურრეალიზმის დღევანდელი ადვანტები გვიმტკიცებენ, რომ ჭეშმარიტი დალის ხილვა მხოლოდ ამ თეატრ-მუზეუმშია შესაძლებელი. იმასაც ამბობენ — თუ ანდრე ბრეტონი თავის მიერ დაარსებულ მიმდინარეობას „სურრეალისტურ რევოლუციას“ უნოდებდა (ასე ერქვა მისი თაოსნობით გამოშვალ ჟურნალსაც), მაშინ დალი უმალ „სურრეალისტი კონტრრევოლუციონერი“აო. მე აქ ახლა, რასაკვირველია, მის ყოვლისმომცველ ფერწერასა და ქანდაკებებზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ისე, გაკვრით მაინც აღვნიშნავ, რომ 1990 წელს, რუსთაველის თეატრის მილანში გასტროლების დროს, ვნახე მისი ფერწერული შედეგების ჭეშმარიტად გრანდიოზული გამოფენა, ხოლო 2000 წელს, პარიზში, „მოლიერის თეატრში“ მეტეხის თეატრის გამოსვლისას, მონმარტრის „ხელოვნების სახლში“ — მისი უმთავრესი ქანდაკებანი — (ბრინჯაო, ოქრო, სპილენძი, ხე) — განსაცვიფრებელი ოსტატობით, გონებაამახვილობითა და პარადოქსული მანერით შესრულებული პლასტიკური მინიატურები.

არ შემიძლია აქვე არ მოვიხსენიო ამავე შენობაში გამართული, ერთობ უცნაური, ფალოსის კულტისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, რომელიც სამ სართულზე იყო გაშლილი.

პირველ სართულზე ექსპონირებული იყო უძველეს, უხსოვარ დროში შექმნილი ფალოსის ქანდაკებები, გამოსახულებანი, კლდეზე ნაკანრები, მონუმენტური და მინიატურული „ძეგლები“.

მეორე სართული ეკავა ანტიკური ეპოქის კრატერებზე, ამფორებზე, ლეკიფებზე გამოსახულ სცენებს, ინდურ და იაპონურ სექსობრივ რიტუალთა მხატვრობას, ალორძინებისა და კლასიკური ეპოქების ფერწერის ქანდაკებათა, გობელენების ნიმუშებს. აქვე იყო დემონსტრირებული სხვადასხვა სამარჯვო მონყობილობანი „გაიმასქენებისათვის“. თუ მირჩა ელიადეს დავესესხებით (იხ. მისი „კოსმოსი და ისტორია“. რუს. ენაზე. 1987) ყველა ამ რიტუალურ გამოსახულებაში სჭვივის სიცოცხლის პერიოდული ალორძინების იდეა, რომელშიც იგულისხმება ახალი **შესაქმე** ანუ „კოსმოგონიური აქტის გამეორება“. აი, მესამე სართული კი მთლიანად შავ-თეთრი და ფერადი ფოტოების გამოფენას ეკავა და, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი „ნეტარებანი“ამაზრუნენ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მაინც ვფიქრობ, რომ პარიზელმა კურატორებმა შემთხვევით არ დაამთხვიეს ერთმანეთს ეს ორი გამოფენა.

მჯერა, სალვადორ დალი ცოცხალი რომ ყოფილიყო, არ გააპროტესტებდა ამგვარ „მეზობლობას“.

დროა დავუბრუნდე დალის ჰეგენინგებს. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე „აქციას“ აღვნიშნავ, სადაც მისი „დამთხვევლობა“ განსაკუთრებული სახიერებით და დინამიურობით იყო მიმზიდველი. დალის სახელგანთქმული, ზემოთ აპრეხილი ულვაშები, რომელსაც იგი ავტოპორტრეტებში „ჰიპერრეალისტურად“ გამოხატავდა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო თუ არა გენიალური ველასკესის ულვაშების გროტესკული იმიტაცია (სწორედ ველასკესის და ვერმეერის მემკვიდრედ მიიჩნევადა თავს და ესეც ერთგვარი პროვოკაცია იყო), ხოლო თავისი ოქროსტარიანი ხელჯოხით, ეკვილიბრისტის ოსტატობით სხვადასხვა ფათერაკს უქმნიდა რესპექტაბელურ გვამებს და ფარსის პერსონაჟებად აქცევდა მათ. საქვეყნოდ ცნობილია ის „ჰეგენინგი“ რომელიც მან გაუმართა სახელგანთქმული ბალეტების („გაიანე“, „სპარტაკი“) ავტორს, კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანს.

ჯერ იყო და, მთელი ორი საათი ალოდინა მზით გავარვარებულ დარბაზში, შავი კრეპის კოსტუმსა და თეთრი ნეილონის პერანგში (ჰალსტუხით) გამოწყობილი საპატიო სტუმარი. ბოლოს მეზობელი ოთახიდან გამოვარდა სულ მთლად შიშველი, ცოცხის გრძელ ტარზე მხედარი-



ვით გადამჯდარი და „გაიანეს“ პოპულარული საცეკვაო მუსიკის თანხლებით, ცალ ხელში შიშველი ხმლის ტრიალით (მეორე ხელში „ალვირი“ ეჭირა) ცხვირნინ გაუქროლ-გამოუქროლა ნირნამხდარ კომპოზიტორს.

ამგვარი ეპატაჟით „გახუმრება“, რასაკვირველია, შორსაა ჯენტლმენური ქცევისაგან, მაგრამ ამ „აქციის“ ის ფერადი ფოტო, რომელიც მერე მთელ მსოფლიოში გავრცელდა, გულიან სიცილს იწვევს...

მე, მაგალითად, უფრო მხიბლავს ნიუ-იორკში, უოლ სტრიტზე გამართული მისი „აქცია“, რომელიც თითქოს საკუთარი თვალით მეხილოს...

მედიდური, თავანუელი, ერთობ სერიოზული გამომეტყველებით, ესპანელი კაბალეროს კოსტუმში გამოწყობილი სალვადორ დალი მისიერნობს ქუჩაში, ცალ ხელში თავისი განუყრელი ხელჯოხით და მეორეში — გრძელი, წვრილად დაგრებილი ბანრით, რომელშიც ცოცხალი ჭიანჭველაა შებმული...

P.S. ...შესანიშნავ წიგნში „ლიანა ისაკაძის მედიტაციები“ ამოვიკითხე: მეუღლე, პოეტი და ესეისტი თამაზ ჩაჩავა ეუბნება ლიანას: „არ მჭირდება მე არც „ფერარი“, არც „ლამბორჯინი“ და არც ეს მანქანა.

ლიანა — ხო, შენ არაფერი გჭირდება. დაგიჭერ ერთ ხოჭოს, გამოვაბამ თოქს და ათრიე იგი ტყე — ტყე ჩვენი ძაღლებივით.

არ გამოვირცხავ, რომ ჩვენს გენიალურ მევიოლინეს გაგონილი ჰქონდა სალვადორ დალის ჭიანჭველას ამბავი, ანდა შეიძლება სულაც ნანახი ამ ამბის ამსახველი ფოტო.



სალვადორ დალი

სტურუას კიბეები

რომანტიკული თეატრის თითქმის უცვლელი ატრიბუტები — მეფეთა თუ დიდებულთა სასახლეები, მდიდრულად მორთული და ორნამენტირებული ინტერიერები, ეპოქის შესაბამისი კოსტუმები, ფართოდ გაშლილი, ზეაღმავალი კიბეები — რობერტ სტურუას სპექტაკლებში კარნავალურად გამასხრებულ-დამდაბლებულია.

განსაკუთრებით შეუბრალებლადაა დერომატიზებული კიბეები, რომლებმაც XIXს. დასასრულსა და XXს. 30-იანი წლების ჩათვლით, ლამის რევოლუცია მოახდინეს სპექტაკლების სცენოგრაფიაში და მის რიტმულ-პლასტიკურ სამყაროში (მეინინგელების თეატრი, რეინჰარდტი, ადოლფ აპია).

ჯერ გავიხსენოთ რამდენიმე კლასიკური მაგალითი რუსთაველის თეატრის წარსულიდან. კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლში „ჰამლეტი“ (1925 წ. სცენოგრაფი ირაკლი

გამრეკელი) ელსინორის სასახლის გრანდიოზული კიბეები, რომელიც თითქმის მთელ სცენურ სივრცეში დომინირებდა, დიდი ეფექტურობით გამოირჩეოდა. უაღრესად შთამბეჭდავი იყო ის სცენა, როცა უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი ზემოდან ქვემოთ, ავანსცენისაკენ ეშვებოდა (მისი გრძელი, შავი ხავერდის მოსასხამი ამ დროს კიბის საფეხურებზე „მოსრიალებდა“) და იწყებდა თავის სახელგანთქმულ მონოლოგს „რად არ მემლება ეს სხეული ესრეთ მაგარი?“

სპექტაკლის თითქმის ყველა ძირითადი ეპიზოდის მიზანსცენები სწორედ ამ კიბეებზე იყო რეჟისირებული.

სანდრო ახმეტელის „ყაჩაღები“ (1933წ. სცენოგრაფი ი.გამრეკელი) მოორების სასახლის კიბეზე აკაკი ვასაძის ფრანც მოორის ტრაგიკული ცხოვრებისა და თვითმკვლელობის დაუვიწყარი, პლასტიკურად და ფსიქოლოგიურად უძლიერესი სცენები თამაშდებოდა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა მთავარი გმირის ჰალუცინაციები და „ეგზისტენციური შიშები“...

1965 წელს დადგმული დოდო ალექსიძის „ოიდიპოს მეფეში“ (სცენოგრაფი ფარნაოზ ლაპიაშვილი) შემადლებულზე აღმართული სასახლის პორტიკიდან დაშვებული კიბეების თავში, როცა აკაკი ხორავას ოიდიპოსი გამოჩნდებოდა, ხელს აღმართავდა და თებეს მოქალაქეებს მიმართავდა თავისი არაჩვეულებრივად ძლიერი, ობერტონებითა და მრავალფეროვანი მოდულაციებით სავსე მომწესხველი ხმით — შთაბეჭდილება გამოაოგნებელი იყო. ერთი სიტყვით, ამ სტილის სპექტაკლებში ყველაზე პათეტიკური და ყველაზე მნიშვნელოვანი მონოლოგები სწორედ კიბეზე ეფექტურად შემდგარი და ასევე ეფექტური პლასტიკურობით გამორჩეული მთავარი გმირის მიერ წარმოითქმოდა.

რობერტ სტურუას სპექტაკლში ტრიუმფალური კიბეები შეცვლილია ხის უბრალო კიბეებით („ყვარყვარე“, „რიჩარდი“), ანდა ისეთი კიბეებით, რომელთაც არსად არ მივყავართ??? (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, მხატ. მ.ჭავჭავაძე, ბრენტის „სერუანელი კეთილი ადამიანი“. მხატ. გოგი ალექსი-მესხიშვილი). ბოლო დროს კი რეჟისორი უპირატესად იყენებს მეტალის მსუბუქ კიბე-კონსტრუქციებს. ვერტიკალურად, სწორ ხაზზე აღმართული ეს კიბეები თანამედროვე, დიდ შენობათა მღებავების გასაშლელ კიბეებს მოგვაგონებს, ზოგჯერ კი ასევე ვერტიკალურ ღერძზე დამაგრებულ ეკვილიბრისტის ცალბორბლიან ველოსიპედს. „სტურუას კიბეები“ (ლ.ბუღაძის „ჯარისკაცი, სიყვარული დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“. მხატ. თ.ნინუა, „სატირიკონისა“ და რუსთაველის თეატრის „ჰამლეტი“. მხატ. მ.შველიძე,

თ.ჭილაძის „ნადირობის სეზონი“, მხატ. თ.ნინუა) კი მოძრაობა, ორ დიდ ბორბალზე აღმართული, რომელიც გვირგვინდება პატარა მოედნით, საიდანაც გადმომდგარი რომელიმე პერსონაჟი (უპირატესად ეპიზოდური როლის შემსრულებელი, რადგან, როგორც ვიცით, მან მთავარ გმირებს „ნაართვა“ მონოლოგები) ხაზგასმული, გროტესკში გადაზრდილი ცრურწმინტიკულობითა და პათოსით წარმოთქვამს სიტყვებს, იმგვარი მანერულობით, რომელიც ყოველ ფრაზას ეჭვქვეშ აყენებს. მაყურებელთან ტრადიციული „ღია“ ურთიერთობა გამჭვირვალე ქვეტექსტებმა შეცვალეს, სერიოზულობა – ირონიამ. ამისდაკვალად, ცხადია, თვით „მონოლოგისტი“ გმირებს შეიცვალენ, ისინი ცოტათი „დარტყმულები“, „შექანებულნი“ არიან, რადგან ჩვენ დროში სიმართლე რომ თქვა, ან „მასხარა“ უნდა იყო ან ცოტათი გიჟი.

თუმცა ეს ხომ ჯერ კიდევ შექსპირმა და სერვანტესმა იცოდნენ?!

P.S. კვლავ მივუბრუნდეთ კიბეებს: ილია კაბაკოვის ინსტალაციამ — „წითელი ვაგონი“ — თითქმის მთელი ევროპა და ამერიკა მოიარა. ის 1991 წელს შეიქმნა დიუსელდორფის კუნსტჰალესათვის. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, 90-იანი წლების მიწურულს, ის საბოლოოდ გაჩერდა უკანასკნელ „სადგურში“ — ვისბადენის მუზეუმში. „წითელ ვაგონში“ თავმოყრილია „საბჭოთა ოცნების“ — კომუნისმის — უდიდესი „მიღწევები“. თვით ვაგონის თავზე კი აღმართულია გრძელი კიბე, რომელიც არსად, ანუ კომუნისმის მწვერვალისაკენ მიემართება. ვენდობი მკითხველს: — და, მან „კაბაკოვის კიბეები“ ასოციაციებისა თუ ანალოგების მეშვეობით დაუკავშიროს „სტურუას კიბეებს“.

* * *

2011 წლის ავინიონის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის აღმოჩენად ფრანგულმა თეატრალურმა კრიტიკამ და მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ერთსულოვნად მიიჩნიეს ქორეოგრაფ ბ. შარმაცის ქორეოგრაფიულ-პლასტიკური კომპოზიცია („ანფანი“, „ბავშვი“). ამ უაღრესად ემოციურ და შთაბეჭდავ სანახაობაში (განსაკუთრებით მის შვიდწუთიან პროლოგში) უმთავრესი „როლი“ აკისრიათ რკინის უზარმაზარ კიბეებს, რომელიც დისტანციურად იმართება... პაპის სასახლეა კედლებს შორის გაბმულია სამი ფოლადის ბაგირი, მათ შორის კი აღმართულია ეს კიბე. არავითარი დეკორაცია, ირგვლივ თავისუფალი სივრცე, მთელი სანახაობა თითქმის სრულ სიჩუმეში ვითარდება... ექსპოზიციაშივე ეს კიბე ამოძრავდება, როგორც ფოლადის გიგანტური მონსტრი, ბრუნავს სხვადასხვა მიმართულებით, გლეჯს ამ ბაგირებს, ძირს დაგებულ მეტალის ფიცარნაგზე გამაყრუებელი ხმაურით ეცემიან რკინის ვეება ურდულეები, რითაც ბაგირები კედლებზეა მიმაგრებული. უმაღლე ჰაერში იჭიმება მესამე ბაგირი, რომელზედაც წელზე შებმული ჯაჭვით ჩამოკიდებულია მამაკაცი. კიბის მექანიზმი სულ უფრო მალა და მალა ეწევა ადამიანის მოშვებულ, უსიცოცხლო სხეულს, ვიდრე გიგანტურ კუჭზე ჩამოჰკიდებდეს. შემდეგ კვლავ გაჭიმავენ მეორე ბაგირს ასევე ზედ გამოზმული კაცით და ასე მთელი სანახაობის მანძილზე კიბეზე

მოდრაობს და გლეჯს იქაურობას, თითქოს ჭეკა-ჭუნლით ემხოზა ზეცა „დედამინა-სცენას“, სადაც ვითარდება მთავარი ქორეოგრაფიულ-პოლიტიკური მოქმედება, რომელსაც პაპის სასახლის ფანჯრებიდან დასცქერიან შემფოთებული მოქალაქენი.

ასეა გამოხატული ყოველისშემძლე თემა უსულგულო მექანიზმისა, რომელიც ტექნიკის განვითარებამ ადამიანის კონტროლის საზღვრებს მიღმა გაიყვანა.

„ინსტრუმენტაჟი“

მოსკოვის „ტაგანკის“ თეატრის დამაარსებლის, გენიალური რეჟისორის იური ლიუბიმოვის მსახიობებზე ამბობდნენ, ისინი „ქარგლები“ („Подмастерье“), „ინსტრუმენტები“ არიან ამ რეჟისორის ხელში, ანუ მხოლოდ რეჟისორის ჩანაფიქრის მექანიკური შემსრულებელნი. მას კი ამ დროს დასმი დიდი არტისტებიც ჰყავდა — ალა დემიდოვა, ვლადიმერ ვისოცკი, ნიკოლაი გუბენკო, ვალერი ზოლოტუხინი...

სხვათაშორის, სტურუას მისამართითაც ერთხანს (სწორედ იმ პერიოდში, როცა მან ზედიზედ წააწყო თავისი გენიალური სპექტაკლები — „ყვარყვარე“, „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ III“) ამასვე ამბობდნენ ჩვენი დიდად საპატივცემულო და, წარმოიდგინეთ, ასევე დიდად ნიჭიერი მსახიობები. ამგვარ მოსაზრებას კი ასე ასაბუთებდნენ: „ჩასვით ნებისმიერი მსახიობი სტურუას სპექტაკლების კონცეფციების „კარკასში“ და დიდად არაფერი შეიცვლება“. მართლაც, კონცეფციის თვალსაზრისით, შეიძლება ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო, მაგრამ მაშინ სულ სხვა მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენასთან გვექნებოდა საქმე (ამას ამტკიცებს, თუნდაც დიდი ეროსი მანჯგალაძის დროებითი ჩანაცვლება აზდაკის როლში, რომელშიაც ბრწყინავდა რამაზ ჩხიკვაძე).

რუსეთშიაც და ჩვენშიაც ძირითადად ამას ის მსახიობები ამბობდნენ, რომლებიც ი. ლიუბიმოვისა და რ. სტურუას სპექტაკლებში არ თამაშობდნენ, ამ შემთხვევაში თუ დროებით მანც მსახიობებისათვის დამახასიათებელ ამბიციებს და განწყობილებას არ ვივლისხმებთ (რაიც მაშინვე უქრებათ, როგორც კი ამ რეჟისორისაგან ახალ როლს მიიღებდნენ), ისინი ვითომ აღიარებდნენ რეჟისორის განსაკუთრებულ ნიჭიერებას, მაგრამ ამჟამად ამტკიცებდნენ პროტაგონისტი მსახიობის შემოქმედებით ინდივიდუალობასა და პროფესიონალიზმს.

ამგვარი მოსაზრებანი ვრცელდებოდა საზოგადოებაში და, რასაკვირველია, უმალ აღწევდა ტრიუმფალურ სპექტაკლებში მონაწილე მსახიობთა სმენამდე. ზოგიერთი მტკივნეულად აღიქვამდა ამ სისულელეს. აი, ალა დემიდოვა კი ამბობდა: „დიახ, მე ვარ „ინსტრუმენტი“, ისევე როგორც ინსტრუმენტია სტრადივარიუსის ვიოლინო გენიალური მანქანის ხელში“.

ეს სიტყვები შეიძლება გაემეორებინა რამაზ ჩხიკვაძეც და შეუძლია გაიმეოროს ზაზა პაპუაშვილმაც.

P.S. 2011 წლის ზაფხულში, 93 წლის იური ლიუბიმოვი, რომელიც, წარმოიდგინეთ, შესაშურ შემოქმედებით ფორმაში იყო, საკუთარმა მსახიობებმა გააგდეს თეატრი-

დან (ამ ფაქტს რუსეთის ხელისუფლებამ წაუყრუა). ამავდროულად შემოდგომავს კი ჩვენმა ხელისუფლებამ რ.სტურუა რომელიც 73 წლისა ახალი შემოქმედებითი ძალების მოზღვავებას განიცდიდა, გაათავისუფლა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან. „ტაგანკის“ თეატრის მსახიობებისაგან განსხვავებით, რუსთაველის თეატრის მსახიობებმა სანიმუშო თანადგომა გამოხატეს თავიანთი დიდი მანერის მიმართ. მსახიობთა ასეთი, თითქმის ერთსულოვანი მხარდაჭერა იშვიათია მსოფლიო თეატრის ისტორიაში, რომელიც სავესტინგებით, ლაღით და ამბოხებით (ნაპოლეონ ბონაპარტი, ეგვიპტეში ლაშქრობისას, ხშირად კითხულობდა თურმე: „რა ამბავი იმის „კომედი ფრანსეზიდან“, დასი ხომ არ ამბოხებულაო“. კორსიკელ დესპოტს მიაჩნდა, რომ თუ საფრანგეთის მთავარ თეატრში მშვიდობა იყო, მაშინ სახელმწიფოშიც მშვიდობა იქნებოდა).

„მაგის ჩიტი ვარ?!“

ათენის ეროვნულ თეატრში, „კავკასიური ცარცის წრის“ რეპეტიციებისას, რობერტ სტურუას უკან ვიჯექი. ცარიელ პარტერში ფეხაკრფით შემოვიდა თეატრის თანამშრომელი და რაღაც გადაუდებელი საქმის გამო რ.სტურუა დირექტორის კაბინეტში გაიხმო. რობერტი სწრაფად წამოიდა და პარტერის კიბისაკენ გაემართა. გასვლის წინ შემობრუნდა, თვალი შეავლო სცენაზე მდგარ მსახიობს და ხმამაღლა მიმართა, „არ დაიშალოთ! არ შეწყვიტოთ რეპეტიციები! ნოდარმა ძალიან კარგად იცის ეს სპექტაკლი, რეპეტიციას ის გააგრძელებს...“ (შიჩ!). სცენაზე იდგნენ რამაზ ჩიხვაძე, იზა გიგოშვილი, ჟანრი ლოლაშვილი, კახი კავსაძე... ყველამ თავი ისე დავიჭირეთ, ვითომ არაფერი თქმულა...

კაი ხნის მერე გამახსენდა მიხეილ ჭიაურელის ნაამბობი: — „კრემლში, სტალინს, მისსავე კაბინეტში, ვაცნობდი „ბერლინის დაცემის“ გადაღების რეჟისორულ გეგმას. მაგდას უსხდნენ მონვეული სტუმრები, „მოსფილმის“ ხელმძღვანელები. სტალინი, როგორც სჩეოდა, დიდი, გრძელი მაგიდის ირგვლივ ნელა დადიოდა და ჩიბუხს აბოლებდა. როცა ჩემს ზურგს უკან აღმოჩნდებოდა, უხერხულობისაგან ვიბნეოდი, არ ვიცოდი რა მექნა და ვჩუმდებოდი. სტალინმა შემატყო დაბნეულობა, მომიახლოვდა და ხმამაღლა, ყველას რომ გაეგო, მითხრა „А вы, Михаил (და არა Михаил) Эдишерович, садитесь на моем месте“-ო და თავის სავარძელზე მიმითითა... მაგის ჩიტი ვიყავი, ეს რომ „მეჭამა“!? სხვათაშორის, არც მე ვარ იმის „ჩიტი“ (ანუ „სირი“, როგორც ჩერგოლაიშვილი იტყოდა) რომ რობერტის „მზაკერობას“ ვერ მივმხვდარიყავი?!

* * *

მეხიკოში „რიჩარდის“ აღდგენით რეპეტიციაზე, რობერტი და რამაზი ერთ-ერთი მიზანსცენის გახსენებისას მცირედ შეყოვნდნენ, რამაზმა ისარგებლა ამ პაუზით და მომმართა: „ნოდარ, შენ უფრო მეტჯერ გინახავს, ვიდრე მე მითამაშია, გვიშველე რამეო“.

უცნაური დამთხვევები

მექსიკაში, რუსთაველის თეატრის მეორე გასტროლები-სას („სერვანტისის“ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქალაქ გუანახულოტოში) სპექტაკლ „რიჩარდ III“-ის დეკორაციები ლენინგრადის პორტიდან გაიგზავნა მექსიკის უდიდეს საპორტო ქალაქ ვერაკრუსში. ქალაქ მეხიკოში ჩასულებმა შევიტყვეთ, რომ ჩვენი სპექტაკლის დეკორაციებით დატვირთული გემი ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყო. ბუნებრივია, ამან ძალიან შეგვაშფოთა. მშველიძის დეკორაცია ამ სპექტაკლის განუყოფელი და ორგანული მხატვრული სახეა, თვით რ.სტურუას თქმით, მისი სტილის განმსაზღვრელიც კი. ცხადია, უდეკორაციოდ „რიჩარდის“ თამაში ყოველგვარ აზრს კარგავდა. საოცარი ის იყო, რომ ფესტივალის ორგანიზატორებს მაინცდამაინც არ შეუცხადებიათ ჩვენთვის ესოდენ დრამატული ამბავი, მეტიც, აინუშნიაც კი არ ჩააგდეს ეს გაუგებრობა. სიტუაციას დაბავდა ის გარემოება, რომ 4-5 დღეში ინყებოდა ფესტივალის, რომელსაც რუსთაველის თეატრი ხსნიდა. მასპინძლებმა მშველიძეს სთხოვეს სცენოგრაფიის ესკიზები... სამი დღის შემდეგ სცენაზე იდგა „რიჩარდის“ დეკორაცია. მოვიარეთ მექსიკის ხუთი ქალაქი — გუანახულო, პუებლა, ტოლუკა, ლეონე, აგუეს-კალენტესი... დამთავრდა გასტროლები, დავბრუნდით მეხიკოში... გამომგზავრების დღეს, დიდ, გამოსათხოვარ ბანკეტზე ფესტივალის ხელმძღვანელმა ირონიის დიდი დოზით შეზავებული სიხარულით გვამცნო სასიამოვნო ამბავი — „დღეს თქვენი დეკორაციები ვერაკრუსში გადმოტვირთესო“... (?)

ახლა, ამდენი ხნის მერე, ეჭვის ჭიამ გაიღვიძა ჩემში. ხომ არ იყო ეს „გოსკონცერტის“ მზაკერული ჩანაფიქრი? ხომ არ სურდათ სსრკ-ს კულტურის სამინისტროს მესვეურებს, რომელთაც ყელში ამოუვიდათ რუსთაველის თეატრის ტრიუმფალური გასტროლები მსოფლიოს სცენებზე, როგორმე ჩაეშალათ თუ შეეფერხებინათ ქართული თეატრის ესოდენ წარმატებული გამოსვლები?!

ჩემი ყურით მაქვს გაგონილი თუ როგორ ყვიროდა კულტურის სამინისტროში რუსეთის უპირველესი თეატრის — მოსკოვის სამხატვრო თეატრის, ხელმძღვანელი ოლეგ ეფრემოვი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა კომუნისტურ ხელისუფლებაში — „სულ ტოვსტონოგოვის თეატრმა და რუსთაველის თეატრმა უნდა იარონ ფესტივალზე? ხომ ხედავთ, თვით ფინეთსაც კი აღარ უნდა ჩვენი მიღებაო“.

სხვა გარემოებაც აღმიძრავს ეჭვს. მექსიკაში პირველად ჩასვლისას (1975) გამოიკვავა, რომ ის ყუთები, რომლებშიაც მუსიკალური ინსტრუმენტები და ნოტები იყო ჩალაგებული, საერთოდ დაიკარგა. წარმოიდგინეთ „კავკასიური ცარცის წრე“ — მუსიკის გარეშე! (თუმცა უკიდურეს შემთხვევაში სპექტაკლის თამაში შეიძლებოდა პიანისტ-კონცერტმანისტერის ლეილა სიყმაშვილის ფორტეპიანოს თანხლებით, მაგრამ, ცხადია, მუსიკა ძველებურ ეფექტს ვერ მოახდენდა).

კომპოზიტორ გია ყანჩელის წინდახედულობამ გვიხსნა; მას თან ჰქონდა მთელი სპექტაკლის მუსიკალური ჩანაწერი, რომელიც ფონოგრაფის მეშვეობით მშვენივრად აუღერდა.

ასე რომ, დეკორაციებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების „დაკარგვის“ ფაქტები, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა.

როსტომ ჩხეიძე

„მონასტერში, ოფელია, მონასტერში!..“

(გალაკტიონი და რაისა ჩიხლაძე)

— ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა, რომელიც არაფერს არ მადქლევდა და წარმოიდგინე, ღმერთს გეფიცები, სულ ცოტადა მაკლდა შეშლას, — აკი შესჩიოდა მიხა ბოჭორიშვილს.

გაუზიარებელი სიყვარულის კიდევ ერთი მწუხარე ამბავი.

შორით დაგვა, შორით ალვაო...

ვერ გასცდებოდა გალაკტიონი ამ რუსთველურ განწყობილებას რაისა ჩიხლაძესთან.

მხურვალე გრძნობა მხურვალე გრძნობად, მაგრამ... ეს მოჯადოებული წრეც რომ აღმართულიყო მის წინაშე?..

ეგებ როგორმე მიენიშნებინა, რალაც ეგრძნობინებინა, თორემ უფრო მეტს ვერა და ვერ გაბედავდა.

— ხომ კარგად ხართ? რა ამბავია ქუთაისში? რა ამბავია გაზეთებში? მე მათ დიდიხანია აღარ ვკითხულობ.

1911 წლის 14 იანვრით დათარიღებული ბარათი ჩვეულებრივი მოკითხვით რომ დაიწყებოდა და თავის მხრივ აცნობებდა: ახალი აქ მხოლოდ ის არის, რომ ერთ პოემას ვწერო, — შეაპარებდა:

— შიგ ერთი გმირი ქალიცა მყავს გამოყვანილი — სახელად რაისა (ხომ არ გეწყინათ?).

ჯერ სახელის არჩევა და მერე ეს გადაკრული შეკითხვა („ხომ არ გეწყინათ?“) უნდა ყოფილიყო იმ განცდის მიმანიშნებელი, გალაკტიონს რომ დაუფლებოდა და გაბედვით კი ვერ გაებედა გამჟღავნება. მიანიშნებდა და... დაფრთხებოდა და სიტყვას მოანაცვლებდა:

— რანაირად ვსწუხვარ, რომ ქუთაისში ვერ გამოვიარე, ვერც აღტქმული წამოგიდეთ, მაგრამ არა უშავს, შემდეგისთვის იყო.

ქუთაისში ვერ გამოვიარეო...

სოფელ ფარცხნალში გამწესებულიყო მასწავლებლად, წერილს კი ხარაგაულის სადგურიდან სწერდა ყოველთვის სევდით რომ მოიგონებდა თავისი ყრუ სამკაულით — აცვივრულ აგურიანად.

და ისევ გადაკვრა, კიდევ უფრო შეფარული:

— „ბრანდიც“ თქვენთვის შემომიწინავეს. მალე დავაბეჭდვინებ.

მთავარი ისაა, რომ თქვენობითის ფორმასაც ვერ გასცილებია, ისევე, როგორც მ მაისის ბარათში, მაღლობას რომ უძღვნის ღია წერილის გამოგზავნისათვის და კიდევ რალაცას ეუბნება და ვერც ეუბნება:

* ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაგედიაში (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)“

— თავს ისე, ძველებურად ვგრძნობ, რალაც ახალი, სხვანაირი ფიქრით. გაზაფხულდა, უთუოდ ამის ბრალია...

კი უნდა მიხვედრილიყო ქალი, რა გაზაფხულსაც აეფორიაქებინა ჭაბუკი, რომელიც იმასაც ამცნობდა: ბინაზე ძვირადა ვარ და მთებში ვატარებ თავისუფალ დროსო.

— თქვენ როგორღა ხართ? როდის დაბრუნდებით ქიათურიდან?

ბოლოსდაბოლოს, თქვენობით მიმართვას ბოლო მოელებოდა და დაუთარიღებელი ბარათი უკვე იმას მონმოზდა, რომ გალაკტიონი ცდილობდა რაისა თავისი სულის ყველაზე დიდ თანაზიარედ გაეხადა, რაკილა მას და მხოლოდ მას ანდობდა თავის ნაწერებსაც და პირუთვნელ მსჯავრსაც.

მოუბოდიშებდა: მინდოდა შენთვის ყველა ჩემი ნაწერი გადმომეცა, მაგრამ ვერ მოვაგროვე, თუმც რაც არის, ისიც საკმარისია ყველაფრის გამოსარკვევადო.

მაგრამ ვერ მოვაგროვეო...

უკვე იმდენი დაესვავებინა, შეგროვება უძნელდებოდა და თვით ყველაზე ძვირფასი ადამიანის წინაშეც პირშავად რჩებოდა.

ეს ამო მცდელია თავის ნაწერთა თავმოსაყრელად ბედისწერად გადაექცეოდა და ვერც ვერასოდეს შეძლებდა მათ სრულ შეგროვებას — და ასე იქნებოდა მაშინაც, დამოუკიდებელ სახელმწიფოში რომ ეცხოვრა ბუნებრივი ხელისუფლებისა და პოლიტიკური რეჟიმის პირობებში და ხელოვნური დაბრკოლებანი არ გადალობებოდა.

მოჩქეფს და მოლეღავს ლექსად, მოანგრევს და მოარღვევს და რომელი კალაპოტი მოამწყვედევს თუ რომელი ჯებირი დააკებს.

მანამდე ეგებ არც ჩაფიქრებოდა, ნეტა ჩემი ლექსების სრულად თავმოყრა თუ შემძლიაო... ან რალა ეგებ — მაშინ ხომ არც გადაწყვეტდა, რაისას უკლებლივ ყველა პოეტურ ნიმუშს გავაცნობო. და უეცრად კი დადგებოდა მოულოდნელობის წინაშე — ვერ აგროვებდა და არც იმედი ჩანდა, რომ შეაგროვებდა, რადგანაც განუწყვეტელი წერის გამოისობით ლექსი ლექსს ემატებოდა და გაუვალი ტევრით ზვინდებოდა ხელნაწერები.

— იმას, რასაც შენ იტყვი, ჩემთვის გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება, რადგან არავის არაფერი უთქვამს სახეირო. ერთბაშად არ გაიმეტა ყველა, ვინც გარს ეხვია და თავთავის მოსაზრებას უზიარებდა?

— აბა, რა მნიშვნელობა აქვს დაუსაბუთებელ სიტყვებს ჩემს ნიჭზე თუ უნიჭობაზე? საბუთები უპირველეს ყოვლისა, საბუთები! მე მინდა დასაბუთებული აზრი გამოითქვას ჩემზე, დაურიდებელ და ენერგიულ სიტყვებით. მაშ ასე, რაისა!

სულ მხატვრულ-ესთეტიკური შეფასების მოლოდინშია, როგორ არა!.. სულ კრიტიკულ მოსაზრებათა გაზიარებისათვის უკანკანებს სული!.. და ვითომდა მხოლოდ ამას განიცდის: რას იტყვის რაისა და როგორი არგუმენტაციით დამისაბუთებს თავის მოსაზრებებსო.

ისე ერთ პანია ბარათში რამდენჯერ ახსენებს საბუთს. ერთი ფრაზა პოეტური სტრიქონითაც გაიმართებოდა:

საბუთები უპირველეს ყოვლისა.

მოგვიანებით აკი ლექსი დასათაურდებოდა ამ სულისკვეთებით:

საქართველო უპირველეს ყოვლისა.

და როდესაც საქართველოს ხსენება ნაციონალიზმს გაუიგივდებოდა, ნაციონალიზმი კი დანაშაულად გამოცხადდებოდა, სტრიქონიც ასე ჩანაცვლდებოდა:

პოეზია უპირველეს ყოვლისა. თუმც მანამდე ადრეა და ჯერ გალაკტიონი რაისას უტ-რიალებს, კრიტიკულ განსჯას სთხოვს და დაუნანებლად აყრის ლექსებს იმ ოცნებით: ეგებ შიგ ჩავფლა, ავიყოლიო, გავაბრუო და გავიტაცოო.

ყველა ლექსი ვერ შეეგროვებინა?

ქალის გასაბრუებლად ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რისთვისაც თავი მოეყარა.

თუკი... თუკი...

არა, თავისი პოეტური ნიჭისა კი ეიმედებოდა და ძალიანაც ეიმედებოდა, მაგრამ ნეტა გაბრუების ძალაც თუ ჰქონდა მის მხატვრულ ხილვებსა და წარმოსახვებს?!

თანაც, გაბრუება პოეტური ტალანტით კი არა მარტო, არამედ პიროვნებით, მხურვალე გრძნობას მხურვალე გრძნობა რომ გამოეწვია, თორემ მკითხველური აღტაცება არ აკლდა რაისასაგან.

ამ თხოვნას, მოსალოდნელია, გულმოდგინედ მოჰკიდებოდა ქალი და თავისი მოსაზრებანი და შთაბეჭდილებანი პროფესიონალი მკითხველის შესაფერისად გაეზიარებინა... ის სხვა გაზიარება თქვი, თორემ!..

მხოლოდ მინიმუმბათა და ნართაულთა იმედად ვერ დარჩებოდა გალაკტიონი და მთელ ციკლს შექმნიდა თავისი ამ პირველი სიყვარულის შთაგონებით, აკროსტიხსაც რომ მოიშველიებდა, ჯერ კიდევ ჰიმნოგრაფთაგან მომარჯვებულ პოეტურ ფორმას („გაზაფხულდა“), და პოლ ვერლენსაც უკვე დაესხებოდა ჩამავალი მზის მეტაფორას, სათაურშივე რომ გაიტანდა, ოთხსტრიქონიან ლექსში კი ორჯერ გაიმეორებდა: რარიგ მიყვარხარ, ჩემო რაისაო! — აღმტაც სიტყვათა ჩქერალს ზეცამდეც რომ აზიდავდა:

ცელქმა ნიაჲმა ჩემი სიტყვებით დასერა ლურჯი ეთერი ცისა და ნაიკითხა მთელმა მსოფლიომ...

რარიგ მიყვარხარო, — სწორედ ასე უნდა ამოსკდომოდა გულიდან — ცის კაბადონზე წარწერილი მთელი სამყაროს სახილველად.

თან ვილაც ხომ არ უმტკიცებდა სიყვარულს, არამედ ის განსაკუთრებული პიროვნება, როგორადაც გალაკტიონს საკუთარი თავი ესახებოდა და სიყვარულის საგალობელს ამიტომაც დაავგირგვინებდა თვითგანდიდების სტრიქონებით:

ამოიშალა ძველი სიტყვები, ახალი გზებით მიდის რაინდი!



ანტუან აუგუსტ ჰერბერტი

ოფელია

ვუძღვნი მონაზონ ქალსო, — წარწეროდა „ჩამავალ მზეს“, ოღონდ ეს მიძღვნა პირდაპირ არ უნდა გაეგო ვინმეს, თითქოსდა რაისა ჩიხლაძე ან უკვე გახლდათ ღვთის მხევალი ანდა ეპირებოდა. ეგაა, „ჩამავალი მზე“ უშუალოდ აგრძელებდა „ჰამლეტის ქნარის“ განწყობილებასა და მხატვრულ მრწამსს: წადი... წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელიაო!

შექსპირის ამ პერსონაჟის ხსენება თავისთავად მიანიშნებდა, „ჰამლეტის“ იმ გახმაურებული პასაჟის ექოდ რომ დანერილიყო ეს ლექსი, მაგრამ გალაკტიონი მოინდომებდა, ჰამლეტის სახელიც გახშირებულყოფიერ და ეს პოეტური ნიშნულში კი ისე გააზრებულიყო, დანიელი პრინციც ლალადისს უშუალოდ ჩაზიარებოდა ქართველი პოეტის მონოლოგი, ლალადისს — მიმართულს არამარტო საყვარელი ქალისადმი, არამედ ქალისადმი საერთოდ, წუთისოფლის ტრაგიზმს რომ ათვალსაჩინოებდა ილუზიათა ბადისა თუ ფარდის ჩამოგდებათ.

— მონასტერში წადი, მონასტერში. რად გინდა ქვეყანაზე ცოდვიანები გაამრავლოო, — რჩევაც აღარ გახლდათ, ისეთი მტკიცე და დაბეჯითებული კილოთი გამოთქმულიყო, როგორც ერთადერთი, არა ერთადერთი, არამედ სწორედაც ერთადერთი გზა თავის გადაარჩენისა ამ უღმობელ სამყაროში, — თუ ქმარს შეირთავ, ეს სიმწარე მზითვად გამომიტანებია: ყინულსავით რომ უმანკო იყო და თოვლსავით ნმინდა, მაინც ცილის-წამება არ აგცდებოდა. გუუბ-

ნები, მონასტერში წადი. მშვიდობით, თუ მაინცა და მაინც ქმარს შეირთავ, სულელი შეირთე, თორემ ჭკვიანებს კარგად ესმით, რა საშინელებასაც იმათ უმზადებთ. მონასტერში წადი, წადი ჩქარა, მშვიდობით.

ჰამლეტი თვითგვემასაც მიეცემოდა: არა მგონია უპატიოსნო კაცი ვიყო, მაგრამ იმდენი ნაკლულევენება მაქვს, ემჯობინებოდა დედაჩემის მუცლიდან არ ვშობილიყავ. მეტისმეტად ამპარტავანი ვარ, ჯავრის გადაძხდელი, პატივმოყვარე, გულში იმდენი ავი ზრახვა მიტრიალებს, გონებაში აღარ მეტყევა, თვალით ვერ წარმომიდგენია და დროც არა მყოფნის მათ შესასრულებლად, რისთვის დაძვრებიან ჩემისთანა სულდგმულები ცასა და მიწას შუა, ჩვენ ყველა ნამდვილი მატყუარები ვართო.

ეს მხოლოდ აღსარება არ არის, ჰამლეტი ამ სიტყვებით შესაფერის განწყობილებასა და ფონს ქმნის, რათა საარწმუნო გახადოს ქალისათვის მონასტერში წასვლის გარდუვალობა. ლექსში პირწმინდად გამოტოვებულია ეს მოტივი.

გალაკტიონი სულაც არ აპირებდა ჰამლეტისებურ თვითგვემას და არც მთელი იმ პასაჟის ახლებური გალექსვა განეზრახა.

სავსებით იკმარებდა იმ ფრაზას: მონასტერში წადი, მონასტერშიო!..

ოფელიაო, — იმეორებდა გალაკტიონი და რაისას რომ გულისხმობდა სავესებით გამჭვირვალე ქარაგმით და ჰამლეტის ქნარს თავის საკუთარ ქნარადაც რომ დაიგულედა, პერიფრაზთა და ალუზიათა ნაკადში („ამაოა მთლად ცხოვრება, დრტინვის წუთისოფელია... ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე, დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე! მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! — ის ცის უარმყოფელია...“) თან გულიც უსკვებოდა: ემანდ არ დამიჯეროს და მართლა მონასტერს არ შეეფაროსო.

ჰამლეტისა და ოფელიას სიყვარულამდე სურდა აეზიდა თავისი გრძნობები რაისასადმი და ქალი მხოლოდ ამას უნდა მიხვედრილიყო.

მარტოდენ ვერლენსა და შექსპირს კი არ დაიგულედა მეკავშირებდა თავის ჭაბუკურ ზმანებათა გზაზე, არამედ იოსებ გრიშაშვილსაც, ვისი ინტონაციაც მსჭვალავდა ჰამლეტურ ქნარს, ის უსათაურო კი („ველთა შორის გამოისმა...“) საერთოდ არც განიჩქვია გრიშაშვილის ლირიკისაგან, არაერთი სხვა ლექსისა არ იყოს, შემთხვევით მოხვედრილს უფრო ჰგავს გალაკტიონის პოეტურ კრებულში და, დიდად გასაკვირი არ იქნება, თუ რომელიმე მკვლევარი თან გამომცემელი ამ ლექსს იოსებ გრიშაშვილის ტომებში დააბინავებს, გაცილებით მშობლიურ გარემოში. თორემ, აბა, და თვალი ჩავავლოთ ან ამ სტრიქონებს:

**ო, რა ტკბილად ეძინება ღამეს მდუმარს და
ფერმიხდილს,
მარტონი ვართ, ჩემო კარგო, ყური უგდე ჩემს
სუნთქვას ფრთხილს.**

ანდა ამათ:

**შემიძლია დავივინყო? — მიპასუხე, ამიხსენი,
სულით, გულით მე შენი ვარ... სამუდამოდ შენი, შენი.**

თუ გრიშაშვილის ლანდი არ ამოგვესვეტოს, იმ უსათაუროსი არ იყოს („რომ არ ვიცი, რა დავწერო“), კვლავ რაისას სახით რომ გადანათებულიყო (სხვათა შორის, თვით იმის თხოვნით რომ შეიქმნებოდა ექსპრომტად: აბა, რომ ამბობენ, გალაკტიონი ძალიან ნიჭიერი პოეტიო, მოსინჯეთ ყმანვილო, და ერთი ლექსი დამინერეთო) და, ეს რომ მწუხარე განცდებში ჩაძირულიყო („გული არ მაქვს, რომ ისევე ავიღელვო, ავიძგერო!...“), და ამცნობდა თუ პირდებოდა: და როდესაც განახლდება ჩაბნელებულ გულისძგერა, ნიაღვარად გადმოსკდება ჩემი კვნესა და სიმღერაო, — თავიდან ბოლომდე გრიშაშვილურად მოუქცევდა სათქმელს, თუმც თვითონ ეგონა, აკაკისავით გამომდისო:

**მანამდე კი, ჩემო კარგო,
რა გიამბო, რა გიმღერო,
არც გული მაქვს, რომ ისევე
ავიღელვო, ავიძგერო!**

მოსინჯეთ, ყმანვილო, და ერთი ლექსი დამინერეთო... ჩიტი ნარზე იჯდა და ხელის აქნევას ელოდაო...

თავსაც აღწევდა ამ პოეტურ ზეგავლენას, რაღაც გალაკტიონური უკვე იგრძნობოდა, ფუთქავდა, შინაგანად განგაშებდა, ზემოთ და ზემოთ მოიწევდა და რაისასადმი მიძღ-

ნილ პოეტურ ციკლშიც იმ უსათაუროდ („გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა“) ნარმოდებოდა, კვლავაც ჰამლეტური განწყობილებით რომ განმსჭვალულიყო და მიძღვნაც შესაფერისი წარწეროდა: მონაზონ ქალს ოფელიასო.

არა და არ ეშვებოდა ამ სახელსა და ჰამლეტურ რჩევა-მოთხოვნას გალაკტიონი.

მონაზვნის სახება რაისას ციკლში კიდევ ცალკე რკალად გამოიყოფოდა, წუთისოფლის სამდურავი ადამისა და ევას ლანდებსაც რომ შემოაცურებდა და პირადადაც მიმართავდა: სტიროდეთო. და იმ მღელვარებით აღივსებოდა, შემდგომ და შემდგომ აპოკალიფსურ ხილვებში რომ გადაეზრდებოდა და თვითონვე შერქვიფდებოდა: ეს რა მომდის, ანკი როგორ გავუძლო ამგვარ წარმოსახვებსო.

ჯერ გასაძლებიც ისეთიც არაფერი იყო... თუმც უკვე... უკვე...

**დასწვით, დასდავით ოცნების ფერფლი,
ბოროტი გველის მსხვერპლი ხარ, მსხვერპლი!
სევდათ იცვალა თრთოლა ციების,
ღმერთი თარეშობს შურისძიების!**

და ფინალში ლექსის დასაწყისი განმეორდებოდა გადაადგილებული სტრიქონებით: სტიროდე ადამ, სტიროდე ევა, გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა.

მონასტერში წადი, მონასტერშიო, — ივედრებოდა ჰამლეტი.

მონასტერში წადი, მონასტერშიო, — იხვენებოდა გალაკტიონი.

და უფალს შესთხოვდა ოფელია: ნეტა გამოჯანმრთელდებოდესო.

ნეტა რაისა ჩიხლაძე რაღას შესთხოვდა უფალს?..

აყრიდა ლექსებს გალაკტიონი, მისადმი მიძღვნილ სტრიქონებს მაინც განსაკუთრებით ელოლიავებოდა: იქნებ გაეჭრა რომელიმეს... გადასდებოდა... ახელოდა ის თვალი, გალაკტიონს სულ სხვაგვარად რომ წარმოუსახავდა.

ვედარ უძლებდა ჭაბუკი მოლოდინს.

ისედაც შეშლას აღარაფერი უკლდა და... ყოველდღე მარცხს მარცხზე განიცდიდა, ყოველდღე თავს მოტყუებულად გრძნობდა და... რაისა საიდანღა გამოცხადებოდა ბედისწერის განაჩენივით!..

გამოჩნდებოდა, ყველაფერი გამოჩნდებოდა.

მართლაც როდემდე ეს შორით დავა და შორით ალვა?!.

* * *

სიყვარულში განცდილი მარცხი მარცხად — როგორი გადასატანი იქნებოდა ასეთი მგრძნობიარე, შთაბეჭდილებიანი პიროვნებისათვის, და... წლების შემდეგ კინალამ ოლია ოკუჯავასაც დაკარგავდა, ამ სახელს რომ წამოატივტივებდნენ.

ნეტა ვის გაახსენდებოდა ანდა რისთვის დაისაჭიროებდა ამდენი ხნის მერე?

ოლია ისეთ წერილს გამოუგზავნიდა მოსკოვიდან, 20-იანი წლების მიჯნაზე (უფრო ნიშანდობლივი თარიღი ვერ დაგვიდგენია), გაგულისებულსა და საყვედურებით სავესეს, გალაკტიონი ძალიან შეფიქრიანდებოდა და საპასუხო ბართში მოჰყვებოდა ფიცსა და მტკიცეს: ურცხვად სვრიან ტალახში ჩემს სახელსა და ჩემს სიყვარულს, ანკი შენამდე რანაირად მოაღწია ამ ქუჩაში შეითხნილმა ამბავმაო.

ცამდე მართალი გახლდათ.

ოდესღაც გული თუ შევარდნოდა ამ ახალგაზრდა ქალზე, მისი ეს სიყვარული აკი გაუზიარებელი დარჩენილიყო და ლექსების მიძღვნის იქით არც წასულა.

მონასტერში, მონასტერში, ოფელიაო — „ჰამლეტიდან“ ნასესხებ ამ ფრაზას უნდა გადაჰყოლოდა ოლიასთან ოჯახური ცხოვრება, რომელიც ისედაც ვერ აენყოთ და... ჭორიკანათა ენის სარსალი აკლდა კიდეც.

ოხ, ნეტა გამოერკვია, ვის ჩაენვეთებინა ეს სახელი ოლიასათვის!..

— რაისა ჩიხლაძის სახელი მოუცილებელ ჩირქად დარჩენილა ჩემს ცხოვრებაში; არა, ეს ასე არ უნდა იყოს... მე ის არასდროს არც მეყვარება... მე იმას სრულიადაც არ ვიცნობ, როგორც მეგობარს. მამ რა უნდა მის სახელს ჩემს სახელთან?

ყველაზე მეტად კი მაინც ის სტკენდა გულს, რატომ უნდა ელაპარაკათ მასზე ამდენი, ვის მიეცა მათთვის ამის ნება?

არ ვიცნობ, როგორც მეგობარსო.

არასდროს არც მეყვარებაო.

არაფერს ასხვაფერებს, არაფერს აჭარბებს. სიახლოვე, მეგობრული ურთიერთობა მათ შორის არც გაბმულა. თანაც, ხომ არ ფიცულობს: არც მეყვარებიაო. ირწმუნება: არც არასდროს მეყვარებაო.

დამთავრა, გამოიტირა ის სიყვარული და გახსენებაც აღარ სურს, არამცთუ კვლავ გაებას რაისას ხიბლში.

არა, მაინც ვის გაახსენდა და ვინ წამოუტივტივა, კინალამ საბედისწეროდაც რომ გაუხადა.

მაგრამ ეს მერე უნდა მოხდეს.

ჯერ კი ისევ:

შორით დაგვა, შორით ალვაო.

ასენსტიკა

ზურაბ ხასაია

ადამიანი — მთვარეული

ადამიანებო, რად გინდათ იავნანა? თქვენ ისედაც გძინავთ. ძილში სიზმრებს ნახულობთ და ნამდვილი გგონიათ. ესა თქვენი მთავარი ცთომილება. სინამდვილის საკითხია თქვენი მთავარი იაღლიშო.

ამას თითქმის მიხვდა რენე ღიკარტი, როცა ცხადისა და სიზმრის სამანთა მორღვევა იხილა. ეჭვით დაღრეჯილ ლომსა ჰგავდა. დიდი პასკალის დაბნეული ძმა იყო, უმცროსი. მან ნამოაბოდა ადამიანთა მთავარი შეცდომა: „მე ვარ!“ მერე კი ამ შეცდომაში დასახლდა, დაცოლშვილდა და სამუდამოდ დაილუპა. მთავარი ჭეშმარილება კი ზულ სხვაა: „მე თითქოს ვარ!“

მამ რაღად გინდათ იავნანა? ხოლო თუ თქვენსას არ იშლით და მაინც გინდათ, გეტყვი: მე დავინყებ რაღაცის მტკიცებას, დასაბუთებას და თქვენ ტკბილად ჩაგეძინებათ. აი საუკეთესო იავნანა. თქვენ მაშინვე დაგეძინებათ. ლოგიკამ, თანმიმდევრულმა აზროვნებამ ჩაითრია და მოაჯადოვა ადამიანი; დააყრუა იგი სირინოზთა უწმინდეს ხმათათვის და ბერძენი ყაჩაღების ხომალდ „არგოს“ ანძაზე მიაჯაჭვა.

მაგრამ მე მინდა სმენად იქცეთ, ჯაჭვები დაწყვიტოთ, ამოტრიალებული ქვეყნიერება იხილოთ. აი მაშინ კი ყველაფერი გასწორდება, ოღონდ თქვენ აღარ იქნებით. როგორც კი მოკვდებით, დაიხსოვებით, მაშინვე ღმერთი მოვა.

ერთ დროს, ჩვენს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, ჰამლეტის პირქუს სამშობლოში, კოპენჰაგენის მწუხარე ქუჩებში დაეხეტებოდა უცნაური ყმაწვილი — სორენ კირკეგო. სულ იმას ნანობდა, რომ ადრეულ ბავშვობაში არ გარდაიცვალა თავის დაძმასავით. რა ვუყოთ, თითო სანანებელი ყველასა აქვს. ხანდახან ეჭვიც იპყრობდა: იქნებ მე ის ვარ, ვინც გარდაიცვალა, ხოლო ვინც გარდაცვლილი მგონია, ის მე ვარ და მინაში ვწევარო. ასეთ საგნებზე ფიქრს არაფერი ერჩია. ნეტავი მას, ვისაც არაფერი სურს. მას არაფერი სურდა და იყო ანგელოსი,

ვინც შემთხვევით გაება წუთისოფლის ხლარებში. ნატიფი სული, ტანად ქცეული! — იტყვი მისი შემხედვარე.

ადამიანებო, შორს გადაისროლეთ სიტყვის ძონძები და გაჩუმდით. მაშინვე აღდგება სიტყვის მუსიკალური სული. თუ ამას არ იზამთ, ვერ გამოხვალთ ლოგიკის ჯადოსგან და უხსენებლებით სავეს სიზმრებიდან. დაუკვირდით სიზმრებს საკუთარს. იქნებ ლანდს მაინც მოჰკრათ თვალი სინამდვილისა.

გამოგიცდიათ ახალგაზრდობა? ზღვა ლომის ნაპირებს, ქალაქის კიდეც; ზღვა — ატეხილი მდებრი; სიძვის გრიგალი; შეშლილი ცეცხლი, წყლად ქცეული; სინამდვილის ჯაჭვით დაბმული. აუშვებ და დაილუპება. ასე უნდა იტანჯოს და ამ ტანჯვიდან ამოხაპოს ძალა და მშვენიერება თვისი. ჰოი სიზმარო ყოფნა-არყოფნისა, მარადისობის მღელვარე ნისლო, აკვიატებულ სიზმრის სილუეტებო!

სინამდვილე ჩვენი აკვიატებული იდეაა. პლატონს ზეცაში ეგულებოდა იგი, რადგან არა ჰგავდა ჰერაკლიტეს — ეფესოს დაღვრემილ ლომს — და შიშის ზარს ჰგვრიდა არარაობა.

გამოგიცდიათ სიბერე? გიხილავთ ამომშრალი ზღვა? ზღვა დანგრეული, სიმახინჯის გამოცხადება, ფანტაზიის გონჯი ნაყოფი, სიყმაწვილის სამწუხარო ფარსი, უდაბნო. მე ვიხილე ეს უდაბნო სიყმაწვილეშივე. ვინც სიყმაწვილეში, პირველი სიყრმის ხანაში იხილავს უკანასკნელ სიყვარულს, მან იცის, რაა უდაბნო — თავისუფლების წყეული სტიქია, თავისი სიბერნისგან დამსკდარი. უდაბნო — მინცივ დატანჯულ აქლემის სიზმარი.

ჰოი უდაბნოში შეცდომით შემოფრენილო ჩიტო, ამაოდ რომ იქნევ ფრთებს. არც არაფერს შორდები, არც რამეს უახლოვდები. მიცურავ და მიფრინავ, ერთ წერტილში სამუდამოდ ჩაჭედილი. მთელი შენი ცხოვრება ედრება მხოლოდ უაზრო დაღლას. სიქა გაგეცლება და სიკვდილი მოგენატრება, ბეჩავო. აღარც ხე, აღარც კლდე სადმე. იქნებ ცას ახალო თავი და ცამივე დაილუპო? ამგვარი ტანჯვისგან აღმოცენდება მეუდაბნოეთა ჩვენებანი საკვირველი — სიზმარი ბუდასი, იესოსი და მუჰამედისა.

პოეზია სულის ბრძოლაა სიტყვასთან. გარბის სული სიტყვისგან, მასხრად იგდებს მას. ეს ისიფერი თოვლიო, ეს ხიდიდან ქალწულების ფენაო, ეს ივლისისფერი ყინვაო. ისე ჩანს, თითქოს სიტყვა უსაზღვროდ თავისუფალია. ნამდვილად კი ეს მა-

რადიული დადაიზმი სულის თავისუფლებას, დაბეჭობულ სიტყვათა უცნაურ დრეკადობას რომ დამგვანებია.

მაგრამ ერთი ცნახოთ და სულმა დააღწია თავი სიტყვაში პატიმრობას; საერთოდ გაექცა მას და სრულ ბოდვაში გაეხვია. აი ეს კი მუსიკაა. მუსიკა — მოცეკვავე ქალღმერთი, შლეიფიანი. მის ირგვლივ ჰყრია სიტყვათა ნამუსრევი, ვითარცა ფერფლი და ნაცარი. ეტრფიან სიტყვები ქალღმერთს და შეპფრფინვიან. შემოსვა სწადიათ მისი ნაირ-ნაირი ყვავილებით.

მაგრამ იგი ტანზე არ იჩერებს არცერთ ყვავილს და ნიშნად ველურ სიამაყისა უკუჰყრის მათ, ნარნარ ფეხებით თელავს და ზედ ნავარდობს. გრძნობს: მისი ტიტველი ტანი ყვავილებზე ლამაზია. მუსიკა — ქვეყნიერების ტიტლიკანა მუზა. უკვდავია იგი, ვითარცა ქარი და ნიავი. ნებვირობს იგი და ტკბება უსაზღვრო თავისუფლებით.

გალაკტიონს სურდა ამ ბედის ნებვიერი ქალღმერთის შეპყრობა. ამ ცელქობას აჰყვია იგი ბავშვობიდანვე ჭყვიშის და ტობანიერის სევდიანი სანახებიდან. დაიჭერდა და თავზარდაცემული ისევ ხელს უშვებდა. თითქოს პატარა ბავშვს უშველელი გველი უპყრიაო რძიან ხელებით.

მაშინ იგრძნო ჩვენმა მგოსანმა, რომ აქტიონის ხვედრი ელოდა. აქტიონმა, დიადი პანის მიძინების ჟამს, თვალი მოჰკრა შიშველ დიანას, შუაგულ ტყეში ნყაროს ნყლის ბროლიან ნაკადებში მობანავეს. ველურმა ქალღმერთმა უკვდავი ტანით იგრძნო მოკვდავი მამრის მზერა და ძალღებს დაავლევინა საბრალო ძეი არისტეასი.

ვინ იცის, იქნებ ერთი ნამი შიშველი ელვის ხილვისა ღირდეს მთელ ცხოვრებად. არის ნამები, რომელთა მერე ცხოვრება ზედმეტია. ნამი ნამდვილია, წლები — სტატისტიკა. გალაკტიონმა ეს ნამი არაერთხელ განიცადა. ამიტომ სიცოცხლე საჭირო აღარ იყო და სულ სიკვდილს ელოდა. სიცოცხლე კი მაინც გრძელდებოდა და ამ უცნაურ გამოცანაში გარკვევა შეუძლებელი ჩანდა.

ამომშრალი ზღვა, მის ადგილას ოღროზოლო, მახინჯი კალაპოტი დედამინის ნანგრევს ედრება. ეს დაბერებულ პოეტის სიზმარია. სიცოცხლის წვენი, სიგჟისა და სიმრუშის წვეთი დაძრეტოლა და ადამიანი ხედავს ამ სამწუხარო ვითარების სახეს — ამომშრალ ზღვას. ბერიკაცი სიცოცხლის ნანგრევია. დასრულდა სიცოცხლე — შეშლილის ხეტიალი. დარჩა მხოლოდ სარკე მოგონებისა, ლანდების ჭვრეტა, მათთან ლაციცი.

ეს დიდი განწმენდაა. თითქოს ცივი მარმარილო თანდათან გასუფთავდა სიცოცხლის ლორწოვან ნებისგან. ოჰ, მიყვარს ყინულოვანი სამყარო, უსაზღვრო შორეთი, ვარსკვლავებზე ქცეული არარაობა. ადამიანი ამ ცივი შორეთიდან ნუთისოფელში შემოხეტებული ლანდია. კარგია სიცოცხლე, რადგან ტანჯვაზე უკეთესი გასართობი არ არსებობს. კიდევ უკეთესია არყოფნა, რადგან ტანჯვა მაინც ზარალია და სჯობია დასრულდეს.

პოეტი ჭეშმარიტებას აბოდებს. მაგრამ პოეტს ბოდვათა გამო მასხარის სახელი გაუფარდა და აღარავინ უსმენს. ეს ჭეშმარიტების ტრაგედიაა — ის ბოდვებშია გახვეული. სიცრუე კი ლოგიკის სამოსელშია გამონკეპილი და დიდ პატივში ჰყავთ.

ეს იმიტომაა, რომ ცნობიერება ძილია. ადამიანს დაბადებიდან სძინავს და მძინარეს აბა რა ჭკუა მოეკითხება! ადამიანები მძინარენი დადიან მთვარეულებით. ხალხი — მემთვრალიეთა ჯგრო! შეთქმულან ისინი აზრის, ჭეშმარიტების წინააღმდეგ. რაც მეტად უაზროა ცხოვრება, მით უფრო ცხოველ ინტერესს ინვევს. უსაქმურ ხალხს არასოდეს სცალია. საქმიან ადამიანს კი დრო თავზე საყრელადა

აქვს. გამოიღვიძო, ყურში ჩასძახის მძინარე მღვიძარეს. აი ნუთისოფლის ყველაზე დიდი აბსურდი და გამოცანა!

როცა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ თვითმკვლელ პოეტს სამარეში ერთი წამით გაელვიძება, უსიამოვნოდ გასცრის ტანში: გაახსენდება ცხოვრება; გაახსენდება, რომ ერთი წუთით მასაც უცხოვრია. ისევ არყოფნას ისურვებს და დახუჭავს თვალს, ამჯერად უკვე სამუდამოდ.

მაგრამ ვაი მას, ვისაც ჰერაკლიტესა და ნიცმესდარად „მარადიული დაბრუნება“ მოეჩვენა; ვინც სიცოცხლის კლანჭებს ვერ გაექცა; ვინც შემზარავი ჭეშმარიტება აღმოაჩინა: დრო არ გადის და ეს ნამი მარადიულია! ვაი მას, ვინც სიკვდილის იმედიც დაჰკარგა და ანტიურ იქსიონის ბორბალს სამუდამოდ მიეჭედა. ეს დაემართა **ნიცმეს** და ამან ჭკუიდან შეშალა იგი.

გაიღვიძე, მთვარეულთა მოდგმავ! გაიღვიძე და დამშვიდდები, დაცხრები. ეზიარები **ლაო-ძის** „უ ევის“ და დიად **silento**-ს ლათინთა. ყური არ ათხოვო დამთხვეულ ევროპას ანგლო-საქსების; ევროპას — ბებერ მეძავს; ფერუმარულში დამარხულ კუზიან დედაბერს, მოქმედების კვიატიტ აჭროლს; ყურისნამღებ გნისაში მოფუთფუთე მატლს, კოსმოსის ღრიჭობში შემძვრალს; ორსქესოვან ურჩხულს; ბედკრულ დედამინის ავთისებთან სიმსივნეს.

მან, ანგლო-საქსურმა ევროპამ, ბავშვის ღიმილი დამარხა და პლასტმასის ღიმილი გამოიგონა.

მან გონიერი გამომეტყველება აკრძალა და იუდეველთა უსაგნო ირონია დაამკვიდრა.

მან გააცამტვერა კლასიკური სერიოზულობა და გამოიგონა ყვოლად არასერიოზული სერიოზულობა.

არასერიოზულით სერიოზული გატაცება — აი დასავლური ცივილიზაციის მთავარი არასერიოზულობა და მისივე ერთადერთი სერიოზულობა.

მან ყველაფერი იცის არაფრის შესახებ და არაფერი ყველაფრის შესახებ. რალაც ამის მსგავსი თქვა დიდმა ოსკარ **უაილდმა**.

ის არის ყველაზე ანტიქრისტიული კონტინენტი დედამინაზე, მაგრამ ჰყოფნის უტიფრობა გამოაცხადოს თავი ქრისტეს მოციქულად.

მან თავისი იეზუიტური სულისკვეთებით ორი მსოფლიო ომი მოახვია თავზე დედამინას და მესამე აქვს მომზადებული უნაკლოდ, თადარიგაანად.

მან ცხენოსანი დავითის ქანდაკება აგვალებინა ქალაქის შუაგულიდან, ვითარცა „ძველი მენტალოზა“, და მის ადგილზე ველოსიპედი დაგვიდგა. ცხენოსან დავითიდან ველოსიპედზე ამხედრებულ ქონდრისკაცამდე — აი საქართველოს სასაცილო ისტორია!

გაიღვიძე, მთვარეულო საქართველოვ! ნუ აცეცებ თვალს. შეაბრუნე მზერა შენსავე არსებაში და გაცოცხლდები. მაშინ იხილავ უბრალო და უხრწნელ რჯულისდებას, ნებისმიერ საპარლამენტო კანონზე უფრო ნამდვილს; ადამიანის დიად დანიშნულებას, ევროატლანტურ დიექტივებზე უფრო ნათელს და მაცხოვარს; იგრძნობ დიად მოვალეობას, „ადამიანის უფლებებზე“ უფრო ღვთაებრივს;

დიად მონობას, თავისუფლების ინსტიტუტის ინფუზორულ, ერთუჯრედოვან თავისუფლებაზე ბევრად აღმატებულს. ყველას უნდა გვახსოვდეს: ადამიანის გზა თავისუფლებიდან კი არ მოდის, არამედ თავისუფლებისკენ მიდის. ხოლო ვინც თავისუფლებით ინყებს, ის მონობით დაამთავრებს.

გვანცა შუბითიძე

ეროვნული მოძრაობის ისტორიის ორტომეული

28 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ეროვნული მოძრაობის ისტორიის ამსახველი ორტომეულის პრეზენტაცია.

პირველი ტომი მოიცავს 1988-1990, ხოლო მეორე 1990-1991 წლებს. ამ ორ ტომში წარმოდგენილია, როგორც საგაზეთო, ისე ე.წ. პროკლამაციების სახით გავრცელებული მასალები, რომელიც იმდროინდელ პრესაში არ დაბეჭდილა. მისი შემდგენლები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე** და ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი **ზაზა კალანდია**, რომელიც იმავდროულად სპონსორიც გახლავთ.

განხილვამ ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის და ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია და საინტერესოდაც ჩაიარა.

— ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ვიყავი, როგორც ერთ-ერთი რიგითი წევრი. ვგრძნობდი, რომ ე.წ. არაფორმალური გაზეთებისა და ე.წ. პროკლამაციების შენახვა საშური საქმე იყო. რაზეც ხელი მიმიწვდა, ყველაფერი შევინახე - მასალებს ოთხმოციანი წლების ბოლოდან ვაგროვებდი. პროფესიონალი ისტორიკოსი ვარ და ვგრძნობდი, რომ მომავალში ეს მასალები უძვირფასესი იქნებოდა. ეს არის პერიოდი, 1988 წლიდან 1994 წლის ჩათვლით. ამ მასალებზე თითქმის 20 წელია ვმუშაობ. შემდეგი ტომების გამოცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ეს წიგნები საზოგადოებაში დაინტერესებებს გამოიწვევს — განაცხადა **ედიშერ გვენეტაძემ**.

შემდგენლების სიტყვით გამოსვლის შემდეგ გაიმართა სამეცნიერო სჯაბაასი ეროვნული მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

სიტყვით გამოვიდნენ ორტომეულის რედაქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა**, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, პროფესორი **ნოდარ ნათაძე**, ეროვნული მოძრაობის მაშინდელი აქტიური პერსონები — **ირაკლი წერეთელი**, **რობერტ პეტრიაშვილი**, **თემურ ქორიძე**, პროფესორები **თამაზ ბერაძე** და **ზურაბ პაპასქირი** და სხვანი.

უკლებლივ ყველა გამომსვლელმა მაღალი შეფასება მისცა შემდგენელთა მრავალწლიან შრომასა და ძალისხმევას, მათ მცდელობას — თავი მოეყარათ უზარმაზარი მასალისთვის, რომელიც საბოლოო ჯამში 10 ტომზეა გათვლილი და მდიდარია უნიკალური ინფორმაციით — როგორც ოფიციალური დოკუმენტებიდან და პრესიდან ამოღებული მასალებით, ასევე სხვადასხვა პიროვნებათა მიერ მონოდებული და თვით შემდგენლების მიერ მოგროვილი მასალებით, მოგონებებით, კრიტიკული წერილებით. ორტომეულში თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც მაშინდელი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიერ შექმნილი დოკუმენტები.

თამაზ ბერაძემ წამოაყენა საინტერესო იდეა, რომ ეროვნული მოძრაობის ჯერ კიდევ ცოცხალმა მონაწილეებმა დატოვონ თავიანთი მოგონებანი იმ ბოზოქარი წლების შესახებ (1987-92), რომლის დროსაც მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები საქართველოს ისტორიაში. თუ ამ მასალებს გამოქვეყნება რალაც მიზეზთა გამო ამჟამად შეუძლებელია, მომავალ თაობებს მაინც დაუტოვონ გასაცნობად და გასაანალიზებლად — განაცხადა მან.



ნოდარ ნათაძემ ისაუბრა ეროვნული მოძრაობის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე და აღნიშნა რომ დიდი პატრიოტული მუხტის მიუხედავად, თვით მოძრაობა და მისი მონაწილენი არ აღმოჩნდნენ მზად დამოუკიდებელი საქართველოს გასაძღოლად გამოუცდელობის, არაინფორმირებულობისა და გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ჩაუხედაობის, პროგრამის უქონლობისა და გადაჭარბებული ამბიციურობის გამო.

ცხადია, არ უნდა გამოგვრჩეს ეროვნული მოძრაობისა და მისი წინამძღოლის უმთავრესი ღვაწლი: საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა და მისი ეროვნული საფუძვლების მომზადება.

აქვე გამოითქვა აზრი, რომ მომავალი ტომები იქნებ დააფინანსოს რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა გრანტის სახით ან კერძო ბიზნესმა, შეიქმნას სარედაქციო საბჭო, რომელიც დაეხმარება

შემდგენლებს მუშაობასა და მასალების მოგროვებაში, დაშვებული ლაფსუსების აღმოფხვრაში.

იმედია ამ პატრიოტულ საქმეს ღირსეული სპონსორები გამოუჩნდებიან და ამ საშური საქმის ბოლომდე მიყვანაში დაეხმარებიან შემდგენლებს.



ნუცა მარგველანი

ინახება საქართველო რომანეზშიც

27 მარტს, ტრადიციულ სამშაბათობაზე, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში — ჩვეულ ხალხმრავალ და გულითად გარემოში — წარდგინება გაიმართა **როსტომ ჩხეიძის** ბიოგრაფიული რომანისა „**მზის რაინდი (ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა)**“.

XIX საუკუნის ჰეროიკულ გმირზე დაწერილ რომანსა და მის ავტორზე ვიდრე შესავალ სიტყვას იტყვის ღონისძიების წარმართველი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **მაია ჯალიაშვილი**, ითხოვს, წუთიერი პატივი მივაგონ — ახლახან გარდაცვლილი ორი უკეთილშობილესი პიროვნებისა და მოღვაწის — **ერლომ ახვლედიანისა და ელისო კალანდარიშვილის** სსოვნას.

და რასაკვირველია, იმდღევანდელი ღონისძიების ჩანაფიქრი გაცხადდა თავიდანვე: შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ წარდგინებით და ამის კვალობაზე, შეხვედრაც ამოიწურებოდა მალევე. მაგრამ ჩანაფიქრი დაურჩათ ჩანაფიქრად, რადგან საპრეზენტაციო წიგნი დარბაზში მსხდომთაგან წაეკითხათ და, შესაბამისად, ცინცხალ შთაბეჭდილებებზე სიტყვით გამომსვლელთა სურვილმა ღონისძიება ბუნებრივად გაახანგრძლივა.

ლაკონიური იყო და ექსპრესიაც მსჭვალავდა მაია ჯალიაშვილის სეფე სიტყვას:

— თავისუფლება ეს არის წარსულის ხსოვნა, დროის ერთიანობის შეგრძნება, ეროვნული იდეალების შენარჩუნება, ტრადიციების ერთგულება... ეროვნულობას, შენს მეობას ისე არავენ შეგაგრძნობინებს, როგორც დიდი წინაპარი, ისეთი ადამიანი, როგორც იყო ალექსანდრე ბატონიშვილი. მითოსურ-ლეგენდური შარავანდედით შემოსილი, არ ყოფილა მხოლოდ გმირი საქართველოსი. იგი იყო მთელი კავკასიის იდეალი, სიმბოლო ერთიანი კავკასიის თავისუფლებისა. ალექსანდრე ბატონიშვილის მემკვიდრეებად უნდა მივიჩნიოთ ძალიან ბევრი ეროვნული მოღვაწე, უპირველესად ილია ჭავჭავაძე, რომელიც კოემა „აჩრდილში“ ლოცულობს ნატვრის ახდენისათვის:

**როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა**

**კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქოლას?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა**

ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებთან.

ორატორისათვის საპირწონე საამბობელი აღმოჩნდა ბიოგრაფიული რომანის გმირი და მისი ავტორი. ოდნავ მოგვიანებით, საუბრისას მათი განცალკევება აღარც მოუნდომებია, რადგან დიდა ღვაწლი სახელოვანი წინაპრებისა, შეუფასებელია შრომა, რომელიც გასწია როსტომ ჩხეიძემ მათ უკვდავსაყოფად. მაია ჯალიაშვილმა მოიშველია კონსტანტინე გამსახურდიას საამისოდ შესაფერისი სიტყვები: „მწერლობა გმირობის გამოსარჩლებია... მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი“. და დასძინა, რომ კლასიკოსის ეს გამოჩნატევაში ესიტყვება არამხოლოდ ამ ახალ რომანს, რიგით მეტორმეტეს... ყოველი ისტორიული გმირი, როსტომ ჩხეიძის კალმით გაცოცხლებული, ახლობლური განცდითა და ამავე დროს უზომო მოკრძალებით შეიყვარა მკითხველმაო.

ახალი წიგნის მეთორმეტეობა ორატორმა ქალბატონმა ავტორისავე სიტყვების პერიფრაზით განმარტა — თანმიმდევრობა ბიოგრაფიულ რომანთა ციკლისათვის სწორედ ამ წიგნით უნდა დაწყებულიყო, რადგან ალექსანდრე ბატონიშვილის გმირული სულისკვეთება მაგალითი გახლდათ სახელოვან შთამომავალთათვის; ყოველშემთხვევაში იმართვის, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებში რომ დაივანეს.

ერთი სიტყვით, ფასეულობა დაიდო, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განაწილება კი არასოდეს იქნება დაგვიანებული და არც გასაზიარებლად საძნელო.

მაია ჯალიაშვილმა ლიტერატურის სანდო ექსპერტს, კრიტიკოს **თემურ ქორიძეს** შესთავაზა ორიოდ სიტყვით გამოეხატა შთაბეჭდილება „მზის რაინდის“ შესახებ.

თემურ ქორიძე — არათუ გამოეხებამაურები ამ ახალ რომანს, უპირველესად, მადლობა ეკუთვნის ჩემგან, როგორც მკითხველისაგან, მის ავტორს, როსტომ ჩხეიძეს. მას არ ასვენებს თავისი მამის აჩრდილი. ერთხელ გამოჩნდება და შემდეგ მის წარმოდგენაში არ იკარგება.

როსტომმა შესანიშნავად დახატა მემამბოხე გმირის შთამბეჭდავი პორტრეტი, მემამბოხე რომანტიკოსისა.

ფიქრი ბედთან შეურიგებლობისა არნახულ მწვერვალზე ატყორცნის ადამიანს. ასეთი გმირი ეგებ ზედმეტად გულუბრყვილოცაა, მაგრამ ეს თვისება ამშვენებს მას. სხვანაირად გმირად ვერ შედგებოდა, ვერ იცოცხლებდა. ეს სხვა სტიქიაა, სხვა სამყაროა. გმირები სხვა სამყაროს ადამიანები არიან. ალექსანდრე ბატონიშვილის მთელი ცხოვრება გახლდათ თავგანწირული ბრძოლა ბედისწერასთან. ეს ლიტონი სიტყვები არაა. ეს ფიქრი საოცრად გახშიანდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ქართველს, წერა-კითხვა რომ იცის, ერთხელ მაინც თუ წაუკითხავს „მერანი“, აღარასოდეს დაავიწყდება. ოღონდ ესაა გასათვალისწინებელი როგორც და რანაირად წაიკითხავენ.

ზოგადად, აჯანყებათა დიდი უმრავლესობა დამარცხებულია. ერთ-ორს თუ გაუმარჯვინია... არიან ადამიანები, რომლებიც პრაგმატულად აზროვნებენ, ისეთებიც ხომ არიან, დაჟინებით რომ მიისწრაფიან გამარჯვებისაკენ. იციან ამ



დარბაზშიც და დასამალიც არაა, რომ არსებობს უკიდურესი ნიჰილიზმით აღსავსე დამოკიდებულება ქართველთა რაობისადმი, რომ ჩვენს არსებობაში ღვთის ხელი არ ურევია; რომ თურმე ჩვენი ინიციატივა იყო ყოველთვის რეაქცია ჭიაცელისა, როცა ფეხს ადგამენ. გაეხსენოთ ნიკოლო მინიშვილის საოცარი გულსიტკივილი, უფრო ადრე — ვახტანგ ორბელიანის — სასონარკვეთილი ქართველის ხმა — ამაღლებული ტრაგიკულ განცდამდე... იგი ამბობს საყვედურს, რომელიც ეთქმის ქართველს მთელი მსოფლიოს მისამართით. მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში არავის მიმართ მათხოვრულად ხელგანწვდილი არ ვყოფილვართ, მაგრამ მაინც აღმოვჩნდით ამ დიდი უსამართლობის წინაშე. ამიტომაც უარი არ უნდა ვთქვათ ჩვენს სულიერ ღირებულებებზე. რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს რწმენას ნამდვილისათვის, ქართველი კაცი და ჩვენი ისტორია რომ წარმოადგენს.

დარბაზი გულითადად მოუსმენს რომანის ავტორს, მითუმეტეს, როცა თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში შეუძღვება და მეგზურობასაც გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს.

როდესაც „შავი ჩოხა“ (ბიოგრაფიული რომანი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე) გამოქვეყნდა, როსტომ ჩხეიძისათვის უკითხავთ, ალექსანდრე ბატონიშვილზე როდისღა აპირებთ რომანის დაწერასო?..

მან აღნიშნა, რომ ამ ორი სახელის დაწყვილება შემთხვევითი არ ყოფილა. გაიხსენა, ეროვნული მოძრაობა იატაკქვეშეთიდან როცა ამოვიდა, ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათები მიუძღოდა აბობოქრებულ ხალხს. ბევრმა მხოლოდ მიტინგებზე გაიგო თვის იყენენ ეს ადამიანები, რა ბიოგრაფიები ჰქონდათ, რისთვის იღვწოდნენ და რისთვის აგრძელებდნენ ბრძოლასო. — ეროვნული მუხტი ვერ იცოცხლებს თუ არ არის ნამდვილი ცოდნა ისტორიისა. ამ ორი ადამიანის წვლილია, რომ სჯეროდათ, საქართველო სამუდამოდ არ დარჩებოდა იმპერიის განაპირა პროვინციადო — დასძინა.

ქართული პროზის კლასიკოსების ვასილ ბარნოვისა და მიხეილ ჯავახიშვილის აუხდენელი სულისკვეთებაც გაახმაურა — ამ ორი ისტორიული გმირის შესახებ დაენერათ შესაფერისად. თქვა ისიც, რომ მიხეილ ჯავახიშვილის უბის ნიგნაკში მონიშნული ქარაგმაც გაშალა და საერთოდაც, შემოქმედებითი გზის გამკვალავთა იდეების ხორცშესხმა ვალდებულებად დაისახა.

ეს რეალობაა — მაღალმხატვრული რომანები შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

დარბაზიდან ქალბატონი ნანა თარხან-მოურავი, როგორც მკითხველი და პატივისმცემელი როსტომ ჩხეიძის მოღვაწეობისა მონიშნავს განაცხადოს: საერთო გულსიტკივილით და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განცდით, თქვენს მხარდამჭერად მიგულეთო. — უფრო ჩემი საყვარელი კალმოსნების ფურცლებთან ვმეგობრობ, რადგან მიჭირს ხოლმე რაღაცნაირად ასე გამოსვლა. მაგრამ დღეს ისეთი ნუთები განვიცადე, უფრო სწორად თქვენ განგვაკდევიანეთ ბატონი როსტომ, როცა გისმენდით, როგორც ორატორს. თქვენი ამ შეზავებული ქართულ-იმერული იუმორით არაჩვეულებრივად აწვდით აუდიტორიას ყველაფერს. გაქვთ ასეთი ხიბლი და სიტყვის ამოწურავი საღარო, თანაც, ეს ყველაფერი არის ნამდვილი, ჭეშმარიტი.

ალმაფრთოვანებელია როსტომ ჩხეიძის ნაყოფიერი შე-

მოქმედებითი მოღვაწეობა და თუ აქაც გამოხტება ნიჰილისტი, რომ რამე თქვას მზაკვრული, თქვას და იყოს. შრომა და თავდადება იდეისა და საქმისათვის ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან მიუძღვის ქართველს, მითუმეტეს მწერალს.

ლია სტურუა — ნიგნი რომ ავიღე ხელში, ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის დიდი რომანი, კითხვა და ვინცე და ველარც გავჩერდი. გმირი ალექსანდრე ბატონიშვილი ისეთი ცოცხალი, ისეთი საინტერესოა... ყოველშემთხვევაში ჩვენთვის, ყოველი ჩვენგანისათვის სასურველი და საინტერესო. მე ვიცი კარგი მწერლები, რომლებსაც გმირები გამოსდით სქემატური, ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი.

ბატონმა თემურ ქორიძემ გამიჯნა, მეამბოხე პრამატისტი ვერ იქნებაო. ალექსანდრე ბატონიშვილი სწორედ მეამბოხეა. ასეთი გმირები ძალიან ხშირად მარცხდებიან, ბრძოლასაც აგებენ, მაგრამ მორალურად არიან გამარჯვებულნი.

რა თქმა უნდა, გრძლად ვერ ვილაპარაკებ, რატომ მომწონს ალექსანდრე ბატონიშვილი და რატომ უნდა მოგვეწონოს ყველას. ერთს კი ვიტყვი, ქართველისთვისება რომანტიკოსობა და არა ამ ბოლო დროს მიჩნეული პრამატისტიზმი. რომანტიკოსია ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც უპირველესად იბრძვის არა კუთვნილი ტახტის მოსაპოვებლად, საქართველოს უნდა დაუბრუნოს სახელმწიფოებრიობა. აქედან გამომდინარე, იგი — როგორც რომანტიკოსი და მეამბოხე — განწირულია. როგორც ვხედავთ, რუსებთან ბრძოლა მთელი ისტორიის მანძილზე ძალიან მძიმედ გამოდის...

მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება და ძალიან მომზიბლა ფაქტმა, რომ ბედისგან განწირულ კაცს მდივან-კალიგრაფები ჰყავდა, არ იშორებდა მათ და არც ხარჯს იშურებდა, თანაც ისეთ დროს — აღარც ტახტი გააჩნდა, აღარც სამშობლო და შორს იყო გადახვენილი. მართალია პატივს სცემდნენ, უნოდებდნენ „მზის რაინდს“, ლეგენდებიც იქმნებოდა მის შესახებ, რომ ფრთიანი ცხენი ჰყავდა, დაფრინავდა და არავის ჩაუფარებოდა ხელში, განსაცდელს ისხლტდა... მაგრამ მაინც მძიმე ხვედრი ჰქონდა, ბოლოს ცოლ-შვილიც მოსწყვიტეს და რუსეთში დაუსახლეს, ისე რომ სიახლოვე მოუსპეს ოჯახთან. აი ამნაირ კაცს უძნელეს ექსპედიციებში ნიგნები დაჰქონდა და დაჰყავდა კალიგრაფები...

რამდენი კარგი შთაბეჭდილება შემიძლია გაგიზიაროთ ამ რომანიდან, მაგრამ მთავარზე მოგახსენებთ, რომ ვიპოვე ერთ-ერთი გმირი, მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც შეიძლება ძალიან საყვარელი გახდეს ყველასთვის. ბარეშ ვისარგებლებ და პატარა ლირიკულ ნიაღვრასაც შემოგთავაზებთ.

ბატონი როსტომი არის სიტყვის ადამიანი. იმ აზრით კი არა, რომ პირობას არ გატყვს და სიტყვას შეასრულებს...

— მაგ აზრითაცო — ადრესატი საკუთარ თავს სიტყვას ხუმრობით შეაწევს.

— ეს თავისთავად იგულისხმებაო, — სიმშვიდის ღიმით აიფარა **ლია სტურუა** და სიტყვა მაინც არ შეიშალა: რომ როსტომ ჩხეიძემ თავის დროზე დიდი საქმე გააკეთა. ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანაში ჟურნალი „ომეგა“ და გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ მრავალი ნიჭიერი ხელოვანისათვის ასპარეზო ყოფილიყო, ხოლო ამ ორი გამოცემის მემკვიდრე, ახლანდელი „ჩვენი მწერლობა“ მიიჩნია ბედნიერ მონაპოვრად და სულის მოსათქმელ კერად.

ისტორიკოსმა **მანანა გაბაშვილმა** მახვილი აქცენტებით წარმართა თავისი გამოსვლა.

— ასეთ რომანს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ვნერ-

ვიულობ, როცა ვკითხულობ, მავიწყდება, რომ ეს წარსულში მოხდა. ფინალი ხომ ვიცი, რომ უნდა დამარცხდეს ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ ისე მიმდინარეობს თხრობა, ისე ჩამითრია, თითქოს ეს არც ვიცოდი. ის ხომ უნივერსალური გმირია, ყველა გმირის გმირი. მთავარი საკითხავია, რატომ მარცხდება იგი. მტერი ჩემთვის მარტო ის არაა, ვისკენაც წინათ ხელს ვიშვერდი. აბა, ამ წიგნში ნახეთ, რამდენი ქართველია ისეთი, მტრის გამარჯვებას რომ ხელს უწყობს. აი ესაა არსებითი, რაზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ. იმ პერსონაჟებისათვის, ალექსანდრე ბატონიშვილის რომ ებრძვიან, იცით რა არის მთავარი იარაღი? ესაა ნიჰილიზმი, რაც მომაკვდინებელია, რადგან ნებისმიერ იარაღზე ქმედითა და ძლიერ. ნიჰილისტს არ სჯერა გამარჯვებისა და ამიტომაც მარცხდება ეს მოძრაობა მთლიანად. რუსი დაუმარცხებლად დახატეს, არადა დამარცხდა მთელ მსოფლიოში. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ საქართველოში შეიძლება გაიმარჯვოს.

ალექსანდრე ბატონიშვილი მხოლოდ წარსული დროის გმირი კი არ არის, დღესაც გვყავს ჩვენ მისი მსგავსნი და იქნებიან მომავალშიც. ამიტომაც მთავარია მართებული დასკვნა და ანალიზი, რათა ერთა არ დაკარგოს სწორი ორიენტირი, რაც გამარჯვების საწინდარია.

როგორც ჩანს, როდესაც სათავე სუსტდება, ნიჰილიზმიც მაშინ ხარობს. ეს რომანშიც მკაფიოდ იხატება. ბაგრატიონები განდევნილნი არიან და როდესაც მტერი შემოდის, ნიჰილიზმისთვის არაჩვეულებრივი ნიადაგია. იცით რაზე მეტიცაა გული? კაცი, რომელიც იბრძვის ალექსანდრე ბატონიშვილის გვერდით, მეორე დღეს უკვე მის მონინაალმდეგეთა ბანაკშია. იმიტომ, რომ ნიჰილიზმის ბაცილა შეეყარა და აღარ სჯერა გამარჯვებისა. რახან აღარ სჯერა, ალექსანდრე ბატონიშვილი მას უქმნის დისკომფორტს.

მიმაჩნია, რომ სადღესოდ და მომავლის თვალსაზრისითაც ძალიან დიდი მნიშვნელობისაა ასეთი წიგნები. მე სწორი ორიენტირი დავინახე, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ რომანის ავტორს.

როგორც წესი, ხალისიან სიკეთეს მიამატებს ხოლმე ჩვენს სალონურ შეკრებებს **თემურ ნადარეიშვილი**. სიტყვით გამოსვლას ყოველთვის დასკვნით ნაწილში ამჯობინებს და მონინაალმდეგეთა ბანაკშია რეგულარულად ექსპრომტად გაახმაურებს. ზუსტი მეცნიერების ამადგარი, ფიზიკის პროფესორი ქომაგობს ფასეულ ლიტერატურას. ამჯერადაც არ გასჭირვებია სხვათა გამოსვლებიდან რაიმე შტრიხისა თუ დეტალის განზოგადება. გაიხსენა ახლო წარსული, უძრავობის ეპოქა. როცა ნამდვილი ისტორია მიჩქმალული იყო და საზოგადოებას, განსაკუთრებით სტუდენტ-ახალგაზრდობას, სინამდვილის შეცნობის მაგივრად სამინელი თეთრი ლაქებით უფარავდნენ თვალსანიერს.

ბიოგრაფიული რომანების ავტორს მადლობა მოახსენა და დასძინა: — ისეთი შეპყრობილი ვიყავი, გმირის სულის შფოთვის მთელი არსებით ვგრძნობდი და თითქოს იმ ეპოქაში მეც ვმონანილეობდი.

რასაკვირველია, ეს როსტომ ჩხეიძის, როგორც ბელეტრისტის დიდ გამარჯვებად მიიჩნია. თავისი

მარიამ ნიკლაური

მშვენიერების უდაბურებაში

ანუ ლექსადქმნადობის ლიტურგია

(...და რამდენიმე კითხვა დედა მარიამს)

აი, წავიკითხე ლექსები... თითქოს არაერთხელ წაწაკითხი... შენებურად, უცნაურად დაკეცილ ფურცლებზე ჯვრიანი ასოებით „ნაჭრელები“... მორიდებით რომ გამომიწვდი ხოლმე, როგორც პურის ყუას სამშვიდობოს გასული მეომარი... ეგ ფურცლები ხან ჩიტებს ჰგვანან, ხან მარაოებს. რიდს და მოკრძალებას ჰბადებენ, თავინთი პატრონივით, გარშემომყოფთა შორის. და სიყვარულს. ომში ალბათ ასე მოწყალების დაა, ხელიდან რომ სითეთრედ ედინება შუქი ნუგეშისა. ახლა მინდა წარმოგიდგინო, ძეგვის მონასტერში, დედა მარიამთან... ან პაემანზე... ან მამის საფლავზე... ან საგურამოში... ან როგორ მღერი „ლიახვოს“... რატომ? უბრალოდ მინდა დავიჯერო, რომ შენ ჩვეულებრივ ადამიანადაც ცხოვრობ, მეგობარო... და ამ სამყაროსაც აშენებ და ქმნი, რომელსაც ახლა კიდევ ერთხელ ჩაგვხედს სევდიან, უღამაზეს თვლებში... ლექსები... ისინიც საკუთარი ბედისწერით იბადებიან, მერე ერთ წიგნში მოქუჩდებიან, წამოიხურავენ ყდას ცასავით და, ვინ იცის, რას და როდის გათქვამენ...

ყოველ ჯერზე გაკვირვება მოაქვთ მათ ჩემთვის. თვითმყოფადი, არავის მიერ განცდილი და გამოთქმული ასე... შემოქმედი თავის თავს ჰყვება... მაგრამ სწორედ ეს „თავის თავი“ უნდა მიაგნოს ყველა სულიერში, ყველა დროში, ყველა მოვლენაში, არადა რამხელაა სამყარო, როგორ გინდა გასწვდეს და ეკმაროს, თუნდაც საკუთარ თავს მასში? არადა, ეს სიტყვები სხვათა „მედ“ უნდა იქცეს სულ მალე...

ყოველი ხელახალი წაკითხვა ხელახლა „გაჯადოებს“. აუხსნელი ხიბლი აქვს ამ პოეზიას, თავისებური მაგია, რომელშიც ძნელად თუ შეძლებს მკითხველი ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. მისტიკა, ხილვა, გუმანი, სიტყვიერებასთან ურთიერთობის ნიჭი, მაძიებლის შეუმცდარი ალლო და სხვა ბევრი თვისება სჭირდება ამ მშვენიერების უდაბურებაში მოხვედრილ მკითხველს. ზოგჯერ მიღმიერი და უხილავი სამყარო გაგრძობინებს ხოლმე თავის არსებობას აქვე, შენს გვერდით. ან გრძობ ან ვერა. ვილაციისათვის ხილულ-უხილავი სამყაროთა ამგვარი გადაკვეთის მხოლოდ წამები არსებობს. ვილაციისათვის — ეს ცხოვრების წესია. რაღაც ამდაგვარი აქვს შენს ლექსებს. მოსახელთებელი მორწმუნეთათვის, მოუხელთებელი — ურწმუნოთათვის! ხანდახან ძველ ხალხთა სამოსზე ამოქარგული ავი თვალისაგან დასაცავი ნიშნები მახსენდება. აღარავის ახსოვს ამ ორნამენტების პირვანდელი მნიშვნელობა... ზოგჯერ ამოუკითხავი, გაუგებარი, მაგრამ ყოველთვის სანდო, უტყუარი, სარწმუნო მათი ზემოქმედების ძალა... პოეზიაც ასეა. ფრიად არს საცოდნელი და მცირე არს ცოდნა... მთლიანად, ერთიანად ეს ლექსები კიდევ უფრო „თავისფერები“ არიან. საოცრებას გვიყვებიან იმ სამყაროზე, რასაც ადამიანის სული ჰქვია. ეგებ

სულის სიზმარიც! რას გვეუბნებიან? საით გვახედებენ? რას გვიმხელენ? რით გვანუგეშებენ?

იქნებ ყველაფერი პირიქითაცაა და ჩვენგან ელიან ისინი მოფერებას, სახელდებას, დაყვავებას... იქნებ გზასაც ელიან, რომელსაც შეუცდომლად მივასწავლით... მაგრამ ვინაა ამ სამყაროში შეუცდომელი დამკვალავი სანატრელი გზისა, ან გზა და მგზავრი როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან? განა ტკივილი უკვირს ადამიანს? განა ღვთის ძიება უკვირს ადამიანს, განა ბედნიერება უცხოა მისთვის და მაინც, ეს ლექსები და ეს პოეტური ხმა და სიტყვა აკლდა ქართულ, რის და ვის არმნახველ, პოეზიას. ეს აზროვნება, ეს ესთეტიკა, ეს პოეტური ენა, ეს სახოვანება, ეს ურთიერთმიმართება ადამიანსა და სამყაროს შემოქმედს შორის მოძებნის თავის კუთვნილ საბრძანისს, ისე, რომ არავინ ითაკილებს ამ ხმის მეზობლობას, რაც უნდა დიდი პოეტი იყოს ის ჩვენი თანამედროვეობისა. და თუ გუმანი არ მალალობს, კულტურული მემკვიდრეობაც უსათუოდ შეიტკობს და შეითვისებს ამ „მოუხელთებელ“ მშვენიერებას, ხილვას, ზმანებას, რომელიც ალბათ თავად სიტყვებს თუ ესიზმრებათ, თორემ ასეთი სიზმრის ნახვა რა ძილისა უნდა იყოს? ან რა ძილისა? რომელი ღვიძილის ნაპირად გამოდგება ამხელა სევდა, სიყვარული... ვეფხისტყაოსნისეულია ასეთი სიყვარულად გარდასახვისა და ასეთი თვითშენიშვნის უნარი, და განა ეს შესაძლებელია ღვთის განჩინების გარეშე? განა ადამიანს ყველაზე მეტად სწორედ თავის ადამიანადყოფნაში არ სჭირდება უფლის წყალობა და შენევნა?

მსოფლიო პოეზიამ კარგად იცის პოეტი ქალების ფასი. მათი სულიერების ძალა, მათი მდებრული სამყაროს „ვნება-ნი“ თუ „იავნანური“. პოეზია ბედნიერია იმითაც, რომ მას დედაკაციც ქმნის და თავისებურ, განუყოფელ იდუმალების ძალას მატებს. ამ ლექსებს აქვთ უნარი თავიანთი სიმართლის სიმიშვლე ღვთისმოსაობად აქციონ, ხოლო ვნებები ისე მოგანოდონ, როგორც სათნოებისადმი უპირობო თანაგრძნობის მიზეზი, თანაზიარნი გაგხადონ და ტკივილის ნეტარება განგაცდევინონ. არაფერია ზედაპირზე, არაფერია ადვილად ასაღები: თუ გიყვარს პოეზია, თუ სიტყვა გიყვარს, შენთვის ღიაა მისი კარი... მაგრამ უნდა იგრძნო და გახსოვდეს, რომ ეს ლექსები ერთგულებას ითხოვენ სანაცვლოდ...

ვისთვის წერენ პოეტები? იქნებ ეს საკუთარი თავისთვის დაწერილი და გამხელილი აღსარებაცაა?... იქნებ ეს არარსებობის ამბობია, იქნებ არსებობის შობის ტკივილებიც... თვითმყოფადი გამოსახვის ენა, მელოდია, ორიგინალური და ხშირად სრულიად მოულოდნელიც მეტაფორული „განაჩენები“, რომელიც პოეტს გამოაქვს ადამიანებისა და მათი გრძნობების, საგნებისა და მათი რაობის, მოვლენებისა და მათი არსის მიმართ.

რას საოცარია ეს პოეტური ლოგიკის ულოგიკობაც?!



ნინო სადლობელაშვილი

სიტყვად და სტრიქონებადქმნადობის დაუსრულებელი ლიტურგია... საიდუმლოება, რომელსაც შემოქმედის წარმოსახვა, მეხსიერება, ცოდნა, ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ერთად ქმნის, როგორც ათასობით ფუტკარი თაფლის გემოს ათასობით ყვავილთან და ყველა სტიქიასთან ერთად...

პოეზია მეხუთე სტიქიაა... ჰაერი, წყალი, ცეცხლი, მიწა და სიტყვა, ეს უფლის ხელის ხუთი თითია, პოეტის ხელის ხუთი თითის ძველი და მარადიული წინაპარი... ამ თითებში მოქცეული ოცნება, სიყვარული, წარმოსახვა ფურცელს, მელანსა და კალამს ჰგავს... ამ ყველაფერს კი უბრალოდ ადამიანი ჰქვია...

და არავინ, და ვერავინაა ზუსტად სახელმძღვანელი იმისა, საიდანაც ამ ადამიანში პოეტური ლოგიკა, ფანტაზია, ფერადონება იღებს სათავეს. საიდანაც მეტაფორები იმაზე მეტს გვეუბნებიან, რასაც მათი შემადგენელი სიტყვები ერთად. პოეტს ან უნდა ენდო, ან ვერასოდეს ირწმუნო მისი. აქ სულ ასეა: ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ითქვას, აღსრულდეს, დაკავშირდეს პოეზიის დიდი კანონით. ისიც კი, რაც აქამდე არსად მომხდარა! რასაც აქამდე სახელი არ რქმევია! ილუზიონისტიცაა პოეტი, მაგრამ მისი ილუზიები გარკვეულ სივრცეში სრულიად ხელშესახები რეალურობაა. მემატინეცაა პოეტი, მაგრამ მისი საუკუნეები ზოგჯერ წამის ტოლია ან პირიქით. და უხილავ და უხორცო ომებში მისი გამირობა და თავგანწირვა, სიკვდილგამოვლილი სიცოცხლედ იქცევა ხოლმე.

— დედაო მარამ, პოეტები ოდესმე ითხოვენ კურთხევას სიყვარულისთვის?

ის თანამედროვე პოეტია. არც ტრიბუნაზე დგას, არც შოუს მონაწილეა, არც ბარიკადებზე მებრძოლი, არც საყდრულ მყუდროებას შეფარებული განდევილი. თანამედროვე იმდენად, რამდენადაც ძნელ დროს ცხოვრობს, ძნელ დროს აღწერს, ძნელ დროს „ჟამობს“ და ცდილობს ადამიანად ყოფნის პოეზია შეინარჩუნოს და ყველაფერი ეს აქციოს თანამედროვე ლექსად, რომელიც ახლა ინერება, ახლა იქმნება და დღევანდულობის ფერი აქვს მარადიულობის მემკვიდრეობის ნიშნით! იცის, მარადი მშობლისა და მარადი შვილის ურთიერთობიდან თავისი წილი სიყვარული და თავისუფლებაა მოსაპოვებელი... უნდა გამოათავისუფლოს სამყაროული დიდი ენერგიიდან, დიდი ქაოსიდან თავისი სიმართლე — ადამიანის, მდებრის სიმართლე დაამკვიდროს, თავისად დაიგულოს თავისივე თავი, იმად იქცეს, რაც ღვთაებრივი სამართლიანობის რწმუნებაში დაეხმარება.

უნდა გახდეს სრული სრულში! უნდა გავიდეს სოფლიდან და იხილოს დიდი ქალაქი, უნდა გავიდეს ბავშვობიდან და მოიხილოს დიდობა, უნდა გავიდეს სიყვარულიდანაც და უფრო დიდი სიყვარულად იქცეს, უნდა გავიდეს ტანჯვიდანაც, რომ ნუგეშად იქცეს, უნდა გავიდეს წინაპრიდანაც...

ნაც და მომავლად იქცეს, უნდა გავიღეს ცეცხლიდან, სიზმრიდან, ცხადიდან და თავის თავად იქცეს!

„დიდი ძალა სჭირდება სიკვდილის სიზმარს“-ო, მას აქვს ეს ძალა, ძალა ადამიანისა, ძალა მდებრისა და ძალა პოეტისა, სიცოცხლედ აახდინოს ყველაფერი. ყოველთვის მოეპოვება მარაგი იმ სიტყვებისა და თემებისა, იმ სათქმელისა, რომელიც მას ელოდა და ამ ლოდინში თავისი ბუნებრივი ფორმაც მიიღო, როგორც მდინარემ კალაპოტი შემოიკეთა, დარდმა — შუბლის ნაოჭი, ცრემლმა თვალის უბე, ვარდისწყალმა კი — ჯადოსნური კოკა ... ამ ლექსების რიტმიც მათი ბუნებრივი მახასიათებელია...

ჩვენ ხომ ჩვენი წილი სამყარო გვაქვს შესანახიც, გადასარჩენიც და ღმერთამდე მისატანიც, ჩვენი წილი სამშობლოც შესატკბობი, ჩვენი წილი თავისუფლებაც, ჩვენი წილი სიყვარული, ჩვენი წილი ტრაგედია და ბედნიერებაც, არაფერი უნდა დარჩეს პოეტს უფიქრელი, აღუწერელი, გამოუთქმელი და განუცდელი... მარტომ უნდა შეძლოს სამყაროული ჰარმონიისა და სისავსის დატევა, უნდა იმღეროს და ამღეროს ენა, და არა მხოლოდ მშობლიური, არამედ ადამიანური ენა.

ის ტკივილისა და სევდის პოეტია და, სხვა პოეტთა მსგავსად, გაშინაურებულია ტანჯვასთან, რომელიც ყვაილივით რთავს და კიდევ უფრო ალამაზებს მის პოეტურ რელიგიას: მსხვერპლად მხოლოდ საკუთარი გული, მხოლოდ საკუთარი სიყვარული, მხოლოდ საკუთარი სიცოცხლე!

— **დედაო მარიამ, პოეტები ოდესმე ითხოვენ კურთხევას სიკვდილისათვის?**

ვინაა გამკითხავი, გადაეყრება თუ არა თავის სიმართლეს თუ მთელი ცხოვრება ამ სიმართლის ძებნას შეაღწევს? ვინაა მისი აღსარების მომხმენი, ვინაა პოეტის მახიარებელი? მხოლოდ სიტყვებმა და წარმოსახვამ იცის, რატომ აქ, ამ წესრიგითა და თანმიმდევრობით ირჩიეს მათ დაბადება იმ წილში, რომელსაც შეიძლება, არასდროს დაერქვას სამოთხე... რატომ აქ და ამ ფერებში მოინდომეს ლივლივი, რატომ ასე და არა სხვანაირად გამოსახეს თავიც და კოსმოსიც, რომელიც ერთ ადამიანშიც იმდენივეა, რაც მთელ მაკროსამყაროში. ეს არავინ უწყის გამჩენის გარდა, და გამჩენის მიერ გაჩენილი დროის გარდა. ეს არავინ უწყის სამშობლოს გარდაც. სამშობლო კი არასდროს ავლენს თავის ემოციებს, მამასავითაა. ან დედას რალატომ ეძახიან?! მამასავით მკაცრია, მომთხოვნი და ფზიზადაც მოდარაჯე შვილის ყოველი ნაბიჯისა. თუმცა პოეზიით მარხულია და იცის სიტყვის ფასი: ის ხომ თავადაც სიტყვაა! სიტყვის ძალაცაა! ამ პოეზიაში მან ახალი ფერით მოინდომა გამობრწყინება. ეს მან ისურვა არც გმირი წინაპრის ამბები მოგეთხრო და არც მჯილისცემას მოჰყოლოდი მკერდზე. მაგრამ ყოველთვის ეგრძნო ამ ლექსებში მკითხველს სამშობლოს მარადიულობა. წარსულიც ეგრძნო, მომავალიც ეგრძნო... მან ისურვა, ასე ესინჯა თავისი ძალა: მარტოობის სისავსე, უღმერთობის ღვთისმოსაობა, სიცრუის სიბრძნე, უნაყოფობის ნაყოფიერება, სიჩუმის ხშიანობა, უსამშობლობის მკვიდრობა, მარტოსულობის ნათესაობა, სიკვდილის სიცოცხლე... ეს ყველაფერი სამშობლოს მიერაა კურთხეული პოეტში. პოეტი სამყაროს მერვე დღეა. ის იმის შექმნას აგრძელებს, რაც სჭირდება ადამიანსა და ღმერთს ერთმანეთის უკეთ შეცნობისათვის ერთიან სამშობლოში.

„რატომ უნდა ეკითხებოდესო ჭკუას პოეტს ხალხიო?“ — ასე მითხრა ამასწინათ ერთმა პოეტმა... ჰო, ეგებ არც უნდა ეკითხებოდეს, მაგრამ ვინ, თუ არა პოეტმა, იცის რაშია მარადიული განახლებისა და მარადიული სიცოცხლის საიდუმლოება? და მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ უყვარს ხალხს პოეტი, მაინც მასზეა ფზიზლად მიყურადებელი... ეგებ წაგლიჯოს, წარტაცოს, ეგებ გამოტყუოს ის, რაც პოეტს ეგუზანება, ესმის, ეთქმევიანება და „მეფეს — არა!“... დიდი ზღაპარია ეს პოეზია... შემოსკუბდება ლობეზე პატარა ჩიტი და გალობს: „მე რალაცა მაქვსო“... გაშლის ფრთას ფასკუნჯი და დაივლის სკნელებს და ლურჯ ბრონეულებს დაისხამს ცა და ცეცხლის პურს დათესენ თეთრ მინდვრებზე გუთნისდედის ანგელოზები... სიყვარული კი თავისთვისაა, სულ მარტო, სულ განაპირას... ჰყვება და ჰყვება ბუტბუტით თავისთავს და მიდის სიმურის წყალივით, მიედინება... ბედნიერებაც აქვია, განწირულობით ბედნიერი ბედნიერება...

— **დედაო მარიამ, პოეტები ოდესმე ითხოვენ კურთხევას ტანჯვისათვის?**

ეს წიგნიც ერთი საიდუმლოთაგანია მერვე დღისა, იმ ადამიანის „ხელები და ფრთები“, რომელიც რაც უნდა მზესთან ახლოს მიფრინდეს, ცვილი არა უდნება, როგორც სიტყვა არ უქრება სამყაროს... ეს იმ ადამიანის „ხელები და ფრთები“, რომელიც ქარბორბალებს ებრძვის, მათი ღრუვიდან ახალი სიცოცხლის ყვაილი რომ ამოიტანოს ნანგრევების, საფლავების ჩონჩხებისა და ქვიშის ღრუბლების მაგიერ... ეს იმ ადამიანის ფიქრია, რომელმაც უნდა თავად წარმავლობა დააჯეროს მარადისობაში...

— **დედაო მარიამ, პოეტები ოდესმე ითხოვენ კურთხევას სიცოცხლისათვის?**

ახლა მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ამ წიგნში არცერთი ლექსი არ შედის შენი შემოქმედების იმ ნაწილში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოცემილია „ინტელექტმა“ პოეტური კრებულის სახით გამოსცა და „შუალამის იავნანა“ ჰქვია. აქ ყველა ლექსი ახალია... შემოქმედი უხვია და ეს ბედნიერებაა, მაგრამ რამდენი კარგი ლექსი დარჩა ძველი კრებულის ამარა?

„შუალამის იავნანა“, „ბამბაზიის სამოთხე“, „ორსული“, „თავშესაფარი“ — ეს უკვე გამოცემული წიგნებია... და ესეები, წერილები, რეცენზიები, მოთხრობები, პიესები, სცენარები, გამოსაცემად გამზადებული ახალი რომანი „წამი იქა, წამი აქა“... და ცხოვრება, ცხოვრება, ცხოვრება ყოველი დღითა და ყოველი ღამით... და მახსენდება ერთლომ ახვლედიანის ფრაზა მისი მოთხრობიდან „მუხა დიდი ყვაილი იყო“... ასე ხარ შენ, კი...


— **დედაო მარიამ, პოეტები ოდესმე ითხოვენ კურთხევას ლექსებისათვის?**

ნი... მე ასე მოგმართავ ხოლმე... მშვენიერს, ნიჭიერს, სათნოს, მეგობარს, ნინო სადღობელაშვილს... ნი... საკმარისია, ეს ასოები შევატრიალო და შენ არწივი დაგერქმევა... რა საოცარია, „ინ“ — „არწივია“ ერთ აღმოსავლურ ენაზე, თურმე. არადა, მართლა როგორ გავხარ შენი უსაზღვრო მარტოსულობითა და დამბადებლისა და საკუთარი თავისადმი უღალატო ერთგულებით, ღირსებითა და სიყვარულით, თავისუფლებისმოყვარე სულით არწივს... არწივით შენი გაქვს საკუთარი საბრძანისიც, სამყაროც, ნეს-სამართალიც... შენს თვალსაც არაფერი რჩება შეუმჩნეველი... ქარიშხლებისაც არ გეშინია... მთებში ხარ... მაღალია შენი სიტყვა... ინ...

სოფო ნულაია

რატომ არ მენარინებოდა გიორგი კეკელიძეზე

შეგნებულად ვარიდებდი თავს გიორგი კეკელიძის პოეზიაზე წერას, მიუხედავად იმისა, რომ მისი საკმაოდ აქტიური მკითხველი ვარ. მიზეზი ძირითადად ერთი იყო: მის შემოქმედებაზე ბევრი კრიტიკული წერილი წამიკითხავს და მქონდა ერთგვარი შიში, სხვისი გავლენის ქვეშ არ მოვქცეულიყავი; ლიტერატურის კრიტიკოსები კი საუბრობენ ექსტაზის პოეზიაზე, ფოლკლორის — შელოცვების, ხალხური ზღაპრებისა და, ზოგადად, ხალხური ზეპირსიტყვიერების — ერთგვარ პერიფრაზირებასა და საოცარ ალუზიებზე, ფრაზეოლოგიკების თავისებურ ინტერპრეტაციებსა და პოეტური ენის თავისებურებებზე... თუ არ ვცდები, მას ჯაზ-პოეტიც კი უწოდეს, რადგან ჯაზური კომპოზიციების მსგავსად, მუდმივად ახდენს ანდაზების, იდიომა — ფრაზეოლოგიკების ინტერპრეტირებას, ამუშავებს საყოველთაოდ მიღებული ლექსიკური ერთეულებს და მათ განსხვავებულ ვარიანტებს გვთავაზობს...



მინდა აღვნიშნო, რომ გიორგის პოეზიის გარკვეული კუთხით აღქმას ხელი მის შემოქმედებაზე დანერვილი კრიტიკულმა წერილებმაც შეუწყო; ჩემს თავშიც არაერთხელ აღმომიჩენია: ზოგჯერ იმდენად ვართულებ, იმდენად ვეძებ აღმნიშვნელის მიღმა არსებულ აღსანიშნს, იმდენად ბევრი ასოციაციის დაძვინას ვახერხებ სხვადასხვა ტექსტსა თუ ფრაზეოლოგიკებთან, თვითონაც მეცინება ხოლმე საკუთარ თავზე. როდესაც “ლიგამუსში” გიორგი კეკელიძის პოეზიის მოსასმენად მივედი, წინასწარ ვიცოდი, რომ მთავარი აქცენტი ფრაზეოლოგიკებზე და მათ ავტორისეულ ინტერპრეტაციაზე, ენის საზღვრების გარღვევასა და ახალი, ბევრად ექსპრესიული და ტევადი ენის შექმნაზე უნდა გაკეთებულიყო. მაშინვე გამახსენდა “ცხელი შოკოლადისთვის” მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუ, სადაც გიორგიმ აღნიშნა, რომ საკუთარი პოეზიის ერთგვარი “ინტელექტუალიზაცია” (“გართულება” მეტა და ინტერტექსტების ხარჯზე) მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ მკითხველთა გარკვეული ჯგუფისა და კრიტიკოსთა კეთილგანწყობა დაიმსახუროს. თუ ზუსტად მახსოვს, ის ამბობს, რომ მისთვის ეს არის კომუნიკაციის ერთგვარი ფორმა; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიტერატურის

არაერთი მკვლევარი სწორედ ამ “მახეში გაება”, თუმცა კრიტიკოსის პროფესია არ იარსებებდა, რომ არ არსებობდეს ასეთი “რთული” პოეზია, და სწორედ ეს “სირთულე” ხდება შთაგონების წყარო ლიტერატურულ ტექსტზე კრიტიკული ტექსტის, ანუ მხატვრულ ტექსტზე პროფესიული ტექსტის დასაწერად. დასაშვებია, რომ კრიტიკოსი შეგნებულად “ართულებს”, იმიტომ, რომ გამოიყურებოდეს ბევრად თავდაჯერებულად, ლიტერატურაში ნაკლებად კომპეტენტურებს კი ნაწარმოებების სიღრმისეულ გააზრებაში დაეხმაროს.

ერთ რამეზე მართლა დამწყდა გული: აუდიტორიაში არ დასმულა არცერთი შეკითხვა, რომელიც უშუალოდ თემასთან (ფრაზეოლოგიკებთან ინტერპრეტირება), თუნდაც გიორგის პოეზიის ძირითად თავისებურებასთან იქნებოდა კავშირში. შეკითხვები ლიბ.გე-ზე დატოვებულ ერთსიტყვიან კომენტარებს ჰგავდა (“მაგარია” “შემზარა”, “ჟრუანტელმა დამიარა”, “დამბურძღლა”, “ტრაგიკულია”, “არ მომეწონა” “გული ამერია”, “იდიოტობაა...”) დასმული კითხვების ერთფეროვნება და არაადეკვატურობა გვაფიქრებინებს, რომ არც ისე უმნიშვნელოა კრიტიკოსის როლი ლიტერატურის აღქმის პროცესში, რადგან “ბრალდების” მიუხედავად, თითქოს ისინი ყველაფერს “ართულებენ”, უსამართლო იქნება არ აღინიშნოს, რომ ბევრ რამეს აკეთებენ, მკითხველის მხრიდან ტექსტები სწორხაზოვნად და სტერეოტიპულად რომ არ იქნას აღქმული.

— ყველა ანდაზა, რაც კი ზეპირად ვიცოდი, ერთ დიდ ფურცელზე ჩამოვწერე. ბევრი ვინვალე, რომ ფურცლები შემევისო. მერე ძროხა მოვიდა და თავისი არაპოეტური კბილებით, საღეჭი რეზინის მსგავსად, სასიამოვნოდ ჩაღეჭა ჩემი ანდაზები, გამომელვინა და თავს ავეუკრძალე, დამსიზმრებოდა ასეთი ცუდი სიზმრები — ეს პატარა ლირიკული გადახვევა არის ტექსტი, რომლის დანაწილად გიორგის პოეზიის იმ კუთხით განხილვამ შთამაგონა, სადაც აქცენტი ანდაზებსა და იდიომებისთვის განსხვავებულ ინტერპრეტაციების მიცემაზე კეთდება, აზრი, რომ ანდაზას ლექსში ისე შეგიძლია მოექცე, როგორც საჭიროდ ჩათვლი, მხატვრულად ამ ფორმით გამოვხატე; როგორც წესი, პოეზია თეორიული ტექსტის მაპროვოცირებელი საშუალებაა, მაგრამ ზოგჯერ თეორიაც შეიძლება გახდეს პოეტური ტექსტის დაბადების წინაპირობა, რამდენად ლირიკული იქნება ის მხატვრული თვალსაზრისით, სხვა საკითხია და საუბრის ცალკე თემა.

მე შემოქმედი არ ვარ და რადგან ჩემი ინტერესის სფერო კრიტიკაა, მინდა გიორგის ერთი კონკრეტული ლექსის კონკრეტულ სიმბოლოზე გავამახვილო ყურადღება. ადა ნემსაძეს ეკუთვნის საკმაოდ საინტერესო წერილი ლიმონის (და არა “ლიმონის”) სიმბოლიკაზე ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში. როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს, “ლიმონი მრავალპლანიანი სიმბოლოა”. მე კი, ჩემი მხრივ, დავძენდი, რომ ეს ციტრუსი, თავისი იკონური და შინაგანი თვისებებით ერთმანე-

თისგან რადიკალურად განსხვავებულ ორ საწყისს აერთიანებს, რაც თავისთავად უკვე საინტერესოა და ხელს უწყობს მისი სემანტიკურ მნიშვნელობათა სხვადასხვა კუთხით წაკითხვას. ფერი — ხასხასა (პოზიტიური), თვისება — სამკურნალო (პოზიტიური), გემო — მჟავე, კბილების მომკვეთი (ნეგატიური) — უკვე ამბივალენტურია, ამიტომაცაა, ოთარ ჭილაძესთან მას დადებითი, ნოდარ დუმბაძესთან კი უარყოფითი მნიშვნელობა აქვს (ვგულისხმობ “ლიმონას” “თეთრი ბაირალებიდან”. ეს არის მეტსახელი, რომელიც “ხასიათის სიმჟავის”, ანუ უარყოფითი თვისების გამო შეირჩა).

როგორც ადა ნემსაძე აღნიშნავს, ლიმონი რომანებში: “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”, “რკინის თეატრი” და “მარტის მამალი” — სიკეთის, ეროვნული სულის, სინმინდისა და ნაყოფიერების სიმბოლოა, და რადგან “სიმბოლო გაურბის აღსანიშნათა უშუალო იმიტაციას” და მისი ბოლომდე გარაციონალურება წარმოუდგენელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოთარ ჭილაძის შემოქმედებაზე საუბარი, სემიოტიკურ ნიშან ლიმონს, გარდა ზემოთაღნიშნულისა, უამრავი ინტერპრეტაცია შეიძლება მივცეთ.

ჩემი აზრით, იკონური თვისებიდან გამომდინარე (ხასხასა ყვითელი, მზისფერი, ოქროსფერი, მრგვალი) ლიმონი თამამად შეიძლება გავიგოთ მზესთან, ანუ უძველეს წარმართულ და ქრისტიანულ სიმბოლო-არქეტიპთან, რომელიც თავის თავში ღვთაებრივს, დიდს, სიკეთის საწყისს, ნათელს, მშვენიერს აერთიანებს.

გიორგი კეკელიძის ლექსში “აბე ბების იავნანა”, ლიმონი დანახულია, “როგორც ფსკერთილ ტბაში ჩანურული ნახევარმთვარე”. გუბეში ჩანურული მთვარე საკმაოდ მიღებული და პოპულარული მეტაფორაა, მაგრამ დაჭრილი ლიმონის ნახევარმთვარესთან გაიგივება — ორიგინალური და საინტერესო. “მზე” და “მთვარე” აღიქმება, როგორც ოპოზიციურ წყვილთა ერთობა პირველ რიგში იმიტომ, რომ ერთი დღის, მეორე კი ღამის მანათობელია, მაგრამ აქვთ საერთო მახასიათებლებიც — ორივე ციური სხეულია, ორივე ანათებს, თუმცა მზე სითბოს გამოყოფს, მთვარე ამ თვისებას მოკლებულია, ამ კუთხით თუ განვიხილავთ, მთვარე მზის სუროგატი გამოდის, რომელიც ბაძავს, მაგრამ ბოლომდე ვერ იმეორებს მას, ისევე, როგორც დაჭრილი ლიმონი ვერ იმეორებს მთლიან ლიმონს, მაგრამ გარკვეულწილად მისი თვისებების მატარებელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მზე ფემინური საწყისის განასახიერებს, მთვარე კი — მასკულინურს, რაზეც ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშიც თვალნათლად მიაჩნდება (“მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩემი...”), ისინი კვლავ ოპოზიციურ წყვილად აღიქმება, მაგრამ იდეაში მთლიანობას, ანუ სიცოცხლეს გამოხატავს. დაჭრილი ლიმონიც მთელის ნაწილია, რომელიც მთელისგან ხელოვნურად იქნა გამოცალკევებული. იმის გათვალისწინებით, ვის ეძღვნება ლექსი (დედას), დაჭრილი ლიმონი შეიძლება აღვიქვათ, როგორც დედის ორგანიზმიდან გამოცალკევებული შვილი, ლიმონის გაიგივება ნახევარმთვარესთან კი იგივეა, რაც განახლება, ანუ ახალი სიცოცხლის დაბადება, რომლის წინაპირობა დედის სხეულიდან მტკივნეული გამოცალკევებაა.

პოეზია სახე-სიმბოლოების დახმარებით მრავალფეროვნდება, ინტერპრეტაციები უსასრულოდ შეიძლება გავრძელდეს, ბუნებრივია, ყველაფრის გაშინაარსება არასწორია, მაგრამ ფაქტია, რომ გართულება-საკრალიზება საინტერესო ლიტერატურული (და არა მარტო) პროცესია.

იკა ქადაგიძე

სიკვდილის ხევისურული ეპიტაფია

(გომიტა არაბული)

წინასწარ ვერავინ გამოიცნობს, მესხიერება წარსულის მოულოდნელ კადრს როდის ამოაპირქვავებს. წარმოსახვა იძაბება. გარს შემოჯარული მოგონებების სიმრავლე გარკვეულწილად მთრგუნავს. და მაინც წარსულის წინაღუდგომელ ძალას თავისი გააქვს.

უჩვეულო პროცესია ქალაქარეთ მიემართება. მზიანი დღეა. თბილისურ რიტმს ხავსივით ედება მყუდროება. ხმა-მალალ მოწოდებებს აქა-იქ ცნობისმოყვარე გადაძახილი ერთვის. კამერა ჩართულია; ყველაფერს ჩვეული პედანტიზმით აღბეჭდავს. მოფუსფუსე ადამიანების თითოეულ სიტყვასა და მოძრაობას იმახსოვრებს. მართლაც უცნაური დილა გათენდა. ავანგარდი პოეტისა და მხატვრის, ბადრი გუგუშვილის, ინიციატივას „პოეტებო, ნებისმიერი მიმდინარეობისა, შეერთდით!“ ამ თბილ მზიან დღეს ახდენა უწერია.

წელი? კამერა არც თარიღს ტოვებს უყურადღებოდ. 1994 წელი მიედინება. ეპოქალური კატაკლიზმების შუაგულად ქცეული საქართველო ათასი ჯურის უბედურებას ებრძვის. ეროვნული ცნობიერების ღერძი იმდენადაა დაფერდებული, დროულად თუ არ უგანებ, ულაპარაკოდ დაგიტანს. მწერლობაშიც რევოლუციური ცვლილებები მძვინვარებს.

ავანგარდიზმი თავდაჯერებულად ბატონდება. კლასიკურ (ტრადიციულ) მემკვიდრეობას აშკარად სტიქსის წყალი აქვს შემდგარი. პირველი დარტყმა უნივერსიტეტზე ხორციელდება.

1994 წელს ერთ-ერთ აუდიტორიაში ხმამალლა, საზეიმო პათოსით წარადგენენ ტექსტს, რომლის „ღირსებასა და გენიალობას“ ქართველი მონამეების გინება და დაკინება განსაზღვრავს.

წილი ნაყარია. ახალი „შედეგის“ ჩამოტარება უნივერსიტეტიდან იგეგმება. ეს ფაქტი არჩევანის შემთხვევითობას საფუძველშივე გამორიცხავს. ამ შეხვედრას ჩემი იმჟამინდელი მეგობრის თხოვნით ვესწრები. რა თქმა უნდა, სიურპრიზს წინასწარ არავინ ამხელს. და როცა ავტორი ტექსტის პირველ აბზაცს კითხულობს, დარწმუნებული ვარ, რომ ყურთასმენა მლალატობს. სახელოვანი წინაპრების, მით უფრო, — წმინდანების, უწმინწურ კონტექსტში მოთავსება სრულიად ახალი ხილია. აქამდე ამგვარ მგრავინავ „გენიალობას“ მიუჩვევლები ვართ და აი, ნავსი გატყდა. ავანგარდული ხანა ახალ სტერეოტიპს აკანონებს. ცინიკური ნამღერებით იმ ადამიანებს გვიგინებენ, ვინც ჩვენი უიღბლო ქვეყანა (ამისთანა „გენიოსების“ ხელში!) ათასწლოვან უბედურებებს მართოდმართო არ შეატოვა, ხელიდან გამოგლიჯა მტერს და ერის გამოხასხენულად საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო. ახლა უნივერსიტეტი

მათ ხელალებით (მხატვრულ საფარველქვეშ) ლანძღავენ და, რაც უფრო სახიფათო და ამაზრზენია, ამ გეგმაზომიერ შეურაცხუოფას ახალი დროის (ავანგარდული ხანის) „გენიალურ მემკვიდრეობად“ გვასაღებენ.

მაინტერესებს, დაბნული საზოგადოება ამ აგრესიულ „გენიალობას“ როგორ უპასუხებს. დრო უღვთოდ ჭიანურდება. დუმილით გათამამებული მჭქეფარე ავანგარდი ციტირებს უფრო ხმამაღლა და ომახიანად განაგრძობს. მეგობრის პირისახეს ვაკვირდები. ჩემი თანდასწრებით ალმაცერი ღიმილის შენიღბვას ლამობს, მაგრამ ავანგარდული სულისკვეთება მოჩვენებითობას აღარ ექვემდებარება: მის მზერაში საპასუხო რევოლუციური ხანძარი გიზგიზებს და ყველას ულაპარაკოდ მოუნოდებს ახალი „გენიალობის“ არსი ერთსულოვნად აიტაცონ.

მრისხანება მიპყრობს; ჩვენს შორის გაღრმავებულ უფესკრულს ინტუიციურად ვეხლები, თუმცა ჯერ კიდევ მიღვივის იმედი, რომ სხვები თვითმარქვია ტრიუმფატორის უტიფრობას წინ აღუდგებიან და უნივერსიტეტის კედლებს მკრეხელური ხელწერისგან გადაარჩენენ. ამასობაში ტექსტი მთავრდება და „შედერის“ ავტორი განაჩენს ელოდება.

აპლოდისმენტებამდე ჯერ შორია, თუმცა პროტესტის გამოხატვასაც არავინ ჩქარობს. დაძაბული სიჩუმე საფეთქლებს მიხვრეტს: და აი, ვიღაცის გაუბედავი ფხუკუნი მდუმარებას არღვევს. „სიგნალი“ მიღებულია. ფხუკუნი სიცილში გადაიზრდება, რასაც ხმაურიანი აპლოდისმენტები ერთვის. ტაშისმცემელთა შორის ჩემ გვერდით მოკალათებული მეგობარი ერთ-ერთი პირველთაგანია. დაბნული „ჩემიანების“ იერი მაცოფებს. ვდგები და მოზეიმე აუღიქორის კარს ხმაურით ვაჯახუნებ.

დერეფანში აჩქარებით მიმავალს მეგობარი წამომწევა. პირდაპირ ვეუბნები, რომ იქ აღარაფერი მესაქმება; არ შემიძლია უნივერსიტეტის ახალ ტრიუმფატორს აღტაცებით შევეგებო, რომ ავანგარდიზმის გამარჯვებას ტაშისცემით ქედს არ მოვუხრი. ის ცდილობს, ჩემი პროტესტის უაზრობაში დამარწმუნოს; გულახდილად მირჩევს, რომ ჩემისთანა „ტრადიციონალისტების“ დრო დამთავრდა და პოპულარულ მწერლად გახდომა თუ მინდა, ავანგარდების ლაშქარს უპირობოდ უნდა შევუერთდე. მის დარიგებას სინანულწარევი იმედგაცრუება ახლავს. გულწრფელად წუხს, რომ ახალ სინამდვილესთან გაცნობას პროტესტით ვინყებ.

ამ შემთხვევიდან დიდი დრო არ არის გასული რომ ბადერი გუგუშვილის ინიციატივა ხშიანდება და მეც იმ უჩვეულო პროცესიას ვუერთდები, რომელსაც შეუძლებელი მიზანი დაუსახავს: ავანგარდები და ეროვნულები (ტრადიციონალისტები) ერთმანეთში მოარიგოს. უკვე უნივერსიტე-

ტის მწერალთა გაერთიანების გამგეობის წევრი ვარ და ხელმძღვანელებთან ერთად ამ ახალ წამოწყებაში ვმონაწილეობ, თუმცა ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს მცდელობა რიგით სანახაობას ვერ გაცდება. თეატრალური აქციის ხიბლი სისხლხორცეულად ვერ შეგვაკავშირებს და მხოლოდ საჩვენებელი სპექტაკლის ერთჯერადი სენსაციურობით შემოიფარგლება. უნივერსიტეტის მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე გოგიტა არაბულია. ამ პროცესში მონაწილეობის იდეაც მას ეკუთვნის. ავანგარდებთან დაახლოების ერთგვარი ცდა წრის ახალი ხელმძღვანელისგან მომდინარეობს. გულის სიღრმეში ვაცნობიერებ, რომ მისი მხრიდან ეს მართლაც გონივრული ტაქტიკური სვლაა კარს მომდგარი განხეთქილების თავიდან ასაცილებლად.

დაპირისპირება ახლა იწყება და ჯერ ვერ ვხვდებით, რომ ნაძალადევი შეხვედრის მიუხედავად დაზავება არ გვინერია. ისინი გალმა გამაგრებულან, ჩვენ — გამოღმა. მათ კლასიკური ეროვნული მემკვიდრეობის უარყოფისა და განქიქების ხარჯზე გადაწყვიტეს აღზევება. ჩვენ — პირიქით, თვითდამკვიდრების საპირისპირო გზა ავირჩიეთ.

კადრი ნელდება. მე და გოგიტა არაბული გვერდი-გვერდ მივაბიჯებთ და მწერლობაზე საუბარი არ გვებზრდება. პროცესია თავის განრიგს მიჰყვება. ბადრი გუგუშვილს თოკი დასთრევს და გზად შემხვედრ გუბებებს ოდნავაც არ ერიდება. გონებაში ზღვის ტალღებზე მიმავალი იესო წარმომიდგება. არ ვტყუვდები. ავანგარდების საუბრიდან ირკვევა, რომ პოეტს ამ „ეფექტის“ გამეორება განუზრახავს და ერთად შეკრებილ კოლეგებს სიურპრიზს სიურპრიზზე გვთავაზობს. სადღაც კედელზე ავტოგრაფს ვტოვებთ. უფრო გათამამებული პოეტები საკუთარ ლექსებს ხმამაღლა კითხულობენ.

ჩვენ კვლავ გვერდი-გვერდ მივაბიჯებთ. გოგიტა არაბულთან ნაცნობობა ცხადყოფს, რომ იგი ენანყლიანი და არტისტული პოეტების ნატურას არ განეკუთვნება, პირიქით, თვალშისაცემად გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწია. საკუთარ სამყაროსთან ადვილად არ მიგომვებს, თუმცა როცა არ ელი, მოულოდნელად ისე მოსწრებულად ხუმრობს, გაცეხისგან სუნიტყვა გეკვრის, თითქოს შენ წინ სრულიად სხვა ადამიანი დგას, რომელსაც თვალსადახელშუა სისხლი გამოუცვალეს. ასაკის შეუფერებლად დინჯია და თავდაჭერილი. ამიტომ პარადოქსად აღვიქვი მისი სტრიქონები:

რომ არ ვწერ ლექსებს ხარივით დინჯებს, ეს სიჭაბუკის ალბათ ბრალია.



გოგიტა არაბული და იკა ქადაგიძე (1995)

როგორღაც ისე მოხდა, პროცესის ძირითად ბირთვს ჩამოვრჩით და საუბარში გართულები სასაფლაოზე აღმოვჩნდით. უცბად ერთ-ერთი ენაწყლიანი სიტყვა აუჩქარებლად ჩაჭრა:

— უცნაურია, ამ მზიან დღეს ახალგაჯნობილი პოეტები ერთმანეთის პირისპირ მაინცდამაინც სასაფლაოზე რომ დავრჩით, უცნაურია! — ხაზგასმით მომმართა და მწვანე თვალეში იდუმალი ჩრდილი გაუკრთა.

პასუხად უხერხული დუმილი შევგაგებე. იქნებ მის გონებაში ამ დროს დაიდრა საბედისწერო წინათგრძობა:

**აქ დიდ პოეტებს ცოფიანი მგლები დახრავენ,
აქ დიდ პოეტებს თავისსავე ლექსზე აკრავენ.
ხელებს და ფეხებს უმსჭვალავენ ბასრი რითმებით.
და საქართველო პოეტების არის გოლოგოთა...**

სულისშემძვრელი ტრაგედია დამიდგა თვალწინ.

1995 წელს გამორჩეული პოეტისა და ვაჟკაცის ზურა ჯაფარიძის დრამატულმა სიკვდილმა მთელი უნივერსიტეტი შიშობდა.

თოვლში გაყინული ცხედრის მოსაძებნად გოგიტა არაბულიც გაემგზავრა. გზად იგი ახალ ტრაგედიას შეესწრო: მანქანა მის თვალწინ გადაბრუნდა და მისი თანმხლები გამოძიებელი და სიძე (დის ქმარი) დაიღუპნენ. გოგიტა ბენჯზე გადაურჩა სიკვდილს. თითქოს ბედისწერას მიზნად დაესახა, ჭაბუკი პოეტისთვის დარტყმა დარტყმაზე მიეყენებინა, მისი სიცოცხლე სასწორზე შეეგდო, სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე მყოფი არაერთხელ გაემეტებინა აუხსნელი ხვედრისთვის; ეგებ მისი პოეზიისთვის დამახასიათებელი ამოუთქმელი წინმსწრები სევდა აქედან იღებს სათავეს. ერთგვარი წინასწარმეტყველური აღლო უკითხავად იჩენს თავს იქ, სადაც წესით არაფერი ესაქმება. ამიტომ ეჩვენება მას, რომ „ცხოვრების გალაქტიკაში უცხო სხეულივით მოძრაობს“, ყოვლისმომცველ სიმარტოვეში უმისამართოდ, კენტად დაეხეტება.

ზედმეტობის ბედნავსი განცდა მასაც საგრძნობლად თრგუნავს. ვინც პოეტს პირადად იცნობდა, დამეთანხმება, რომ ეს შემოქმედის დაფარული უცნობი მხარეა. გარეგნულად უზომოდ თავშეკავებულს პირად ტკივილზე საუბარი არ უყვარდა. მან თანდაყოლილი აღლოს წყალობით კარგად იცოდა, ვისთან რა ეთქვა და სად როგორ მოქცეულიყო მწერალთა წრის ღონისძიებებსაც მსგავსი ზომიერებით წარმართავდა. მისი მწყობრიდან გამოყვანა ადვილი არ იყო, თუმცა რამდენჯერმე გოგიტა არაბულის მძაფრ პროტესტს უშუალოდ შევსწრებივარ. ყველა ეს შემთხვევა ეროვნული მწერლობის დასაცავად იყო მიმართული. კოსმოპოლიტებთან შეჯახებისას იგი შეუვალობას ამუღავნებდა და, თანდაყოლილი ხევსურული სიდინჯის მიუხედავად, ცხარე კამათშიც ხშირად ჩაბმულა.

რამდენადაც მეტია გარეგნული თავდაჭერა, თვალში-საცემი აუჩქარებლობა, ზომიერება, იმდენად „ანწყვტილია“ ლექსი. ის, რაც ჩაგუბებულ განცდას ანშობს, სიღრმისეულად უფრო ცეცხლოვანია და მძაფრი: „**შენ რალაც უკვე ისეთი იცი, რომ უფალს თვალში შეეჩხივები**“.

ამგვარი უხერხული სიმართლე ჭაბუკი პოეტის გულით ნატარებ ლექსებში ცხოვლადაა შემონახული. სტრიქონებში შემოქმედის შინაგანი სიამაყე და გაუტეხელობა იმდე-

ნად საცნაურია, ანაზღად გოგიტა არაბულის პიროვნული თვისება შიშვლდება. თვითონაც არაერთხელ შევსწრებივარ, მასთან ურთიერთობისას როგორ უფრთხილდებოდნენ სიტყვას, გამოხედვასაც კი...

მასთან დაახლოება ადვილი არ იყო. თავის შეხედულებებს თავზე არასდროს მოგახვევდა, მაგრამ საკუთარ მრწამსსა და მეობას თავდაჯერებულად იცავდა. ჭაბუკის დაყოლიება არ იყო იოლი და, ბუნებრივია, ამის გამო ბევრ წინააღმდეგობას გადაყრია. ანგარიშგასანვივა ის გარემოებაც, რომ გოგიტა მთის შვილია, ხევსურეთში დაბადებულ-გაზრდილი, შესაბამისად, მასში წინაპართა კოდი უფრო მტკიცედაა დაცული და გამობატული. ჭაბუკის პიროვნებაში ჩაკირული სიძველე უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე არაერთი ახალშეძენილი ჩვევა, სიძველესთან შეხლისას ცარცივით რომ იფშენება და გზას იმ ოდინდელ აღლოსა თუ გამოცდილებას უთმობს. ცივილიზაციასთან შეგუებას ხევსურული ცნობიერება ორმაგად ეურჩება.

სამშობლოს სიყვარული ტრიბუნიდან კი არ ვრცელდება, გულის სიღრმეშია დაფლული; ბილის ლექსებში იკვალავს და აუნონავ ტკივილად გარდაქმნილ უნდობლობას ეპაექრება:

**ყვდება საქართველო კისერმოტეხილი
და ეს კომპარები მართლა დამართნია.
გლოვობს შინაური, მებრძვის გარეული,
სადაც გავიჭრები, ყველგან ხაფანგია.**

ამგვარ პირობებში „სიცოცხლე უხერხულია“, „ნამად-ლია.“ პოეტის სიღრმეში განტოტილი დანაშაულის გრძნობა თანდათან იზრდება, კვლავ იმ უმწივობას ეხლება, რაც თანამედროვე მგოსანს არჩევას არ უტოვებს, — გაჩუმი ან მსხვერპლად შეეწირე! გამარჯვება მიუღწეველია. ამაზე აღარავინ ოცნებობს და თუ ვინმეს მსგავსი აზრი აღტკინების დროს მაინც დასცდა, უახლოესი თანამოაზრეებიც ერთხმად აითვალწუნებენ.

გოგიტა არაბული გრძნობს, რომ პოეტის თანამდები სიმძიმე საქართველოში ყავლგაუსვლელია. წინამორბედ ხელოვანთა ბიოგრაფიებიც ამაზე მეტყველებს. პოეტების სამშობლო პოეტებისგან გამუდმებით მოითხოვს სისხლს და ამ ტრადიციის გაბათილება მომდევნო საუკუნეებშიც ვერ ხორციელდება. თითქოს დროც ამ დრამატუზმის შუაგულში გახვევულა და არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ამის შემეცნება მრავალხანაგოვან განცდასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, გოგიტას აზრით, ნამდვილ პოეტს ზურგით მორგი დააქვს. ამ აღმოჩენით ზარდაცემული საკუთარ თავში იკეტება. თვალის ასახვევად გულგრილობას ინარჩუნებს და დამცინავი ღიმილის დემონსტრირებით სხვები შეცდომაში შეჰყავს. გარდასახვის ამგვარი ფორმა საზოგადოებრივი შეხედულებებისადმი უკმაყოფილებითაა გამოწვეული. გარემოსთან სანდობა დარღვეულია, რის გამოც შინაგან ნიაღში უკუქცეული პოეტი მხოლოდ საკუთარი ძალებით ცდილობს სინამდვილესთან გამკლავებას.

1995 წელს თურქული უნივერსიტეტის წინააღმდეგ აგორებული აქცია თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელს მოედო. ახალგაზრდული ჯგუფები ზედიზედ შეიქმნა. უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულმა საორგანიზაციო ბირთვმა ყველაზე თანმიმდევრული და შეურიგებელი პროტესტანტები გააერთიანა. ამ დროს ვილაცას ბუნებრივი კითხვა დაებდა, საყოველთაო საპროტესტო მოძრაობაში უნივერსიტეტის მწერალ-

თა წრე როგორ პოზიციას დაიჭერდა. ახალგაზრდების დასარ-
წმუნებლად მოლაპარაკების წარმოება მხვდა წილად. მათ
მშვიდად ავეუსენი, რომ მწერალთა წრე უკან არ დაიხვედა,
გოგიტა არაბულთან თათბირიც გადაწყდა. ჩემი სიტყვის მოკ-
ლე შინაარსი ვავაცანი. ვუთხარი, რომ ეჭვი არ მეპარებოდა,
უნივერსიტეტი ისტორიულ სათქმელს პირველი იტყოდა, მე-
თაურობას სხვა ძალებს არასდროს დაუთმობდა. გოგიტა ჩვე-
ული სიღინჯით მიგდებდა ყურს. საუბარი რომ დავამთავრე,
ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მომმართა: პირველობას გითმობ,
როგორც პოეტს, — მცირე ხნით შეყოვნდა და გააგრძელა —
და როგორც მანდილოსანს. პროტესტი დავიწყეთ!

მის მიმართ განსხვავებული გრძნობა გამიჩნდა. ჩემს წინ
იდგა არა წრის ხელმძღვანელი, ან უბრალოდ კოლეგა, თუნ-
დაც — უძლიერესი პოეტი, არამედ შეგნებული მოქალაქე,
ვინც გაბედა და გაერთიანების რიგითი პოეტური შეხვედრა
საჯარო, ეროვნული პროტესტის გამოხატულებად აქცია,
უნივერსიტეტის ავტორიტეტს ეჭვი ჩამოაშორა, ბოლოს და
ბოლოს სიფრთხილე არად ჩააგდო, რადგან მოწინააღმდეგე
მხარეს ქმედითი მუქარა არ დაუშურებია. ეს შეხვედრა უკ-
ლებლოვ ყველა საინფორმაციო არხზე რამდენჯერმე გააშუქა.

ამ ფაქტის შემდეგ ჩვენ შორის უსიტყვო „ხელშეკრუ-
ლება“ დაიდო: მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას
ამიერიდან ერთმანეთის აზრს ვითვალისწინებდით, სანამ
გავლენიანმა კარიერისტებმა გაერთიანებაში თავისი კად-
რი არ „შემოაპარეს“. ამ ყაიდის ხალხი უხვად მომრავლდა.
ამ თემის გამოძახილია გოგიტა არაბულის ლექსი, სახელ-
წოდებით: „თსუ-ს მწერალთა წრეო“, ყველასთვის მოუ-
ლოდნელი და აუხსნელი, რადგან გოგიტა „შეკვეთილ“,
არაპოეტურ თემაზე ძალზე იშვიათად წერდა.

**თსუ-ის მწერალთა წრეოს
ხმა თუ უვარგა წრეულს?
ვის აკითხებენ ლექსებს?
ვის აშრიალებს რვეულს?**

ეს ლექსი მას ტრიბუნიდან არ წაუკითხავს, თუმცა ახა-
ლი სიოს „კრიტიკული“ ქროლევა, როგორც ჩანს, ცუდ ნიშ-
ნად აღიქვა. მისი წინათგრძნობა გამართლდა; ქვედინებე-
ბის გააქტიურებისას გამოიკვეთა, რომ ძველებურად ალა-
რაფერი გამოვიდოდა. გაერთიანების ბიზნესში ვილაცამ
შემთხვევითი ადამიანები საიდანლაც მოიყვანა და საპასუ-
ხისმგებლო „თანამდებობებზე“ უკითხავად დანიშნა.

ამ ცვლილებამ წრის პოპულარობა საგრძნობლად შეა-
სუსტა. ძველი გვარდია დაიშალა, შესაბამისად, ხალხმრავ-
ლობამ იკლო. ღონისძიებათა ხარისხი დაეცა, „შერისხული“
პოეტები დავიფანტეთ და დამოუკიდებელი გაერთიანებე-
ბი დავაარსეთ. როგორც ჩანს, ამ ამბავს გოგიტა ძალიან
განიცდიდა, თუმცა უკმაყოფილებს საჯაროდ არ გამოუხა-
ტავს. გაერთიანების მუშაობის შედეგი ვითარების გაუარე-
სებაზე თვითონ მეტყველებდა.

უნივერსიტეტი ახალ რიტმში ჩაერთო. ცვლილებებიც
დამაჯერებლად შეიფერა. სააქტო დარბაზიდან გამოსახ-
ლებული წრეც გაცილებით მოკრძალებულ ხვედრს დას-
ჯერდა. პოლიტიკური მუხტის ზრდის პარალელურად
ახალგაზრდობამ სხვაცან გადაინაცვლა.

ახლაც მკაფიოდ ჩამესმის ის დაუცხრომელი აპლოდის-
მენტები, გოგიტა არაბულის ლექსმა „შუქიამ“ რომ გამოინ-

ვია. იგი მაშინვე შედევრად აღიარეს. ყველა დარწმუნდა,
რომ გოგიტა იყო არა მხოლოდ წრის ხელმძღვანელი, არა-
მედ ძლიერი პოეტი, რომელმაც საკუთარ ხმას მიაგნო. გუ-
ლი მეთანაღრება, რომ ლირიკული ლექსების პოპულარო-
ბის ფონზე ე.წ. „პატრიოტული თემატიკა“ დაიჩრდილა.
მჯერა, რომ ადრე თუ გვიან, ვინც გოგიტას შემოქმედებას
მოზრდელ ნაშრომს უძღვნის, ამ ლექსს სათანადო ადგილს
მიუჩენს. მართლაც, როგორ უნდა გამოტოვო:

**ჩემი თაობის ასი კაციდან
ყველა თამაშობს ქალაქობანას.**

ან

**კალამს ავიღებ, როგორც სიტყვის განაბი,
კალამს ავიღებ შენი ზედით გაუხარელი.
ჩემო ქვეყანავ, ნამუსს გხდიდა თურქი, არაბი,
დღეს კი რუსების იმპერიის ხარ საყვარელი.
ოდესლაც დიდი დედოფალი, დიდი თავადი,
როგორ გიხილო სამარცხვინო ჰარამხანაში.**

ბევრისთვის ეგებ გაუგებარია ამ „გამოტოვებული“
მიჩქმალული ტკივილის არგამხელის მიზეზი. მაგრამ ვინც
პოეტის პიროვნულ ბუნებას ჩაუკვირდება და მის პოეზია-
საც ამ კონტექსტში განიხილავს, მიხვდება, ჭაბუკის ადრე-
სატი ძირითადად კოლეგა შემოქმედია. იგი ძალიან ხშირად
მიმართავს პოეტს, რასაც გულში იკლავს, მას უმხელს,
თუმცა პირადი ურთიერთობის დროსაც სამომავლოდ
იტოვებს თავისი სათქმელის დედააზრს, თითქოს ახალი სა-
უკუნისთვის არ ემეტება ტკივილი, რომლის გახმაურებაც
მას საკრალობასა და სანდოობას უკარგავს.

გოგიტა ერთგან ამბობს, რომ „ჭაობივით დალბა ქალაქი,
მაგრამ უსენოდ, უხმოდ, უცრემლოდ და უსინდისოდ.“ ასე
ხვდება ის XXI საუკუნეს. 2000 წელს მან უნივერსიტეტი დაამ-
თავრა და ახალ საუკუნეში, ახალ ცხოვრებაში ფეხმედეგმულმა
მზერა ახალ ჰორიზონტს მიაპყრო. უსამართლო „შემთხვევე-
ბის“ დაუსრულებელი მონაცვლეობაც აქედან იწყება. გაუგე-
ბარი იღბლის უსიამოვნო სიურპრიზებს ბოლო არ უჩანს. ჯან-
მრთელობის პრობლემებს იმედგაცრუებული სიყვარული ერ-
თვის, შესაფერისი სამსახურიც არსად ჩანს. მასთან შეხვედრი-
სას ყველა აღიარებს, რომ იგი ძლიერი და პატიოსანი პიროვნე-
ბაა და ამ დაუთმობელი პატიოსნების გამო წინსვლის ყველა
გზა შეკრულია. ეჭვი იმ სინამდვილეს შეეჯახა, რომელსაც ჭი-
რისდღესავით უფრთხოდა და რომლის ნიაღში გამინაურებას
მასვილივით წამახული სინდისი არასდროს დაანებებდა.

ბედისწერა თითქოს თავქვე დაქანებულიყო. ფუჭ დაპი-
რებას დაპირება მისდევდა. ცბიერი ადამიანების გალერეა
იზრდებოდა. ნაცნობებთან ურთიერთობა მიუსაფრობის
განცდას აძლიერებდა. ყველგან დაუმსახურებელ იმედ-
გაცრუებას აწყდებოდა. სივრცე ისე დაუხშო, თითქოს რაი-
მე მიუწვდომელსა და აუხდენელს ეპოტინებოდა.

საქართველოში ახალი საუკუნე იდგა. ქართული სინამ-
დვილე უხმაუროდ იბარებდა მსხვერპლს; რაც გაუთავე-
ბელ სისხლისღვრას სასწაულით გადაურჩა, მიზნად იმის
განადგურება დაესახა.

„მებრძვის ქვეყანა, არ ვიცი, რა უნდა. ზოგ-ზოგი დამ-
წყიპინებს, ზოგ-ზოგი დამხზავის, საბაბის გარეშე, მიტყვენ

გამუდმებით და რა უნდათ. ჭორის მორევი და ჯვარცმის ჯღავ-ჯღავი.

მთაში გავიქეცი, და იქ ვინ დამაყენა, ბარად გამოვიქეცი, აქ ვინ დამასვენებს!“

ეს 20001 წლის დეკემბრის ჩანანერია.

თვითმკვლელობას ორ კვირაზე ოდნავ მეტი დრო აშორებს. სამსახურის საძებნელად თავგამეტებული ჭაბუკი პოეტი ნიგნის მაღაზიებსაც სტუმრობს, სასურველ ავტორებსა და თხზულებებს დაუცხრომლად დაეძებს. უცებ შაბურა არაბულის „დავჯექ დარდების საწერად“ წაანყდება. გოცბული გამყიდველის თვალწინ მოღუშულს სახე უცისკროვნდება, ერთი სული აქვს, ნიგნს დაეწაფოს. პირადი უსიამოვნებები წამით ავიწყდება. უცნაური აზრით გაუკრთება. ფიქრობს, ლექსის ავტორი (შაბურა არაბულის გულისა) მტკვარში გაასვენოს.

გოგიტას ბოლოდროინდელი ჩანანერები ძალიან მძიმე წასაკითხია. გააზრებას ძნელად ექვემდებარება. სასონარკვეთა გეძალება და ხვდები, ამგვარი ხვედრი — ღირსების შენარჩუნება თუ განგიზრახავს, ადრე თუ გვიან კარზე მოგიკაკუნებს. „მებრძვის ქვეყანა!“ ყურში გოგიტას სტრიქონი გინივის.

სამსახურს ვინ არ პირდება, ისიც, ვინც დღეს ეროვნული პრემიების მიღებასაც არ თაკილობს, თავის დროზე კი ახალგაზრდა პოეტის თანდასწრებით ისე იქცევა, ჭაბუკი მის „რეზიდენციას“ ულაპარაკოდ ტოვებს. მეორე არანაკლებ ცნობილ მწერალსაც ერთი წინადადებით იმგვარ კონტექსტში ათავსებს, გული გეკუმშება. ზოგი ცინიკური ხუმრობით უკლავს გულს, უსახლკაროდ დარჩენას მეგობარი სიცილით „უწინასწარმეტყველებს“.

ქალაქში დადის ჭაბუკი პოეტი.

ვფითრდები. სხეულს ნელ-ნელა ვიხდი. სულში ჰანგია კეთილ მეზურნის. მე ვემზადები რომ შევხვდე სიკვდილს, როგორაც უნდა შევხვდეს ხევსური.

ლექსის შექმნის თარიღს ამაოდ დავეძებ. მას ამქვეყნიდან გასვლა გადაუწყვეტია და სულში გამომწყვდეულ ჰანგებსაც ახალ სამყოფელს უჩუმრად უმზადებს. არ სჩვევია, ვინმე გააბეზროს.

ქართული სინამდვილე აქაც ჩასაფრებია: სიცოცხლეში გატანჯული ნეკროლოგების სიყალბეში დაიდაფნება. გამოსათხოვარ სტრიქონს, იცის, არ დაამაღლიან, ვინც ფუჭი დაპირებებით მოთმინების ფიალა პირთამდე აუფსო. ვინც ზურგსუკან გაიმეტა, თუმცა პირში არ უთხრა სათქმელი. ესოდენ უბრტყი, მარტივი „არა“, ცრუდამედების მოლოდინს რომ მოხსნიდა ტვირთად.

ხსოვნის საღამოებზე (თუ არ ვცდები, ჯერჯერობით გოგიტა არაბულის ხსოვნისადმი მიძღვნილი 3 საღამო ჩატარდა) ერთმა გარემოებამ განმაცვიფრა. ჩვენმა საერთო თანამებრძოლებმა თუ თანამოაზრეებმა, საკუთარი ინიციატივის მიუხედავად, არც ერთხელ არ მომცეს სიტყვა, გოგიტასთან დაკავშირებული მოგონებანი ახლებისა და ძველის თანდასწრებით გამეცოცხლებინა, ჭაბუკის პიროვნული

თვისებები წამომენია წინ. არადა, ჩვენ უნივერსიტეტში ერთობლივი საღამოც გავმართეთ. გულდანყვეტილი ვუსმენდი დაუსრულებელ თავისმართლებას, პოეტის სულიერ სამყაროს რომ ვნებდა, შემთხვევითი ადამიანების მიერ მონაცოლი, ყურმოკრული ამბები დაძაბულ ატმოსფეროს სიყალბედ აჩნდებოდა. რატომ არ მქონდა უფლება, თანამოაზრეს გამოვთხოვებოდი (მით უფრო, როცა საღამოს ინიციატორებმა ღიმილით დამამშვიდეს, „სიაში ხარო“ - სამივე ღონისძიებაზე დამამიედეს). მეტიც, გოგიტა არაბული ერთ-ერთმა ჩემს სახლში თავისი ინიციატივით მომიყვანა და გამაცნო. მისი ჩანანერები ჩემამდე გვიან მოვიდა, — სიტყვა არ მომცეს და ნიგნს ვინ დამაჭერინებდა ხელში! ამიტომაც მისი თვითმკვლელობის მიზეზში წვდომა მიჭირდა. ჩვენ ხომ ქართული სინამდვილის ღვიძლი შვილები ვართ და სიყალბის კოდექსს არასდროს ვლალატობთ! — იმ სინამდვილეს, რომელსაც გოგიტა არაბული 2001 წლის 19 დეკემბერს აუჯანყდა.

გოგიტას უკანასკნელად მაისის ადრიან დღეს შევხვდი. უნივერსიტეტის შენობიდან გამოსული იმდენად გამეჩხებული ჩანდა, მისასალმებელი სიტყვა ყელში გამეჩხირა.

— დღეს აქ, უნივერსიტეტში რატი ნინუამ თავი მოიკლა! — სიტყვას ლამის გული ამოაყოლა და... ადგილზე გაქვავდა.

პირზე ღიმილშეყინული მეც გავხვედი... დრო უკანმოუხედავად 27 წლის გოგიტა 23 წლის რატის სიკვდილის ამბავს მოეცელა. ისიც რატის მსგავსად „დემონების“ წევრი იყო. ამ გაერთიანებაში ორივემ ერთი წელი დაჰყო.

რატის გაუგონარ პროტესტს გოგიტამ ლექსი მიუძღვნა:

ვერ გიჯავრდები... ვერ გეუბნები... მესმის და მიტომ ჭაბუკ პოეტის მსურს შეგეყარო წამოსულს ცადაც და მერე ბიჭებს რა დაგვაძინებს... გვექნება ეზო და მომცრო ბან-კარს ალუბლის მტვერი დაამარილებს.
(„რატი ნინუას ხსოვნას“)

რატი ნინუას გასამტყუნებლად მას ენა როგორ მოუბრუნდება, როცა სულიერი სიახლოვის მიზიდვის ძალა ლექსმა ვერ დაიტია. ცად შეყრილ ჭაბუკ პოეტებს „ალუბლის მტვერით დამარილებული“ სამყოფელი ელოდათ.

რატი ნინუას თვითმკვლელობიდან ერთი წელი გასრულებულიყო. თოფით გავარდნილ პროტესტს გოგიტა არაბულმა, რატის ტრაგედიას მის ძმადნაფიცად რომ გაეხადა, თავისი პროტესტი შეუერთა.

მშობლებს გამოსათხოვარი წერილი დაუტოვა, პოეტებს — უკანასკნელი ლექსი, ხოლო სხეული მტკვარს არგუნა.

გოგიტამ ახალ საუკუნეს გამოწვევა ესროლა. უარყო, ზურგი აქცია წუთისოფელს. თავჩალუნულ მონობას წუთისოფლიდან გაცლა „უხმაუროდ“ ამჯობინა.

„ვინ იცის მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“ კეთილი მეზურნის ჰანგია ჩვენს სინამდვილეს წინ აღუდგა. ჭაბუკი პოეტი გოგიტა არაბული მარადისობას შეუერთდა.

XXI საუკუნის საქართველოში პილატე პონტოელის როლი უნუგემოდ განწირულია!

ნინო დეკანოიძე

ჩანანერები სახიფათო ანგელოზი

ეგებ ბენვის ხიდზე გავლაც სჯობდეს, რეპორტაჟის დაწყებას ამოჩემებული ფიქრებით. მაგრამ მაინც ნეტა სად უფრო მრავლობს ქართველი, ამ ბოლო დროს ლამის ყოველდღიურად გამართულ წიგნების პრეზენტაციებზე თუ პრესტიჟულ რესტორნებსა და ლამის კლუბებში? რასაკვირველია, ვერ გამოითვლება მიახლოებითაც. ეს კია, პრეზენტაციებისაკენ, ჩვეულებისამებრ, ფეხით გაუყვებიან ხოლმე. „მაგარდროსტარებისაკენ“ მიდრეკილნი — ბომონდი — გემისხელა ჯიპებსა და ძვირ-ძვირ მანქანებს თითქმის მოუცდენრად შემოასალტავენ გაჩირაღდებული ფასადებს სასურველ მისამართზე.

ეს მხოლოდ უწყინარობისათვის, რადგან იქითა და აქეთა დაგმიჯნულნი, რასაკვირველია, საქართველოს სიყვარულსა და საქართველოთი სიამაყეს გამოხატავენ. იქით, აზრიანობაზე ნადიმებზე, წკრიალა სასმისებით ფეხზე წამოუდგებიან საფიცარს, აქეთ — ენაცვალეზიან და გაორებულ საწუთროსთან თამაშში გულს არ იტეხენ. ჩვენც, რაკი უფრო მიგვესვლება, აქეთ გადმოვინაცვლოთ, მაინც „ცოდება-რაღიანი“ საკითხავით: ამ პატარა ქვეყანაში, თუკი სიმდიდრე ასე მოზღვავედა, უკიდურესი სიღატაკე რატომღა სუფევს?.. ჩემს მშვენიერ თანამგზავს, ზნეობრივად მისაბაძ ადამიანს ამის თაობაზე ვერაფერი ვკითხე, სამაგიეროდ თვითონ გამახედა შესასვლელთან, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზის მთავარი შემინული კარის მარცხნივ გამოდგმულ პატარა დაფისკენ. სხვადასხვა განცხადების გასწვრივ, ერთი მოზრდილი ფოტოც გაუკრავთ. ამჟამინდელი დირექტორი გარანტირებული თავდაჯერებულობით მოკალათებულა წიგნებით გადავსებული თაროების მწკრივში. ერთი სიტყვით, სიახლე ზღურბლიდანვე რომ გახლდათ შესამჩნევი, თანამედროვედ გაფორმებულ-გადაწყობილ დარბაზშიც დასტურდებოდა.

სწორედ ამ დარბაზში 2 აპრილს მოეწყო პრეზენტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აგრეთვე აღიარებული ჟურნალისტის, **იოსებ ჭუმბურიძის** ორი წიგნისა.

ლონისძიებას თაოსნობდნენ წიგნისა და ზოგადად ლიტერატურის გულისხმიერი პოპულიზატორი **ლია მეტრეველი** და ცნობილი თეატრმცოდნე **ნათელა არველაძე**.

ლია მეტრეველმა დასაწყისშივე წარუდგინა საზოგადოებას ოთხი სასიამოვნო ახალგაზრდა, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის პირველკურსელები: **მარიამ გოგალაძე**, **ანი ცანავა**, **ნანა ქებაშვილი** და **ვიტო ხურცილავა**. სტუდენტებმა მშვენიერი დეკლამაციით მოასმენინეს დარბაზს მინიატურები იოსებ ჭუმბურიძის ახალი წიგნიდან „**ჩანანერები**“.

ორი გამოცემის წარდგინებისას არჩევანი „**ჟურნალისტიკის შესავლის საკითხებს**“ ერგო: წიგნი გამომცემლობა „უნივერსალში“ დაიბეჭდა; დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თანადგომით. ავტორი, ამ სასწავლებლის სრული პროფესორი, წლებია სალექციო კურსს უძღვება ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან. ცხადია, მისი პრაქტიკული გამოცდილებითაც შევსებულა სახელმძღვანელო.

უფრო ხანგრძლივი მიმოხილვისთვის დაიგულეს „**ჩანანერები**“. წიგნის ყდაზე გამოტანილია მრავლისმთქმელი ქვესათაური — „**არ ეწყინება ყოვლადძლიერსო**“. ეს მინიატურების კრებული დაიბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტის“ ჩინებული პროექტით.

„ჩანანერების“ პირველივე ფურცლიდან, სათაურით „**შტრიხები ავტორის პორტრეტისათვის**“ მკითხველს საკუთარ შეხედულებას უზიარებენ ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი: ასეთი ლაკონიური და ზუსტი გამოხატუებები დასანანი იქნებოდა რეპორტაჟის მიღმა დარჩენილიყო:

როსტომ ჩხეიძე:

„თუ ვინმე ქმნის დღეს ქართული ჟურნალისტიკის სახეს, ერთი მათგანი, დამერწმუნებით, საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ჟურნალისტიკისა — სოსო ჭუმბურიძე გახლავთ.“

თავისი სტილით, თავისი მანერით, სიღრმით, თავისი ზნეობრივი პოზიციით ბევრ რამეს განსაზღვრავს ჩვენს მოუგვარებელ

საზოგადოებრივ ცხოვრებაში... თვითონ ფორმაა ამ ჩანანერების ორიგინალური... ყოველივე დახვეწილად არის მოქცეული მცირე ფორმაში და მთლიანობაში წარმოგიდგება მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად — ლიტერატურულ ჟანრად“.

ვახტანგ დავითაია:

„მე ბატონი სოსოს ნანერები ზნეობის ნიმუშებად მიმაჩნია. არ არის საკმარისი, იყო ნიჭიერი, იყო პროფესიონალი. თუ სულით პოეტი არა ხარ, ღირებულ ნაწარმოებს ვერ შექმნი. ასეა ფერწერაში, ქანდაკებაში, კინემატოგრაფიაში, ხელოვნების ნებისმიერ დარგში. მითუმეტეს, ლიტერატურაში.“

ბატონი სოსო ამ სამივე თვისებით ხასიათდება.

...მეთვალყურეა თავისი ქვეყნის პროცესებისა. ძალიან კარგად ხედავს კარგს, რაზედაც სიამოვნებით წერს, მაგრამ ცუდიც არასოდეს გამოჩნება და როცა ცუდზე უხდება წერა, იგი არ იწყებს ლავირებას ან შეღამაზებას. ამბობს სიმართლეს ისე, როგორც არის სინამდვილეში. და ჩვენს დღევანდელობაში იგი მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერების იშვიათი მაგალითიცაა“.


რევაზ სირაძე:

„ბატონი სოსო პატივს სცემს მკითხველს თავისი ლაკონიურობით — ამ იშვიათი უნარით.“

შეგახსენებთ ორი დიდი ფრანგი მწერლის შეპასუხებას — დრო რომ მქონოდა, უფრო მოკლედ მოგწერდიო... დღეს ეს როგორ ფასობს, მოგახსენებთ, როცა ენად გაიკრიფა ქვეყანა, დარბაისლობა, ენობრივი დარბაისლობა სანთლით საძებარია“.

გიორგი გოგოლაშვილი:

„...ვისთვის არის სახიფათო ეს ჩანანერები? ცხადია, ზნეობრივ საზოგადოებაში და სამართლებრივ ქვეყანაში“



სახიფათო უნდა იყოს იმისთვის, ვინც არის სამიზნე ამ ჩანანერებისა. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში იმათთვის ეს სახიფათო არ არის... სახიფათო არის იმისთვის, ვისთვისაც, წესით, არ უნდა ყოფილიყო — ავტორისათვის“.

ლევან ბრეგაძე:

„ეს ჟანრი ძალიან თანამედროვეა და ყოველთვის ჩანს, როგორი ოსტატია ავტორი. ფორმულირების, რეპლიკის მაღალი კულტურა ჩანს და სწორედ ეს არის ამ ჟანრში მთავარი“.

რეზო კვესელავა:

„იოსებ ჭუმბურიძე ერთ-ერთი გამორჩეულია იმათ შორის, ვინც დღეს ფიქრობს და წუხს საქართველოზე... „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ — აი, ავტორის სტილის არსებითი მხარე, თუმცა, როცა საჭიროა, მას შეუძლია, გრძლად ისაუბროს. მისი ეპიგრამები ყურადღებას იქცევენ სინათლით, სიმხველით, სიზუსტით. ცხადია, რომ ტკივილს არ უყვარს გრძელსები... სამშობლო მისთვის ყველაფერზე მაღლა დგას, — ამას ხმამაღლა აცხადებს. ვისაც ეს ავინყდება, ავტორი იმის მიმართ დაუნდობელია. მას არ ეშინია შედეგების და არ ეძებს დელიკატურ სიტყვებს“.

და ისევ პრეზენტაციიდან. იოსებ ჭუმბურიძემ უპირველესად სტუდენტთათვის სახელმძღვანელო ნიგნზე ისაუბრა; რომ კარგა ხანია ფიქრობდა ამ ყაიდის კრებულის შედგენას. მითუმეტეს, საფუძვლიანმა გამოცდილებამაც აფიქრებინა — ნამდვილად სჯობს სილაბუსში მითითებული ლიტერატურიდან თავად გამოვარჩიოთ ყველაზე მთავარი და არსებითი, თანაც იმ დროით, რისი დამახსოვრება და გაცნობიერება-გაანალიზება სტუდენტისათვის აუცილებელიც არის და შესაძლებელიცო.

უკითხავს მისთვის ერთ-ერთ ბეჯით სტუდენტს: არ აპირებთ თქვენი სალექციო კურსის გამოცემასო?

და ეს შეკითხვაც შეგულიანებასავით ნასდგომია პედაგოგს. ასე შექმნილა ე.წ. „პროფესორის კონსპექტი“. საინტერესო, ორიგინალური გამოცემა და არა მხოლოდ სტუდენტთათვის.

„ჩანანერების“ გამო კი ავტორმა მაღლიერება გამოხატა გამომცემლობა „ინტელექტის“ მესვეურთა მისამართით. აღნიშნა, რომ „პუბლიცისტური პროზა მისი უსაყვარლესი ჟანრია, რადგან უკეთ გამოხატავს მოქალაქეობრივ პოზიციას. ნიგნში თავმოყრილი ჩანანერები თავის დროზე გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“, მოგვიანებით იბეჭდებოდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და გაზეთ „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე.

...მერე გახლდათ სიტყვით გამომსვლელთა — **ნათელა არველაძე, ნოდარ ტაბიძე, გოგი გოგოლაშვილი, მაკა ჯოხაძე, ლევან ბრეგაძე, ვახტანგ დავითაია, ჯამლეტ ხუხაშვილი, ინესა მერაბიშვილი** — ორატორული შთამბეჭდაობა. ეპითეტებისა და მეტაფორების ნამდვილი ფოიერვერკი; ორლესული გამონათქვამები თუ სხარტულები იფრქვეოდა დარბაზში. და როგორც ხდება ხოლმე ამნაირ დროს, ამ გულითად სადამოზეც ერთმანეთს შეხვდნენ მეგობრები, დაშორდნენ კოლეგები — უფროსი და უმცროსი ასაკის თაობელნი. გარემო იყო ახლობლური. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი სიტყვით გამომსვლელი, დამდურების მიუხედავად, მოღვაწეობას უქებდა დარბაზში არმყოფს, და ზურგსუკან, მისი საქმიანობის კეთილად აღიარება არ გაძნელებია.

ასე რომ ყველაფერი იყო უჩვეულო, წარმოდგენასავით. ეგებ იმიტომაც, თეატრმცოდნე ქალბატონი, მისთვის ესოდენ მახასიათებელი „მკვახესიტყვაობის“ გარეშე უძღვევოდა ლონისძიებას და თითქმის, თავიდან ბოლომდე, საკუთარი სათქმელი „ოქროს შუალედში“ გაატარა.

ასეთი იყო იოსებ ჭუმბურიძის, ზოგადად „სახიფათო ჩანანერების“ ავტორისა და წესიერი კაცის ნიგნების პრეზენტაცია.

დიალოგის ქრისტომათიული ნიშანი

ძვირფასო რედაქცია, არც კი ვიცი, რითი დავინყო წერა, **ნინო ჩხიკვიშვილის** იმ ნიგნით — „საუბრები თემურ ჩხეიძესთან“, რომელიც ორი წლის წინათ გამოიცა და დღემდე მახსოვს, როგორი ინტერესით გავეცანი — თუ ამ ძალიან კარგი დიალოგით „ის... რაც ყველაზე მთავარია ცხოვრებაში“, ქალბატონ ნინოსა და ბატონ თემურს შორის, „ჩვენი მწერლობის“ ბოლო ნომერში (№8) რომ გამოქვეყნდა. სწორედ ამ შთაბეჭდილებამ კი გადამანწყვეტინა მომენერა.

მამაც იმით დავინყებ, რომ თელავიდან ვარ, დიასახლისი. ახალგაზრდობისას მეც ვწერდი, ლექსებსაც, მოთხრობებსაც... ისეთს ვერა, გამოქვეყნებდა რომ გამებედა, მაგრამ სიტყვას, ასე თუ ისე, მეც გავუსინჯე გემო. თეატრიც ისე მიყვარს, დღესასწაულად იქცევა ხოლმე ჩემთვის ყოველი ნანახი სპექტაკლი. თემურ ჩხეიძის, ჩვენი სახელოვანი რეჟისორის სიყვარულში ვერავის გავეჯიბრები, მას ხომ მთელი საქართველო განსაკუთრებულ პატივს სცემს და ყოველი მისი გაელვება პრესასა თუ ტელევიზიაში უგულსიყუროდ არასი რჩება, უცებ კი... ასეთი საინტერესო დიალოგი, სადაც არა მხოლოდ პორტრეტი იხატება რეჟისორისა, არამედ, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედებითი კრედი — აქ ისეთი ფსიქოლოგიური ნიუანსები და რეჟისორული საიდუმლოებანია გამჟღავნებული და იმგვარადაა გადმოცემული, არა მგონია, რომელიმე მკითხველი გულგრილი დაეტოვებინა.

თემურ ჩხეიძე რომ საინტერესო მოსაუბრეა, ამაზე კიდევ მსმენია და არაერთხელ თვითონაც დავრწმუნებულვარ მოსმენილი თუ წაკითხული ინტერვიუებით, მაგრამ აქ მამაც სხვანაირად ჩანს ბატონი თემური და, მგონია, რომ ეს ქალბატონი ნინოს დამსახურებაც არის — ისე საინტერესოდ, პროფესიულად მიყავს დიალოგი, ისე ნიუანსობრივად უკირკიტებს რეჟისორის გადანყვებულებებს სცენაზე, და ამ ყველაფერს კომპოზიციურად ისე ავებს, კარგად ჩანს მისი ცოდნაც თეატრისა და ჟურნალისტური ოსტატობაც.

შესავალ სიტყვაში წერთ: ქალბატონმა ნინომ შეიძლება შეავსოს კიდევ თავისი ნიგნით. ის თავისთავად ისეთი საინტერესო გამოცემაა, აკი გითხარათ, დღემდე მომყვება ღრმა შთაბეჭდილება და ხანდახან თავიდან გადავფურცლავ ხოლმე. კადნიერებაში ნუკი ჩამოთვლით და... იქნებ სთხოვოთ, შეაფულიანოთ ამისაკენ, სულაც დააძალოთ, რადგან დღესდღეობით ისეთი რიტმებით ვცხოვრობთ, ზოგჯერ საჭიროც კია ერთმანეთს შევახსენოთ, რამდენი კარგი რამის გაკეთება შეგვიძლია.

ბოლოსდაბოლოს, ასეთი ინტერვიუ, კიდევ ერთ საინტერესო შტრიხს რომ შესძენს ბატონი თემურის პორტრეტს და სხვაგვარად გაამთლიანებს იმ ნიგნს, როგორ შეიძლება გამოუცემელი დარჩეს?

იმისიც მჯერა, რომ **ნინო ჩხიკვიშვილსა და თემურ ჩხეიძეს** წინ კიდევ არაერთი საინტერესო დიალოგი ელით და ჩვენც, მკითხველები, სულმოუთქმელად დაველოდებით. მანამდე კი კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან:

დიალოგისას ბატონი თემური რომ საინტერესო ამბავს ყვება სოხუმელი მაისურადის შესახებ, ალბათ ჩემსავით ბევრს დაინტერესებდა მისი ბედი და თუ ამ ინტერვიუს მერე გამოგეხმაურათ ვინმე, იქნებ თქვენი ჟურნალის ერთგულ მკითხველებსაც შეგვატყობინოთ.

ქათეპან ქაშოქლიძე



დედამინიდან...
 მე სახურავზე ავალ...
 მაღალი შენობის სახურავზე...
 ჰაერის რიგში ჩამდგარ ფილტვებს
 ცელოფენებს ჩამოვაფარებ
 და რეპეტიცია გავლილ სუნთქვას
 დავამთავრებ...

დედამინა დამიძახებს!
 მე კი მასზე დავიღლები!..
 მერე ჩემს მხრებს გადააბიჯებს
 ერთჯერადი გედი,
 დიდი ტალახიანი ფრთებით,
 ტანს კვადრატში აიყვანს
 და დაიკარგება... დაიკარგება...
 როგორც ორგაზმვან ცდილი საქსოფონის ხმა,
 როგორც ძველი ამოსუნთქვის ამონარიდი.

გიორგი ჩუთლაშვილი

მზის „პოსტარი“

ფანჯრები ღიაა! შუქი დასაშვებზე მეტი!
 მეცხრე ცა ცივია და პლაზმური...
 შენ ისევ აქ ხარ შენს ოთახში
 ხის სანოლზე ზიხარ და ცოცხლობ...
 გაზეთში გახვეული სიზმრებით
 ამთავრებ თამაშს
 (გაზეთები გუშინ სუპერმარკეტში იყიდე,
 პურთან და ორცხობილასთან ერთად)
 და იწყებ ძველი წერილებით წარსულში გადასვლას...
 სადაც ბევრ წვრილმან ამბავთან ერთად
 შენი მკერდის ზრდის დღეებსაც იხსენებ...
 მერე გბეზრდება წარსული...
 რთავ კომპიუტერს და ბეჭდავ
 იმიტირებული სიკვდილის სცენარს...
 რომელზეც ბევრს იცინი...
 თან სოციალურ ქსელში ესაუბრები მეგობრებს
 უცხოპლანეტელზე, რომელმაც დღეს მეგობრობა
 შემოგთავაზა სხვა სამყაროში..
 თან უყურებ კედელზე გაკრულ მზის პოსტერს,
 რომელიც არ გათბობს, მაგრამ იცი, რომ
 ქალაქის მზეზე მაღლა დგახარ
 და ეს ფაქტი გახარებს...
 მერე ეცემი. სანოლი ცარიელდება.
 რჩება ზენარი დაჭმუჭნული.
 შენ სიცარიელეში იძინებ
 და ეძებ სიცოცხლეს ხელმეორედ!..

ელექტრონული არსებობა

ხვალ დაობებულ სილას შეურევენ
 დაკრეფილ სადენებს და
 შექმნიან სიბრძნეს!
 შედეგებულ ზღვის ტალღებს
 ჩამოასხამენ არყის ჭიქებში.
 სიბრალულის მიწურს გადმოაღვრიან
 ცრემლები ცრემლებს...
 ხელები ხელებს, დააგორებენ
 ძუძუებიდან...

ხვალ დაკეცილი შუქი დაჯდება
 ტუჩთან რაფაზე,
 ელექტრონული არსებობა შემომემტკრევა
 ათივე თითზე, მაჯის საათზე.
 მათხოვრის მზერა შემომამხმება
 შორიდან...
 ენის სამარხზე, თმების დაღმართზე,
 დილას საღამოს, დღის ორ საათზე!
 ხვალ ჩემი დროზე შემოლაგებული
 ძვლები
 ითამაშებენ დამუხტულ ხევიში.
 ხვალ მე მეც ვიქნები
 და კუბოც...
 და მე ჩამასვენებენ ჩემში!

დღეს ისევ აქ ვარ

დღეს ისევ აქ ვარ და ვუცდი ბოდღერს!
 მათხოვრის ძონძიდან გამომძვრალ მწერებს
 ვულოცავ სიცოცხლეს.
 დღეს ისევ აქ ვარ!.. და ვნერ...
 ვნერ ჩემს საკუთარ ცოდვეს.
 ისევ ვინახავ ცარიელ ბოთლებს.
 ბოთლებში ფოთლებს, ფოთლებზე მტვერს,
 მტვერში მტვრის მტრედს მე ვუშლი ფრთებს...
 ვინახავ ფურცლებს, ფურცლებზე სიტყვებს,
 ვფურცლავ ჩემ სულსაც და ნისლში ვუშვებ!
 ფურცელზე სიტყვით ვატყვევებ მორევს,
 ვფურცლავ ჟურნალებს, ვიგერიებ ყორნებს.
 ვხედავ, როგორ ხვევს ქარი წვიმას ხელს,
 ვხედავ ბლის ტოტებს და შენს ყელსახვევს,
 ვხედავ, თუ როგორ გწყინს, როდესაც
 ვეზვევი სხვის ლერწმებს...
 მე გხედავ შენ, შენ აჭმევ ძალღებს
 ძველ პურს და ძვლებს,
 და სანაცვლოდ ითხოვ ისევ არაფერს,
 და ამ არაფრით ისევ იმარჯვებ!
 ვხედავ გადახრილ სახლს,
 სახლის ჩამომძვრალ კარს,
 ოთახში მეძავეებს, მენამულ კვამლს,
 მათ შორის მიმოზნულ ოცდაათ ვერცხლს
 ლუდის კათხებს, იატაკზე საბანს,
 ჭუჭყიან სავარცხელს, ამოტრიალებულ სარეცელს,
 სავარძელს და სავარძლებში ადამიანებს!
 მე ოთხ კედელს შორის მეხუთე კედელი
 ვდგავარ და ვხატავ, ფანჯრის დაორთქლილ მინაზე
 შენს ჩრდილს, მსუბუქს და მისტიკურს!
 ვხატავ შენს სინაზეს, ვეძებ სინათლის სახელურს
 და ცის საყელოს!
 დღეს ისევ აქ ვარ!..
 ისევ მესმის შეძახილი მიმოზნების,
 ისევ მესმის შენი ლოცვა და გალობა,
 მხიბლავს შენში ანგელოზის ხმა,
 ვინრო საქანელაზე ჩიტის ქანაობა.
 მხიბლავს დაფნებზე ყვითელი ჭიამაიების
 თვლემა და ბრძენი ობობა.

დღეს ისევ აქ ვარ!
მე ისევ აქ ვარ!
შენ მეფერები!
ვილაც მშორდება!
ბოდლერი მოდის!

ნახატი სხეულში

ოფლიან სიცხეში..
მკაცრი თოჯინებით
გაფერადებულ კაფეში
ვზივარ.
მივირთმევ ვისკის,
გაუპატიურებული კივით
და წყლის საშოში
გამოჭედილი ყინულით.
ახლადმევიწროებულ
სიფხიზლეში
ფანტაზიის ხელთ ქმნილ
ბალიშზე, ვასვენებ
ჩემ მიერ უარყოფილ
დღიურს, და ვუცდი
ყავას!
რამდენიმე წუთიან
სიმშვიდის პანაშვიდს
ვმართავ და შემდეგ
გავალ, ქუჩაში
გარუჯულ სიცხეში.
უცხოპლანეტელის გასვენებაშიც
წავალ, არადედამინელებისგან
შემდგარ პროცესიას
წავყვები, სივრცეში გათხრილ
საფლავამდე, სადაც
ბუზები და კოლოები
ისვენებენ დახვრეტამდე!
წავალ და დავკოცნი უპატრონო
ძაღვებს და ჩვილებს!
ანგელოზი რომ გამიღიმებს,
მე მას სურათს გადავუღებ
და ის იქნება „ნახატი სხეულში“.
დავმშვიდდები
და ბოლოს ვიტყვი:
დასასრული...

ტილო

ტილოზე ფერთა ნოტებს შევცქერო,
მოჩუქურთმებულ სინათლის ჩარჩოს...
ამპარტავანი ლელავს მენყერი
და მესაფლავე ობლობას ახრჩობს...

მავთულხლართებში ეხვევა ბავშვი,
წვიმაში ბებრის მკლავები მოჩანს...
ქალის საყურე ირწყვება ბაღში...
და რეალობა ერევა კომმარს!

ტილოზე ფერთა ნოტებს შევცქერო,
მოჩუქურთმებულ სინათლის ჩარჩოს...
გაყინულ მწუხრში, ვით ფარაონი,
ქალი ფიქრობს და რალაცას ნაღვლობს!

მავთულხლართებში ეხვევა ბავშვი,
ქვიშაში ბებრის ვენები მოჩანს...
სველი სიმინდი იმტვრევა ქალში...
და რეალობა ერევა კომმარს!

უსათაურო მანეკანი

მე გადავთარგმნე
ვადგასული საღებავებით მონამლული
მთვარის ამოსუნთქვა...
დავასათაურე
უსათაურო მანეკანის მუმფიცირებული
სამყაროს პანორამა...
მე გადავთარგმნე,
მონოტონური არსებიდან გამოყოფილი
ინტუიციებით, აკაციების დაშლა
ქარიშხლის კანში...
მე გადავთარგმნე,
გზაში დაკარგულ უდაბნოს ფილტვში,
ჩაყრილ სამკაულთა ლტოლვა
შიშველ ტანთან...
მე გადავთარგმნე,
თეთრი ზვიგენი ოკეანეში ოკეანესთან...
მე გადავთარგმნე,
შენი სურნელი თმებში, წამწამებში,
ტურქებში, ტურქებთან...
მე გადავთარგმნე
წყვილიადის ფორმები
უსათაურო მანეკანებთან...

ჩვენ ავფრინდებით!!!

ჩვენ ავფრინდებით
აფორიაქებულები ავფრინდებით...
გახუნებულ მაჯებს ფლომასტერით გავიფერადებთ
და
პროჟექტორის შუქზე წარვადგენთ
საკუთარ სულებს...
მზეების კუთხეში,
რიცხვების გარეშე დარჩენილ კალენდრებზე
დავწერთ ჩვენი დასაფლავებული საფლავების
რაოდენობას და
ჩვენი ყალბი თმის ლერების
დახარისხების დროს და განწყობას...
ჩვენ ავფრინდებით...
შეკრული ზამბახების ვიბრაციებით...
გაბზარული ლარნაკებით და მარტინის მარტივი ჭიქებით...
ყვავილების და სასმელების გარეშე...
ჩვენ ავფრინდებით გიშრებიდან, მარმარილოდან...
ცივი სუნამოს ლაბირინთებში,
ვითომ დაკარგავთ ჩვენს მყრალ სუნებს,
სიყრმიდან მონიჭებულს...

მეხუთე სართულზე, მეასე ნიავზე,
დავაბანაკებთ
ჩვენს გამხმარ ძარღვებს...
ჩვენ ავფრინდებით...
აფორიაქებული ავფრინდებით...
ჩვენ ავფრინდებით...
ჩვენ ავფრინდებით...

ვენერას ღაბაღაბა

ვან გოგის მზესუმზირებს ვარჩევდით...
სახურავზე, პარაშუტის ანარეკლს დამსგავსებულები,
პეპლის საჭერ ბადეში გავებით.
რადიომიმლებიდან გადმოვარდნილი
შხრიალი ავიტაცეთ...
მესამე ქვაფენილზე ამოტრიალებული ეტლი დავივინყეთ,
სახრჩობელასავით მოქანავე კიდურები
ერთმანეთს მოვხვიეთ და...
ერთმანეთზე შემოსვირინგებულები
დედამინას დავეცით...
...ამ დროს ვენერას დაბადება ვიხილეთ.
გავჩერდით...

დაორთქილი ხაზი

როცა ამინდები ჩემს ხელისგულზე
დაორთქილ ხაზებს დალლიან...
მაშინ მე,
ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩავიძირები
ტანით ჩემს სულში...
როცა ამოვტივტივდები,
ჩავრთავ ტელევიზორს
„მასტიკით“ გაჟღენთილ ღრუბლებს
ავკინძავ თეთრ ანტენებზე
და ფოტოგენური დუმილით
დავჭმუჭნი აღმართს...
როცა ინვიმებს, მე ვიხმაურებ
დაუნდობლად
და წვიმის წვეთებს
პალტოს ჯიბეებში შევავროვებ...
ბურუსის მოსვლამდე,
ან შუქის მოსვლამდე,
ან გაზის ქვითრის მოსვლამდე...
როცა ამინდები ჩემს ხელისგულზე
დაორთქილ ხაზებს შეუცვლიან
ადგილსამყოფელს,
მე ფაიფურის მზესუმზირებს
წყალში ჩავაბნევ.
ბავშვის ხელიდან გაქცეული
საპნის ბუშტებს მივასწავლი
გზას კოსმოსისაკენ...
ელექტროგაყვანილობებითა და
ბაქტერიებით გაჟღენთილ
ჟანგბადს ჩავისუნთქავ
და შემდეგ ვიპოვი
შემოდგომის ახალ მონუმენტს...

ბრონეულის მარცვლები

სარდაფში იატაკის ჯვარედინ ვენებზე
ბრონეულის მარცვლებთან ერთად
მიმოვიფანტე და...
უკანონოდ დარეგისტრირებული
ნესტი გავაჰაერე.
ალბომიდან გადმოპარული,
შენი ფოტოები კოცნის ჩარჩოში ჩავსვი
და ლიმილის მიხედვით დავალაგე.
სარდაფის მცირე ზომის ფანჯარასთან
გავიხსენე, ჩვენი პირველი პაემანი,
პირველი კოცნა და
ჩვენი სახლის პირველ შპალერზე
გამჟღავნებული ჩვენი ჩრდილები,
ჩვენი პირველი ლამე და შენ მიერ
დანთებული პირველი კოცონი.
გავიხსენე ჩვენი სულიერი ფოტოსესიები
კარავში, სასტუმროში და თითქოს
ბაბუანვერას პოზები შევიგრძენი...
ნელ-ნელა სიცივე შეიფუთა.
ავკანკალდი. დავმუნჯდი.
დალამდა. გათენდა.
სარდაფის ქერი ბრონეულის მარცვლებით
მოირთო...
დავიბადე... ვიბანავე...
ყავის ფინჯნები ნალექით დავნომრე და...
გავეკიდე რთულ ოქტომბერს ოქტომბერში
პირჯვრისწერით.

ციფრული ნაბიჯები

ისევ ტრიალებენ რადიოსადგურში გაზრდილი
ორმოცდახუთბრუნვიანი ფირფიტები.
ისევ ანათებენ სიბნელეგამოცვლილი
ფანრები ფარულად...
ქარში დაორსულებული ჩემი ციფრული ნაბიჯები
ცლიან მოსახვევებს და ამთავრებენ ცას...
სილიკონის ძეგლები პიარაქციებს გეგმავენ...
მე ჩემ მიერ ნაპოვნ ნიჟარებს ლარნაკში ვრგავ.
ისევ ტრიალებენ ორმოცდახუთბრუნვიანი ფირფიტები,
ალბატროსები ისევ იპარავენ ვნებებს და მარსს...
მარაოები იცვლიან ხელებს,
ხელები იცვლიან წყალს.
ქარში დაორსულებული ჩემი ციფრული ნაბიჯები
ცლიან მოსახვევებს და ამთავრებენ ცას!..

პლასტმასის მთვარე

მე უკვე დავიმაღე პლასტმასის მთვარის ქვეშ,
და გთხოვთ ნულარ მომძებნით!
ასფალტზე დავამსხვრიე მარტოობის საყვავილე!..
პლასტმასის მთვარის სინათლეში მდგარ
ლელვის ხეზე ამოვკანრე, რომ
ვიპოვე მთვარე, რომ ვიცნობ მას!

კაუჩუკის მინიატურული პლანეტები
მავთულებზე ჩამოვკიდე და
ვისეირნე მათთან ერთად უჰაეროდ...
შემდეგ,
ჭუჭყიანი სათამაშოები ბავშვობაში
გადავყარე.
ახალგაზრდობასა და სიბერეს შორის
გაჭიმულ ჰამაკში ჩავესვენე
და...
შავ-თეთრ ცისარტყელას მივაშტერდი.
მივაშტერდი და...
დავინახე, რომ...
ცისარტყელა დაიშალა, განქარდა...
მეც რომ დავიშალე, არ გენყინოს,
დედა!!!
დედა, ყველაფერი მაპატიე, გთხოვ!!!

არ ვიცი სიცილი...

ჰაერს ვენევი!..
ორსული ნახატის სუნთქვას
ყურს ვუგდებ.
ფურცელზე გამომწვარ
სითეთრის სიცრუეს
ვგრძნობ!..
თან თავს ვიტყუებ!..
სარკმელს ვერ ვწვდები.
წარსული ლალატის
ფეთქვას რომ ვიგებ,
ვბუზღუნებ,

ვდუდუნებ,
არ მესმის,
ხმას ვერ ვიღებ.
ნიგნებს რომ ვარიგებ,
ვჩურჩულებ,
ვეშვები,
ვწყნარდები,
ვიცინი,
კი მაგრამ,
მე ხომ
არ ვიცი სიცილი!..

ONCE

ერთხელ...
პატარა სარკეში, საკუთარი სახე დავმარხე,
უხმოდ, უაზროდ, უმტკივნეულოდ...
უსახობა დასრესილ რკინაზე დავალებე!
ფარდებს ჩანჩქერი რომ ჩამოვავარე,
დავამთქნარე და ბეჭემოტივით ჩავყვინთე
ცხვირიდან წამოსულ სისხლში.
ვაშლიდან ხე რომ ჩამოვავადე,
ვაშლზე ადამი გამოისახა
და მე შემეცოდა
ტოტებზე სირინოზების მიერ
შექმნილი აკლდამის ქალი!
ქვა რომ ვესროლე,
იდუმალემა და რომი
მქონდა დალეული და
ვერ მივხვდი, ის
ვშობე თუ მოვკალი!

არ ვიცი სიცილი

მანინ რა არის პოეზია? — რამდენ დიდ მოაზროვნეს უც-
დია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. და პასუხიც იმდენივეა, რამ-
დენიც მოაზროვნე. სულ ახლახან ნავიკითხე ბორხესის ლექ-
ცია-ესეი („ჩვენი მწერლობა“, №21, 2011), სადაც ის იმონებს
უაილდის განსაცვიფრებელ აზრს: „ბერძნები ჰომეროსს
ბრმად წარმოიდგენდნენ, რათა ეჩვენებინათ, რომ პოეზია უნ-
და იყოს ყურით აღქმული და არა ხილული“. ეს გენიალური ჰი-
პოთეზა, ალბათ, ყველაზე უკეთ მიგვანიშნებს პოეზიის არსზე,
მაგრამ რა ვუყოთ გამოგნებლად ხილულ ლირიკულ ქმნილე-
ბებს? მაგალითად, მხოლოდ ყურით როგორ აღვიქვათ ეს
სტრიქონები: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? —
ეს ჩემი სამშობლოს მთებია“ (გალაკტიონი), ან: „ჯიხვი ქარაფ-
ზე ხტის, ბუზს არ აიფრენთ, ქედებო“ (მურმან ლებანიძე). განა
მხოლოდ ყურით აღვიქვამთ იმას, რაც ლექსის საკვირველად
მცოდნეს აკაკი განერელიას პოლ ვალერის განთქმულ შედეგ-
რში განაცვიფრებდა — თუ როგორ კბენს ზღვა, ჰიდრასავით,
საკუთარ კუდს... მაგრამ ასეთ „მაღალ მატერიებზე“ მსჯელო-
ბა შორს გაგვიტყუებს და ვშიშობ, ეს უადგილო არ აღმოჩნდეს,
ვინაიდან წინასიტყვაობას იმ ახალგაზრდას ვუძღვნი, ვისმა
ლექსებმაც დღის სინათლე პირველად უნდა იხილოს. არ

მსურს იმ კრიტიკოსს დავემსგავსო, ქოთანს ყურს ნებისმიერი
მხრიდან რომ მოაბამს. უბრალოდ, ვიკითხავ: რა არ ასვენებს
ოცი წლის ბიჭს, ვისაც უმაღლესი სწავლის გაგრძელება (იმე-
დია, ჯერჯერობით), უსახსრობის გამო ვერ მოუხერხებია, სა-
მაგიეროდ, ხელოსან მამას ამოსდგომია მხარში და დილიდან
სალამომდე დაუზარლად შრომობს? რა აწერინებს, დაღლილ-
დაქანცულს (გასახარია — თურმე, ბევრსაც კითხულობს)
ლექსს, თანაც უმეტესად, თავისუფალს, თუ არა მუზა? საიდან
მოდის მასთან ისეთი პოეტური სახეები, რომელთაც მხოლოდ
ყურით ვერ აღიქვამ და სხვათა შორის, ვერც მხოლოდ თვალი-
თაც — ისინი უნდა წარმოიდგინო. იქნებ, პოეზია, უწინარესად,
სწორედ წარმოსახვაა. სხვაგვარად როგორ უნდა გაარჩიო ვან
გოგის მზესუმზირები, ან როგორ უნდა დადგე ქალაქის მზე-
ზე მაღლა, ანდა როგორ უნდა ჩამოასხან შედედებული ზღვის
ტალღები არყის ჭიქებში, როგორ უნდა შენიშნო დაფნის ფოთ-
ლებზე ყვითელი ჭიამაიების თვლენა და ობობას სიბრძნე?

ვიცი, პოეზიაში გზის დალოცვა დიდი რისკია, მაგრამ შინა-
განი ხმა მეუბნება, რომ გიორგი ჩუთლაშვილი პოეტად არის
დაბადებული.

ღმერთო, ნუ გამიმტყუნებ ამ გუმანს.
ბიჭი კი მხოლოდ ერთ რამეში გაამტყუნე — არ ვიცი
სიცილიო, რომ ამბობს...

იოსებ ჭუმბურიკა

ჰაინრიხ ბიოლი

ლოენბრინის სიკვდილი

სანიტრებს კიბეზე საკაცე ნელ-ნელა აჰქონდათ. ორივე ბრაზობდა: აი, უკვე ერთი საათია, რაც მორიგეობენ და ფეხის ქირად ერთი სიგარეტის საფასურიც კი არ დაუტოვებია არავის. თანაც, ერთი მათგანი მძლოლი გახლდათ, მძლოლებს კი სულაც არ ევალეობდათ საკაცეების თრევა. მაგრამ საავადმყოფოში, როგორც ჩანს, არავინ იყო, სანიტარს რომ მიხმარებოდა და რა უნდა ექნათ ბიჭისთვის, მანქანაში ხომ არ დატოვებდნენ?! გარდა ამისა, კიდევ ორი ავადმყოფი ჰყავდათ სასწრაფოდ წამოსაყვანი — ერთს ფილტვების ანთება უნდა ჰქონდეს, მეორეს კი თავის მოკვლა უცდია, მაგრამ სულზე მიუსწრიათ და თოკიდან ჩამოუხსნიათ. მართალია ბრაზობდნენ, მაგრამ ნაბიჯს ცოტათი მაინც აუჩქარეს. დერეფანში შუქი ძლივს ბჟუტავდა და, ცხადია, საავადმყოფოს სუნი იდგა.

— ნეტა რას ხსნიდნენ იმ თოკიდან, — ჩაიბურტყუნა უკან მავალმა. ცხადია, თვითმკვლელს გულისხმობდა.

— მართალი ხარ, ვერ გამოვიცა, რატომ ჩამოხსნეს, — ჩაიდუდუნა წინ მავალმა, უკან მოიხედა და მთელი ძალით დაეჯახა კარს. ავადმყოფი გონს მოეგო და შემზარავი, სულისშემძვრელი ყვირილი მორთო. ეს ბავშვის ხმა იყო.

— ჩუმად, ჩუმად, — უთხრა ექიმმა. მას შემფოთებული სახე ჰქონდა და სტუდენტური საყელო ეკეთა. ახალგაზრდა იყო, ქერათმიანი. ექიმმა საათს დახედა, რვა შესრულებულიყო. ექიმ ლომაიერს კარგა ხნის წინათ უნდა შეეცვალა იგი. უკვე საათზე მეტია, რაც ელოდება. ალბათ დააპატიმრეს, დღეს ხომ ნებისმიერ დროს შეიძლება ადამიანის დაჭერა?!

ახალგაზრდა ექიმი თავის სტეტოსკოპს ავტომატურად ხელით აწვალედა და დაჟინებით დასცქეროდა საკაცეზე მწოლიარე ბიჭს. ბოლოს და ბოლოს სანიტრებზე შეაჩერა მზერა. ისინი კარში იდგნენ და რალაცას ელოდნენ. ექიმმა გაღიზიანებული ხმით ჰკითხა:

— რა იყო, რალას უცდით?

— საკაცეს, — მიუგო მძლოლმა, — იქნებ გადაგვეწვინა ბიჭი, გვაგვიანდება.

— ჰო, რასაკვირველია, — თქვა ექიმმა და ტყავგადაკრულ ტახტზე მიუთითა.

ამ დროს ღამის მორიგე ექთანი შემოვიდა. გულგრილი, მაგრამ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. ქალმა ბიჭს ილღიებში ამოსდო ხელი, ხოლო იმ სანიტარმა, რომელიც მძლოლი არ იყო, ფეხებში წაავლო. ბიჭმა ისევ შემზარავად შეჰყვირა. ექიმი მის დაამშვიდებდას შეუდგა: „გაჩერდი, წყნარად, წყნარად, არც ისე გტკივა...“ სანიტრები ისევ იცდიდნენ. ექიმის გაღიზიანებულ მზერას სანიტარმა მშვიდად მიაგება: „საბანი“. საბანი მას არ ეკუთვნოდა. შემთხვევის ადგილას ვიღაც ქალმა მისცათ — ასე ფეხებგადაყვლეფილი ბიჭის უსაზნოდ წაყვანა შეუძლებელი იყო. სანიტარი ფიქრობდა, საბანს იმ ქალს მაინც არავინ დაუბრუნებს და საავადმყოფოში დაიტოვებენ. ბიჭს კი ზუსტად ისევე ეკუთვნის, რო-

გორც — მე. ასე რომ, თავისუფლად შემიძლია, შინ წავილო, ჩემი ცოლი მოაწესრიგებს. საავადმყოფოში ისედაც ბევრი საბანი აქვთ. თანაც, საბნები დღეს ძალიან ძვირიაო.

ბიჭი განუწყვეტილად ყვიროდა. საბანი გადახადეს და სანიტარს მისცეს. ექიმმა და ექთანმა ერთმანეთს გადახედეს. ბავშვი შემზარავად გამოიყურებოდა: ფეხები დასისხლიანებოდა. ტილოს მოკლე შარვალი სულ მთლად დაფლეთოდა და ეს სისხლში ამოსვრილი ნაფლეთები რალაც გაურკვეველ მასად გადაქცეულიყო. ბიჭს ფეხსაცმელი არ ეცვა. განუწყვეტილად ერთი და იმავე სიძლიერითა და ტონალობით ყვიროდა.

— სწრაფად, დაო, სწრაფად მოამზადეთ შპრიცი! სწრაფად, სწრაფად! — ჩუმად იმეორებდა ექიმი. ექთანი მოხერხებულად და მკვირცხლად ირჯებოდა, მაგრამ ექიმი მაინც ერთსა და იმავეს უმეორებდა, სწრაფად, სწრაფად. ნერვულ სახეზე ტუჩები უცახცახებდა. ბიჭი წამითაც არ ჩერდებოდა, ექთანს კი უფრო სწრაფად მოქმედება არ შეეძლო. ექიმმა მაჯისცემა გაუსინჯა ბიჭს და დალილი, გაფითრებული სახე კიდევ უფრო დაეძაბა.

— გაჩემდი-მეთქი, — ემუდარებოდა ბავშვს. აკვიატებული ჩურჩულით უმეორებდა, ჩუმად, ჩუმად. მაგრამ ისე გაჰყვიროდა, გეგონებოდა, ქვეყნიერებას სწორედ იმიტომ მოეკლინა, რომ იყვიროსო.

ექთანმა, როგორც იქნა, მიანოდა ექიმს შპრიცი და მანაც სწრაფად და ოსტატურად ჩაარჭო ბიჭს. მერე ამოიხსრა და ბავშვის გაუხეშებული, გახევებული კანიდან ნემსი ამოაძრო.

ამ დროს კარი გაიღო და პალატაში აფორიაქებული ნაბიჯით შემოვიდა მონაზონის და — მონაზონი.

როგორც კი განამებულ ბიჭსა და ექიმს შეხედა, რალაცის სათქმელად გახსნილი ბავშვს მოკუმა და ნელა, ჩუმად მიუახლოვდა. ექიმსა და გაფითრებულ ექთანს ალერსიანად დაუჭრა თავი და ბიჭს შუბლზე ხელი დაადო. გაკვირვებულმა ბავშვმა მალლა აიხედა და თავს უკან შავი ფიგურა შენიშნა. ბიჭს ეგონა, შუბლზე დადებული გრილი ხელი მამ-შვიდებსო, სინამდვილეში ინექცია იწყებდა მოქმედებას. ექიმმა ისევ ღრმად ამოიხსრა. შპრიცი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. სიჩუმე იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ ყველას საკუთარი სუთნევის ხმა ესმოდა. კრინტი არავის დაუძრავს.

ბიჭი ტკივილს ველარ გრძნობდა. მშვიდად, ცნობისმოყვარეობით ათვალთქვებდა გარემოს.

— რამდენი იყო? — ძალიან ჩუმად ჰკითხა ექიმმა ექთანს.

— ათი, — ასევე ჩუმად მიუგო მან.

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— ცოტა არ იყოს, ბევრია, მაგრამ ვნახოთ... ხომ მოგვეხმარებით, დაო ლიობა?

— რასაკვირველია, — სწრაფად მიუგო მონაზონმა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხიზლდაო.

ბუზის გაფრენას გაიგონებდი. მონაზონს ბიჭის თავი და მხრები ეჭირა, ექთანს — ფეხები. მერე სხეულიდან სისხლით გაჟღერებული ნაფლეთების მოცილებას შეუდგნენ. სამივემ დაინახა, რომ სისხლს რალაც შავი ერია. ბიჭს ყველაფერი გაშავებოდა. ხელები და ფეხები მთლიანად ნახშირის მტვრით დაფარვოდა. მოჩანდა მხოლოდ სისხლი, ტანსაცმლის ნაფლეთები და ნახშირის მტვერი, გაზინთული ნახშირის მტვერი.

— ყველაფერი გასაგებია, — ჩაიბურტყუნა ექიმმა, — ნახშირის იპარავდი და მატარებლიდან გადმოვარდი, ხომ ასეა?

ახლა უკვე სრულიად მოსულიყო გონს, თვალბეჭედი ბედნიერების სხივი ჩასდგომოდა. ნემსს, როგორც ჩანს, ძალიან კარგად ემოქმედა. ექთანმა ბიჭს პერანგი თითქმის ნიკაპამდე აუფარგნა. ის ძალიან გამხდარი იყო, ისეთი გამხდარი, გაგეცინებოდა, ბებერ ბატს ნააგავდა. ლავინის ძვლების ღრმულეებში ისეთი დიდი და უცნაური შავი ჩრდილი ჩასწოლოდა, რომ მოწყალეების დის მოზრდილი თეთრი ხელი შიგ თავისუფლად ჩაეტეოდა.

მერე ყველამ ბავშვის ფეხებს დახედა, უფრო სწორად, იმას, რაც ფეხებისგან დარჩენილიყო: ლამაზი, მოხდენილი ფეხები ჰქონდა. ექიმმა ქალებს თვალთ ანიშნა:

— ალბათ ორივე კიდურის მოტეხილობაა. რენტგენია საჭირო.

ექთანი სპირტიანი საფენით უწმენდა ბიჭს ფეხებს. ახლა ისინი უწინდებურად საზარელი შესახედი აღარ იყო. ბიჭი საშინლად გამხდარი გახლდათ და ყოველი საფენის დადებზე ექიმი თავს აქეთ-იქით აქნევდა. ლომაიერზე ფიქრიც არ აძლევდა მოსვენებას: იქნებ მართლაც ჩავარდა? რომც ვერაფერი დააფეხვენიონ, მაინც ცოდვია. ის უბედური სტროფანტინის გამო დაიჭირონ, მე კი თავისუფლად ვისიერნო? არადა, ყველაფერი თუ მშვიდობიანად ჩაივლის, ხომ თანაბრად უნდა გავინანილოთ ფული?! ჯანდაბა, უკვე თითქმის ცხრის ნახევარია!

გარშემო შემადრწუნებელი სიჩუმე იდგა, ქუჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ექიმმა შეხვევა მოამთავრა. ექთანმა ბიჭს პერანგი თეძობამდე ჩამოუწია, კარადასთან მივიდა, იქიდან თეთრი საბანი გამოიღო და ბავშვს გადააფარა. მერე ისევ შუბლზე დააო ხელი და ექიმს მიუბრუნდა; ის ხელებს იბანდა:

— ექიმო, მე თქვენთან პატარა შრანცის თაობაზე შემოვედი, მაგრამ, ვიდრე ამ ბიჭით იყავით დაკავებული, არ მინდოდა თქვენი შეწუხება.

ექიმს პირსახოცი ხელში გაუშეშდა. სახე მოეღრიცა, ქვედა ტუჩზე მიკრული სიგარეტი აუცახცახდა:

— რა დაემართა? — იკითხა მან, — რა სჭირს პატარა შრანცს?

გაფითრებული სახე ახლა სულ მთლად გაუთეთრდა.

— უბრალოდ, გულმა უმტყუნა, აღარ უმუშავებს. როგორც ჩანს, ცუდადაა საქმე.

ექიმმა პირიდან სიგარეტი გამოიღო და პირსახოცი იქვე, ხელსაბანთან, ლურსმანზე ჩამოკიდა.

— ჯანდაბა! — უმწეოდ აღმოხდა, — რით ვუშველო, მე ხომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია?!

მონაზონს ისევ ბიჭის შუბლზე ედო ხელი. ექთანი სისხლიან საფენებს ყრიდა ვედროში, ნიკელის თავსახურის ანარეკლი კედელზე ლიცილიცებდა.

ექიმი იატაკს მიაშტერდა. უეცრად თავი ასწია, ბიჭს შეხედა და კარისკენ გაიქცა:

— დახედავ ერთი, რა სჭირს გოგონას!

— მე არ გჭირდებით? — ჰკითხა ექთანმა, თან უკან მისდევდა.

ექიმი მობრუნდა:

— არა, აქ დარჩით, ბიჭი რენტგენისთვის მოამზადეთ და, თუ შეძლებთ, ავადმყოფობის ისტორიაც გაუხსენით.

ბიჭი ისევ ჩუმად იწვა, ექთანიც იქვე იდგა, მასთან ახლოს.

— დედაშენმა იცის, სად წახვედი? — ჰკითხა მონაზონმა.

— დედა მკვდარი მყავს.

ქალს უნდოდა მამის შესახებაც ეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა.

— ვის შევატყობინოთ?

— ჩემს უფროს ძმას, მაგრამ შინ მაინც არ იქნება. აი, პატარებს კი უნდა ვუთხრათ, ახლა ისინი მარტონი არიან.

— რომელ პატარებს?

— ჰანსსა და ადოლფს, მელოდებიან, როდის დავბრუნდები და საჭმელს როდის მოვუმზადებ.

— ...და შენი უფროსი ძმა სად მუშაობს?

ბიჭი დუმდა, მონაზონიც აღარ ჩააცვივდა.

— უნდა ჩაწეროთ?

ექთანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და პატარა თეთრი მაგიდისკენ წავიდა, რომელიც სავსე იყო წამლებითა და სხვადასხვა სახის სინჯარებით. სამელნე ახლოს მიინია, ჩაანო შიგ კალმისტარი და თეთრი ფურცელი მარცხენა ხელით გაასწორა.

— რა გვარი ხარ?

— ბეკერი.

— რა აღმსარებლობის?

— არც ერთის, არა ვარ მონათლული.

მონაზონი შეკრთა, ექთანს გამომეტყველება არ შესცვლია.

— როდის ხარ დაბადებული?

— 33-ში... 10 სექტემბერს.

— ჯერ კიდევ სკოლაში დადიხარ, ხო?

— დიახ.

— ...და სახელიც ჰკითხეთ, — ჩაუჩურჩულა ექთანმა მონაზონს.

— ჰო... და რა გქვია?

— გრინი.

— რაა? — ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს.

— გრინი, — გაუმეორა ბიჭმა ნელა და ბრავით, ისე, როგორც ამას აკეთებს ყველა ის ადამიანი, რომელსაც უჩვეულო სახელი აქვს.

— ბოლოს „ი“ თქვი? — ჰკითხა ექთანმა.

— დიახ, ორი „ი“, — და ისევ დაუმარცვლა — გრინი.

სინამდვილეში ლოენგრინი ერქვა. 33-ში იყო დაბადებული, სწორედ მაშინ, როცა ბაიროიტერის* ფესტივალზე კინოთეატრებში პიტლერის პორტრეტების გაუთავებელი ჩვენება დანიშნეს. მაგრამ დედა მას ყოველთვის გრინის ეძახდა.

უეცრად ოთახში ექიმი შემოვარდა. ზემდგომი დაღლილობისგან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მთვრალი გეგონებოდა. თხელი ქერა თმა ახალგაზრდულ, თუმცა უკვე დანაოჭებულ სახეზე ჩამოშლოდა:

— ჩქარა, ჩქარა, მოდით აქ ორივე! უნდა ვცადო და ერთხელ კიდევ გადავუსხა სისხლი.

მონაზონმა ბიჭს გადახედა.

— ჰო, ჰო, ერთი წუთით დატოვეთ აქ მარტო!

ექთანი უკვე კარებში იდგა.

— ხომ წყნარად იწვები, გრინი? — შეეკითხა მონაზონი.

— დიახ, — მიუგო ბიჭმა.

* (გერმ. — Bayreuther Festspiele) — ყოველწლიური საზაფხულო ფესტივალი, რომელზეც სრულდება რიხარდ ვაგნერის ნაწარმოებები. დაარსებულია თვით კომპოზიტორის მიერ. ტარდება ბავარიის ქალაქ ბაიროიტში, თეატრში, რომელიც საგანგებოდ ფესტივალისთვის აშენდა.

მაგრამ, როგორც კი ყველა გავიდა, თვალებიდან უნებ-ლიეთ ცრემლები წასკდა. აქამდე თითქოს მონაზვნის ხელი აკავებდა, შუბლზე რომ ედო. დარდისგან კი არ ტიროდა, ეს ბედნიერების ტირილი იყო. თუმცა არა, ორივე გახლდათ — დარდიცა და ბედნიერებაც. როცა პატარებზე ფიქრს მოჰყვებოდა, დარდის გამო იწყებდა ტირილს და ცდილობდა, არ ეფიქრა მათზე, რადგან ბედნიერების გამო ერჩინა ტირილი. ასე ბედნიერი, როგორც ამ ნემსის მერე, არასდროს ყოფილა. ძარღვებში თითქოს თბილი რძე ჩაღვროდა. ცოტათი თავბრუც ესხმოდა, მაგრამ ამავე დროს გონება ფხიზელი ჰქონდა. ისეთ სასიამოვნო გემოს გრძნობდა, ადრე რომ არასდროს უგრძენია. მაგრამ არც ის შეეძლო პატარებზე არ ეფიქრა: ჰუბერტი ხვალ დილა-მდე არ მოვა, მამა მხოლოდ სამ კვირაში დაბრუნდება, დედა კი... პატარები ახლა სულ მარტონი არიან და დანამდვილებით იცის, რომ მიყურადებულები უსმენენ ყოველ ნაბიჯს, ყოველ გაფაჩუნებას კიბეზე. კიბიდან აუტანლად ბევრი ხმა ისმის, ბავშვებისთვის კი ეს გაუსაძლისი ტკივილია. არც იმის იმედი აქვს, რომ ფრაუ გროსმანი მათ მიხედავს, ასეთი რამ თავში არასდროს მოსვლია და რალა დღეს მოუვა?! არასდროს გახსენებია ბავშვები. თანაც არც ის იცის, რომ ის... რომ მას ასეთი უბედურება დაატყდა თავს! ჰანსი, ალბათ, ადოლფს დანყნარებას დაუნყებს. თუმცა ჰანსი თვითონაც ისეთი უსუსურია და ყოველ წვრილმანზე ტირილს იწყებს ხოლმე.

იქნებ ადოლფმა დააშოშმინოს ჰანსი! მაგრამ ადოლფი ხომ მხოლოდ ხუთისაა, ჰანსი კი უკვე — რვის! არა, ალბათ, მაინც ჰანსი დაუნყებს ადოლფს დამშვიდებას. მაგრამ ასეთი უსუსური რომ არის? ადოლფი უფრო მაგარია. ახლა, ალბათ, ორივე ტირის, შვიდი საათისთვის ისე შივებათ, თამაშის თავიც აღარა აქვთ. თანაც იციან, რომ რვის ნახვერისთვის მათი ძმა უეჭველად მოვა და რამეს შეჭამენ. თვითონ ვერ გაბედავენ პურის აღებას, რადგან ერთხელ, როცა მთელი კვირის ულუფა შესანსლეს, ისინი მან ძალიან მკაცრად დასაჯა. ახლა კარტოფილის აღება უყოყმანოდ შეუძლიათ, მაგრამ მათ ეს არ იციან. მიეცა მაინც კარტოფილის აღების უფლება. ჰანსი უკვე მშვენივრად შეძლებს კარტოფილის მოხარშვას, მაგრამ ამას მაინც ვერ გაბედავენ — მაშინ ძალიან მკაცრად დაისაჯნენ, ის კი არა, მათი მიტყეპაც კი მოუწია, აბა, როგორ შეიძლებოდა მთელი კვირის მარაგის შეჭმა?! რასაკვირველია, არ შეიძლებოდა; თუმცა ახლა როგორი ბედნიერი იქნებოდა, რომ არ დაესაჯა ისინი! ხომ აიღებდნენ პურს და მშვირები მაინც ხომ არ დარჩებოდნენ?! ახლა სხედან და იცდიან. როგორც კი კიბეზე რალაც გაფაჩუნდება, წამოფრინდებიან გახარებულები და

აეკვრებიან თავიანთი ფერმკრთალი სიფათებით კარის ჭუჭრუტანას... ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შეუსწრია მათთვის ასე. ბევრჯერ, ალბათ, ათასჯერ მაინც! და ყოველჯერზე პირველი მათი სახეები შეეფეთებოდა ხოლმე. ისინი კი ბედნიერები იყვნენ, მისი შინ დაბრუნება იმ მიტყეპის მერეც უხაროდათ — მათ ხომ ყველაფერი ესმოდათ?! ახლა ყოველი გაფაჩუნება გულს უკლავთ და, ალბათ, ძალიან ეშინიათ. საკმარისია, ჰანსმა პოლიციელს მოჰკრას თვალი, იმნამსვე კანკალს იწყებს. თუ ახლა ისინი ძალიან ხმამაღლა აბლავდებიან, ქალბატონი გროსმანი ლანძღვას მოჰყვება, ვერ იტანს, როცა საღამოხანს სიმშვიდეს ურღვევენ. ხოლო მერე, თუკი უფრო მაგრად ატირდებიან, იქნებ ქალბატონი გროსმანი დაინტერესდეს, რა ხდება, და შეიცოდოს კიდეც ისინი. არც ისე ცუდი ქალია ეს ქალბატონი გროსმანი! თვითონ ჰანსი არასდროს დაუძახებს ქალბატონ გროსმანს, ძალიან ეშინია მისი. ჰანსს ყველასი ეშინია... რა მოხდება, კარტოფილი მაინც აიღონ!

დაიწყო თუ არა ბავშვებზე ფიქრი, ტკივილის გამო ატირდა. თვალელებზე აიფარა ხელი, იქნებ პატარები თვალწინ აღარ დამიდგნენო, მაგრამ იგრძნო, რომ ხელი დაუსველდა და უფრო მწარედ აქვითინდა. ნეტა რომელი საათი იქნებოდა? ცხრა ალბათ უკვე იყო, ან — სულაც ათი. ეს საშინელებაა! შინ რვის ნახვევარზე გვიან არასდროს დაბრუნებულა, მაგრამ იმ დღეს მატარებელში დაცვა გააძლიერეს და, რაც შეიძლება, ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ლუქსემბურგელებს ძალიან უყვართ სროლის ატეხვა, ეტყობა, ომის დროს ვერ იჯერეს გული და ახლა ისვრიან! მაგრამ მისი დაჭერა არც ისე იოლი იყო, ვერასდროს, ვერასდროს ვერ მოახერხეს მისი დაჭერა! ყოველთვის ცხვირწინ უსხლტებოდათ ხელიდან. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, ანთრაციტი! ანთრაციტს ვერ დაკარგავდა! ანთრაციტი, ანთრაციტში ჩვიდმეტ-თვრამეტ მარკას იხდიან და ახლა ხელიდან უნდა გაეშვა? ლუქსემბურგელებმა ხომ აქამდე ვერა და ვერ დაიჭირეს! რუსებსაც გაჰქცევია, ბელგიელებსაც, იანკისაც, ტომისაც და რალა ეს ლუქსემბურგელები დაიჭერენ, დოყლაპია ლუქსემბურგელები?!

ჩაუქროლა მათ, ახტა ყუთზე, გაავსო ტომარა და ჩაადო ძირს. მერე, რამდენიც შეძლო, კიდეც დააყარა ზედ, მაგრამ მატარებელში უეცრად ქშშშ-ო, ამოიქშინა და გაჩერდა. მხოლოდ ისლა ახსოვს, რომ საზარელი ტკივილი იგრძნო. მერე აღარაფერი... რალაც თეთრი კარის წინ მოეგო გონს და დაინახა თეთრი ოთახი, ის, რომელშიც ახლა წევს. მერე ნემსი გაუკეთეს... ისევე ატირდა, მაგრამ ახლა უკვე — ბედნიერებისგან. ბავშვები სადღაც გაქრნენ. ეს ენითაუწერელი ბედნიერება იყო, აქამდე ასეთი რამ არასოდეს განუცდია.



მხატვარი მალხაზ იაშვილი

თითქოს სწორედ ეს ცრემლები იყო ბედნიერება, მკერდ-დან ღვარად რომ მოედინებოდა, და მაინც დაუშრეტელი იყო — ეს რაღაც საამო, მოციმიციმე, მბრუნავი ბურთულა, ცრემლად ნაკადულივით რომ იღვრებოდა და იღვრებოდა.

უეცრად ლუქსემბურგელებმა სროლა ატეხეს, ავტომატებიდან ისროდნენ და მათი კაკანი გაზაფხულის ამ მშვიდ საღამოს კიდეც უფრო საზარლად ისმოდა. მინდვრის, ორთქლმავლის კვამლის, ქვანახშირისა და ცოტათი ნამდვილი გაზაფხულის სუნიც კი ტრიალებდა. ჰაერში ორმა გასროლამ დაიყვია. ცა მოქუფრულიყო, სროლის ხმა ექოდ ათასჯერ მაინც უბრუნდებოდა უკან და გულმკერდს უკანრავდა. ვერა, ეს ვიგინდარა ლუქსემბურგელები ვერასდროს დაიჭერენ, ვერასდროს მოკლავენ! ქვანახშირი, რომელზეც ახლა გაშხლართულიყო, მაგარი იყო და იჩხვლიტებოდა. ეს ხომ ანთრაციტია, ერთ ცენტნერ ანთრაციტში კი 80, ზოგჯერ 85 მარკასაც იძლეოდნენ. იქნებ პატარებს ერთხელ მაინც უყიდოს შოკოლადი! არა, ფული არ ეყოფა, შოკოლადი 40-45 მარკა ღირს, ამდენს ვერ გასწვდება. ღმერთო დიდებულო, ერთი ცენტნერი ორ ფილა შოკოლადში! ამასობაში ლუქსემბურგელები სულ მთლად გაცოფდნენ, ისევ დაინყეს სროლა. ტიტველი ფეხები გაეთოშა, ანთრაციტისგან დაეკანრა და ასტიკვდა, დაესვარა და გაუშავდა, გრძობდა ამას. ტყვიები ცაში უზარმაზარ ხვრელებს ტოვებდნენ. მაგრამ ზეცას ხომ ვერ მოკლავენ?! ნუთუ მის მოკვლასაც შეძლებენ ლუქსემბურგელები?..

ხომ არ ეთქვა ექთნისთვის, სად არის მამამისი და სად დადის ლამლამობით ჰუბერტი? მაგრამ არ უკითხავთ და, თუ არ გეკითხებიან, რატომ უნდა თქვა?! სკოლაში სულ ამას ჩასჩინებენ... ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ამ ლუქსემბურგელებს... ბავშვები... რა მოხდება, შეწყვიტონ სროლა, ბავშვებთანაა გასაქცივი... ნამდვილად შეიშალნენ ეს ლუქსემბურგელები, სულ მთლად გავეშდნენ! ჯანდაბა! არა, არაფრით არ ეტყვის ექთანს, სად არის მამამისი და სად დადის ლამლამობით მისი ძმა. იქნებ აიღონ პატარებმა პური... ან კარტოფილი მაინც! ან იქნებ ქალბატონმა გროსმანმა შენიშნოს, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, მართლაც ხომ ასეა?! გასაოცარი ამბავია, რატომღაც გამუდმებით რაღაც არ არის რიგზე! ბატონი რექტორიც დაინყებს ლანძღვას. რა კარგად იმოქმედა ნემსმა, ჯერ ჩხვლეტა იგრძნო და მერე ბედნიერება ეწვია! ამ ფერმკრთალმა ექთანმა შპრიცი მთლიანად ბედნიერებით აავსო. სულელი ხომ არ არის, მკაფიოდ გაიგონა, რომ შპრიცში დიდი რაოდენობით ბედნიერება შეუშვა, ძალიან დიდი რაოდენობით. გრინი — ორი „ი“-თი. არა... მოკვდა... არა, არა, უგზოუკვლოდ დაიკარგა. რა საამოა ეს ბედნიერება! ოდესმე, ალბათ, პატარებსაც უყიდის ერთ შპრიც ბედნიერებას; ყიდვა ხომ ყველაფრისა შეიძლება?!.. პურის... პურის მთელი გორების...

ჯანდაბას, რასაკვირველია, ორი „ი“-თი, რატომ არ იცის აქ არავინ ჭეშმარიტი გერმანული სახელები?..

„არა, — შეჰყვირა უეცრად, — მე არა ვარ მონათლული!“
 იქნებ დედა ჯერ კიდეც ცოცხალია! არა, ის ლუქსემბურგელებმა დახვრიტეს, არა, რუსებმა... არა, ვინ იცის, იქნებ ნაცისტებმა ესროლეს, ის ხომ სულ მათ ლანძღვაში იყო?!. ან სულაც ამერიკელებმა... ოო, ბავშვებს მშვიდად შეუძლიათ პურის ჭამა, ის მათ მთელ გორა პურს უყიდის... ერთ სატვირთო ვაგონ პურს... ან ანთრაციტით სავსეს; და აუცილებლად — შპრიცით ბედნიერებას...

ემმაკაც ნაულიხართ, რასაკვირველია, ორი „ი“-თი!
 ამ დროს მონაზონმა მიიბრინა მასთან, ხელი წაავლო, მაჯისცემა გაუსინჯა და შეშფოთებულმა უკან მოიხედა. ღმერთო, იქნებ ექიმისთვის დაეძახა! მაგრამ აგონიაში მყოფ ბიჭს მარტო ვერ დატოვებდა! პატარა შრანციც რომ მოკვდა?! დიდება უფალს, წავიდა პატარა რუსისიფათა გოცოც! ეს ექიმი მაინც სად დაიკარგა? მონაზონი გარშემო უვლიდა ტყავავადაკრულ ტახტს...

„არა, — გაჰყვიროდა ბიჭუნა, — არა ვარ მონათლული!“
 მაჯისცემა შეიძლება ნუთი-ნუთზე გასჩერებოდა. მონაზონს სიმწრის ოფლმა დაასხა. „ექიმო, ბატონო ექიმო!“ — ხმამალა დაიყვირა, თუმცა იცოდა, რომ დაბამბულ კარს მიღმა არც ერთი ბგერა არ გაატანდა.

ბიჭი ახლა გულამოსკვნილი ქვითინებდა.
 „პური... პური მთელი გორა პატარებისთვის... შოკოლადი... ანთრაციტი... ლუქსემბურგელები... ეს ღორები! რა იქნება, რომ არ ისროდნენ! ჯანდაბას, კარტოფილი... შეგიძლიათ, მშვიდად აილოთ კარტოფილი... მიდით და აილეთ! ქალბატონო გროსმან... მამა... დედა... ჰუბერტი... კარის ჭუჭრუტანიდან, კარის ჭუჭრუტანიდან...“

მონაზონი დაფრთხა და ტირილი აუვარდა, გასვლაც ვერ გაებდა. ბიჭს უნებლიე მოძრაობები დაეწყო და ქალმა ბეჭები დაუჭირა. ეს საზიზღარი ტახტიც რა სრიალა! პატარა შრანციც მოკვდა, მისი პანანინა სული უკვე ცაშია. ღმერთო, შეუნდე, შეუნდე... ის ხომ ისე უცოდველია... პატარა ანგელოზი, პატარა უშნო რუსი ანგელოზი... და ახლა უკვე — რარიგ მშვენიერი!..

„არა! — ყვიროდა ბიჭი, ცდილობდა, ხელები მკერდში დაეშინა, — მოუნათლავი ვარ, მოუნათლავი!“

შეშინებულმა ქალმა თავი ასწია, პირსაბანთან მიიბრინა, თან ცდილობდა, ბიჭისთვის თვალი არ მოეშორებინა. ჭიქა ვერ იპოვა, უკან მიბრუნდა და ბავშვს გავარვარებულ შუბლზე დაადო ხელი. მერე პატარა თეთრ მაგიდას ეცა და რომელიღაც სინჯარას დასწვდა. ნაშში წყლით გაავსო. ღმერთო, რა ცოტა წყალი ჩადიოდა ამ სინჯარაში!..

„ბედნიერება, — ჩურჩულებდა ბიჭი, — ამომიღეთ შპრიცით ბლომად ბედნიერება, მთლიანად, რაც გაგაჩნიათ. ბავშვებისთვისაც...“

მონაზონმა ძალიან ნელა, საზეიმოდ გარდაისახა პირჯვარი, სინჯარიდან ბიჭს შუბლზე წყალი გადაასხა და ტირილით წარმოთქვა: „მე გნათლავ შენ...“ მაგრამ წყალმა ბიჭი გამოაფხიზლა და მან თავი ისე უეცრად წამოსწია, რომ მონაზონს სინჯარა ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა. ბიჭმა შემკრთალ მონაზონს შეხედა, ოდნავ გაუღიმა და ძალიან ჩუმად უთხრა: „ნათლობა... ჰო...“ და ისეთი ძალით დაეხეთქა ტყავის ტახტს, რომ მისმა თავმა ბრავგანი გაადინა. უგრძნობლად ინვა. სახე დავიწროებოდა, დაჰბერებოდა და საზარლად გაჰყვითლებოდა. ხელები ისე დაჰკრუნჩხვოდა, გეგონებოდა, რაღაცაზე ჩაბლაუჭებას აპირებო.

„გადაულეთ რენტგენი?“ — იკითხა ექიმმა, რომელიც ექიმ ლომაიერთან ერთად სიცილით შემოვიდა ოთახში. მონაზონმა მხოლოდ თავი გადააქნია. ექიმი ავადმყოფს მიუახლოვდა, მექანიკურად სწვდა თავის სტეტოსკოპს, მაგრამ იქვე უშვა ხელი და ლომაიერს გადახედა. ლოენგრინს უკვე სული დაეღია...

გერმანულიდან თარგმნა
 ხათუნა თოდუაი

ცრემლები მოში

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ერთხელ უკვე გიამბოთ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ამბავი ალყაშემორტყმული სტალინგრადიდან გაგზავნილი უკანასკნელი გერმანული ფოსტის შესახებ, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ ნიგნად გამოქვეყნდა გერმანიაში, ოღონდ ამ სასონარკვეთი წერილებს ჯერ კიდევ 1942-ში „მოუშთვეს“ ავტორებიც და ადრესატებიც. სამაგიეროდ, მთელი ქვეყანა ხარბად კითხულობდა სტალინგრადში დაღუპულ მეომართა (ცოცხალი ვინ გადარჩებოდა!) მშობლების, ცოლებისა და შვილებისათვის განკუთვნილ გულისხნადებს.

არაფერი ამის მსგავსი არ იცის მსოფლიო კავშირგაბმულობის ისტორიაში, ხოლო ეპისტოლური ლიტერატურის ისტორიისათვის, ალბათ, საინტერესო იქნებოდა ესოდენ უნიკალური მასალა, თავისი მხატვრული ღირსებითაც გამორჩეული.

ცხოვრებაში, არცთუ იშვიათად, ხდება ხოლმე, რომ დიდი ვაება და გასაჭირი ურწმუნო კაცს მორწმუნედ გადააქცევს, ეგებ ღმერთმა მიშველოსო, მაგრამ საპირისპიროც გვსმენია. აი, ერთი გერმანელი ჯარისკაცი აღნიშნული ფოსტიდან გადაჭრით ამბობს, სტალინგრადში დავრწმუნდი, ღმერთი არ არსებობსო. მეორე უარეს მკრეხელობაში ვარდება. თავის სატრფოს უმხელს, აღარცა მჯერა ღმერთის სიკეთე. აბა კეთილი რომ იყოს, ასეთ საზარელ უსამართლობას როგორ დაუშვებდაო? აილებდა და გონებას გაუნათებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც წამოიწყეს ეს ომი, თუმცა სამ ენაზე მშვიდობას ადიდებდნენ. გულისტკივილით წარმოთქვამს, ღმერთი აღარა მნამს, რადგანაც მან გვიღალატაო.

ამ სულისშემძვრელი და დასაგმობი აღსარების ფონზე რაოდენ კონტრასტულად ჟღერს თავის უღმობელ აღსასრულთან შეგუებული კაცის საქმიანი წერილი ცოლისადმი. აი, ნამდვილი გერმანელი, იტყვიო; დიახ, ზუსტად ისეთია, როგორც ამ დიდებული მოდგმის ტიპური წარმომადგენელი გვესახება — ნაკითხულისა თუ გაგონილის საფუძველზე:

„გემშვიდობები, ვინაიდან დღეს დილით ყველაფერი გადაწყდა. სულაც არ ვაპირებ შევეხო სამხედრო სიტუაციას — იგი მთლიანად რუსების ხელთ არის. საკითხავი მხოლოდ ისაა, რამდენ ხანს გავძლებო. ეს შეიძლება გავრძელებს რამდენიმე დღე ანდა სულ რაღაც რამდენიმე საათი... დრო განკურნავს ტკივილს ჩემი არდაბრუნების გამო. შენ იანვარში 28 წელი შეგისრულდება — ეს ძალზე ცოტაა ესოდენ ლამაზი ქალისათვის. ვიცი, ძალიან მომიხაკლისებ, მაგრამ მაინც ნუ გაერიყები ადამიანებს. მოიცადე რამდენიმე თვე, ოღონდ მეტს ნუ მოიცადი. გეტრუდს და კლაუსს მამა სჭირდებათ. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ უნდა იცხოვრო შვილებისათვის და ამიტომაც ნუ შექმნი უსაშველო ტრაგედიას ჩემი დაკარგვის გამო. ბავშვებს კი ყველაფერი მალე ავიწყდებათ. გულისყურით დააკვირდი მამაკაცს, ვისაც ამოირჩევ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცე მის თვალებს და ხელის ჩამორთმევას, — ხომ გახსოვს, როგორ იყო ეს ჩვენს შორის, — და შენ არ შეგეშლება. გაზარდე შვილები დიდსულოვან და გულწრფელ ადამიანებად, რომლებიც გაუდგებიან ცხოვრების გზას მაღლა ანეული თავით და ყველას მშვიდად გაუსწორებენ მზერას. მე არ მემშინია იმისა, რაც მელოდება. შეახსენე შვილებს, როცა წამოიზრდებიან, რომ მათი მამა არასოდეს ყოფილა ლაჩარი და ისინიც არასოდეს არაფერს არ უნდა შეუშინდნენ“.

...დაუთვლია ვინმეს, ომს უფრო უხვად რა მოჰყვება — სისხლი ფრონტზე თუ ცრემლები ზურგში? ცრემლი, ალბათ, ცერე იქნება, ვინაიდან ერთხელ დაღვრილი სისხლი უთვალავ ცრემლს იწვევს და მისი დენა წლობით გრძელდება. დაქვრივებულთა, დაობლებულთა, მგლოვიარე მშობელთა და ცალად

შთენილთა ცრემლებს იმათი ცრემლიც ერთვის, ვინც დაბადებულიც კი არ ყოფილა იმ სისხლის დაღვრისას.

არც სისხლი აინონება და არც ცრემლი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცრემლი უფრო სულის ტირილია, ხოლო სისხლი — ხორცისა. და თუკი აგრეა, ცრემლი უფრო წრფელი და უმანკო უნდა იყოს, ვიდრე სისხლი. ზოგჯერ ერთი კურცხალის ფასი ეგებ ალემატებოდეს კიდევ სისხლის ნიაღვრის ფასს. ტყუილად როდი უთქვამთ: უმაღლესი ჰარმონია კაცობრიობისა არა ღირს იმ ერთი ტანჯული ბავშვის ცრემლადო...

ცრემლი ცრემლს ნააგავს. როგორ გააჩნევს, ქალისაა თუ კაცისა, ბავშვისაა თუ მოხუცისა, დაჭრილისაა თუ სწეულისა. ერთი მოდგმისანი არიან. მაგრამ ცრემლთა ოკეანეში გამოირჩევა ხოლმე ცრემლი, უცნაური და უჩვეულო, ტოლი და სწორი რომ არ მოეპოვება.

„ერთი ჩემი ამხანაგი დასტიროდა თავის განადგურებულ ტანკს, რომელიც მისი სიამაყე იყო“, — ასე იწყება ერთი გერმანელი ჯარისკაცის წერილი ზემოხსენებული ფოსტიდან.

გულახდილად აღიარებს, მშვიდობიან ჟამს სენტიმენტალობა კი მჩვეოდა, მაგრამ მეჩოთირობა ვიტირო ტანკებზე, რომელთაც ტრიალ სტეპში სანავის გარეშე დარჩენილებს უძრავ ქვემეხებად ვიყენებდით და მტერმა იოლად მოსპოო. ოღონდ იმ ფაქტმა, რომ ეს უზადო ბიჭი და მამაცი ჯარისკაცი ბალღივით ტიროდა თავისი დაკარგული ტანკის გამო, ღამით მეც ამატიროაო.

მეორე თავისას გვიამბობს: „სამშაბათს ჩემი ტანკით ორი „ტი-34“ [საუკეთესო საბჭოთა ტანკს ერქვა] გავანადგურე. ეს იყო ბრწყინვალე სანახაობა! მერე გვერდით ჩავუარე აბოლებულ რკინეულს. ტანკის ლიუკიდან თავდაყირა გადმონოლიყო ცეცხლმოდებული სხეული, რომელიც ჯერ ისევ ცოცხლობდა. ისმოდა კვნესა. ალბათ საზარელი ტკივილები ჰქონდა“.

მისი გამოხსნა შეუძლებელი ეჩვენა და თუნდაც მოეხერხებინა, სულ მოკლე ხანში სასტიკი ტანჯვით განუტევებდა სულს. ამიტომაც ყველაზე რაციონალურ ნაბიჯად გერმანელ ტანკისტს მიუჩნევია მისი მოკვლა და უყოყმანოდ მიუხვრეტია სულთმობრძავი.

„...და იმავდროულად ლოყებზე ლაპაღუპით ჩამომდიოდა ცრემლი. აი, უკვე მთელი სამი ღამე, ზედიზედ სამი ღამე, დავტირი დაღუპულ რუს ტანკისტს, რომელიც მოვკალი“.

არაფერი გახსენდებათ? ატირდა როგორც ქალიო...

მაგრამ აქ მაინც სულ სხვაა — უფრო მოულოდნელი, უფრო საკვირველი. ამას განაპირობებს თავზარდამცემი ანტურაჟი XX საუკუნისა — მსოფლიო მასშტაბის სასაკლაო, არნახული და გაუგონარი, ავიაციის, არტილერიისა და ტანკების აკომპანემენტი; ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის რეკორდი კაცობრიობის ხანგრძლივსა და სისხლიან ისტორიაში.

ხოლო გერმანელი ტანკისტი, ერთგული შეგირდი ჰიტლერიუგენდისა, ნაცისტური პროპაგანდის მიერ შერაცხული ზეკაცად, რომელმაც არაფრად არ უნდა ჩააგდოს უნტერმენშების ტკივილი და ტანჯვა, სამი ღამის განმავლობაში დასტირის თავისივე ხელით მოკლულ რუს ტანკისტს.

ალყაშემორტყმულ სტალინგრადში სასიკვდილოდ განწირული გერმანელთა მეექვსე არმია სულს ლაფავს, ის კი... დასტირის დაღუპულ მტერს.

ამას ჰქვია ფანტასმაგორია! ჭკუადამჯდარი მედიკოსი იტყვის: ნერვები წესრიგში არ ჰქონდათო. მორჩა და გათავდა! უტყუარი დიაგნოზი გახლავთ.

ოი-რადო

დიდებული პოეტი თავისი შესახებაობითაც იპყრობდა ყურადღებას. ერთხელ მარინა ცვეტაე-ვას გამოუთქვამს ფრიად ორიგინალური შედარე-ბა, რომელიც შემდგომში არაერთგზის გაუმეორე-ბათ: პასტერნაკი ერთდროულად არასხაც ჰგავს და იმის ცხენსაცო.

ამერიკელი ჟურნალისტის ოლგა კარლაილის სიტყვით, იგი უჩვე-ულად ლამაზი იყო. დროდადრო არცა მჯეროდა, რომ სამოცდაათი წლის კაცს ვესაუბრებოდი, პასტერნაკს საოცრად ახალგაზრდული და ჯანსაღი იერი ჰქონდაო (სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე!).

...1936 წელს მოსკოვში ბორის პასტერნაკს სტუმრად ეწვია ავსტრიელი მწერალი ფრიც ბრიუგელი და პრავდაში ჩეხურად თარგმნილი მისი ლექსების კრებული მიართვა.

აი, რას ამბობს ბრიუგელი: „როგორი არაჩვეულებრივი პირისა-ხე აქვს ამ პოეტს — მშვენივრად არასწორი და არასწორად მშვენიე-რი ნაკვებით, რომლებიც არასოდეს ქვადება, ისევ და ისევ გარდა-იქმნება. მეტყველებს არა მარტო ბაგენი, არამედ მთელი პირისახე პოეტისა. ხელებით თითქოს ხაზს უსვამს თავის ყოველ ნათქვამს. შეპყრება ამ ხელებს და ასე გგონია, რომ მათი პატრონი მოქანდაკეა და არა — ლირიკოსი. ამ მოხდენილ, ძლიერ ხელებს ძალუძთ ჩაბღუ-ჯონ ყველაფერი, რასაც მოიხელთებენ. ხშირად გეჩვენება, რომ ძალზე ნერვიული ხელები აქვს, მაგრამ ასეთი შეგრძნება მყისვე გა-ვივლის; ხელები წყნარად ეყრდნობიან მაგიდას, უდიდესი დაძაბუ-ლობის შემდეგ თითქოს სული მოითქვსო. ჩემს თვალწინა სახე იდუმალი და თითქმის მისტიკური პოეტისა, რომელიც ფრიად რეა-ლურად ცხოვრობს საბჭოთა კავშირის ფრიად რეალურ სამყაროში“.

უცხოელი სტუმარი გულდინჯად ათვალაიერებს მასპინძლის პირისახესა და მოუსვენარ ხელებს, იმახსოვრებს პორტრეტის ყოველ შტრიხს, თითქოსდა მისი გამოძერწვა განუზრახავსო. დუმლი ნთქავს ნუთებს და პოეტიც ფიქრშია წასული. მერე სა-ნერი მაგიდიდან აიღებს წიგნს — „ქართველი ლირიკოსები“ (თარგმანი ბორის პასტერნაკისა, მხატვრული გაფორმება ლადო გუდიაშვილისა; მოსკოვი, 1935) და ეუბნება ბრიუგელს:

„როდენ დიდებული პოეზიაა! კარგი იქნებოდა, ესეც ხელმი-სანდოში გამხდარიყო ჩეხებისათვის, რომლებიც ესოდენ გულისხ-მიერად ეკიდებიან საერთოდ ლირიკას. ქართულ პოეზიაში ჩამალუ-ლა დიდი მითოლოგია. ამ ლექსებში ჩქეფს განსაცვიფრებელი სი-ცოცხლე. ისინი სასვებით თანამედროვე ლექსებია, მაგრამ ყოველი პოეტი ჩემი ქართველი მეგობრებიდან, რაც უნდა აქტუალური იყოს და რაც უნდა მტკიცედ იდგას დღევანდელი ხნისა და ხნის, თავის ცნობიერებაში მაინც ატარებს ქართული პოეზიის მთელ გზას. ტრადიციის ჯაჭვი არ განწყვეტილა. ეს რაღაც დიადი მოვლენაა“.

...იდეა 1945 წლის შემოდგომა. მოსკოვის რომელიღაც ქუჩაზე მიაბიჯებდა კაცი, გამვლელთა შორის აშკარად რომ გამოირჩეო-და, თუმცა უბრალოდ და დაუფერად იყო ჩაცმული. მისი უზრუნ-ველი და ხალისიანი გამომეტყველების გამო ვინმეს შესაძლოა ნასვამიც კი ჰგონებოდა, მით უმეტეს, რომ რაღაც უცხო სიმღერას

ლილინებდა. ამგვარი სიარული იცოდა პასტერ-ნაკმა — ლალი, მსუბუქი ნაბიჯით; კი არ მიაბი-ჯებდა, თითქოს მიფრინავდა.

როგორც მისი კერძო წერილიდან ირკვევა, 1945 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეზე საქართველოში ყოფნისას, გიორგი ლენინის მეუღლეს — ქალბატონ ეფემიას პას-ტერნაკისათვის უსწავლებია, პოეტის სიტყვითვე რომ ვთქვათ, „ერ-თი საუცხოო, დახლართული, ლაბირინთის მსგავსი მეგრული სიმ-ღერა ოი-რადო“.

და აი, მოსკოვში დაბრუნებული პასტერნაკი იმავე წლის ნოემ-ბერში წერს ნინო ტაბიძეს: „გამუდმებით ვლინებ ამ სიმღერას, როდესაც ვფიქრობ თქვენზე და იმ ორ ზღაპრულ კვირაზე, საქარ-თველოში რომ გავატარე. მივაბიჯებდი მოსკოვის ქუჩებში, მეგრული სიმღერა ხმანობდა სულში და შეპყრობილი ვიყავ იმ სიმძიმლით, რომელიც ახალგაზრდობაში გვეუფლება ხოლმე ძვირფას ადამი-ანებსა და ადგილებთან ნაძალადევი და ნადრევი განშორების გამო. მივაბიჯებდი და ვფიქრობდი: „რატომ ნამოვედი იქიდან?“ ან უფრო უკეთესად რომ ვთქვა: მივაბიჯებდი და ვგრძობდი, რომ მოსკოვში დავბრუნდი მხოლოდ გარეგნულად, მხოლოდ ფეხი დავადგი მოსკო-ვის მიწას, ხოლო სულითა და გულით საქართველოში დავრჩი“.

მრავლისმთქმელია ეს თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი. შოპე-ნისა და სკრიაბინის ტრფილის, იმ კაცს, რომელიც სიჭაბუკეში არჩევანის წინაშე იდგა — მუსიკას გაწყლოდა თუ პოეზიას, და კინაღამ კომპოზიტორობას არ მოჰკიდა ხელი, საქართველოდან მოსკოვში მეგრული სიმღერა გასდევნებია და ველარ იმორებს ტკბილად აკვირებულ მოტივს.

„რატომ ნამოვედი საქართველოდან?“ — დაჟინებით ფიქრობს და თავისი წერილის დასასრულს იმედს გამოთქვამს: „მჯერა, რომ ღვთის შემწეობით მომავალ გაზაფხულზე კვლავ თქვენთან მოვხ-ვდები“. მაგრამ „მომავალი გაზაფხული“ ცამეტი წლის შემდეგდა დაუდგა და ისიც — სერ ჰაროლდ მაკმილანის წყალობით.

1959 წლის 11 თებერვალს ინგლისურ გაზეთში გამოქვეყნდა თარგმანი პასტერნაკის ლექსისა „ნობელის პრემია“. ლვანლოსილი პოეტი სასწრაფოდ დაიბარეს სსრკ გენერალურ პროკურორთან, ნა-უყენეს ბრალდება 64-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი) და დაემუქრ-ნენ, დაგაპატიმრებთ, თუ უცხოელებთან კონტაქტებს არ შეეშებო.

სწორედ ამ დროს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩადის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელსაც თან ჩაჰყვება კორესპონდენტთა მთელი დივიზია. ისინი, რასაკ-ვირველია, შტურმით აიღებდნენ პერედელკინოს აგარაკს, რათა დალაპარაკებოდნენ სახელგანთქმულ პოეტს, რომელსაც უარი ათქმევინეს ნობელის პრემიაზე.

ამიტომაც კატეგორიულად ურჩივს შერისხულ პოეტს, რომ გამგზავრებულიყო სადმე — მოსკოვიდან შორს.

20 თებერვალს პასტერნაკი, მეუღლესთან ერთად, თბილისში ჩამოფრინდა და ორი კვირა გაატარა თავის „მეორე სამშობლოში“.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სა-კონფერენციო დარბაზში მწერალთა დამოუკიდებელი გაერთი-ანება კავშირ-პოეტურ ორდენ „მარადახალი ქნარის“ თაოსნო-ბით გაიმართა მიხეილ ლანიშაშვილის ახალი წიგნის „სულის ყვალების“ წარდგინება.

სალამოს უძღვებოდა პოეტი სეგარიონ ნადირაძე, რომელ-მაც ხაზი გაუსვა მიხეილ ლანიშაშვილის პოეზიის დიდ პოპულა-რობას მკითხველში. მან თქვა, რომ ეს არის მართალი, პრინციპუ-ლი შემოქმედის პოეზია, რომელიც მდიდარია თემატურად და მხატვრული გამოსახვის საშუალებებით.

წიგნის ღირსებაზე ისაუბრა პროფესორმა ტრისტან მახა-ურმა. მისი თქმით, მიხეილ ლანიშაშვილის პოეზიაში თანაბრად აირეკლა როგორც აკადემიური, სალიტერატურო-ინტელექტუა-ლური, ასევე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ცოდნა და ეს ყვე-ლაფერი გარდასახული მხატვრულ სიტყვაში, თანაბრად აკმაყო-ფილებს ნებისმიერი გემოვნების მკითხველს.

ხვთისო მამისიმედიშვილმა ყურადღება გაამახვილა მიხე-

ილ ლანიშაშვილის კავკასიურ პოემებზე. მან აღნიშნა, რომ თანა-მედროვე ქართული მწერლობისაგან სამწუხაროდ მივინყებული ეს თემა და ჟანრი, მიხეილ ლანიშაშვილის შემოქმედებაში ლამის ცენტრალური ადგილს იკავებს და ამ შემოქმედს საინტერესოს ხდის არა მარტო ქართველი, არამედ ზოგადად კავკასიელი მკითხველისათვის.

სიტყვით გამოვიდნენ: ელგუჯა მარლია, ია მშვიდობაძე, თა-მარ ლომიძე, გიორგი ალავერდაშვილი, თემურ მიქაუტაძე, მე-ქა ხანგოშვილი, ირინა თურქია, ოთარ რურუა. ამ უკანასკნელ-მა პოეტს ლექსიც უძღვნა.

თავისებური ელფერი შესძინა ამ შესანიშნავ ღონისძიებას მსახიობ ლარისა ხაჭაპურიძის მიერ მალალი მხატვრულ-დეკ-ლამაციური ოსტატობით წაკითხულმა პოეტის ლექსებმა და ნი-ნო სულიაურის მიერ მიხეილ ლანიშაშვილის ლექსზე დანერვილმა სიმღერამ და მის მიერვე ჩონგურზე დამღერებულმა ჰანგებმა.

წიგნი დაბეჭდა გამომცემლობა „საუნჯემ“. რედქტორია ინგა მილორავა.